

ჩვენი მზერა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

9 იანვარი 2015

№ 1 (235)

*გაუმარჯობი
შინა-სული ბუნს!*



შინაარსი

რედაქციის გვერდი	2	ქება ჰიპოთეზისა ან ნახტომთა აუცილებლობა (პაველ კოპინი, პაველ ინგოროყვა, თამაზ ჩხენკელი)
მსპრეს-ინტერვიუ	4	ზაალ სამადაშვილი „არასოდეს, არასოდეს, არასოდეს არ დანებდი!“ (მოამზადა ნატა ვარადაძე)
პროზა	6	ლაშა იმედაშვილი ბასროლის ხმა
პოეზია	14	ლევან ვასაძე ხილვა და სხვა ლექსები
	17	ნატა ვარადა მარმარილოს ქალაქი და სხვა ლექსები
	20	გიორგი ხორბალაძე ***ახლა პოეზია ფიქრებს მოქსია
გამომგზავნა	21	ელგუჯა თავბერიძე ნუ გეშინია, შენ არ ნაბაკითხებ
უხსოვთის სხოვრებიდან	22	ელვის პრესლი ბარბთები
დოქუმენტური პროზა	24	მიხეილ ლიბმანი, გრიგორი ოსტროვსკი გენიალური ყალბისმქნელი
წოდები და წლები	29	გოჩა კუჭუხიძე „გზად დაღლილი არავის ვუნახივარ“ (კრებული „ელიზბარ ჯაველიძე — 75“)
თეატრალური სინაზნი	32	იოსებ ჭუმბურიძე თეატრალური წყნარება და იმედიანია! ანუ ჯაყოდან მუსუსამდე, ანდა პირიქით (მიხეილ ჯავახიშვილი გორისა და ცხინვალის თეატრების სცენაზე)
დღიურის ფრესკებიდან	35	ეკა ბუჯიაშვილი „სახსრზე ჩვენი დიდი ტაქარი“ (განხილვა როინ ჭიკაძის მონოგრაფიისა „ძალმოსილება ქართული სიტყვიერებისა“)
ჩანახტი	38	რუსუდან ბოლქვაძე მოდი, ვითამაშოთ (მიხეილ თუმანიშვილის მონატრება)
ახალი წიგნები	40	ლია კარიჭაშვილი „ჰაბიობრაფიული თხრობის“ შესახებ (გიორგი ალიბეგაშვილის მონოგრაფია)
ესეისტიკა	42	როსტომ ჩხეიძე პოლემიკა არაჩვეულებრივად ან ნაბიჯი მომავლისაკენ (გალაკტიონი და ოლია ოკუჯავა: ლეგენდა და სინამდვილე)
დაუვიწყარი სახელები	46	ჯემალ ინჯია ორი სუფრა (გურამ ასათიანის გახსენება)
ისტორიის სამსჯავრო	47	პაატა ჩიქოვანი სააკაძის პატარა თავი... (აბა ამერიკის ჩექმა გინდა?)
მოგონებათა სივრდი	50	ლეილა მესხი ფიქრის კრილოსანი
კლასიკური მემორიალიზაცია	56	მაია ცერცვაძე „შენი არს ყაბანი, ძიავ“
საორბი	61	გივი გამრეკელი პარლსანი, კვლავ პარლსანი!
უხსოვარი ნოველა	63	ისააკ ბაშვილის ზინგერი მრაცხავი ქალი
ახალი თარგმანები	65	დევიდ ჰერბერტ ლორენსი სარნაველა ცხენზე გამარჯვებული
პოეზიის მარტივანობა	70	გაბრიელე დ'ანუნციო ფიქროლური საღამო
ამ მთისა და იმ გარისა	71	ოაზისი



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გავრცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 2015 წლის 23 იანვარს

დაარსებულია
ომეგა ჯგუფის მიერ
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში
ომაგა თავი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,
თბილისი საქართველო
ტელ: 00 995 32 53 12 77
ფაქსი: 00 995 32 53 08 33
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დეკანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კვიციანი

გარეკანზე: სცენა გორის თეატრის სპექტაკლიდან „მუსუსი“
თეკლა მარჯანიშვილი (ფეფელო)
გიორგი ელიზბარაშვილი (მიხა)

ქება ჰიპოთეზისა და ნახტომთა აუცილებლობა

(პაველ კოპინინი, პავლე ინგოროყვა, თამაზ ჩხენკელი)

როდესაც ჩამთავრებ პაველ კოპინინის ესეის „ჰიპოთეზა, როგორც მეცნიერების განვითარების ფორმა“, ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება დაგრჩეს, თითქოს რუს მეცნიერს ხელთ ეპყრას პავლე ინგოროყვას მეცნიერული ნაშრომები, ფურცელ-ფურცელ მიჰყვებოდეს მის სტილურ მდინარებას და გამოარჩევდეს ანალიტიკური განსჯის თავისებურების იმ კოლორიტულ ნიშანს, ასერიგად რომ ამშვენებს „ქართული ცივილიზაციის ისტორიას“ საერთოდ და მის თვითურთ სვეტს კერძოდ.

და თან ქებათაქებასაც მიუძღვნის ამ კოლორიტულ ნიშანს ანუ ჰიპოთეზათა ჩამოყალიბების იმ დაუშრეტელ უნარს, სასიცოცხლო რომ არის მეცნიერული აზრის განვითარებისათვის, არადა, ძლივს თუ იწყნარებდნენ და ხიზანივით სადღაც კუთხეში მიეკუნჭათ. მთლად დამამცირებლადაც თუ არ იყვნებდნენ ამათუიმ ნაშრომის შეფასებისას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას სულაც არ ანიჭებდნენ, პავლე ინგოროყვას წინააღმდეგ ხომ სულაც მახვილივით მოემარჯვებინათ.

არადა, მიუკერძოებელი განსჯის ნათელში ჰიპოთეზას სწორედ ის მნიშვნელობა ენიჭება, რაც პაველ კოპინინის ესეის სათაურშივე გაცხადებულია.

თითქოს ხელთ ეპყრას პავლე ინგოროყვას მეცნიერული ნაშრომებიო...

არაპირდაპირ სწორედ მას ექომაგება და მხარს უჭერს, სწორედ მისი აზროვნების მანერის ამ სპეციფიკას შეჰყურებს ალტაცებული და ნაბიჯ-ნაბიჯ განუმარტავს მკითხველს ჰიპოთეზის მნიშვნელობას.

სამაგიეროდ, ამ ესეის მთარგმნელს უპყრია ხელთ პავლე ინგოროყვას თხზულებანი — თამაზ ჩხენკელს, და მისი გადმოქართულებისას უშუალოდ შეჰყურებს ამ დიდებულ აჩრდილს, მისი ფოტოსურათი კედელზეც რომ გაეკრა, როგორც ძვირფასი რელიკვია, რადგანაც „გიორგი მერჩულეს“ შემოქმედის ფაქსიმილე ამშვენებდა, ეს სურათი რომ ეძღვნა ამ უმცროსი თანამოკალმისათვის. სურათი, ასე ხელშესახებდა რომ მოგვაგონებს დანტე ალიგერს.

შეჰყურებს და კოპინინის ხელით ექომაგება და მხარს უჭერს და ქართველ მკითხველს უბეჯითებს, რომ ახალი ცოდნა იზადება მანამდე, ვიდრე კაცი მის უეჭველობას დაამტკიცებდეს.

— ხდება ერთგვარი ნახტომი.

ეს კი ნიშნავს, რომ სუბიექტი წამოაყენებს დებულებას, რომელიც არსებული ცოდნიდან ლოგიკური აუცილებლობით არ გამომდინარეობს.

— ასეთი ნახტომი თავისთავად აუცილებელია, სხვანაირად ახალი ცოდნის აღმოცენება პრინციპულად შეუძლებელი გახდება.

კოპინინი ამ შეხედულების გამოთქმისას გუნებაში მოინიშნავდა იმ სახელებს, რომელთა ნაშრომებშიც უხვად ეგულებოდა ეს ნახტომები, ასერიგად აუცილებელი ახალი ცოდნის აღმოსაგენებლად, თამაზ ჩხენკელის თვალთახედვაში კი მოჩქეფდა უპირველესად პავლე ინგოროყვას ნაშრომებში მითითებული ახალი ცოდნა, ამ ნახტომებზე ამოზრდილი და უფრცეს პანორამად გამთლიანებული.



როდესაც უშუალოდ წარმოსახავდა მის ლიტერატურულ პორტრეტს ესეიში „გაუტყეხელი მეცნიერება“, ამოატივტივებდა იაკობ ბუკჰარტის სიტყვებს, ისტორიას ყველა მეცნიერებათა შორის უარემეცნიერულესად რომ მოიხსენიებდა, რადგანაც მიიჩნევდა... პოეზიად დიდი მასშტაბით და უმშვენიერეს მხატვრულ კომპოზიციათა წყებად; და მომზენის შეხედულებას: ისტორიკოსი ალბათ უფრო ხელოვანია, ვიდრე მეცნიერიო, — და ამ ფრაზას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმიტომაც მიანიჭებდა, რომ ეს ჰიპოთეზა დაეგულებინა არამარტო გენიალურ მეცნიერად, არამედ კვლევითი საქმის დიდ ორგანიზატორადაც.

თავის მხრივ კი მოადევნებდა, რომ: მართალია ხშირად ზღვარი არა ჩანს ისტორიულ ნაშრომსა და მხატვრულ შემოქმედებას შორის, მაგრამ ეს საფუძველს არ გვაძლევს, ისტორია სრულიად განვტვივროთ მეცნიერული ობიექტურობისაგან, და ამიტომაც დიდი ისტორიკოსი „ემპირისტიცია“ ანუ ცალკეულ ფაქტთა გულმოდგინე შემსწავლელიც, და იმავდროულად არც „პოეტურობას“ არის მოკლებული.

— ნამდვილ ისტორიულ სინთეზს, ერთი მხრივ, წინაპირობად უძღვის ცდისეული სინამდვილის ფხიზელი ხედვა, ხოლო, მეორე მხრივ, შემოქმედებითი ფანტაზიის უნარი...

ამჯერად კი თარგმანის სტრიქონთა შორის იგულისხმებდა ამ ყოველივეს, თანაც ჰიპოთეზის ქემატიკური ქებათაქების ფონზე, კოპინინი, ლუი დე ბროილის კვალდაკვალ, შეფარული ირონიით რომ გახედავდა იმ ადამიანებს, რომელთაც, საქმეში ჩაუხედაობის გამო, ჰგონიათ, თითქოს მეცნიერება ყოველთვის აბსოლუტურად უეჭველ დებულებას გვთავაზობდეს, და დასკვნები მხოლოდ უეჭველი ფაქტებისა და უზადო მსჯელობათა საფუძველზე ამოიზრდებოდეს, მაგრამ სინამდვილეში საქმე სულ სხვაგვარადაა და მეცნიერება დაკავშირებულია ისეთი ვარაუდების წამოყენებასთან, ძალიან შორს რომ დგას უეჭველობისაგან.

ცაინც რა ახასიათებს ჰიპოთეზას, როგორც დაგროვებული ცოდნის თეორიული მოაზრების ფორმას?


— უპირველეს ყოვლისა მისწრაფება იმისა, რომ გადალახოს უკვე მოპოვებული ცოდნის საზღვრები, დააფორმულოს ახალი შინაარსის მქონე დებულებები, რომელთა ობიექტური ქემატიკება ზუსტად დამტკიცებული არ არის.

კოპინინს არ დააკმაყოფილებდა გონებით ჩამოქნილი ეს თვალსაზრისი და კვლავ ლუი დე ბროილს შემოიშველებდა, მის ხატოვან განსაზღვრებას:


— რაციონალურ მეცნიერებას საკუთარი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მონაპოვრების განხორციელება მხოლოდ აზრის უეცარი და სახიფათო ნახტომების გზით შეუძლია, როცა ძალას მოიცემს ხოლმე ძველი მსჯელობების მძიმე ბორკილებისაგან განთავისუფლებული წარმოსახვის, ინტუიციისა და მახვილგონიერების უნარი. უკეთ რომ ვთქვათ, სწავლული ახორციელებს რაციონალურ ანალიზს და დედუქციის ჯაჭვში გადაარჩევს ამ ჯაჭვის რგოლებს. ეს ჯაჭვი მას ბორკავს გარკვეულ მომენტამდე, მაგრამ იგი უეცრად თავისუფლდება დამაბრკოლებელი შეზღუდვისაგან და კვლავ მოპოვებული წარმოსახვის თავისუფლება მას ახალი ჰორიზონტების ხილვის საშუალებას აძლევს.



პაველ კოპნინი



პაველ ინგოროყვა



თამაზ ჩხენკელი

რა, განა ბროილსაც პაველ ინგოროყვას თხზულებანი არ უპყრია ხელთ და მათგან მოგვრილ უღრმეს შთაბეჭდილებას არ განაზოგადებს უნივერსალურ დებულებად?

ანდა მარსელ კოენსაც, შეიკითხვაზე: როგორ ხდება ჰიპოთეზის წამოყენება, — ასეთი პასუხი რომ გასცა:

— ჰიპოთეზები ებადება იმათ, ვინც ფიქრობს. აი, თურმე რა!..

თავდაპირველად ახალ აზრს მიხვედრის ფორმა რომ აქვს და გარკვეული თვალსაზრისით ინტუიციურია, მიხვედრამი კი ბევრია არალოგიკური მომენტი?

კოპნიის სწორედ ეს „არალოგიკურობა“ მიაჩნია მნიშვნელოვანად: ასე რომ არ იყოს, მიხვედრის სავესებით გარანტირებული მეთოდი იარსებებდა, რომელსაც ყველა ადვილად შეისწავლიდა. თუმც არც ის უკვირდა, რომ სწავლულები ცდილობენ გამოიმუშაონ მიხვედრის თავისებური ჩვევები, ჯორჯ პოიას სიტყვებისა არ იყოს: თქმა არ უნდა, საჭიროა ვისწავლოთ დამტკიცება, მაგრამ მიხვედრაც უნდა ვისწავლოთ.

და რა სჯობს, როდესაც შესასწავლი ამ მხრივ არც არაფერი გაქვს და ეს უნარი ღვთისაგან უხვად მოგმადლებია, ის ფანტაზია, რომელსაც:

— მიხვედრის პროცესში უდიდესი მნიშვნელობა აქვს... მეცნიერებაში, განსაკუთრებით თანადროულ მეცნიერებაში, წარმოსახვის გარეშე ვერ გამოთქვამ ვერცერთ ახალ იდეას.

ზოგჯერ მიხვედრა რომ იმდენად წარმოუდგენელია, სასწაულსაც კი ჰგავს?

და პაველ ინგოროყვას მიხვედრანი დროდადრო სწორედაც სასწაულს რომ უტოლდებოდა, მის წინაშეც დგებოდა ამოცანა — თეორიული წანამძღვრები მოეძებნა და წარმოსადგენი გაეხადა ისინი.

თითქოს ალბერტ აინშტაინის შეგონებას მიჰყვებო: — ყოველგვარი სააზროვნო მოღვაწეობის მიზანია, გადააქციოს სასწაული ისეთ რამედ, რაც მისაწვდომია.

თუმც რა შეგონებანი სჭირდებოდა, თუნდ მისთვის მეტად ძვირფასი მეცნიერებისა, როდესაც საკუთარი გულის კარნახს მიჰყვებოდა და გული ურჩევდა ხოლმე: ახლა დროა მიხვედრის სასწაული მისაწვდომად აქციო.

და პაველ კოპნინი ანალიტიკურად რომ ანაწევრებს მიხვედრის ბუნების „ხილულ“ მხარეს, ჩვენ პაველ ინგოროყვას წამოშობებზე დაყრდნობით მივადევნოთ მზერა ამ პროცესს — მიხვედრის გადაქცევას მეცნიერების მონაპოვრად.

ის ჯერ მეცნიერულ ჰიპოთეზად უნდა იქცეს, ხოლო ფანტაზია მეცნიერებისაგან ნებადართულ საზღვრებში ჩაიკეტოს. და არსებული ცოდნის მობილიზაციის პროცესი რომ დაიწყება, მის

საფუძველზე უნდა გამოითქვას ვარაუდი. ეს ვარაუდია, რომელიც ჰიპოთეზის მთავარ აზრს, მის იდეას ანიჭებს ალბათობას. და ვარაუდის ალბათობა რომ დასაბუთდეს, მკვლევარმა უნდა მიმართოს ცდის მონაცემებს, ანალოგიებს, ინტუიციასა და ეგერეთნოდებულ „სარწმუნო მსჯელობათა“ სხვა ფორმებს, რომელნიც უეჭველი წანამძღვრების მოხმობისას სააღბათო დასკვნებს გვთავაზობენ. საბოლოოდ კი ჰიპოთეზამ უნდა გაგვიღრმავოს და გაგვიფართოვოს ცოდნა საკვლევი ობიექტის შესახებ.

რაო, ჰიპოთეზები კვდებიან და მეცნიერება იზრდება გადაშენებულ ჰიპოთეზათა ძვლებზეო?

მაქს ვებერის ამ შეხედულებას თამაზ ჩხენკელი „გაუტეხელ მეცნიერებაში“ რომ გაიხსენებდა, დასძენდა, რომ: თუ მეცნიერის ნაღვანში პოზიტიურს გადაფარავდით მის მიერ დაშვებულ შეცდომათა ბურბუშულათი, გაუფასურდებოდა ისეთი ფანტასტიკური ნიჭით მორჭმული მეცნიერიც, როგორც ნიკო მარი გახლდათ, რადგანაც მას თავისი ნიჭიერების შესაბამისად, ასეთივე მასშტაბის შეცდომები მოსდიოდა. და არამარტო მას, რადგანაც ამ დარგების თვითონ ბუნება და მეთოდოლოგიური კვლევის თავისებურებაა ასეთი.

კოპნინი კი ვებერის შეხედულების საპირისპიროდ განაცხადებდა: არცერთი მეცნიერული ჰიპოთეზა არა კვდება უკვალად, ის ამათუიმ სახით ცოცხლობს სხვა თეორიულ კონსტრუქციებშიო:

— მთელი თავისი შინაარსითა და პირვანდელი სახით თუ არა, იგი თავისი რომელიღაც ელემენტით მაინც შედის თეორიული ცოდნის უეჭველ სისტემაში. და ეს ადასტურებს იმას, რომ თავისი შინაარსით ჰიპოთეზა ობიექტურია, რომ იგი მეცნიერული კვლევის გარკვეულ ეტაპზე ობიექტური ქეშმარიტების არსებობის ფორმას წარმოადგენს.

ჰიპოთეზას ისეთ მოთხოვნილებებსაც რომ უყენებენ, რომელთა შორისაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სიმარტივესა და მასთან დაკავშირებულ სინატიფეს?

მაგრამ კოპნინი გვიბეჯითებს, რომ: ჰიპოთეზის სიმარტივის საბოლოო კრიტერიუმად გადაქცევას არავითარი საფუძველი არ გააჩნია, და რომ სიმარტივე კი არ განსაზღვრავს ობიექტურ ქეშმარიტებას, სწორედაც პირიქით — ობიექტური ქეშმარიტების წვდომას მივყავართ სიმარტივის, სიცხადისა და მკაფიოობისაკენ, აზროვნების ეკონომიურობისაკენ.

და კვლავ აინშტაინის აჩრდილი უნდა შემოეშველებინა, მეცნიერული თეორიის „შინაგან სრულყოფილებას“ რომ ირწმუნებოდა, „ბუნებრიობასა“ და სინატიფესაც კი. და თუმც გვირჩევდა: აუცილებლად უნდა ვესწრაფოთ ამ ყოველივეს, — თვითონ არასოდეს მოუხდენია ამ კრიტერიუმთა აბსოლუტიზაცია.

და მთელი ეს მსჯელობა ასე თუ შეჯამდებოდა, ამ სისხარტით, მოხდენილობითა და სიღრმით:

— ჰიპოთეზა სადა და მარტივი უნდა იყოს, მასში არაფერი უნდა იყოს ზედმეტი, სუბიექტური, თვითნებურად დაშვებული, არაფერი ისეთი, რაც არ გამოიმდინარეობს ობიექტის შემეცნების აუცილებლობიდან... მეცნიერული გამოკვლევების შედეგებმა უფრო მეტი ესთეტიკური სიამოვნება უნდა მოგვანიჭოს, ვიდრე ადამიანური მოღვაწეობის სხვა ფორმებმა. ესთეტიკური დამოკიდებულება ხელს უწყობს არამარტო მხატვრულ, არამედ მეცნიერულ შემოქმედებასაც.

არა, პაველ კოპნინს ნამდვილად ახალი ჩამთავრებული აქვს „გიორგი მერჩული“ ან „რუსთველიანი“, „ძველ-ქართული წარმართული კალენდარი“ თუ „ქართული მუსიკალური დამწერლობა“...

თუ არა, თამაზ ჩხენკელი ხომ, ვინ იცის, მერამდენედ გადმოიღებდა პაველ ინგოროყვას ამათუიმ ნაშრომს უშუალოდ ამ ესეის თარგმნის პროცესში, რათა კიდევ უფრო მეტი შთაგონებით აღვსილიყო და კოპნინის მსჯელობათა ქართული ვერსიისათვის შეენარჩუნებინა შინაგანი ექსპრესიაც, სასწაულის მოღაწეობას კიდევ რომ განგაცდევინებდა.

ხოლო აინშტაინს რომ ვერ ასცდებოდა ჰიპოთეზის ჭეშმარიტი ბუნების წარმოჩენაზე მსჯელობა, რა გასაკვირია, როდესაც თვითონ იგიც გახლდათ ხორცშესხმა იმ განზოგადებისა, „ჰიპოთეზა, როგორც მეცნიერების განვითარების ფორმა“ რასაც ასე სახიერად გვიდასტურებს, და მთელი ესეი თითქოს გაშლაა სახელოვანი ფიზიკოსის „ჩანაწერების“ იმ ფრაგმენტისა, რომელშიც დაუფარავად აცხადებს:

— მე მწამს ინტუიცია და შთაგონება.

და ამ ფრაგმენტს თამაზ ჩხენკელი უთარგმნელად როგორ გაუშვებდა, ახლა კრებულში „თვალსაწიერი“ გვერდი-გვერდითაც რომ აღმოჩნდებოდა ეს ორი ნიმუში და ძალდაუტანებლადც გააგრძელებდა ერთიმეორეს, აინშტაინი რომ გვამცნობს: ზოგჯერ ვგრძნობ, რომ სწორ გზაზე ვდგავარ, მაგრამ არ შემიძლია ავხსნა, რატომ ვარ ამაში დარწმუნებული.

როდესაც 1919 წელს მზის დაბნელება დადასტურებდა მის მიხედვრას, ეს სულაც არ გააკვირვებდა. ის უფრო გააოცებდა, ასე რომ არ მომხდარიყო.

და ეს იმიტომ, რომ:

— წარმოსახვა ცოდნაზე მნიშვნელოვანია, რადგან ცოდნა შეზღუდულია, წარმოსახვა კი ამქვეყნად ყველაფერს მოიცავს, სტიმულს აძლევს პროგრესს და მისი ევოლუციის წყაროს წარმოადგენს. მოკლედ, წარმოსახვა რეალური ფაქტორია მეცნიერულ კვლევაში.

სხვას კი არაფერს ვამტკიცებო, — გულისხამდა გაიღიმებდა პაველ ინგოროყვა ამ სტრიქონების ჩაკითხვისას, სასწაულის მისანდომობასაც აინშტეინივით რომ აღიარებდა ყოველგვარი საზაროვნო მოღვაწეობის მიზნად.

ისე მაინც რარიგ ამშვენებდა პაველ ინგოროყვას ფოტოსურათი თამაზ ჩხენკელის სენაკის კედელს!..

ზაალ სამადაშვილი

„არასოდეს, არასოდეს, არასოდეს არ დანებდი!“

- **თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?**
- უმეცართა, ფარისეველთა და უტიფართა გარემოცვაში ყოფნა.
- **სად ისურვებდით ცხოვრებას?**
- გზაჯვარედინზე, სადაც ოთხივე კუთხით გზა ხსნილია და სადაც ბლუზის მომღერალ მაგარ ბიჭებს უყვართ თავშეყრა ტურის გარმონებში ჩასაბერად და გიტარების ასალაპარაკებლად.
- **რა არის უმაღლესი ბედნიერება?**
- შვილიშვილებისთვის ხელის ჩაკიდება, მათთან ერთად სახეტილოდ წასვლა და ხან ერთის და ხან მეორის შეკითხვებზე პასუხების გაცემა.
- **თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?**
- ჟან ვალჟანი, ატიკუს ფინჩი, ჰეკლბერი ფინი, რობერტ ლოკამპი, უილიამ ბასკერვილე, ჰოლდენ კოლფილი.
- **თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?**
- სულხან-საბა ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, კოტე აფხაზი, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი.
- **თქვენი საყვარელი მხატვარი?**
- დიმიტრი ერისთავი.
- **თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?**
- ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი. რატომღაც მჯერა მისი ხასიათის იმ ვერსიის, რომელიც მილოშ ფორმანმა შემოგვთავაზა.
- **რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?**
- სიმამაცეს და შრომისმოყვარეობას.
- **რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?**
- მამაკაცების მოხიბვლის უნარს, რომელიც ხშირად სულაც არ არის განპირობებული განსაკუთრებული სილამაზით.
- **რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?**
- თანაგრძნობა, რომელიც სიტყვებით იწყება და საქმით სრულდება.
- **თქვენი საყვარელი საქმიანობა?**
- დიდი და პატარა ქალაქების დიდი და პატარა ქუჩებში ხეტიალი და ყველაფრის თვალიერება.
- **თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?**
- ასეთი სურვილი ბავშვობიდან მოყოლებული მუდამ თან მდევდა. ხან ვისი ცხოვრებით მინდობდა ცხოვრება, ხან ვისი. ეს სურვილი ახლაც მეხმარება ვიპოვო საკუთარი თავი, გავიგო რისი გაკეთება შემიძლია.
- **თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?**
- გამძლეობა.
- **რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?**
- ჩემი აზრით, მეგობრობა მსოფლმხედველობრივ თანხვედრებზეა დაფუძნებული. ადრე თუ გვიან აუცილებლად გაცივდება ურთიერთობა ადამიანთან, ვისთან ერთადაც „Ten Years After“-ს და „Led Zeppelin“-ს უსმენდი ბავშვობაში, შემდეგ კი მისი შავრაზმული მოსაზრებების ყურისგდება მოგიწია.
- **თქვენი მთავარი ნაკლი?**
- არაერთი ადამიანის, ქალის და კაცის შემკობა ისეთი ღირსებებით, რომლებიც მათ არ გააჩნიათ — იმედგაცრუებათა უშრეტი წყარო.
- **თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?**
- „ბედნიერება“ არ უნდა გვეგონოს გრანდიოზული სიხარულისა და ასეთივე კმაყოფილების ფოიერვერკი, რომელიც დიდხანს გრძელდება. ის დროის უმცირეს მონაკვეთებში ახერხებს ჩატევას და მისი აღმოჩენა არც ისე იოლია. აღმოჩენას რაც შეეხება, ეს ნიჭი გახლავთ, რომლითაც ან ჯილდოვდება ადამიანი, ან — არა.
- **რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?**
- ყველაზე დიდი უბედურება, რასაც მოვესწარი — სამოქალაქო ომი იყო.
- **როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?**
- გაცილებით უკეთესი მთხრობელი, ვიდრე ვარ.

- თქვენი საყვარელი ფერი?
- მწვანე.
- ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?
- გვირილა.
- თქვენი საყვარელი ფრინველი?
- შავი შაშვი, მონადირეთათვის ძნელად მოსახელთებელი, მოხერხებული ფრინველი, ბუდეს ბუჩქებში, ან კუნძებში რომ იკეთებს, დიდი გადაფრენები რომ არ უყვარს და მისი ჭახტახი მიძინებულ ბუნებას რომ აღვიძებს ზამთარ-ზაფხულს.
- თქვენი საყვარელი მწერალი?
- უილიამ ფოლკნერი, ტომას ვულფი, მარკ ტვენი, ჯერომ სელინჯერი, ვიქტორ ჰიუგო, ხორხე ლუის ბორხესი, მარიო ვარგას ლიოსა, ჰარპერ ლი, ბოჰუმირ შტაბალი, მილან კუნდერა, უმბერტო ეკო, ნიკო ლორთქიფანიძე, რეზო ინანიშვილი, ოთარ ჩხეიძე, ლაშა იმედაშვილი, მამუკა ხერხეულიძე.
- თქვენი საყვარელი პოეტები?
- ფრანსუა ვიონი, დავით გურამიშვილი, ნიკო სამადაშვილი.
- საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?
- ბრეტ ეშლი, პატრის ჰოლმანი, ჯინ-ლუიზა ფინჩი, მეტსახელად „ჭყიტა“.
- საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?
- ყველა ის ადამიანი, ვინც არ უშინდება დევნას, დატუსაღებას და იცავს საკუთარ პრინციპებს.
- საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?
- ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის მეუღლე ნინო მეღვინეთუხუცესი; ქალბატონი, ვისაც არც პატიმრობა და არც გადასახლება დააკლო რუსულმა საოკუპაციო რეჟიმმა, ნოდებულმა „საბჭოთა ხელისუფლებად“; ვინც პირველ პატიმრობაში, ავადსახსენებელ მეტეხის ციხეში, მცირეწლოვან შვილებთან ერთად იმყოფებოდა.
- საყვარელი სახელები?
- ანა, სალომე, ნინი, გიორგი, ნანა.



- რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?
- კოლაბორაციონიზმი.
- ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?
- ი. ბესარიონის ძე სტალინი.
- საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტ-ნაკლები ალტაცებისა?
- საომარი მოქმედებით ალტაცება გენერლების საქმე მგონია.
- რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?
- ყველა ის ცვლილება, რომელიც პიროვნული თავისუფლების დაცვისა და უზრუნველყოფისთვის ხორციელდება.
- ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?
- შემძლია საათობით ვუყურო ბოსტნეულისა და ხორცის საჭრელ დაფებთან, გაზქურებსა და ლუმინატორთან მოფუსფუსე მზარეულს და მშურდეს მისი, ასეთი არაჩვეულებრივი ტალანტით რომ დააჯილდოვა ღმერთმა.
- როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?
- ონავრულად გიპასუხებთ: „მე ბარემ ბევრი რამე მინდა, მაგრამ ეგრე სად არის?“
- თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?
- ჩვეული, სწავლაზე ორიენტირებული. ცამდე მართალი იყო ის, ვინც პირველმა თქვა: „სწავლა სიბერემდე“.
- ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?
- მაქვს კი უფლება — ვიყო შეუწყნარებელი?
- თქვენი დევიზი?
- ფრაზა, რომელიც უინსტონ ჩერჩილმა ყველასთვის, მათ შორის ჩემთვისაც წარმოთქვა — „არასოდეს, არასოდეს, არასოდეს არ დანებდები!“
- თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?
- ყველაზე ხშირად ღმერთს პატიებას შევთხოვ, „მიპატიებია“-ს მოსმენას ვისურვებდი.

ჩვენი ფოსტა

ბატონო როსტომ, თელავიდან მოგესალმებით, ჩვენი უნივერსიტეტის ხშირი სტუმარი ბრძანდებით და ვიცი, რომ თქვენთვის რიგითი სტუდენტის აზრიც საგულისხმო იქნება. ამიტომაც გავბედე მადლიერება გამოვხატა 2014 წლის 28 ნოემბრის „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული რობერტ მესხის მშვენიერი ლექსებისათვის.

მისი ლექსები პერიოდული გამოცემებიდან, კრებულებიდან თუ იტერნეტის ვებგვერდიდან ძალიან ახლობელია ჩემთვის, ჩემი არაერთი მეგობრისა და თანატოლისთვის:

**მე მეჭირა შავი ადესა,
მათრობელა სურნელით სავსე...
შაშვივით მყავდა მარჯვენაში გამომწყვდეული.
ქარვის ფოთოლი გადაშლოდა
როგორც მარაო...**

აფხაზეთელი პოეტის ეს მოურჩენელი ტკივილები და, ამასთან ერთად, გულწრფელობა, გულგახსნილობა, ძალიან მახლობელია ჩემთვისაც:

**...ოცი შემოდგომა ალვის ხეთა,
სულს რომ აბრეშუმით მიკემსავენ...
უკვე სიზმარშიაც ასე გხედავ —
ცხრაგზის გადაკლიტულ ციხესავით.**

(„აფხაზეთი“)

ერთ გამორჩეულ რკალად შეკრულმა ლექსებმა სრულიად ახლებურად წარმოაჩინა ჩემთვის მანამდეც საყვარელი პოეტი. პუბლიკაციას საოცარი, დანურული და მრავლისმთქმელი წინათქმა ახლავს: „ემოციური ლიტმობტივები დაჰყვება მის ყველა ლექსს... მზერა მიემართება „უფრო შიგნით, ძალიან შიგნით“, მოუხილველი სიღრმეებისაკენ, სადაც ცნობიერება თავის თავს ცნობს ბუნებრივ სრულყოფილებაში“.

ჩემი სიხარულის უმთავრეს მიზეზსაც გაგიხვალთ, რაკი თქვენი რედაქცია ლექსებს ასეთი რანგის წინასიტყვაობით გთავაზობს, დავრწმუნდი, რომ თანამედროვე ქართული პოეზიის საინტერესო, მრავლისმთქმელ მხატვრულ ნიმუშებს რობერტ მესხის პოეზიაც უდავოდ შეემატება და ამიერიდან საგულისხმო შესწავლისა და კვლევის ობიექტიც გახდება.

იმედია, „ჩვენი მწერლობა“ მომავალშიც ჩვენს გზამკვლევად დარჩება და სულიერ საზრდოს არ მოგაკლებს...

გვანცა იაშვილი

ლაშა იმედაშვილი

ბასროლის ხმა

სჯობს საკუთარი თავისთვის წერო და მკითხველი არ გყავდეს, ვიდრე მკითხველი გყავდეს და საკუთარი თავი დაკარგო.

სწორედ ამას იფიქრებდა ამ თავყრილობის შემხედვარე ადამიანი, რომელიც მწერალთა კავშირის სახლში იმართებოდა და რომელზეც, როგორც მაშინ იტყოდნენ, მწერლებისა თუ მათი შემოქმედების საკითხები იხილებოდა.

სულ მთლად შემთხვევითი ადამიანი ჟანგო თავდგირიძეს არ ეთქმოდა. მართალია, ჯერ მწერალთა კავშირის წევრი არ ბრძანდებოდა, მაგრამ თავმჯდომარისგან მტკიცე პირობა ჰქონდა მიღებული და მოუთმენლად ელოდა იმ წამს, როდესაც მისი განვერიანების საკითხი დადგებოდა, რა თქმა უნდა, კრების ძირითადი ნაწილის დასრულების შემდეგ.

მანამდე კი ჟანგოს, რომელსაც ლიტერატურული ფსევდონიმი უკვე შერჩეული ჰქონდა და ოტტო ლარინგოლოგად იწოდებოდა, თვალი გაუბრუნდა იმ სილაამაზისკენ, რომელსაც დავით სარაჯევის სახლი ერქვა.

ამ შენობის ისტორია სათავეს ოციოდე წლის წინათ იღებდა, როდესაც დავით სარაჯიშვილმა მამაპაპისეული სახლი დაშალა სერგის ქუჩაზე, ახლანდელ მაჩაბელზე, და სრულიად ახალი სახლის მშენებლობა წამოიწყო. თავად დროებით შორიასხლის, ფრეილინის სამ ნომერში გადავიდა, დღევანდელ სულხან — საბაზე, რათა მშენებლებს ყურადღება არ მოჰკლებოდათ და საქმეც ქართული გაჯანჯლებით არ წარმართულიყო. ადათის თანახმად, სარაჯიშვილმა საძირკველის ჩაყრისას გაჭრილ მიწაში მუჭა ოქრო ჩაყარა იმ იმედით, რომ შენობას მყარი საძირკველი ექნებოდა.

ამ ამბავს ქალაქში დიდი მითქმა-მოთქმა გამოუწვევია, და რადგან თბილისი ჭორის, უფრო კი შურის ქალაქია, სარაჯიშვილის საქციელის შეფასებას დიდი დრო არ დასჭირვებია.

პირდაპირ ანუ სახალხოვად თქმას ვერავინ ბედავდა და, როგორც ჩვეულები იყვნენ, იმგვარად იქცოდნენ. იგულისხმება სხვისი შეძლების დათვლა-გაქილიკება ოჯახის წევრებსა თუ მეგობრებთან ერთად, რა თქმა უნდა, საკუთარ ბინაში.

ცნობისმოყვარე მეზობელი, თუ ძალიან მოინდომებდა, ამგვარ რამეს მოკრავდა ყურს.

გაგონილა ამოდენა ფულის მიწაში ჩამარხვა...

არა, წესი წესია, მაგრამა მეტისმეტად არ შეიძლება...

ბოთლი ღვინის ჩატანება ადრეც ყოფილა, ამოდენა ფული კი, რა ვიცი, დავებრდი კაცი და ჯერ არ გამიგია...

ახი არ იქნება, დუხჭირი ხალხი მიუვარდეს და სულ ერთიანად გადათხაროს იქაურობა...

სხვა ბევრი ასეთი და ამდაგვარი.

თბილისური მითქმა — მოთქმა, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც აღწევდა დავით სარაჯევის ყურამდე, მაგრამ ვერაფერს აკლებდა. ამაში შეელოდა ალლო, განათლება, გამოცდილება და საკუთარი ხალხის ზნე-ჩვეულებათა კარგი ცოდნა, რაც ჰკარნახობდა შემდეგ: ლაპარაკი ლაპარაკად დარჩებოდა, ენის ქავილი ქავილად და ყველაფერი მალევე მიეცემოდა დაიწყებას. სახლის მშენებლობა გაგრძელდა.

პროექტი ეკუთვნოდათ თბილისელ არქიტექტორებს ალექსანდრე ოზეროვს და კორნელი ტატიჩევს, ასევე გერმანელ ხუროთმოძღვარს კარლ ცაარს.

სახლი თავიდანვე გერმანულ ყაიდაზე ყოფილა ჩაფიქრებული. მას ამშვენებდა ფრანგული აივანი და გერმანული სახურავი, რომლებზეც ოთხი მანსარდა გადიოდა, შემკული იყო თალოვანი კარიბჭითა და ასეთივე ათიოდე სარკმელით, მრავალფეროვანი დეკორი ძალზე მიმზიდველს ხდიდა ამ შენობას. ცალკე საუბრის თემა გახლდათ მისი შიდა ეზო. ეზოში

გასასვლელ ვერანდას ვილერი და ბოხის ფილები ამშვენებდა, რომლის მსგავსი, მოგვიანებით, ლეგენდარულ გემ „ტიტანიკზე“ იქნა გამოყენებული.

ეს ამბავი წამსვე შეამჩნიეს თბილისელებმა და შეფასებაც მისცეს, რა თქმა უნდა, იმდროინდელ პრესაში: შენობის მთლიანი სახე, მისი მხატვრობა დაფუნდებულია ევროპული და თბილისური ფასადების კონტრასტზე. ასეთი ორბუნებოვნება კიდევ უფრო თავისებური სახით გამოვიწინდა სახლის სივრცეში.

მშენებლობა მალე დასრულდა.

შენობის გახსნის გეგმა წინასწარ გახლდათ შედგენილი. ყველაფერი უნდა დასრულებულიყო მაისის თვეში, რათა დამთხვეოდა დავითისა და მისი მეუღლის, ეკატერინე ფორაქიშვილის, საიუბილეო ქორწილის დღეს.

წვეულება მართლაც სანაქებო გამოვიდა, თუმცა ეს საქმე ერთი ნადიმით არ დასრულებულა. სახლი, როგორც იტყვიან, მალევე გადაიქცა ნამდვილ კულტურულ კერად, რომელშიც ხშირად იმართებოდა ლიტერატურული საღამოები და სხვა ამდაგვარი შეხვედრები. როგორც ქართველებს სჩევიათ, ყველაფერი მთავრდებოდა გვარიანი სმა-ჭამით, რა თქმა უნდა, მასპინძლის ხარჯზე, რომელსაც იმ დროისთვის მთელს იპერიამში ჰქონდა სახელი გავარდნილი და სასმელით სამეფო კარის მომმარაგებელი გახლდათ.

ასე გაგრძელდა ხუთი წელი.

მეექვსე წელს გარდაიცვალა დავით სარაჯევი და თან გაიყოლა სასიამოვნო საღამოები თავის ნადიმიანად. სახლი ანდერძად ერგო მის მეუღლეს, ეკატერინე ფორაქიშვილს, და აღსრულდა კიდევ, როგორც გარდაცვლილის უკანასკნელი სურვილი:

სახლი ჩემი სერგის ცამეტ ნომერში, მიწა, რაზეც განთავსებულია სახლი და უძრავ მოძრავი ქონება დამიტოვებია ჩემი მეუღლისთვის სამარადეო განკარგვის უფლებით, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ ყოველივე ეს უნდა დარჩეთ ჩემს მემკვიდრეებს თანაბარი წილითა და კანონის სრული დაცვით.

თბილისის გამუდმებით სხვის ქონებაზე ეჭირა თვალი და ამიტომაც იმედებიც სხვაგვარი ჰქონდა. აკი დაიბეჭდა კიდევ „ივერიამში“ ამგვარი ცნობა, რომელიც თბილისურად უფრო მეტად ჭორებსა თუ სურვილებს გამოხატავდა, ვიდრე ნამდვილ ამბავს.

განსვენებულს განუცხადებია სურვილი, რომ მისი სახლი სერგიევის ქუჩაზე, სადაც ის მუდამ ცხოვრობდა, გადაეცეს ქალაქის თვითმმართველობას თავისი მშვენიერი მოწყობილობით იმ პირობით, რომ ამ სახლში ქალაქმა მოაწყოს ან სამხატვრო გალერეა ან შინამრეწველობის და ხელოვნების მუზეუმი, ანდა ორივე დაწესებულება ერთად. ეს შეწირულობა უდრის ნახევარ მილიონამდე, ადგილი და სახლი ღირს სამასი ათას მანეთად, მოწყობილობა კი ასი ათას მანეთამდე მეტად.

მიუხედავად თბილისური მითქმა-მოთქმისა, ანდერძი მაინც აღსრულდა და სახლი ერგო სარაჯევის ქვრივს, რომელმაც, დღემდე დაუდგენელი მიზეზის გამო, გაასხვისა აღნიშნული ქონება აუქციონის წესით. აუქციონზე გამარჯვება წინადადება კომერსანტ აკაკი ხოშტარისა, რომელიც ფლობდა კიდევ აღნიშნულ სახლს სამი წლის განმავლობაში. გასაბჭოების შემდეგ მესამე დღეს პაოლო იაშვილის ინიციატივითა და რევკომის დადგენილებით სახლი ქართველ მწერლებს გადასცეს.

მწერალთა კავშირი დასაწყისში მართლაც ასრულებდა იმ ფუნქციას, რომელიც პროფესიული ნიშნით შექმნილ ორგანი-



ზაციას მოეთხოვება. ხელს უმართავდა ლიტერატორებს, აკვალანებდა, ერთ-ორ კაპიკს ნაახმარდა კიდევ და, რაც მთავარია, იცავდა, იცავდა მათ, იმ მრავალრიცხოვანი ხიფათისგან, რომელიც ბოლშევიკების შემოსვლას ახლდა თან.

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ხიფათში იგულისხმება მწერლების დაჭერა-დაპატიმრება, რა თქმა უნდა, ყოველგვარი ხელჩასაჭიდი მიზეზის გარეშე.

ერთი ხელით მწერალთა სახლი გახსნეს, მეორე ხელით მათსავე დაპატიმრებას დაუდეს სათავე, ამიტომაც იყო, რომ კავშირის მაშინდელი თავმჯდომარე კოტე მაცაშვილი და მისი მეგობრები გამუდმებით ვილაცის თავდებობით გახლდნენ დაკავებულები.

სხვა ბევრ შემთხვევასთან ერთად ასეთი ამბავიც მომხდარა. დაუპატიმრებიათ იოსებ გრიშაშვილი, როგორც მაშინ ჩვევად ჰქონდათ, რაღაც თითიდან გამონოვლილი მიზეზით. იმდროინდელ ჩეკას ხელმძღვანელობდა კოტე ცინცაძე, ასე რომ, უიმისოდ ეს საქმე არაფრისდიდებით არ გამოვიდოდა. რა გაენწყობოდა, გაემართნენ ჩეკაში კოტე მაცაშვილი და შალვა დადიანი. ისიც უნდა ითქვას, რომ ჩინიანი ჩეკისტები დაფასებულ მწერლებთან შეხვედრაზე უარს არასოდეს ამბობდნენ. არა იმიტომ, რომ მწერლები უყვარდათ, პირიქით, ეზიზღებოდათ კიდევ ეს ამბების მთხრობელი ხალხი და მათთან საუბარი ამ ზიზღის გამოხატულების კიდევ ერთ საშუალებად მიაჩნდათ. აბა, ამის გაშვება ხელიდან როგორ შეიძლებოდა.

ასეა თუ ისე, შეხვედრა შედგა და მრავალი სიტყვაც ითქვა გრიშაშვილის დასაცავად.

საუბარი გაგრძელდა.

საუბარს თან ახლდა უხარისხო ჩაის სმა.

კოტე ცინცაძე, რომელსაც სინამდვილეში ალიბი ერქვა და გულმოდგინედ გაურბოდა ამ სახელს, გადანწყვეტილების მილებას არ ჩქარობდა.

- ესეიგი, თავდებში თქვენ უდგებით, ასე გავიგე მე?!
- ასეა, მითუმეტეს, დანაშაული არაფერი ჩაუდენია. — უპასუხა კოტე მაცაშვილმა.

— საბჭოთა ხელისუფლება უდანაშაულოს არაფერს ერჩის, მაგრამ დანაშაულიც არის და დანაშაულიც, ახალგაზრდაა, ყველაფერი წინ აქვს, ვინ იცის რას მოიმოქმედებს, ახლა რომ ვაპატიოთ.

- ნიჭიერი პოეტია... — სიტყვა შეაშველა მაცაშვილმა.
- ძალიან ნიჭიერი... — დაამატა დადიანმა.
- მამ თქვენსას არ იშლით?

— ჩვენი თავდებობა თუ საკმარისია, ნამდვილად ასეა. — თითქმის ერთხმად თქვა ორივემ.

— თქვენ კი გენდობათ საბჭოთა ხელისუფლება? — საუბარი კიდევ უფრო გაამკაცრა ცინცაძემ და ჩამწვარი პაპიროსი ძალით დააწყლიტა საფერფლეს.

- ამ შეკითხვამ ოთახში ყველაფერი შეცვალა.
- ატმოსფერო.
- განათება.
- განწყობა.

კოტე მაცაშვილმა ფერი დაკარგა. შალვა დადიანმა თითქოს გაიღიმა, მაგრამ ეს ღმეჭას უფრო ჰგავდა, ვიდრე ღიმილს.

ასე გაგრძელდა რამდენიმე წუთს. შემდეგ ცინცაძე ტელეფონს დასწვდა და გრიშაშვილის გათავისუფლების ბრძანება გასცა.

დასაცავები მომრავლდნენ, დამცველები შეთხელდნენ და მალე საბოლოოდ გაქრნენ, ასე რომ, მწერალთა კავშირის სახლი თუ მისი მთავარი დარბაზი ინკვიზიციის სათათბიროდ იქცა.

ბევრი რომ არ ეწვალათ, ერთგვერდიანი დოკუმენტი, ერთგვარი სახელმძღვანელოც კი შექმნეს, რათა მწერლებთან ბრძოლა გაადვილებულიყო.

- ძირითადი იყო შემდეგი:
- მწერალთა კავშირიდან გარიცხვას უნდა დაედოს შემდეგი დებულება.

* გაირიცხოს აშკარა რეაქციონერი და შოვინისტი მწერალი, რომელმაც თავისი იდეოლოგია ამ ათი წლის განმავლობაში გამოხატა აშკარა მხატვრულ, მეცნიერულ და კრიტიკულ ნაწარმოებებში, ბეჭდვითი და ზეპირი გამოსვლებით.

* გაირიცხოს აგრეთვე ორგანიზაციის პასიური წევრები, რომლებიც ათი წლის განმავლობაში ლიტერატურაში არ მუშაობდნენ, არც მწერალთა კავშირის საზოგადოებრივ საქმიანობაში იღებდნენ მონაწილეობას, კავშირის წევრებად კი ითვლებიან.

* გაირიცხოს კავშირის შემადგენლობიდან მექანიკურად ჩარიცხული წევრები, რომლებიც მწერალთა რიგებში არ მოღვაწეობენ.

ამ მითითების ნაკითხვის შემდეგ ნათელი შეიქნა, რომ დაცული აღარავინ იყო.

სხდომა, რომელსაც ჟანგო თავდგირიძე ესწრებოდა, ამ მითითების რიგითობით მიემართებოდა და, როგორც წესია, მსხვერპლს მოითხოვდა.

სხდომას თავმჯდომარეობდა დავით დემეტრაძე, რომელიც ხშირად იშველებდა წინასწარ მომზადებულ ჩანაწერებს და, როგორც ჩვევად ჰქონდა, რიხით მიმართავდა შეკრებილ საზოგადოებას.

— მე მინდა გავაფრთხილო ქართული ინტელიგენცია, კერძოდ ქართული მწერლობა, რომ მან არ გაიმეოროს სამწუხარო გამოცდილება რუსული ინტელიგენციისა. მხოლოდ ხანგრძლივი საბოტაჟის შემდეგ, რომელსაც თან ახლდა მძიმე შედეგები ქვეყნისთვის, იგი დარწმუნდა, რომ საბჭოთა რუსეთის გარეთ არ არის ხსნა და მოვიდა საბჭოთა ხელისუფლებასთან სამუშაოდ. ქართველმა ინტელიგენციამ თავისთავს უნდა უთხრას: ძველი მენშევიკური საქართველო მოკვდა, გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ საქართველოს. ასეთი ინტელიგენციისთვის ყველა კარი ღიაა. თუ ინტელიგენცია ნავა საბოტაჟის, საიდუმლო შეთქმულების და აჯანყების გზით, ჩვენ მისთვის არ გვექნება სხვა ენა, გარდა ტყვეისა.

ამას მოჰყვა პაუზა. დემეტრაძემ დარბაზს გადახედა და მალევე აღმოაჩინა ის ხალხი, ვისთვისაც ყოველივე ეს იყო ნათქვამი.

პაოლო იაშვილი სიმონ ჩიქოვანის გვერდით იჯდა. ჩუმად საუბრობდნენ, თითქმის ჩურჩულით, ორივემ პაპიროსი ამოიღო, მაგრამ მხოლოდ პაოლომ მოუკიდა.

მიხეილ ჯავახიშვილს თავი ჩაექინდრა, იატაკს ჩასცქეროდა, თითქოს ასე აპირებდა გარიდებოდა ყოველივე ამას.

რადგან მწერალთა კავშირის სხდომებზე შემთხვევით არაფერი ხდებოდა, დამსწრე საზოგადოება წამსვე მიხვდა, თუ საითკენ მიჰყავდა საუბარი დემეტრაძეს.

საქმე ის გახლდათ, რომ ორივეს, იაშვილსაც და ჯავახიშვილსაც, რა თქმა უნდა, გამოუვალნი მდგომარეობის გამო, წინა სხდომაზე გაზიარებულიც კი ჰქონდათ კრიტიკა. მეტიც, თავიც კი იმართლეს და რაღაც ფიცის მაგვარიც დადეს. განწყობა ორივესი ერთი იყო და ეს განწყობა ქაღალდზე გადმოტანილი დაახლოებით ასე ჟღერდა:

— ყოველ წუთში მზად ვარ სტალინს და მის საქმეს შეეწიროთ თავი. ამხანაგი ბერია მოითხოვს ჩემი ძველი საქმეების დაგმობას და გარდაქმნას. მე მაქვს სურვილი, შესაძლებლობა ამ გარდაქმნისა, მაქვს სურვილი თავდადებული მუშაობისა. მე უთუოდ ვიყავი დაკავშირებული ხალხის მტრებთან, არ ვიცოდი მათი ფარული ზრახვები. ვგმობ ჩემს კავშირს ხალხის მტრებთან. სავესებით ვიღებ ბერიას მკაცრ გაფრთხილებას. პოლიტიკური დასკვნები მე უკვე გავაკეთე უკანასკნელ გამოსვლაში აქტივის კრებაზე. ვიტყვი მხოლოდ ერთს, მე თუ მომიცა საშუალება ამხანაგ ლავრენტი ბერიას მკაცრი გაფრთხილების საპასუხოდ, ისე გარდავქმნი ჩემს ცხოვრებას და შემოქმედებას, რომ საბჭოთა მწერლის დიდი და საპატიო სახელი ღირსეულად ვატარო.

არ გაჭრა. დემეტრაძემ ახალი ფურცელი აიღო და კითხვა განაგრძო.

— მართალია, იაშვილმა განაცხადა, ყოველ წუთს მზად ვარ სტალინს და მის საქმეს შევწირო თავიო, მაგრამ აქაც თვალთმაქცობს, როგორც მთელს თავის შემოქმედებაში. ყველასთვის ცხადი შეიქნა იაშვილის სიტყვების შემდეგ, რომ მან უფრო მეტი იცის, ვიდრე ამბობს. იგი ცდილობს მწერალთა საზოგადოებას თავი დიდი საქმის კაცად მოაჩვენოს, რომელსაც თითქოს დასახმარებლად მიმართავდნენ ლომინაძე, ჯიქია და სხვები. მე ვიყავი ის, რომელმაც წესრიგი დავამყარე მწერლებს გაქცევის შემდეგ, ჯიქიას ხეინა-მუდარის შემდეგ მე მივეშველე რიონჭესს, მუშახელი შევუგროვე, მე დამაკისრეს მოსკოვში პრობლემების პრაქტიკული მოგვარებაო. საკითხავია, რატომ მაინცადამაინც იაშვილს მიმართავდნენ ხალხის გამომჟღავნებელი მტრები? ასე რომ, მისი გულწრფელობა არის თვალის ახვევის მცდელობა, ორივენი, ჯავახიშვილიცა და იაშვილიც, უფესკრულის პირას დგანან.

სწორედ ამ დროს, ყველასთვის მოულოდნელად, დარბაზში ვილაქამ წამოიძახა.

— რა ქნას ეხლა ამ კაცმა, თავს ხომ არ მოიკლავს.

დემეტრადემ კითხვა შეწყვიტა და დარბაზი მოათვალიერა, შემდეგ დაიხარა და მის გვერდით, პრეზიდენტის მჯდარ შენობის კომენდანტს ხმადაბლა ჰკითხა.

— ალიოშა, უცხო ხალხი რატომ ესწრება სხდომას?!

— უცხო არ არის, ამხანაგო დავით, კავშირის მომავალი წვერია, ჟანგო თავდგირიძე, ფელეტონისტი, ოტტო ლარინგოლოგის ფსევდონიმით მოღვაწეობს, მუშათა განვითარების მხარდგმად ჩვენთან.

დემეტრადე წელში გასწორდა.

— ამხანაგო ჟანგო, ახალი წვერების მიღება დღის წესრიგის ბოლო საკითხია, თქვენ მოგეცემათ სიტყვის თქმის საშუალება, მანამდე კი დაბრძანდით და სხდომის მსვლელობაში ნუ ჩაერევით.

ჟანგო დაჯდა.

დაჯდომისას გაისმა უცნაური ხმა, დაგუდულ სროლასა და ჰაერის გაფუჭებას შუა.

დარბაზს სიცილი წასკდა.

— ხედავ კაცო, ჯერ არ განვერიანებულა და უკვე რა ამბავშია, მერე რალას იზამს, მერე...

— მუშათა კლასი გრუხუნებს, როგორც ყოველთვის...

— მიდი...

— დასცხე...

— არ მოგერიდოს...

დარცხენილი ჟანგო ხან საკუთარ შარვალს უყურებდა მოუხერხებლად, ხანაც სკამს დასცქეროდა.

— სინყნარე დარბაზში! — დაიყვირა დემეტრადემ და ხელი დაჰკრა ნითელმუდიან მაგიდას.

დარბაზი უხალისოდ, მაგრამ მაინც დანყნარდა.

პაოლო იაშვილი არსად ჩანდა.

მაღვეე გამოირკვა, რომ ამ საქმეში არც ჟანგოს და არც მის შარვალს ბრალი არ მიუძღოდათ.

კიბეზე ჩამოიბინა ანიჩკამ, კავშირის დამლაგებელმა, შემოალო დარბაზის კარი, ყვირილით, თავის კანტურით და ხელების ქნევით. მოკვდა, მოკვდა, სულ მოკვდა, შეჰკვილა ანიჩკამ და დარბაზიდან გაეარდა.

მართალია, ვერავინ გაიგო, ვინ მოკვდა, სად მოკვდა, როგორ მოკვდა, ნამდვილად მოკვდა თუ არა, მაგრამ ამ ცნობამ მაინც დიდი არეულობა გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში. მიუხედავად ასეთი დაბნეულობისა, რამდენიმე კაცმა მაინც მოახერხა კიბეზე არბენა, თუმცა მაღვეე დაბრუნდნენ უკან და მხოლოდ ერთ რამეს იძახდნენ:

— პაოლო... პაოლო...

ათიოდე წუთში ნათელი შეიქნა, რომ მწერალ პაოლო იაშვილს, დაუდგენელი მიზეზით, თავი მოეკლა სანადირო თოფით. მწერალთა კავშირში სუფევდა სრული დაბნეულობა. ერთადერთი, ვინც მეტ-ნაკლებად ინარჩუნებდა სიმშვიდეს, გახ-

ლდათ შენობის კომენდანტი ალიოშა მდივანი. ჯერ იყო და კიბეს სათათბირო მაგიდა მიადგა, აქაოდა კიბეზე არავინ ავიდეს და შემთხვევის ადგილი არ დააზიანოსო, შემდეგ ხელი შემართა და აფორიაქებული მწერლები რამდენიმე წამით გააჩუმა.

— მოგიწოდებთ ყველას, შებრძანდით დარბაზში!

— რატომ?

— დარბაზში რა გვინდა?

— რა დროს საუბრებია?!

— მითითებაა, შენობა არავინ არ უნდა დატოვოს, მოვლენ და ყველაფერი აგვისსინან. — უკან არ დაიხია ალიოშამ.

— რა მითითება?

— ვისი მითითება?

— ბოლოს და ბოლოს გაგვაგებინეთ, რა ხდება?!

— რა მითითება და ის მითითება. — თქვა ალიოშამ და ხელი მარცხნივ გაიშვირა, სავარაუდოდ იმ მიმართულებით საიდანაც მოდიოდა ეს მითითება.

ეს ის იშვიათი შემთხვევა იყო, როდესაც ალიოშა მდივანი არ ცრუობდა. მითითება მართლაც არსებობდა, უფრო კი ბრძანება. ლავრენტი ბერიას მაღვეე შეუტყვია ეს ამბავი ენის მიმტან-მომტანების წყალობით. ამ დროს იგი იმყოფებოდა შორიანხლოს, პლენანოვის გამზირზე, საზაფხულო თეატრში, სადაც ისვენებდა კიდეც დაძაბული სამუშაო დღის შემდეგ. სწორედ აქედან გაუცია ბრძანება, რომ მწერალთა კავშირის შენობა დაეკეტათ და ლიტ. მუშაკები გარეთ არ გამოემკვათ.

საქმე ადგილზევე უნდა გამოძიებულიყო.

სწორედ ამიტომ კავშირში წარგზავნილები იყვნენ, ისევ და ისევ ბერიას ბრძანებით, ბოლშევიკური საქმის ერთგული ხალხი, ქობულოვი და გოგლიძე. ერთს ერქვა ბახჩო, მეორეს სერგო. იმ დროისთვის სერგო გოგლიძე გახლდათ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, ბახჩო ქობულოვი კი უშიშროებას წარმოადგენდა და იყო ამ დანესებულების მეოთხე განყოფილების უფროსი. ადვილი წარმოსადგენია, რომ ამ თანამდებობის ხალხი ტყუილუბრალოდ საკუთარ კაბინეტს არ მიატოვებდა და მიზეზიც სერიოზული უნდა ყოფილიყო. მოკლედ, ცუდი სუნი ასდიოდა ამ ყველაფერს.

გასროლიდან ოცი წუთის შემდეგ, როგორც მოგვიანებით აღნიშნავდა ალიოშა მდივანი, მწერალთა კავშირში გამოცხადდნენ ზემოხსენებული პირები რამდენიმე თანამშენებელსა და ათიოდე შეიარაღებულ ადამიანთან ერთად.

იარაღიანმა ხალხმა, რომელსაც ქართულისა არაფერი გავებოდა, წამსვე გადაკეტა ყველა კარი და შენობიდან სავარაუდოდ გასასვლელი.

ამხანაგი სერგო და ამხანაგი ბახჩო დარბაზში შევიდნენ.

ჩამოწვა სრული სიჩუმე, რომელსაც თან ახლდა ოფლის სუნი, შიშის სურნელით გაჯერებული. დაუპატიჟებელმა, თუ ახლა უკვე დაპატიჟებულმა სტუმრებმა, მწერლებს გადახედეს.

— ყველა გააფრთხილეთ?! — იკითხა ბახჩომ.

— ორჯერ! — უპატაკა ალიოშა მდივანმა.

— ჩვენ თავმჯდომარის ოთახში ვიმუშავებთ. — თქვა გოგლიძემ.

— მესმის, ამხანაგო სერგო! — კვლავ უპატაკა ალიოშამ და სტუმრებს იმ ოთახისკენ გაუძღვა, რომელიც პირველ სართულზე მდებარეობდა.

ასე და ამგვარად დაიწყო პაოლო იაშვილის გარდაცვალების მიზეზის დადგენა.

პირველად დაიკითხა დამლაგებელი ანიჩკა.

მასთან გასაუბრებამ დიდი ვერაფერი შესძინა გამოძიებას. მისი სიტყვებით ასე გამოდიოდა, რომ დამლაგებელს არაფერი სცოდნია პაოლოს გადაწყვეტილების შესახებ. როგორც ყოველთვის, მაშინაც ფუსფუსებდა და ალაგებდა, გასროლის ხმაზე მიუტოვებია ყველაფერი და ან გარდაცვლილი მწერალი დაუნახავს. აუტეხავს ყვირილი, ვაიმე, ძმავო პაოლო, ეს რა ჰქენიო, შემდეგ ჩამოურბენია კიბეზე, გადაყრია სიმონ ჩიქოვანს, რომლისთვისაც უთქვამს კიდეც ყოველივე ეს.

კითხვაზე, რამე ხომ არ დაუბარებია მომაკვდავს თუნდაც დაუკავშირებელი სიტყვებით ანდა ლულულულითო, ანიჩკას გაუცია შემდეგი პასუხი: რომ მივედი, უკვე მკვდარი იყო, თავიც გაპოხილი ჰქონდა და ტვინიც დანთხეულიო.

ასე და ამგვარად, გაითვალისწინეს რა დამლაგებლის პროლეტარული წარმომავლობა და კიდევ ის, რომ აღნიშნულის გარშემო, როგორც ჩანდა, მეტი არაფერი იცოდა, ანიჩკა აღარ შეუწუხებიათ, რამაც მას საშუალება მისცა განეგრძო ჩვეული საქმიანობა დალაგება-დასუფთავების მიმართულებით.

შემდეგ გამოიძახეს შენობის კომენდანტი ალიოშა მდივანი.

ალიოშამ განაცხადა, რომ აღნიშნულის შესახებ არაფერი იცოდა, სხვებთან ერთად იყო დარბაზში და მხოლოდ სროლის ხმაზე გამოვიდა გარეთ, რამდენიმე წუთში ავიდა ზევით, სადაც იხილა კიდევ გარდაცვლილი მწერალი. შემთხვევის ადგილი გადაღობა სხვადასხვა ნივთებით, კიბეც გადაკეტა და მხოლოდ ამის შემდეგ დარეკა იქ, სადაც საჭირო იყო.

კითხვაზე, თუ საიდან გაჩნდა ანდა როგორ შემოიტანა გარდაცვლილმა თოფი შენობაში ისე, რომ კომენდანტს ამის შესახებ არაფერი გაუგია, ალიოშას პასუხი არ ჰქონდა, მაგრამ გააჩნდა მოსაზრება. კერძოდ, მისი აზრით გარდაცვლილ პოეტს თოფი უნდა შემოეტანა ლამით, ბალის მხრიდან, მეზობლების ღობეზე გადმოძრომის გზით. მეორე დილით მეზობლებს უთქვამთ კიდევ ალიოშასთვის, გამთენიისას ბაღში ლანდი დაიარებოდა, ეგ ნამდვილად სარაჯიშვილის ლანდი იქნებოდა, საკუთარი ოქროებისთვის იქნებოდა მოსული, ალბათ იქაც დასჭირდა, ფული ყველგან გამოადგება ადამიანსო. ალიოშა გახლდათ ღრმად პარტიული ადამიანი და ამიტომაც ასეთი რამეებისა არ სჯეროდა, ასე რომ, მისი აზრით, ის ლანდი ნამდვილად გარდაცვლილი მწერალი უნდა ყოფილიყო, რომელიც სანადირო თოფის დასამალად იყო შემოპარული შენობაში.

ამგვარი ახსნა-განმარტება, თუ მათი სახის გამომეტყველებით იმსჯელებდა ადამიანი, არც ბახჩოს და, მითუმეტეს, არც სერგოს, როგორც იტყვიან, სასაცილოდ არ ეყოთ. ამიტომაც დაადგინეს, რომ ალიოშას საკითხი უნდა განეხილა კავშირის პარტიულ ორგანიზაციას დახურულ სხდომაზე.

თავმჯდომარის ოთახიდან გამოსულ კომენდანტს ადამიანის ფერი არ ედო, ცივ თუ ცხელ ოფლს ინმენდდა და იმეორებდა: მეტის ღირსი ვარ, მეტისო. რას გულისხმობდა ამ სიტყვებში შენობის კომენდანტი, დღემდე საიდუმლოდ რჩება.

ამის შემდეგ დაიკითხა რამდენიმე სამეურნეო მუშაკი და რამდენიმე მწერალი, რომლებთანაც გასაუბრებამ ძიებას ვერაფერი შესძინა, თუ არ ჩავთვლით წვრილმან ამბებს: ვინ სად იჯდა, რას საქმიანობდა სხდომის მსვლელობის დროს, რაზე საუბრობდა, თუკი საუბრობდა საერთოდ, თუმცა სანადირო თოფის და ასევე პაოლო იაშვილის განზრახვის შესახებ არავინ არაფერი იცოდა.

არც ბახჩოს და არც სერგოს ამ ხალხის ფიცი-მტკიცის, რა თქმა უნდა, არ სჯეროდათ, მაგრამ ჯერჯერობით მაინც თავს ზემოთ ძალა არ იყო და ისინიც საქმეს წინ ვერ სწევდნენ.

დადგა ჟანგოს ჯერი.

როგორც პარტიულებს სჩვევიათ, საუბარი შენობით წარიმართა.

- სახელი, გვარი...
- ჟანგო თავდგირიძე.
- წარმომავლობა.
- მუშურ — გლეხური.
- განათლება.
- სახალხო.
- დააზუსტე.

წერა-კითხვა ხალხში ვისწავლე, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც შლაპნიკების დუქანში ოსტატის შეგირდად ვმუშაობდი.

- პარტიულობა.
- პარტიის წევრი ოცდახუთი წლიდან.
- როგორ მოხვდი სხდომაზე.
- დღეს უნდა განხილულიყო კავშირის წევრად ჩემი მიღების საკითხი, დღის წესრიგშიც იყო შეტანილი.
- რეკომენდაცია ვინ მოგცა.



მხატვარი ბერდია არაბული

— კავშირში მოხვდი მუშათა განვევით.

მუშათა განვევა ბოლშევიკების მოგონილი ფანდი იყო. რა თქმა უნდა, ეს არ გახლდათ მწერლობაზე ზრუნვით გამოწვეული მოვლენა. პირიქით, მუშათა განვევა მოგონილი იყო იმისთვის, რომ ამ ხალხს დაუნდობელი ბრძოლა ეწარმოებინა უპარტიო მწერლებთან. მოკლედ რომ ითქვას, ეს ის საზოგადოება გახლდათ, რომლებიც ცხოვრებაში ახორციელებდნენ ბოლშევიკური ჩაქურჩისა და ბოლშევიკური კალმის კავშირს.

ჟანგოც ამ ადამიანთა რიცხვში ერია.

- როგორ მოხდა ეგ ამბავი.
- გამომიძახა ჩვენი სტამბის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა შალვა გვეტაძემ და დავალეხა მომცა, ასეა საჭიროო...
- შენ რატომ შეგარჩია?
- მენდობოდა, ადრეც მქონდა შესრულებული პარტიული დავალებები, უკმაყოფილო არავინ დარჩენილა, თანაც იცოდა, რომ ლექსებს ვწერდი.

— რა ლექსებს?
— ორი ლექსი დავებეჭდე „საყვირში“, „ვატმანი“ და „ტრაქტორის ხასიათი“, ერთიც ფელეტონი — ინდუზიტის კარიერში მომუშავე მუშების ბრიგადირზე, ეს ყველაფერი გამოვაქვეყნე ფსევდონიმით ოტტო ლარინგოლოგი, როგორც მირჩია ამხანაგმა შალვამ.

- შალვამ გიკარნახა, რომ ეგ სახელი აგელო?
- არა, სახელი მე შევარჩიე, არღნის ქუჩაზე...
- ელექტრონის ქუჩას გულისხმობ?
- ასეა, ელექტრონის ქუჩაზე, სანამ ჩემს სტამბაში მივალ, ერთი სახლი უნდა გავიარო, ამ სახლის კარზე აწერია დიდი, შავი ასოებით, ოტოლარინგოლოგი სევერიან ქარცივაძე, მომწონა და ფსევდონიმად ავიღე, მწერლობაში გამომადგება-მეთქი.
- პაოლო იაშვილს თუ იცნობდი?
- არა.
- აბა თავი რატომ გამოიდე მის დასაცავად?!
- არ დამიცავს.

— თქვი თუ არა შემდეგი. — ბახჩომ სათანადო ადგილი იპოვნა ადრე დაკითხული მწერლის ოქმში და ამოიკითხა. — რა ქნას ამ კაცმა მეტი, თავს ხომ არ მოიკლავსო... იცოდი თავის მოკვლას რომ აპირებდა?

— საიდან უნდა მცოდნოდა, ხალხი ამბობს ასე, ჩვენთან სოფელში ბაბუაჩემი ხშირად ამბობდა ხოლმე, რა ვქნა მეტი, თავს ხომ არ მოვიკლავ ამხელა კაციო, ქალაქშიც ბევრჯერ გამიგონია...

— მოდი აქ!

ჟანგო წამოდგა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ქობულთა-ვის მაგიდასთან შეჩერდა.

— აქედან ვინ გეცნობა? — ბახჩომ სურათების დასტა ჟანგოს წინ დაუღაგა.

ჟანგო მსურათებს დახედა.

— ესენი სხდომას ესწრებოდნენ, ამას კრება მიჰყავდა, ეს ორი კიდეც ჩემს უკან იჯდა.

— რას აკეთებდნენ?

— ეს ჯერ მარტო იყო. — ჟანგომ სიმონ ჩიქოვანის ფოტოს ხელი დაადო. — მეერ ეს შემოვიდა, გვერდით დაუჯდა და საუბარი დაიწყო, ჩუმად საუბრობდნენ, თითქმის ჩურჩულვდნენ.

— ყური ხომ არაფრისთვის მოგიკრავს?

— გვიან შემოსული. — ჟანგომ ახლა უკვე პაოლოს სურათს დაადო ხელი. — ახსენებდა ვიღაც ელიავას და, რამე ხომ არ იცო, ეკითხებოდა.

ბახჩო ქობულთა და სერგო გოგლიძე ერთმანეთს მიაშტერდნენ. ორივემ კარგად იცოდა, თუ რაშიც იყო საქმე. სიმონ ჩიქოვანს მეუღლედ ჰყავდა მარია ელიავა, ნიკო ელიავას ქალიშვილი. ეს ნიკო, რომელიც ასევე გახლდათ შალვა ელიავას ძმა, ოციან წლებში ემიგრაციაში წასულა, მერე რატომღაც დაბრუნებულა, უკან ჩამოსული მალევე დაუპატიმრებიათ და მას შემდეგ ამ კაცის ასავალ-დასავალი ყველასთვის საიდუმლოდ რჩებოდა.

— კიდეც რა გაიგე? — იკითხა ბახჩომ.

— მეტი არაფერი, თავჯდომარეს ვუსმენდი, მერე ვთქვი ის, რაც ვთქვი, და ფეხზე წამოვდექი, თავჯდომარემ შენიშვნა მომცა, დაჯდომისას ხმა გაისმა, ყველას ეგონა, შარვალი გამერღვა და იმის ხმა იყო, მეც ასე მეგონა, მაგრამ გასროლის ხმა კი ყოფილა.

— რას დაამატებ?

— მეტი არაფერი მახსენდება.

— კარგი... აი, აქ მოგვინერე ხელი და იცოდე, რაც ამ ოთახში მოხდა არავის უთხრა, არსად ნახვიდე, კიდეც დაგეჭირდები.

გარეთ გამოსული ჟანგო, რადგან წასასვლელი არსად იყო, კვლავ დარბაზში აღმოჩნდა. ფეხი შედგა თუ არა ოთახში, ყველა მას მიაჩერდა ისე, როგორც შესცქერიან საკანში შემოსულ ახალ პატიმარს.

ახლა ისიც უნდა ითქვას, თუ ვინ დახვდა ჟანგოს.

* კონსტანტინე ლორთქიფანიძე: პირველივე ბნერი ბორის ძნელადეს მიუძღვნა. შეაქვს, შექებას გაჭრა და შემართებაშიც იმატა, ეს ყოველივე ლექსსაც დაეტყო: მე ბოლშევიკის გარდა სხვა ვინმე არ მიმაჩნია ადამიანადო. ამის გამო იყო, რომ ზურგსუკან გვარის შემარცხველს ეძახდნენ, რადგანაც ყველამ არ იცოდა, რომ სინამდვილეში თავგითხარიაშვილი გახლდათ. თავი განსაკუთრებით მაშინ შეირცხვინა, როდესაც პოეტურ გმირად ის სატიერთო ავტომობილი აქცია, რომლითაც ჩეკას ვითომდა საბჭოთა ნყოფის მტრები დასახვერტად გადაჰყავდა. გმირად აქცია და ქება დიდებაც უძღვნა.

* ნიკო ლორთქიფანიძე: სხდომების უცვლელი მონაწილე. ჰქონდა საკუთარი უზურგო სკამი, რომელიც სალონში გასასვლელ კართან იდგა. თუ მომხსენებლის გამოსვლა მოეწონებოდა, გაიღიმებდა, თუ არადა თავისთვის რაღაცას ჩაიდუღუნებდა. ვერავინ ბედავდა მისი ადგილის დაკავებას, თითქოს პატივსაც სცემდნენ, მაგრამ მაინც არ აპატიეს ეს სიტყვები: იყიდება საქართველო! ანკი როგორ აპატიებდნენ, ამიტომაც საქმე შეუდგინეს, მოუგონეს, თანამედროვეობას გაურბის და წარსულს მიაპყრო მზერაო.

* გულო ბუხნიკაშვილი: იმდროინდელ კოლექტიურ წერილებს ხშირად აწერდა ხელს და შარუბსა თუ ფელეტონებს არ იშურებდა მეგობარი მწერლებისთვის, რითაც დროსა თუ ბოლშევიკურ თავყრილობებს ხარკს ერთგულად უხდიდა.

* ბესო ჟღენტი: თავად ფუტურისტი და ექსპერიმენტების მოტრფიალე სხვის ძიებას ცხვირს უწევდა. მეგობარი ცისფერყანწლებს შემოქმედებას დაუფარავად უწოდებდა შმორს. ამ სხდომიდან მშვიდობიანად გამოსული მალე დაწერს სამარცხვინო წერილს მიხეილ ჯავახიშვილზე: „მოლაღაჯური სიტყვა და საქმე“. ამ წერილით ამხანაგი ჟღენტი ბოლო ლურსმანს ჩააჭედებს ისედაც მინაში ჩასადებად გამზადებულ მწერლის კუბოს.

* დავით დემეტრაძე: მწერლობასთან მიკედლებული კაცი, პარტიისა და პარტიული საქმიანობის ერთგული, სხვებისგანაც მოითხოვდა პარტიული ხაზის მორჩილებას, მწერლებს ავალდებულებდა ენის მიტან-მოტანას, ამას არც მალავდა, აკეთებდა ლიად და საჯაროდ, მწერალთა კავშირში გამართულ კრებებზე.

* ალექსანდრე ქუთათელი: რომანის „პირისპირ“ ავტორი, რომელიც თვლიდა, რომ ნაციონალური ლიტერატურის ნაციონალური ენა რუსებს საჭიროდ მიაჩნიათ, თანაც დროებით, იმისთვის, რომ არარუს ხალხს ლენინის იდეები უქადაგონ. ასე მიაჩნდა და არც მალავდა ამას.

* ტიციან ტაბიძე: მწერალთა კავშირის შექმნის იდეის ავტორი, თბილისის პოეტური მერი. აიძულეს სხვებთან ერთად დაეგმო გრიგოლ რობაქიძის საქციელი. ეს ამბავი დაუფასეს და შეიყვანეს კავშირის დიდი წმენდის კომისიაში. ორგანიზაციიდან გარიცხულთა სიას და კრების ოქმებს მისი ხელმოწერაც ადევს. ამის მიუხედავად, მაინც არ ენდობოდნენ, ალბათ ფიქრობდნენ, ამანაც თავი არ მოიკოლოს, და დააპატიმრეს, რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ მალევე დაეხვერიტათ.

* პავლე საყვარელიძე: ლიტვონდისა და ფედერაციის გამომცემლობის ხელმძღვანელი, ამ საქმეზე გადაყოლილი კაცი, ერთი ამბავიც საკმარისია ამის დასტურად: ამერიკაში მივლინების დროს საბეჭდი დაზგა შეიძინა და გამომცემლობას ჩამოუტანა. არ დაუფასეს, სწორედ გამომცემლობის კაბინეტიდან ნაიყვანეს დასახვერტად.

* მიხეილ ჯავახიშვილი: კაცი, რომელიც თვალში არავის მოსდიოდა. ერთხელ უკვე დაპატიმრებულმა მაინც არ მოიშალა თავისი და საკუთარ უბის წიგნაკში ინიშნავდა გაგონილს, განცდილს, ნანახს, მოსახდენს.

— მე ვშიშობ საქართველოს შიშით...

— ზოგი პოეტი ტაბიძე, წითელ ლექსებს სწერს, მერე ჩუმათ სტამბაში ათეთრებს. სკანდალი ხდება, რაღაც იწყება შიგნიდან. სხვა რამის თქმა უნდოდათ, წვალობენ, იტანჯებიან...

— დღევანდელი ქართული მწერლობა, ხელოვნება და მეცნიერება, მცირე გამოჩენისის გარდა, მოსკოვის ნაბუშარია... ვითომ აპატიებდნენ?

* ვალერიან გაფრინდაშვილი: სიმბოლიზმის ტიპური წარმომადგენელი, პოეზიის დიდი ცერემონიამისტიკური. გაუმართლა და საშიშ დროს მცირე ხიფათით გადარჩა.

* სერგო კლდიაშვილი: იმ ჯგუფის წევრი, რომელიც ქართული ლექსის ევროპის რადიუსით გამართვას ცდილობდა.

* აკაკი ბელიაშვილი: მოგვიანებით, წლების შემდეგ, მორიგი განირვების ჟამს დაიცავს ოთარ ჩხვიძეს, ახლა კი ჩუმად იჯდება და ხმას არ გაიღებს.

* ალიო მამაშვილი: მას უკვე ჰქონდა განათლება მიღებული მოსკოვში, სადაც კომუნისტურმა პარტიამ გააგზავნა და ყოველთვიური სტიპენდიაც დაუნიშნა. სახელი გაითქვა ბოლშევიკების ლიდერებისადმი მიძღვნილი ლექსებით. მათ რიგებში ერივნენ ბორის ძნელაძე და ფილიპე მახარაძე. ფილიპეზე წერდა: გაუმარჯოს შენს საქციელს, თავიულო ქართველ ხალხისო. მიუხედავად იმისა, რომ კავშირის მდივანი იყო, საკუთარმა მეგობრებმა მაინც არ დაინდეს,

ყოყონიო, კოლეგიალურად ვერ მუშაობსო, თავი დიდ პოეტად მიაჩნიაო, გაგვეცალოს, ჩამოგვმორდეს, შეგვეშვასო...

* კარლო კალაძე: მოგვიანებით, როდესაც უკვე ბევრ დავი-
დარაბას გადარჩენილი გახლდათ, თავისი კოლეგა, ოთარ ჩხეიძე
არ დაინდო. ვახტანგ ქელიძისთვის უთქვამს, ასე მითხრეს, დას-
ცხე და პრეზიდენტში გაიყვანათ. სხვა ამბავიც ყოფილა: პავლე
ინგოროვას აკადემიკოსად არჩევას თავიდან მხარი დაუჭირა,
თუმცა ორი თვის თავზე პრეზიდენტის ოქმიც გამოითხოვეს და
საკუთარი ხელმოწერებიც. შეეცდით... ავჩქარდით... დროული
ანალიზი ვერ მოვახდინეთ... ამ ხალხში ერთი კალაძეც.

* ალექსანდრე აბაშელი: წარსულის ბურჯი — ასე სწორედ
მასზე შეიძლება თქმულიყო. ეს აკადემიურად განსწავლუ-
ლი პოეტი ერთ-ერთი იყო იმ ოთხთაგან, რომელმაც შავი ჩო-
ხით რუსთაველის პროსპექტზე ყველას დასანახად გაიარა და
ფოტოგრაფ ფუნაიას სახელოსნოში შედგა ფეხი. ამის მერე იყო
მწერალთა კავშირში ხმა რომ დაირხა, აბაშელს იმიტომ აქვს
შავი უღვაში, რომ ბოლშევიკებთან პირშავად არისო.

* სანდრო ეული: მწერლობაში შემოვიდა რევოლუციის
საყვირით და პირველ წიგნსაც ასე დაარქვა. სოციალისტური
რევოლუციის სიყვარულში ბევრს გადაასწრო, კარგა ხანს
იბხოვდა, შვილებს ოქტომბერი დავარქვათო.

* ირაკლი აბაშიძე: საბჭოთა ხელისუფლების დიდი იმედი.
არასოდეს აკლდა დაფასება, წინსვლა, თანამდებობა. ამის გა-
მო სხვები შურიანდებოდნენ, ამასაც აბრალებდნენ და იმა-
საც, ოღონდ ჩურჩულით, ოღონდ მითქმა-მოთქმით.

* იროდიონ ქავჭავაძე: მოთხრობებით დაიწყო, მაგრამ
მალევე ანება თავი. ასე რომ, მწერლობას გაეცალა, თუმცა
მწერლობაშივე დარჩა, ფრანგული შეისწავლა და თარგმნას
მიჰყო ხელი.

* სიმონ ჩიქოვანი: მწერლობაში ფეხშემოდგომული იქცეო-
და ისე, როგორც შეეფერება მემარცხენე პოზიციაზე მდგარს.
პაოლო იაშვილს უწოდებდა მამაჩის ბიუროს დამაარსებელს
პოეზიაში, თუმცა მაინც მეგობრობდა მასთან. ამ მეგობრო-
ბამ არ შეუშალა ხელი დაეწერა: დავარტყათ თავში ლირიკას
ჩექმა და დავადინოთ ცისფერი სისხლიო.

აი, ამ ხალხში, ამ ჭრელ საზოგადოებაში გაერია ჟანგო
თავდგირიძე, დავით სარაჯიშვილის სახლის პირველ სარ-
თულზე, ბახჩო ქობულაშვილისა და სერგო გოგლიძის განაჩენის
მოლოდინში. რა გაეწყო, სიტყვის სამსახური ყოველთვის
სახიფათო საქმეს წარმოადგენდა.

გამოიძახეს სიმონ ჩიქოვანი.

ფორმალური კითხვების შემდეგ, რომელიც შეეხებოდა
გვარ — სახელს, წარმომავლობას, პარტიულობას, პროფესი-
ას, სამსახურსა და სხვა უმნიშვნელო რამეებს, ძიება მთავარ
საქმეზე გადავიდა.

— რა შეგიძლიათ მოგვასხენოთ აღნიშნულის შესახებ?

— მე არაფერი ვიცი, სხვებთან ერთად ვიყავი დარბაზში.

— თანმიმდევრულად.

— გასროლის ხმა გავიგე თუ არა... თუმცა თავიდან ვერც კი
მივხვდი, რომ ხმა გასროლისა იყო, სხვა რამ მეგონა, ჟანგო თავ-
დგირიძე დაასკდა სკამს და ჩემთან ერთად სხვებიც შეიყვანა
შეცდომაში. რას ვამბობდი... ჰო... ამის შემდეგ ყველანი ერთად
გამოვედით ჰოლში და იქ გავიგე, რომ პაოლოს თავი მოუკლავს.

— მოწმეების გადმოცემით, პოეტი იაშვილი ცოცხალი
ბოლოს თქვენ გინახავთ!

— ნახვით ნამდვილად ვნახე, ჩემს გვერდით იჯდა, სხლო-
მაზე დაგვიანებული შემოვიდა, შემოვიდა ვესტიბულიდან,
კარში ალექსანდრე ქუთათელი და კონსტანტინე ლორთქიფა-
ნიძე ისხდნენ, მე შუა დარბაზში, მეორე რიგში ვიჯექი, პაოლო
ჩემს უკან დაჯდა.

— რაზე საუბრობდით, რომ საუბრობდით?

— ალბათ ვსაუბრობდით... ჰო, ვსაუბრობდით, მაგრამ ეხ-
ლა აღარ მახსოვს.

— თქვენ ცდილობთ ძიება შეცდომაში შეიყვანოთ, და-
ზუსტებულად ვიცი, რომ იაშვილმა თქვენ დაგისვით შე-
კითხვები მინიშნულისა და ელიავას შესახებ.

მწერალთა კი არა, მსტოვართა კავშირია, გაიფიქრა სიმონ
ჩიქოვანმა და თავის გადასარჩენათ გაიბრძოლა,

— იმდენი რამ მოხდა ამ ცოტა ხანში... ლამის თავზარი
დამეცა, გაჭირვებით ვიხსენებ, მინიშნულიც ახსენა და ელია-
ვაც, მაგრამ მე მათ შესახებ არაფერი ვიცი, ანკი საიდან
უნდა მცოდნოდა.

— მინიშნულზე რა გითხრათ?

— დახვრიტესო და რამე ხომ არ გავიგიაო, ელიავაზე,
რადგან ჩემი მეუღლის მამა იყო, ეგონა, რომ გაცილებით მე-
ტი მეცოდინებოდა, მაგრამ ეს ასე არ არის, არც მე და არც
ჩემმა მეუღლემ ამ ამბების შესახებ არაფერი ვიცი.

— მეტი არაფერი უთქვამს?

სიმონ ჩიქოვანი გრძნობდა, რომ სიმართლე უნდა ეთქვა,
მითუმეტეს, ამ სიმართლით ბევრი არაფერი შავდებოდა, თა-
ნაც საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ ბოლშევიკებს ისედაც
ყველაფერი უნდა სცოდნოდათ. რა დასამალია და ალბათ ყვე-
ლა ასე მოიქცეოდა. გამონაკლისი არც მწერალთა კავშირის
წევრი, სიმონ ჩიქოვანი გახლდათ.

— პაპიროსი მთხოვა, მაგრამ სანამ ჩემსას მივანვდიდი, თა-
ვისი ამოიღო და გააბოლა, მერე მითხრა, ჩემო სიმონ, შეიძლება
გულში წყენა გქონდეს, მაგრამ იცოდე, მე კეთილშობილი, პატი-
ოსანი, ვაჟკაცი კაცი ვარ და ამას მალე დავამტკიცებო.

— წყენაში რას გულისხმობდა?

— არ ვიცი. — ჩიქოვანმა ამჯერად იცრუა.

— თქვენ რა უთხარით?

— რა უნდა მეთქვა, დავიბენი, მხოლოდ მადლობის თქმა
მოვახერხე.

— მადლობის?

— ჩემი მეუღლე რომ მოიკითხა, იმიტომ...

— მერე რა მოხდა?

— არაფერი, ხმა აღარ ამოუღია, ისე გავიდა დარბაზიდან.

— დამტკიცებაში რა იგულისხმა?

— თავიდან ვერაფერი გავიგე, მხოლოდ მისი სიკვდილის
შემდეგ მივხვდი, რაზეც მესაუბრებოდა.

— თვითმკვლელობაზე?

— დიახ.

— გამოდის რომ თქვენ გცოდნიათ, თავის მოკვლას რომ
აპირებდა?

— როგორც უკვე ვთქვი, მხოლოდ გასროლის შემდეგ გა-
ირკვა, რას გულისხმობდა და რას აპირებდა.

— სანადირო თოფის შესახებ რა იცით?

— თვალთ არ მინახავს.

— როგორ შემოიტანა შენობაში?

— ხომ გითხარით, წარმოდგენა არა მაქვს.

— ზეით, მეორე სართულზე არ ასულხართ, მიცვალებუ-
ლი არ გინახავთ?

— მე საერთოდ მიცვალებულის მეშინია, მკვდარი ახლო-
დან არასოდეს მინახავს, საკუთარი ბუბიაც კი, რომელიც ძა-
ლიან მიყვარდა, ისე მივაბარეთ მინას, რომ არც კი შემიხე-
დავს...

— თქვენი ემოციური მდგომარეობა, თქვენი გრძნობები
და საერთოდ ეს ბურჟუაზიული ხრიკები ძიებას არ აინტერე-
სებს, დროა ინტელიგენცია გადაეჩვიოს ცრემლების ღვრასა
და ვაი-ვიშს.

— მაშინ შემიძლია მოკლედ გიპასუხოთ, არ მინახავს,
რომც მდომოდა, მაინც არავინ მიმიშვებდა, ვალერიან გაფ-
რინდაშვილი არ მომცემდა ამის საშუალებას.

— რატომ?

— მე მიფრთხილდებოდა, მახსოვს, რუსულად მითხრა, არ
გავიშვებო, და მერე დაამატა, ისეთი უნდა გვახსოვდეს, რო-
გორც იყო, ასე აჯობებს ჩვენთვისო.

— თვითმხილველები ამბობენ, რომ აბაშიძეს თვალები
ჰქონდა ჩანითლებული და დასტიროდა თავის მეგობარს, რა
შეგიძლიათ თქვით ამის შესახებ?

— რა შემიძლია... ცრემლი მის თვალზე არ დამინახავს, ჩანითლებული კი ჰქონდა, მაგრამ თითქმის ყველა იმავე მდგომარეობაში იყო, გარშემო პაპიროსს ენეოდნენ, დარბაზი კვამლით იყო სავსე და ეს სინთლეც ამის ბრალი უნდა იყოს.

— შემთხვევის შემდეგ თოფისთვის ხომ არ მოგიკრავთ თვალი?

— არა, არ დამინახავს, ამისთვის არავის ეცალა.

ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, დროებით, რაზეც მიანიშნეს კიდევ სიმონ ჩიქოვანს, დაკითხვა შეწყდა, რაც დადასტურებულ იქნა ოქმზე პოეტის ხელის მოწერით.

სიმართლის ძიებაში ჩამობნელდა.

ტელეფონი მწერალთა კავშირის შენობაში გათიშული გახლდათ, რათა ლიტერატორთა ოჯახის აბეზარ წევრებს რეკვა არ აეტეხათ და შემდეგ მთელი თბილისისთვის არ მოედოთ ეს უსიამოვნო ამბავი. თუმცა ეს საშუალება ბოლომდე თავიდან აცილებული მაინც ვერ იქნა. რამდენიმე მწერლის მეუღლე თუ შვილი შენობასთან მაინც მივიდა, მეტიც, შიგნით შეღწევისაც ლამობდა. მიუხედავად დაჟინებული თხოვნა-მცდელობისა, დაცვამ შენობაში არავინ შეუშვა და აღელვებული ოჯახის წევრები ამგვარად დაანყარა: სხდომა ჯერ არ დასრულებულა, ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხები იხილება და დასრულებისთანავე ყველანი ოჯახებში დაბრუნდებიან.

სინამდვილეში კი სულ სხვა რამ ხდებოდა.

დაკითხვა გრძელდებოდა.

გამოძახებულ იქნენ შემდეგი მწერლები:

* კონსტანტინე ლორთქიფანიძე: მისცა ძიებას სრული სურათი, ვინ როდის მოვიდა, რა ეცვა, როგორ იქცეოდა მანამდე და შემდეგ, სად იჯდა და როგორ მიიღო ეს ამბავი.

* ნიკო ლორთქიფანიძე: დადასტურა, რომ ითხოვდა კრების გაგრძელებას, კერძოდ, მიმართა სიმონ ჩიქოვანს კითხვით, კრება გაგრძელდება თუ არაო.

* გულო ბუხნიკაშვილი: განაცხადა, რომ ყველაზე გვიან მან გაიგო ეს ამბავი, რადგან ბოლო რამდენიმე დღეა ანუხებს ყურის ანთება და ყურები ბამბებით აქვს გამოტენილი, ასე რომ, სროლის ხმა არ გაუგია, ზოგადად კი არ იწონებს ასეთ საქციელს.

* ბესო ჟღენტა: რამდენჯერმე გაიმეორა, რომ გარდაცვლილი, განსაკუთრებით ბოლო დროს, შემჩნეული იყო დესტრუქციულ ქმედებაში, რაც გამოხატულებას ჰპოვებდა მის შემოქმედებაში, რომელშიც ის ცდილობდა სახელი გაეტეხა საბჭოთა ხელისუფლებისთვის.

* დავით დემეტრაძე: დაგმო იაშვილის საქციელი, ასევე აღნიშნა, რომ იაშვილი სახელს უტეხდა საბჭოთა ხელისუფლებას და საბჭოთა მწერლობას, რითიც არცხვენდა მწერლის სახელს, ამის გამო კავშირის რიგებში მომწოდებული იყო აზრი იმის შესახებ, რომ იაშვილის ყაიდის ფსევდონიმერალი კავშირის წევრობას არ იმსახურებდა, ასევე დასძინა, რომ თავიდანვე ითხოვდა ხელმძღვანელი ორგანოების გამოძახებას, მაგრამ ყური არავინ ათხოვა, მეტიც, ჯავახიშვილი აპირებდა შენობიდან გასვლას და მან, დემეტრაძემ, აღკვეთა მისი ეს მცდელობა.

* ალექსანდრე ქუთათელი: გულწრფელად შეწუხებული ჩანდა მომხდართი, მაგრამ იაშვილის გადაწყვეტილების შესახებ არაფერი იცოდა და არც მოელოდა ამგვარ რამეს.

* ტიცინა ტაბიძე: საუბარი ყველაზე მეტად მას უჭირდა, იაშვილის მეგობრობას არ უარყოფდა, მაგრამ მისთვისაც კი მოულოდნელი აღმოჩნდა იაშვილის ეს ქცევა. ასევე განაცხადა, რომ თოფი არ უნახავს არც აქ და არც იაშვილის ოჯახში, სადაც ხშირად ყოფილა სტუმრად. ვინ გადასცა ეს თოფი გარდაცვლილს, ტაბიძისთვის უცნობი იყო, თუმცა აქვე ადასტურებდა, რომ იაშვილს, განსაკუთრებით ბოლო ერთი თვეა, ცუდი გუნება-განწყობა დასჩემდა. სხვა, როგორც თავად განაცხადა, მეტი არაფერი იცოდა.

* სერგო კლდიაშვილი: ამბობდა, რომ არაფერი იცოდა და თავიდან ვერც კი გაერკვა თუ რა ხდებოდა სხდომათა დარბაზში, საერთოდ გვარიანი გაკვირვებული გახლდათ პაოლოს

ამგვარი საქციელით, რადგან ვერაფრით აეხსნა პოეტის თვითმკვლელობის გადაწყვეტილება.

* აკაკი ბელიაშვილი: დაკითხვაზე გაცემა და სიცხე მომიზეზა, განაცხადა, ამის გამო, იგულისხმება ავადმყოფობა, ყველაფერი ბუნდოვნად მახსოვსო.

* ალიო მაშაშვილი: ბოლშევიკური სტიპენდიით საბჭოეთის დედაქალაქში სწავლაგავლილს, სხვა პოზიცია ვერ ექნებოდა, თუ არა ამგვარი საქციელის დაგმობის, გაკიცხვისა და შეჩვენების.

* კარლო კალაძე: კითხვებზე პასუხის გაცემას თავს არიდებდა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი არაფერი იცოდა, თუმცა ღამობდა იაშვილის საქციელს, რაც მისი გაგებით თუ ალქმით, ანტისაბჭოთა ლაყობას უტოლდებოდა.

* ალექსანდრე აბაშელი: დაკითხვის მსვლელობისას იქცეოდა ისე, როგორც უნდა მოიქცეს ღირსეული ადამიანი, კითხვების არ ემინოდა, სცემდა პირდაპირ პასუხებს, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე და შინსახკომის ჩინიანების ბლევრამ ვერაფერი დააკლო.

* სანდრო ეული: სხვებთან ერთად დაგმო იაშვილის საქციელი და მისცა ისეთი ჩვენება, რომელიც ბოლშევიკურ ვერსიას კიდევ უფრო გაამყარებდა.

* ირაკლი აბაშიძე: მოუწია თავის მართლება ჩანითლებული თვალების გამო და იმის მტკიცება, რომ არ დასტიროდა დაღუპულ მეგობარს, რომ იყო მხოლოდ თავზარდაცემული, როგორც კრებაზე დამსწრე ყველა მისი კოლეგა.

* იროდიონ ქაფარაძე: მისმა დაკითხვამ ბევრი ვერაფერი შესძინა ძიებას, არც განზრახვის, არც თოფის შესახებ არაფერი იცოდა და საერთოდ იაშვილს მხოლოდ შორიდან იცნობდა, ასე რომ, მისი მეგობარი არასოდეს ყოფილა.

დარჩენილი გახლდათ მხოლოდ მიხეილ ჯავახიშვილი, რომელიც ერთხელ უკვე იყო დაპატიმრებული და ამ პროცედურას კარგად იცნობდა.

— თქვენ ადრე დაპატიმრებული იყავით?!

— ვიყავი, ოციან წლებში.

— დაპატიმრებული იყავით, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი და მხოლოდ ამხანაგ სერგოს დამსახურებაა, რომ დღეს მწერალთა კრებას ესწრებით.

— მაშინ ისიც გეცოდინებათ, რომ მხოლოდ ამხანაგ სერგოს არ მიუძღვის წვლილი ჩემს გათავისუფლებაში, მას მიმართეს პავლე ინგოროყვამ და ნიკოლოზ ყიფშიძემ, ამხანაგი სერგო მალევე დარწმუნდა, რომ ჩემი დაპატიმრება გაუგებრობა გახლდათ, ამიტომაც გათავისუფლება ადვილად მოხერხდა.

— გაუგებრობაც არის და გაუგებრობაც, ყველა გაუგებრობას გაუგებრობას ვერ დაარქმევ, თქვენ რომ გაუგებრობას ეძახით, ჩვენთვის მაგას ანტისაბჭოთა ლაყობა ჰქვია, ასე რომ, სულ მთლად გაუგებრობასთან არ გვექონია საქმე.

— მე მაკრიტიკებდნენ „დამპატიჟყვის“ ამხანაგმა ფილიპემ მას ყალბი ნაწარმოებიც კი უწოდა, მე ამის გამო წუხილი გამოვთქვი და ისიც აღვნიშნე, რომ თუ რამე ნეგატიური იყო ამ ნაწარმოებში, შემდგომ აუცილებლად გამოვასწორებდი, სულ ეს იყო.

— თქვენი წერილი არ იყო გულწრფელი, თქვენ საბჭოთა ხელისუფლების გამონევეს ლამობთ და ამას გაუგებრობას ეძახით.

— გაუგებრობა მუდამ თან ახლავს ჩვენს ცხოვრებას და ამაში გასაკვირი არაფერია, ასეთი გაუგებრობა ყველას შეიძლება შეემთხვეს, მეც, თქვენც, იმ ახალგაზრდებსაც, რომლებიც ჩვენი დაკითხვის ოქმს გულმოდგინედ ინერენ, ეს, რა სამწუხაროც უნდა იყოს, ცხოვრების კანონია, თუ გნებავთ, ბედი მდევარის მახვილი მზერა... თანაც მე არაფერს ვლამობ, როგორც თქვენ აღნიშნეთ, ვარ ჩემთვის და ვწერ.

— კრებაზეც თქვენთვის იჯექით?

— ასეა, ყურადღებით ვუსმენდი ამხანაგ დემეტრაძეს.

— არც სროლის ხმა გაგიგიათ?

— გავიგე, მაგრამ გასროლასთან ვერ დავაკავშირე, ყვე-

ლას ეგონა, რომ ჟანგო თავდგირიძის შარვალი გადასკდა, ისეთი ძალით დაასკდა სკამს თავმჯდომარის შენიშვნის შემდეგ, მხოლოდ მოგვიანებით შევიტყვეთ ყველაფერი.

- შეიტყვეთ და გაქცევა დააპირეთ?!
- გაქცევა არა, ნასვლა.
- მოწმე დემეტრაძე სულ სხვა რამეს ყვება.

ამის შემდეგ ბახჩო დემეტრაძის ჩვენება მოიშველია და სიტყვა-სიტყვით წაიკითხა ის ადგილი, სადაც მოწმე დემეტრაძე მწერალ მიხეილ ჯავახიშვილის შესახებ ლაპარაკობდა.

„მე ვუფქეტი სანერ მაგიდას, უფრებს ვალებდი და ვკეტავდი, არც კი ვიცო, რატომ ვიქცეოდი ასე, ალბათ დაბნეულობისგან, არ მახსოვს რამდენი ხანი გაგრძელდა ეს ყველაფერი, მე უფრებს არ ვეშვებოდი, უფრო და უფრო ვახმაურებდი მათ დაკეტვის დროს, ეს სხვებმაც შეამჩნიეს, რადგან თვალი მოვკარი, რომ ყველა ჩემსკენ იყურებოდა, მივხვდი, რომ ჩემგან მოითხოვდნენ რაღაც ქმედებას, გადანყვეტილებას, როგორც ხელმძღვანელი პირისგან, სწორედ მაშინ მივითხოვე ზემდგომ ორგანოებში დარეკვა, მაგრამ გამომძახეს, არ მახსოვს, ვინ, რადგან ხმაზე ვერ ვიცანი, დავით, არ ილელვო, შინსახსკომში უკვე დარეკილიაო.“

ამ დროს თავზე დამადგა მწერალი ჯავახიშვილი და მომთხოვა მანქანა. აქვე დავამატებ, რომ ჯავახიშვილს არასოდეს ვენდობოდი, მაგრამ მისმა საქციელმა იმ დღეს მეც კი გამაკვირვა. ჩემი გაოცების, უფრო კი აღშფოთების მიუხედავად, მაინც ვკითხე, თუ რაში ჭირდებოდა მანქანა. ჯავახიშვილმა მიპასუხა, რომ უკვე განვიმებულა, მას კი თეთრი კოსტუმი აცვია, არ უნდა რომ დასველდეს და ტანსაცმელი გააფუჭოს, მითუმეტეს, რომ კოსტუმი ახალი შეძენილი აქვს. მე გაბრაზება დამეუფლა და ცოტა უხეშად ვუთხარი, რა დროს მანქანა და კოსტუმი, ვერ ხედავ რა ხდება თქო, მან კი აგდებულად, როგორც სჩვევია, ისე მიპასუხა, თქვენზე კარგად რომ ვხედავ, იმიტომაც მინდა ნასვლაო. მე, რა თქმა უნდა, მანქანა არ მივუცე, წვიმამ იმატა და ჯავახიშვილმა ნასვლა ველარ შეძლო.“

ბახჩო დემეტრაძის ჩვენების კითხვა დაასრულა და მის წინ მჯდარ მწერალს შეხედა.

— კიდევ ერთხელ გეკითხებით, რატომ განიზრახეთ დანაშაულის ადგილის მიტოვება?

— დემეტრაძის ჩვენება სწორია და მეტს ვერაფერს დავამატებ.

— კითხვას უპასუხეთ!

— შინ ვაპირებდი ნასვლას, აქ საქმე აღარ მქონდა, მოსახდენი უკვე მომხდარი იყო, მე რაღა უნდა მექნა, რას შეეცვლიდი, შინ კი ჩემი გმირები მელოდნენ, მთავარი კი ის არის, რომ ჩვენ სად ვიქნებით, ამას დიდი მნიშვნელობა აღარ უნდა ჰქონდეს, რადგან ყველანი დიდი ხნის გარდაცვლილები ვართ.

— აი, სწორედ ამგვარი ლაყბობის გამო დავაპატიმრეს, რომელსაც არ იშლით თქვენს ეგრეთწოდებულ ნაწარმოებებში და ეგრეთწოდებულ ცხოვრებაში.

ეს უკვე გოგლიძის ხმა იყო, რომელმაც პირველად დაარღვია დუმილი, სახეზე წამოწითლდა და ნაბიჯიც კი გადადგა მწერლისკენ, თითქოს ხელის შემორტყმას უპირებდა, მაგრამ მალევე შედგა, ისევ და ისევ დღემდე დაუდგენელი მიზეზის გამო.

- თოფის შესახებ რა იცით?
- არაფერი.
- არაფერი?

— დიას, არაფერი, იარაღი საერთოდ არ მიყვარს, ჩემი საბრძოლო მასალა, როგორც თქვენ კარგად მოგეხსენებათ, მხოლოდ კალამია.

გამოცდილი ბახჩო გრძნობდა, რომ უპირატესობას კარგავდა. რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არსებობდა ძველისძველი გამოსავალი, დასაკითხი ობიექტის ცემა-წამება, მაგრამ ამ ხალხმრავლობაში ეს სრულიად შეუძლებელ საქმეს წარმოადგენდა და ჩვეული ამბავი მომავლისთვის გადადო, მანამდე კი გაბითურებას დაკითხვის დასრულება ამჯობინა.

— წაიკითხეთ და ხელი მოაწერეთ.

მიხეილ ჯავახიშვილმა ცალი თვალთ დაკითხვის ოქმს დახედა.

- ოქმს ხელს არ მოვანერ.
- რატომ? ამჯერად რითი ხართ უკმაყოფილო? არასწორადაა შედგენილი თუ ის წერია, რაც არ გილაპარაკიათ?

— აღნიშნულ დოკუმენტს ხელს არ ვანერ შემდეგი მიზეზით, დაკითხვის ოქმი შედგენილია უცხო ენაზე.

— დაპატიმრებისას მიცემულ ჩვენებაში თქვენ აღიარეთ, რომ დიდი ხნის განმავლობაში სწავლობდით რუსეთში და რუსული ძალიან კარგად იცით, ასევე აღიარეთ, რომ ამ დროის მანძილზე ქართული სრულიად დაგავიწყდათ და სამშობლოში დაბრუნებულს ქართული ახლიდან შეგასწავლათ თქვენმა მეგობარმა იოსებ იმედაშვილმა.

— უარზე არ ვარ, ის ჩემი ქართულის ნათლიაა, ისიც მართალია, რომ რუსული კარგად ვიცი, ქართული მასზე უკეთესად, მაგრამ ოქმს ხელს მაინც არ მოვანერ.

— ნუ ჯიუტობ, ამხანაგო!

— სიჯიუტე არაფერ შუაშია, ამიტომაც განვმარტავ ჩემს პოზიციას: მოქალაქე გამომძიებლის მიერ უცხო, რუსულ ენაზე დაწერილ ოქმს ხელს არ ვანერ შემდეგი მოსაზრებით: ერთი, რომ მე ვცხოვრობ საქართველოში, სადაც ადგილობრივი მთავრობის დეკრეტის ძალით ქართული სახელმწიფო ენაა, და მეორეც, მე — როგორც ქართველ მწერალს — ქართული ენა უფრო გამეგება.

ოთახში მძიმე სიჩუმე ჩამოწვა.

ბახჩოს ხელები ექავებოდა.

სერგოს ხელისგულები.

სხვა გზა აღარ იყო, ქართული ოქმი უნდა დაეწერათ. ბედად წამოყვანილი ჰყავდათ ორი პისარი, ქართულად ჩამწერ — გადამწერი, ევროპულად სტენოგრაფისტი, რომლებიც ზედმინეწვით ზუსტად აღწერდნენ ყოველ წინადადებას, სიტყვას თუ ჩასუნთქვა — ამოსუნთქვას. სწორედ ასეთი ოქმი მიწოდეს მიხეილ ჯავახიშვილს, რომელზეც მოაწერა კიდევ ხელი ყურადღებით წაკითხვის შემდეგ.

წვიმამ გადაიღო.

საცაა ინათებდა კიდევ.

ბედს შეგუებული მწერლები გარეთ გასვლას აღარ ითხოვდნენ. ოციოდე დაშინებული მწერალი გულისფანცქალით ელოდა შინსახკომის განაჩენს. მართალია, ღამენათევი და გადაღლილები იყვნენ, მაგრამ შიში არათუ ძილის, არამედ ჩათვლემის საშუალებასაც არ აძლევდა. ასე დააბოტებდნენ ოთახში ჩაკეტილები, ერთმანეთს, ისევე და ისევე შიშის გამო, ხმას არ სცემდნენ, მხოლოდ ოხრავენდნენ დროდადრო და თამბაქოს ისე ხარბად აბოლუბდნენ, თითქოს ეს პაპიროსის ღერი უკანასკნელი ყოფილიყოს მათ ცხოვრებაში.

დილით მწერალთა კავშირში გამოცხადდა ლავრენტი ბერია. მწერლებს მართალია მისი შემოსვლა არ დაუნახავთ, მაგრამ ხმა მალევე დაირხა და დაძაბულობამაც იმატა.

ამგვარი მდგომარეობა გაგრძელდა ნახევარი საათი.

არა, ორმოცი წუთი.

არა, გაცილებით მეტი, სადღაც ერთი საათი.

მიუხედავად დარბაზში მდგარი მოზრდილი საათისა, ყოველი მათგანი თავისებურად აღიქვამდა დროის თვლას.

ზოგისთვის ვარბოდა.

ზოგისთვის მდორედ მიედინებოდა.

ზოგისთვის გაყინულიყო და ერთ ადგილას იდგა.

შინსახკომი კი მუშაობდა.

სწორედ ამ მუშაობის შედეგების გასაცნობად შემოვიდნენ დარბაზში ლავრენტი ბერია, ბახჩო ქობულოვი და სერგო გოგლიძე.

ოქმის წაკითხვა ითავა დემეტრაძემ.

„პავლე იაშვილი მთელი რიგი წლების განმავლობაში საბჭოთა მწერლების ნილაბს ამოფარებული თვალთმაქცურად

ანარმოებდა მოლაღატურ ჯაშუშურ მუშაობას ქართველი მშრომელი ხალხისა და ჩვენი სოციალისტური სამშობლოს წინააღმდეგ. იგი მჭიდროთ იყო დაკავშირებული საბჭოთა ხალხის მოსისხლე მტრებთან, ტროცკისტ-ბუხარინელ ბანდიტებთან და უშუალოდ მონაწილეობდა მათ დივერსანტულ-მაგნებლურ მუშაობაში ფაშისის სასარგებლოდ და როდესაც მისი მავნებლური მოლაღატური მუშაობა ურყევი ფაქტებით საბოლოოდ გამოჟღავნებულ იქნა, მან მოინდომა გაქცეოდა საბჭოთა ხალხის რისხვას და პროლეტარულ მართლმსაჯულებას. მისი თვითმკვლელობა მწერალთა სასახლეში მწერალთა კავშირის პრეზიდენტი სხდომის მიმდინარეობის დროს, წარმოადგენს პროვოკაციულ აქტს, რომელიც ზიზლსა და აღშფოთებას იწვევს ყოველ პატიოსან საბჭოთა მწერლის შეგნებაში. ქართველი საბჭოთა მწერლობა მთელის სიმკაცრით ჰკიცხავს და ჰგმობს პაოლო იაშვილის მოლაღატურ მუშაობას და მის სახელს განუსაზღვრელ ზიზლით მოიხსენიებს ჩვენი სამშობლოს ყველა გარენარ მოლაღატეთა და გამყიდველთა სახელთან ერთად“.

ეს დადგენილება ერთხმად იქნა მიღებული მომაკვდინებელი სიჩუმის თანხლებით.

ახლა უკვე შეიძლება კარის გაღება.

ოცი ღამენათევი, გათანგული და დაშინებული მწერალი, გარეთ გამოვიდა. გულს მხოლოდ ის უმაგრებდათ, რომ ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ, როგორც თბილისში იტყვიან, პურს ჭამდნენ და ჰაერს ყლაპავდნენ.

მწერალთა სახლში დარჩნენ დამლაგებელი ანიჩკა და შენობის კომენდანტი ალიოშა მდივანი, რომელსაც ცნობილი მიზეზის გამო აღარ ენდობოდნენ და მეთვალყურე ჰყავდათ მიჩენილი, როგორც ბოლშევიკებს ჩვევად ჰქონდათ, მახვილი მზერითა და ცივი გულით.

ანიჩკა ალაგებდა. დაყრილ ქაღალდებს, ფურცლის ნაგლეჯებს, პაპიროსის ნაშენებს ერთად თავს უყრიდა, მერე ნაგავს ახარისხებდა, სხვადასხვა პარკში ათავსებდა და შენობის კომენდანტისთვის გადასაცემად ამზადებდა, ეს უკანასკნელი კი, მითითების თანახმად, ამ ყველაფერს შინსახკომში აგზავნიდა, ისევ და ისევ მწერლების პირადი საქმეების გასამდიდრებლად.

ასე აღმოჩნდა ბახჩო ქობულაოვის ხელში ნაგვიდან ამოღებული შემდეგი შინაარსის ბარათი:

„ძვირფასო, საყვარელო თამარ! მშვიდობით.

სიკვდილის წინ შენს მიმართ განსაკუთრებულ სიყვარულს ვგრძნობ. მახარებს შენი მიღწევები ინსტიტუტში და მნამს რომ შენ ჩვენი საზოგადოების სასარგებლო ადამიანი იქნები. გაუფრთხილდი ჯანმრთელობას, იმკურნალე.

მედეაზე არაფერს გწერ, დარწმუნებული ვარ, შენ მისგან ნამდვილ ადამიანს შექმნი.

ჩემი სიკვდილის მიზეზია პოეტის სახელის შეუთავსებლობა იმ შეურაცხყოფასთან, რაც მე მომაცენეს იმ ადამიანებმა, რომლებთანაც ვმეგობრობდი და რომლებიც სინამდვილეში, ამაში მე სრულიად დარწმუნებული ვარ, აღმოჩნდნენ ქართველი ხალხის მტრები.

შენ ძალიან გაგიჭირდება, ეცადე, რომ მედეამ გული არ აიყაროს ჩემს ნათესავებსა და ახლობლებზე.

მაპატიე ჩემი შეცდომები, მე ყველაფერი მიპატიებია შენთვის.

გკოცნი მზურვალედ და ძლიერ.

შენი წრფელი მეგობარი.

პ. იაშვილი.“

ცარიელ ქუჩაზე მიმავალმა მწერლებმა არაფერი იცოდნენ ამ წერილის შესახებ. ანკი რომ სცოდნოდათ, რას შეცლიდნენ, ყველას საკუთარი საფიქრალი ჰქონდა, ყველას საკუთარი თავი ჰყავდა გადასარჩენი. ამიტომაც მიდიოდნენ ჩუმად, თავჩაქინდრულები და უსმენდნენ ერთმანეთის ფეხის ხმას, ისე როგორც სამგლოვიარო პროცესიას შემთხვევით ჩამორჩენილი ჭირისუფლები.



ლევან ვასაძე

ხილვა

ჩვენს პატრიარქს

ნეტა დავითის ლაშქარში ვიყო, წინ მიძღვებოდეს ნათელი მეფე, მწყალობდეს ღმერთი ხილული მტრებით და ჩემს მხარდამხარ მოაბჯრე ძმებით.

ნეტა დიდგორის ბედნიერება არა მცოდნოდა წინდანის ასე, ჩვენს ლაშქრის უკან გზა ჩამებერგა, გამოვსულიყავ მის მალალ ხმაზე.

მენახა მტერი, ასჯერ ნანახი, მეფეცრა ცოლზე და ჩემს თბილ სახლზე, ჩემი შვილების ზღაპრულ თვალებზე და ჩემს საყვარელ, მშობლიურ ხალხზე.

ნეტა დავითის ბედაურის წინ დავროქილიყავ მთელ ჯართან ერთად და იესოსთვის ამოთქმით მეთქვა, რომ მე მას ვესავ მაცხოვარ ღმერთად.

წამოვმდგარიყავ ჯიქურად ფეხზე, გადამებედა გასუსულ მტრისთვის, ჩემს მდუმარე ძმებს გადავხვევოდი, მოვმზადებულიყავ სიკვდილისთვის.

რაშზე შემომჯდარს შიშის მაგიერ შემომეროდა მე სიხარული, რომ ვეძგერები დავითის რისხვად მტერს მამაცი და ხმაალამართული.

ნეტა ქართული ჯარის შეტევის ერთი სუნთქვა მეც ცყოფილიყავი, მტერს დაუნდობლად დავჯახებოდი მისი ლენვით არ დავდლილიყავი.

და საშინელი ბრძოლის გრიალში თვალწინ მქონოდა დავითის თორი, მისი მძვინვარე მარჯვენის ელვა და ხმა მდრეკავი მთისა და გორის.

ვერ მივმხვდარიყავ ვერცერთ ჭრილობას, გამკვირვებოდა ჩემ რაშის მოკვლა, მაჯის ვერ გრძნობა, მუხლზე დავარდნა და ჩემ საშველად ჩემ ძმების მოსვლა.

”ერთიც მაცადეთ ნამოვდგე, ძმებო,
ერთიც დავუდგე საყრდენად დავითს,
სიცოცხლეს ღიმილით შეგვეგებო
გარდაცვალების სახით, რომ არის!”

თვალემინაბულს მენახა მზეში
უკუქცეული მახინჯის ზურგი,
ველზე მოსული შხაპუნა წვიმა,
იავარქმინილი მწვანე და ლურჯი.

სახლში ჩემს ბიჭებს შესანდობარი
სტუმრებისათვის დაესხათ ღვინო,
ნუგეშით ლბილს და ძაძებში ლამაზს,
გამარჯვებული ვეტირე ნინოს.

და დამენახა ლაჟვარდი ციდან
გაბრწყინებული სამშობლო ჩემი,
სანატრელი და მიუნვდომელი,
როგორც ცოცხლისთვის ბალი ედემის.

ეხლაც დავითის ლაქქარში თუ ვარ,
ყოველი დღე, თუ დიდგორი არის,
უხილავ მტრების სისინა ზღვაში
მიმოფანტულა თუ ჩვენი ჯარი.

და იქნებ მალე, მე გაბრუებულს,
გამინათდება გონების კარი,
ჩემ პატრიარქის სიტყვას გავიგებ:
”მზიანი ღამის აისი არის!”

და ამიხდება რასაც ველოდი,
გაცამტვერდება თვალნი ქაჯეთი
და დავით მეფეს დაუბრუნდება
აფხაზეთი და ტაო-კლარჯეთი.

გასიერება ალექსანდროვის ხალხი ნინოსთან ერთად

ასე სჯობია, სხივთა ფოფინში
იჭადრებოდეს სამეფო ბალი,
ჩვენ ვსეირნობდეთ შობის ლოდინში,
მე - გულდამწვარი, შენ - თმენით ლალი.

ალერსის ნაცვლად გეზმანებოდეს
ნადეკემბრალი ქუჩების სუსხი,
მაისი ღანვზე გელალებოდეს,
აქრობდეს დაისს ქუფრი და რუხი.

მითხარი, კარგო, მე რომ შემეძლოს
თავისუფლება, მღერა და ლხენა,
თითქოს სამშვიდველს ოდნავ შეეცნოს
ამოუცნობი ქალაქის დენა,

რა სიტყვებისგან დამიქარგავდი
ჩემი ვარამის საბურველ ფარჩას,
მიპოვნიდი, თუ დამიქარგავდი
სიკეთისათვის სამყოფელ გარჯას.

მე აღარ ვიცნობ მოსულ თაობას -
გადავაბიჯე ეტყობა გორას
და დაღმა გაშლილ სანახაობას
ვერ ვუსადაგებ სიმშვიდის ქროლას,

ამიტომ იქნებ მართლა სჯობია:
სამყარო - ცალკე, მე და შენ - ბაღში,
გული ხომ, ვაგლახ, დასანდობია,
ამ წუთისოფლის ორომტრიალში.

ირაშაპიქს

*მონღოლუ რუხი.
საშო უდაბური.
ღვრია თვალისგუჯა დაბუგულ ველების.
დაუგეშელი ნადირის ბოღმა.
შუბლი მოღუშული დაბორგილ ნაღველის
ჩემი სამშობლოა*

თიმურ. დრამიდან „კარდუ“

შენი სამშობლოა სიტყვის ნაღვერდალი,
სისხლის მისტერიას რომ ყივის მარულად -
მამლის სიფაქიზით ნაფატრი დედალი
მენამურ მინანქრად ქნილი სიყვარულად.

ჩემი სამშობლოა შენი ნამწერლარი,
დემონთა ლეგიონს რომ სძლია ფარულად,
თოვლში ჩარჩენილი ბორჯღლის ნაპერქკალი,
ან აალებული ძღვეის სიხარულად.

მისი მოდიდების ღვარცოფთა სიახლეს
ჩვენს დროში ვინ აღწერს, რომელ ნიაგარად?
მე, როგორც ბრედბერი - თომას ვულფს, გიახლებ,
რომ გვიქრონიკოსო ქართულ ნიაღვარად.

ანდა კი რა არის ამასთან ბრედბერი,
მილლერი, ფაუნდი, ვულფი, ფიტსჯერალდი,
ამის გადმოცემას სჭირდება ბებერი
გენის სიჭაბუკე მხნე და თვითმკვებადი.

უზადო ფრიდონმა მომიყვა ციურისზე:
გაისმის კონცერტზე გასუსულ დარბაზში
ძახილი მჭექარე, ვით ნატვრის გულისმზე,
ვერ დაოკებული მოქნეულ ხანჯალში:

„ვაშა საქართველოს! მის მზეს გაუმარჯოს!“
პაუზა... რა ხდება? ნუთუ მოგვეჩვენა?
სოლისტმა დავლური ისევე დაუაროს
და კვლავ დარბაზიდან ძახილი გვეწევა!

„მოდის რობაქიძე!“ და მოცეკვავეთა
თლილი სხეულები კრძალვით შემდებნიან,
ფარდა დაიხურა, ბანაკში ქართველთა
ნამდვილ დღესასწაულს - შენ გელოდებიან.

და ალტაცებისგან მთლად გაფითრებული
მიცურავ ნანატრი სამშობლოს ნაგლეჯში,
ნინო და ილიკო, ზღვა ადელეგებული,
ეტყობა შენთვის ამოსხმული ალპებში.

რა გინდა ჰიტლერთან?! რა გინდა სტალინთან?!
მათი სიდიადე შენთვის, ხომ წვეთია,
ქართლს სცივა უშენოდ, უტყვობამ გარინდა
და ირგვლივ გვამები კაცებზე მეტია.

შენი სამშობლოა სიტყვის ნაღვერდალი,
სისხლის მისტერიას რომ სტირის მალულად,
მამლის სიფაქიზით ნაფატრი დედალი
და მინა მორწყული სახლის სიყვარულად.

იქნებ გუდამაყრის ქათქათა ზამთარმა

ჩოხელის ზღაპრებში დაფვლანგე ხილვები:
კანკემა, შუპყაი, მწორი და მძახველი,
ჯიხვების არვეი, ხარლალი ირმები,
მათი მყვირალობა ბოძალის მსახველი.

დედი, მომიხარშე დუცისგან მურაბა,
ან დიყი მომართვი შაქარში ნაყული,
სახლის გულთაბოძთან დამიდგი ყულაბა
გოდერძის ზღაპრებში ნასწავლი ქართულის.

სართავის ძაფებით მჩხვლეტარე წინდებით
მაგრად გამიხურე პანტის ძმრით ფეხები,
შუბლი გამიგრილე საბუხრე ფიქრებით,
თხის ქონით დამზილე, ნულარ შემეხები.

იქნებ გუდამაყრის ქათქათა ზამთარმა,
მთოვარის ვერცხლი რომ ელვარედ ედება,
სასტიკმა, ლამაზმა, ლოდინში გამხდარმა,
დამინდოს დამდნარი თიბათვის ქედებად.

ისე დავილაღე, დედილო, შიშებით,
დევეების ჩახოცვით, სამართლის მტკიცებით,
თუ ლაჩრად არ ჩამთვლი, აწი აქ ვიქნები,
ბრძენ ნაცარქექიას მდუმარე კითხვებით:

სად ნახა, ნეტავი, ნიკალამ ჟირაფი,
რატომ აგვიშენა ვახტანგმა თბილისი,
რად სურდა ამირანს იმედის კიაფით
გაეღვიძებინა ჯვარმცემელთა სინდისი,

რას ნიშნავს ბერძნისთვის კოლხეთში ქურდობა
და სინამდვილეში რა არის სანძისი,
რატომ დააბრალებს მედეას მკვლელობა,
მითარგმნე პრომეთე - ალექსა, თუ საწყისი.

როდის ამიჩეხეს ეს ცნობიერება,
რეებით მტენიან, როგორ მაბრუებენ,
შენ თუ არ მიშველი, მე რა მეშველება,
იმდენად მჩაგრავენ, ისე მატყუებენ.

პატარა ბიჭისთვის სასირცხვო იარებს
მამას ვერ ვაჩვენებ, გასკდება ეს გული,
ტკივილს შურისგება ვეღარ დამიამებს
და უღირსებისგან გამძვრება ეს სული.

ამიტომ დამმაღე ჩრდილებში კალთისა,
მომსვლელებს უთხარი, რომ ვეღარ ვარგივარ,
ნურც ქებას, ნურც აუგს ნუ მასმენ ხალხისას,
ნურც მას, რომ ცუდი ვარ, ნურც მას, რომ კარგი ვარ.

იქნებ გუდამაყრის ქათქათა ზამთარმა
მინდოს გამდინარი თიბათვის ქედებად...

საუკუნეა

საუკუნეა ან, ვგონებ, უკვე
ზღვად გარდასრული,
რაც კალმით ხელში ჩემ თავთან ჭიდილს
ფრთხილად ვეჩვევი,
მომედო ხავსი, როგორც მოუბარს

კარდენახული
და ვერაფერი ვერ გავარკვეე
ჩემი ლექსების.

მარადი მგ ზავრი რად არ ვეშვები
ოცნებას სახლზე,
გაცრეცილ სამოსს განმიახლებენ
ფიქრის პეპლები,
მოფრენილები კავკასიონის
სივრცეებიდან
და ჩემს მხარ-ბეჭზე მთვარის ფარდაგად
მოფრენილები.

მინდა ვაფრქვიო უხვი მარჯვენით
ბარაქის ზარი,
ვპენტო მინდვრები სამშობიარო
ხვავით პოხილი,
სანთელქიანი მახარობელის
კვალში ჩამდგარი
ლიმილად ვიქცე, გადაღვათქილი
და დაოთხილი.

ვიყო თვით მინა, მსუყე, ხმიადი,
სისხლ-ოფლიანი,
ცას მინდობილი, გულდასერილი,
ფიქრებ-დახსნილი,
თავგაჩეხილი უქორრო მუხა
ათასწლიანი,
სული სიცოცხლის ბევრჯერ ნაცადი
და ვერ ახსნილი.

ნეტა შევძლებდე, რომ აღვიზარდო
ადამიანად,
დავკოცნო კრძალვით ატირებული
სულის იები,
ჩავიქრო გულზე გესლის ნამწვავი
ჩემს საზიანოდ
და დავიღუპო ბედნიერი და
ნაპატიები.

ვემსგავსო საწყისს, შვება-მოგვრილი,
მინადყოფილი,
და გავიტრუნო დაბრუნებამდე
მშვიდი მეგზუვის,
ალარ ვიდოდე ცხოვრების გზებზე
გულჩათხრობილი,
განვალებული ვერ გამოთქმული
ჩემი ლექსებით.



ჯავა ჭიქვილი
ტიმოთეუსუნის ტაძარი

და ყველა თითო კენჭს მოიტანს,
 არ იდარდო.
 რაც მთავარია, უფარდოა ოთახი და ლურჯი ღამე.
 დრო მეტად სწრაფია საჭირო,
 პოეტისთვის, ყოველშემთხვევაში.
 იარო, იარო და ლექსს გადააწყდე,
 სინათლის სიჩქარით რომ მოძრაობს.
 სხვა შემთხვევისას უარს განაცხადებდი,
 უკმენი და უკარება, ახლა კი
 როცა ბევრად მნიშვნელოვანი კითხვებია,
 ფოტოგრაფზეც არ თქვა უარი,
 როცა ეს ფოტო აღმოჩნდება უკანასკნელი,
 ატყდება მთელი მიეთ-მოეთი.
 საკუთარ თავსაც კი არ უტყდები,
 როგორ ბიბინებს წითლად მოელვარე
 უჯრედი სხეულში,
 რომელიც კაცის ხელს გაეცა, წამმზომი ჩართულია.

მომთაზარე

ზაფხულის ფუფუნება,
 მისი აღმატებულება უდარდლოა.
 მზის ამოსვლა, მზის ჩასვლა.
 იშვიათად, მკვდრის მზე.
 სამოსი ძველი, ნასხვისარი.
 საზამთრო, ნესვი მინდვრებიდან
 მიწის კაცების
 გახუხულ პურისფერ მკლავებში მნიფდებიან.
 მდინარე, ძველი ეკლესიის
 გუმბათი ამოჩრილი ქალიდან,
 ხორბლის ყანების მიღმა, ცომივით რბილი.
 ჯერ კიდევ, იქ მისვლა რომ იკრძალებოდა.
 ერთხელ ეზოში შემოვარდნა მათი,
 როცა მამაჩემმა ელექტროსადენებზე
 ყვავები დაკიდა.
 ერთხელ ვენახის გადანვის მცდელობა
 მათი მხრიდან,
 როცა მხედრიონი დაკაკანებდა,
 მამაჩემი კი ჩუმად ზვიადისტებს
 დამშუული კიდობნიდან ფქვილს უნანილებდა.
 ჩემი სიმუნჯის მიზეზი.
 ჩემი წამოსვლისაც.
 როგორ არ მინდა ვგავდე გაზაფხულს, ბოტიჩელის
 ნახატებიდან,
 გამბეშოს ღიმილით მეზურცებოდეს
 ტუჩები,
 იმ ანგელოზების გარემოცვაში ვიღვიძებდე,
 ჯერ კიდევ ბოროტთან რომ თანაარსებობენ.
 სიმარტივე ხელიდან გამტაცეს,
 საზამთრო გახუხულ პურისფერ ხელებიდან
 დაგორდა მოჭრილი თავივით.
 ბადაგის სუნი ამდიოდა,
 ცეცხლზე დაღულებული ყურძნის წვენი ვყარდი,
 ათასი ბუზი მეხვეოდა,
 მე კი მოხარული გოგრისფერი სიყვარული
 მესიზმრებოდა.
 ნესტიანი სარდაფიდან ამომძვრალი
 მზესუმზირის გამყიდველივით
 ქალაქის ციხის ნანგრევებიც ნელ-ნელა ქრებოდა,
 როგორ მჭირდებოდა ამის დასავინყებლად,
 ეს საწყალი ბუტაფორია,

ნამდვილობის ნაცვლად შემოჩენებული.
 მინოსის ურჩხული მითია,
 ამ ქალაქის ლაბირინთთან შედარებით.
 მკვდარი სულებით განაშენიანებული
 ახალი დასახლება, ახალი კვარტალი, ზღვამდე
 ჩავლენ, მავთულხლართებს ნებით შემოირტყამენ.
 ნესტიანი სარდაფებიდან ამომძვრალი
 მზესუმზირის გამყიდველებივით,
 გამყიდველები.
 ფიროსმანი კი ქრისტესავით ცოცხალია.

* *

როცა ამ ქალაქს გავეცლები,
 მარმარილოსგან გამოთლილ ადამიანებით
 ჩასახლებულ ქალაქ-ლაბირინთს,
 სადაც, ხშირად ლუკმაში ადამიანის სისხლიც ურევია,
 მხოლოდ ერთ ფოტოს გავიყოლებ, დანარჩენს კი უკან
 მოუხედავად მოვისვრი ნაგავსაყრელზე:
 - გარეუბნის მეტროს სადგურზე, დგას მღვდლის შვილი,
 შავ, ხასხასა ანაფორაში,
 ოქროსფერ, მსხვილ ჯვარში,
 ორფეხა სკამზე შესანიერი ყუთი-ყულაბით.

მარმარილოს ქალაქი

შენიღბულ დღეში დავდიოდი შუალამეს,
 სიცხიან ბუების და ბუკიოტების დაოსებულ ძახილში,
 გატრუნულ ხეების კენწეროებზე გადავდიოდი,
 რა, მე მენახა, არამე. ერთი მისხალი სიცოცხლისა, ამ ქალაქისა,
 უმალ ეს მგლის ქურქი გამეხადა, საკარნავალო,
 მასაც იმედი დაბრუნებოდა — ერთი მართალი მოიძებნა
 თავის ნიაღში.
 რა ირონია ამიტყდა ამ გაუსაძლისობაში,
 აბა, მე მკითხე?!
 თუ პოეტი ხარ და გაჩნდი ტიფლისის წაშლილ ისტორიაში,
 ბუტაფორულ, ნიღბებიან ჩვენი დროის ქალაქში,
 მეტი არაა ჩემი მტერი, პოეტი გაუშვან ცოცხალი.
 პოეტი, პოეტი, ქალი.
 ისინი ქოლავენ პოეტებს მიმიკური ნაოჭებით,
 აუცილებლად ზურგსუკან,
 მათივე წიგნებით.
 ქოლავენ გულდაგულ, ცივი, სარკაზმით.
 ათას ხინჯს რომ მოუგონებენ, პოეზიის მცოდნეებად
 მოიტანენ მოჭრილ თავებს,
 საკუთარ სისხლში მოახრჩობენ.
 განა არ ვიცოდი, ასეც რომ ვიქნებოდი.
 სწორედაც, რომ ვიცოდი.
 ეს იყო ჩემი ავანტიურა.
 მე ისინი გამოვიწვიე პოეტის სახელით —
 მათ შენიღბული ღამეები,
 ორგაზმების ოცნებებით შეზავებული გამოფინეს
 სარეცხის თოკებზე,
 მაშინ, როცა მათი შვილები, შიშვლები,
 ირანულ კაფე-ბარებში ეყარნენ და ითხოვნენ დახმარებას,
 მათ სხეულებზე ტკბილი ლავასავით მოჟაფქაფებდა
 აღმოსავლური რადიკალიზმი —
 დოლარი, სექსი. მოსანევი, წამალი — მიწა.
 არადა,
 პოეტი ქალაქის გადაკეთებულ მოედანზე ჰყავთ გამოკრული,
 საკვირაო აფიშასავით,
 ვისაც არ ეზარება,

ხინკლის სახლიდან, სუში ბარიდან,
 ჩინური სამზარეულოდან — პირს იხოცავს.
 პაოლო, ტიცვიან, ჯავახიშვილი,
 უფრო იქედან — ვაჟა, ილია, ფიროსმანი —
 ასევე ცოცხლად ქუჩებზე გაკრულნი,
 ისინი კი გვანან ქუჩების სახელების და მიმართულების ბოძზე
 აღმნიშვნელ ისრებს —
 იქეთ წახვალ მოკვდები, აქეთ წახვალ მოკვდები,
 პირდაპირ მოკვდები, უკან მოკვდები.
 აქ, მთავარია, მოკვდე ახალგაზრდა. ესაა მთავარი.
 თუ გინდა სახელი. თუ გინდა, შენი სახელი დაარქვან ქუჩას.
 აი, ჩვენ კი აგვისტოს გაუსაძლის ხვატში,
 ჩაგვატყდა შუშის თვალები და აირეკლა სნეულმა მზემ
 ჩვენი შიში.

უტიფრობის ქანდაკებებად ქცევის.
 უტიფარ ქანდაკებად შელესავენ პოეტს. ესაა ჯინოსნობა
 ამ ქალაქისა,

ტიფლისის თბილი ხელებით —
 ლამის უკვალო ჯოჯოხეთის სუნით და ვედრებით,
 როცა ხიდები ინვებიან მდინარეების გვამების რწევით,
 ეკლესია-ტაძრები თეთრდებიან ძველი და
 მყრალი სარდაფებიდან
 ამომავალი გომორის ბოსლამდე დაცემით.
 დილით კი შენიღბული კრავისქურქიანები,
 აუცილებლად მიიღებენ შხაპს, იპკურებენ დიორს, ანუ ძიორს,
 ბრენდები, ბრენდები — ფუფუ,
 გრუზინები, ფუფუ, რა ქვეყანაში ვცხოვრობთ.
 ხელები ამოატრიალეთ, ხელები.

აი, რატომ მიყვარს ლიკა

მე და ჩემს მეგობრებს, მხოლოდ შვილების ფოტოები
 გვიდევს მთავარ ფოტოებად.
 ლიკას და ჩემს რამდენიმე უცხოელ მეგობარს კი
 მშობლების და მშობლებთან.

აი, კანადელ გოგოს,
 მამასთან ერთად ის ჩანჩქერთან დგას და მამამისის დგომა,
 თითქოს შეჩერებული ნახტომია,
 ჩანჩქერისაკენ.
 აი, ეს ფრანგი გოგო, 93 წლის ბებოს ფოტოებს მიზიარებს.
 მერე დედა, მამა, ბაბუა.
 და ყველანი დგანან ისე, როგორც ჩემი ბავშვობის საღამოებში,
 ხის სახლუკას წინ ვისხედით,
 რცხილის სამფეხა სკამებზე და ბებიჩემის
 ბორდოსფერტყავიან საოჯახო ალბომში,
 ვეძებდით ჩვენს დედ-მამებს,
 პატარებს და ახალგაზრდებს,
 მათ მუცლებს უკან ამოფარებული რომ
 საკუთარ თავებსაც ვპოულობდით.

აი, ლიკა ერთადერთია.
 ის, ზაფხულობით ბრუნდება სახლში, დგას კიბეზე გამართული
 და აქეთ-იქედან მშობლები ჰყავს გამოსხმული.
 რაღა დასამალი, მეც ვიყავი ზაფხულისკენ მიბრუნებული.
 და მდინარის ქალისაკენ გავისეირნეთ მე და მამაჩემმა.
 მე ვცადა მამაჩემის ფოტო გადამეღო,
 მდინარის პირას, ანკესით ხელში.
 მაგრამ ასე გამოვიდა:
 ჩამავალ მზის შუქზე, მოდიოდა წვიმისაგან
 თიხისფერი მდინარე,

ქალისკენ ნახირი მიზოზინობდა,
 ერთი კამეჩი ტალახში ინვა გატრუნული,

მდინარის მიღმა სამ ბებერ მუხას ამოწვდინა ხმელი ტოტები,
 მამაჩემი ჩამჯდარიყო ნაპირზე და იჯდა.
 როცა ეს ფოტო ძველ ლეპტოპის ფოტო
 საქალაქში გადავიტანე:

გავხსენი.
 ცაზე უფრო მეტი ხდებოდა.

რუბიკის კუბიკი

მინდა ერთ დღეს კაცად ვიქცე, დედა-კაცად.
 შვილები გავაჩინო, მათ მამას ვაჭამო.
 მინდა ერთ დღეს სინამდვილე მოვიგონო,
 თავი ამოვნიო მინიდან და თვლები დავითხარო.
 მინდა ერთ დღეს გათენდეს და გავიღვიძო,
 მარმარილოდ ქცეულმა ნათესავეებმა ზურგი შემაქციონ,
 ფეხი აიდგან, ძველ სასაფლაოსკენ დაიძრან.
 მინდა ერთ დღეს გუდა შევკრა,
 ფეხი ავიდგა,
 გადავიკარგო.
 და თქვენ კი დაგ(ი)ტოვოთ აი, ასე,
 ზუსტად ასე გალიმებული, ჩემი ამბებით დანაყრებული,
 ვერ გამაძლრებო.
 ხელები გველით რომ არ მქონდეს შეკრული,
 ზურგსუკან,
 პირჯვარს გადავინერდი,
 ღმერთს ვახსენებდი,
 სოფელს ასე გავეცლებოდი.
 მინდა ერთ დღეს ზღაპარი მოულოდნელად დავამთავრო:
 გამოგეცხადოთ, როგორც რეზინის თოჯინა.
 ამ მოსაწყენ წმინდანობას თავი დავანებო —
 ბნელს შევეფარო.

კალის (ლითონის) ჯარისკაცები

შევისყიდი კალის (ლითონის) ჯარისკაცებს.
 ჩემი მეგობარი რობაქიძის სტატუსიდან.

ომში წავალ. გადავრჩები.
 აქ არც მგელი ვარ და ველარც ბატკანი.
 ისე სასაცილოდ გავბოროტდი, იაპონელ თეატრის
 მასხარას ვგავარ.
 თეთრი გრიმით მაქვს მოთხვრილი სახე, ხელები.
 ვმასხრობ და ვტირი.
 ომში წავალ. ავიღებ იარაღს.
 აბა, ასე?!
 შავ-თეთრი ტელევიზორებიდან, მოულოდნელად
 მოვარდნილი ელექტრონერგიიდან,
 ბავშვობის სოფლიდან, შიმშილიდან, ერთი ფილმი
 გადიოდა მუდმივად:
 დევმა წყალი დაუკეტა ადამიანებს.
 მზია უნდა ჩაუგდონ დევეს ლაბირინთში.
 ცისკარი კი მსხნელია.
 და, მზიაც მიდის ლაბირინთისკენ, სანამ ცისკარი მოაღწევდეს.
 გაქვავებული ქალაქია ეს ლაბირინთი.
 მარმარილო ადამიანების ცხოვრება.
 ეს ბავშვობის ფილმი, დღე, ყოველ არდადეგებზე.
 როგორი ბედისწერაა: გავიზარდე და გავიღვიძე და
 გაქვავებული ქალაქია ირგვლივ.
 ამ ლაბირინთს თავისი გზა აქვს, სადმე მდინარე,
 წრეების და ჩიხების გავლით.
 ომში წავალ. იარაღს ავიღებ, მგლის ქურქს მოვისხამ.
 მარილის სვეტებს დავანგრევე.



დაიბადა 1981 წლის 30 დეკემბერს. 2004 წელს დაამთავრა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2013 წელს — სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურა, ამავე წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე „გოდერძი ჩოხელის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები“ და მიენიჭა ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი. 2010 წელს მუშაობდა გორის №3 საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე. 2010-11 წლებში იყო გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი. 2011 წელიდან დღემდე გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. ამავდროულად, არის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

არის ორი პოეტური კრებულისა — „მოვლემარე განთიადი“ („სამშობლო“, 2003) და „წვიმის სურათი“ („უნივერსალი“ 2007) — და ოცამდე სამეცნიერო სტატიის ავტორი. მისი ლექსები შეტანილია უახლესი ქართული პოეზიის ანთოლოგიაში. ამჟამად გამოსაცემად მზად აქვს ერთი პოეტური კრებული და მონოგრაფია „იების სევდა“ (გოდერძი ჩოხელის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები).

ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟიშვილი.

გიორგი ხორბალაძე

* * *

ახლა პოეზია ფიქრებს მოესია,
ლექსი ძარღვიანი, სულის საყვირია!
ვიდრე მშვიდადა ვარ, მითხარ ხო ესეა?
რალაცით გაგონებ მერანს აღვირიანს.

ფიქრებს მოესია, რადგან პოეზია,
გაქრა აღვირები ხელსა და თვალს შუა...
ყველა კიდობანი განა ნოესია,
ან კოჭი როგორც ზის განა სულ „აღჩუა“...

არა, ჩემო კარგო, სულს რალაც აფიცხებს,
შედეგად ხდება, რომ რალაც შეგეშლება,
ამიტომ ვნებები როგორმე ჩამიცხრე,
თორემ არც ლექსებს და არც შენ შეგეშვები...

ლექსი ძარღვიანი, სულის საყვირია,
სულის უღრანიდან სიოდ მონაბერი,
ჩემი ყველა ლექსი წყალში ჩაყრილია,
ახლა ცოტა მაინც თუ არ მოგეფერე!

* * *

შენ ამ ლექსის დედა ხარ,
მე მამა ვარ ამ ლექსის,
გამახარე ხანდა ხან
და დამლაღე ალერსით.

რთული არის საწუთრო,
რას გაიგებ ბედისას,
მენატრები ან უფრო
რაც ამბორი მეღირსა.

თუ ვერ შევექმნით ოჯახს და
თუ ჯვარსაც ვერ დავინერთ,
მაინც ვრჩები ყოჩაღად
არც სიბრალულს არ ვინვევ.

რადგან მსუბუქ ფლირტიაც
ჩვენ შეილები გვიჩნდება,
მეტს მეც არას ველტვი რას,
დაე, იყოს ღვთის ნება...

ჩვენ საერთო შვილი გვყავს
თანაც ეს მერამდენე...

ჩემი ხარ და შენი ვარ
სხვა რას ფიქრობს, რა მერე?

შენ ამ ლექსის დედა ხარ,
მე მამა ვარ ამ ლექსის.
ამ გულს სხვა ვერ შელახავს
თუ შენ დამლლი ალერსით...

ნუ გაცეხს რაც გესმის
და გრძნობებს ნუ დამალავ,
შენ ხარ დედა ამ ლექსის,
მე ამ ლექსის მამა ვარ!

* * *

ნუთუ აღარ გესმის შენ ჩემი და
ნუთუ ისე აღარ გენატრები?!
თურმე მარტოობას შეჩვევისხარ,
ხელში მოგონების შენამტყვევით.

რა სწრაფად გავიდა დრო ტიალი,
რთულია წარსულთან დაჭიდება...
მაჟორში რამდენიც ნოტი არი,
მინორსაც იმდენი დაჭირდება...

დღეს კი თავს დაგჩხავის ბეცი ყვავი,
დროზე კიდევ უფრო რაა შორი?!
ჩემი სიყვარული შენც იყავი,
იყავი, თუმცაღა სხვათამორის!

და მაინც, აი რათ გავიხსენე
ლიმილი ბროლისებრ კბილიანი -
შვილებს რომ მურაბა გავუხსენი,
შენი ტუჩებივით ტკბილი არი!

* * *

ფეხქვეშ გული დაგიგე
დაგინახე თუ არა
ოცნებებმა წამებში
ღრუბლებს გადაუარა.

და სიომაც სიმშვიდე
ველარ იარშია რა,
ლამის ცაში გაფრინდა
კაბა ფრიალ-შრილა.

ქანდაკებას მოჰყავდო
გაფრენილი კაბითურთ,
მე კი აღარც მეგონა
მომარჩენდნენ რამით თუ.

მაგრამ როცა ცისქვეშეთს
გავუსწორე კვლავ მზერა,
უკვე ჩავლილი გქონდა
თითქმის მთელი გამზირი..

დატკუნნილ გულს რას ვიზამ,
უნდა ვეთანაცხოვრო,
ვიდრე შენთან შეხვედრა
კიდევ ერთხელ მაცხოვნებს.

ამ იმედით არ ვიხრჩობ
თავს მტკვარსა თუ ლიხავში,
ისიც ვიცო, ეგ კაბა
სხეულს კვლავ ქარს მიაფშენის.

და მეც ისევ დაგეძებ
ყველა გზით და არსებით,
შორს კი ქარი შრიალებს
შენი კაბის თანხლებით.

* * *
მიჭირს უფსკრულებთან შეფეთება,
სული მეფერფლება ნაცარივით,
მგონი უბედობა მებედება,
ზოგჯერ კი ვარ, მაგრამ „არცარივით“...

ირგვლივ ნისლია და უკუნია,
წყვიდად ისევ ვებრძვი შიშველ ხელით,
ყველა სწორი გეზი უკანაა,
წინ ღრმა უფსკრულებში ვიჩხებებით.

ისე დავიღალე ჭიდილითაც
ყოფის ველური და ავ ფინტებით,
მაინც ფრთებდამტვრეულ ჩიტივით ვარ —
მგონია, რომ ცაში ავფრინდები.

სხვა სულ არაფერი არ მჭირდება,
მხოლოდ სიყვარული უანგარო,
რომ არ ამამტვერონ ქარ-წვიმებმა
და რომ არსებობა მოვაგვარო...

თორემ უფსკრულებთან შეფეთებით
სული მეფერფლება ნაცარივით,
მგონი უბედობა მებედება,
ზოგჯერ კი ვარ, მაგრამ „არცარივით“...



გორის ციხე

ელგუჯა თავბერიძე

ნუ გეშინია, შენ არ ნაგაკითხებ

პირობითით დავიწყეთ — პირად წერილში შეგიძლია გული ჩადო, ჩაუდევთ და გაუტანებიათ... პირობითობის გარეშე იგივე ასე გამოითქმის — პირადი წერილი საშუალებას გაძლევს, დაუფარავად გაამჟღავნო გულისნადები, შინაგანი ცენზორის კარნახით კალამს შეურჩეული და სათქმელ-დასაბეჭდად საჩოთირო.

ამნაირი სიაშკარავის გამოა, რამდენიმესტრიქონიან პირად წერილში ხშირად პიროვნების სრულქმნილი პორტრეტი რომ იხატება, ნაიკითხავ და, ჩამოიძერწება სახე კაცისა, კაციდან გამომდინარე ეპოქაც თვალგონსახილველი გაგიხდება.

წურვი იფიქრებს, ზედმეტ ტვირთს ვკიდებდეთ პირად წერილს. მე თუ მკითხავთ, ეპოქის შეგრძნობ-შეცნობა ყველაზე მეტად მათით შეიძლება.

გაბრიელ ჯაბუშანურის მიერ ირაკლი აბაშიძისათვის შინ გაგზავნილი (მიტანილი იყოს, მნიშვნელობა არ იცვლება) პირადი წერილი დაიბეჭდა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ 2014 წლის 19 სექტემბრის ნომერში და პირველ ორ ფრაზაშივე დაიხატა ორი ადამიანი — გაბრიელი და ირაკლი აბაშიძე.

აი, ტექსტის დასაწყისი:

„მაპატიე, რომ შინ განუხებ! ნუ გადაადგებ ამ წერილს და ბოლომდე ჩაიკითხე“.

„ჩაიკითხეს“ თავი დავანებოთ და გავიაზროთ: გაბრიელ ჯაბუშანური, როგორც რაინდს სჩვევია, წერილის შინ გაგზავნაზე პატიებას ითხოვს და ადრესატს ეხვეწება, ნუ გადაადგებ, ბოლომდე ჩაიკითხო. რაც სხვა არაფერია, თუ არა სხვებისგან მაინც გაგონილი — წერილებს არ კითხულობს! სხვას, უკეთესს, რას კითხულობდა დალოცვილი? რას და, ყრილობებისა და პლენუმების დადგენილებებს. მშვენივრად იცოდა, გაბრიელ ჯაბუშანურისა და მისდართა პირადი წერილები რომ ეკითხა და იქ ნათხოვ-ნახვენი საქმედ ექცია, მათ ფონზე მისი პოეტური მოსაგალი დასეტყვილი გამოჩნდებოდა.

წერილიდან ვგებულობთ, ირაკლი აბაშიძე გაბრიელს ლექსების რჩეულის გამოცემის გასარკვევად დევი სტურუასთან აგზავნიდა თურმე — მე კი მსურს გამოვცე, მაგრამ დევი უარზეო. გაბრიელიც დადიოდა ირაკლისა და დევის შუა, მაგრამ ოდესმე თავიდან მოცილების ეს ფანდიც ხომ გაცხადებოდა და, აი, რას სწერს გაბრიელი:

„დღეს დევი ცივად და გაკვირვებულად შემხვდა. მისი ქცევა და მზერა თითქოს ამბობდა: ვინ ხარ, რა ხარ, რა გინდა ჩემგან? მას წინდანიწვე მოხსენდა, რა საქმეზედაც ვიყავი მისული და ამიტომ საუბარიც პირდაპირ წიგნის თაობაზე დაიწყო. ცივი შეხვედრით წყალგადასხმულს, აღარც მე მიმიცია მისთვის ჩემი განცხადება, სადაც ჩემი ამბავი ეწერა. ავედექი და წამოვედი“.

ირაკლისა და დევის ერთმანეთში მოლაპარაკებაც რომ არ გაუჭირდებოდათ, დიდი ფიცი-მტკიცე არა სჭირდება. მოკლედ, თავიდან მოცილების გეგმასაც დასახავდნენ — ჯერ შეიყოლიე, მერე მე გადავასხამ ცივ წყალს და მოგვეშვება, აბა რას იზამსო.

ცეკა კი არა, მწერალთა კავშირის გამგეობისა თუ პრეზიდენტის წევრებიც არ იცნობენ ჩემს შემოქმედებასო, ჩიოდა ირაკლისთან და მიზეზსაც ასახელებდა: მთაში განდგომის გამო არ მიცნობენ, მეც სწორედ ამიტომ მინდა, ქვეყანას გავავებინო, რა შემთხვევაზე ამ ხნის მანძილზეო.

მთაში განდგომილ შემოქმედს რჩეულს როგორ გამოუცემდნენ?! გაბრიელზე ხუთი წლით უფროს ირაკლი აბაშიძეს ამ დროს რჩეულიც, ერთტომეულიც და ბევრი სხვა წიგნებიც ჰქონდა საუცხოოდ გამოცემული. მეც რაებს მივედ-მოვედები, ვინ დაუშლიდა?!

გაბრიელი ეხვეწებოდა, შევადგენ ჩემს რჩეულსო, თუმცა სჯობს, პირადი წერილიდან ეს ადგილი ავტორის სიტყვებით მოვიტანოთ, რათა დროებით განდიდებულის სამიღვამილი შემოსანახი უკვდავი შტრიხი უფრო მკაფიოდ ჩავვრჩეს მესხიერებაში.

„მე შევადგენ ჩემი რჩეული ლექსების წიგნს 10 000 სტრიქონის მოცულობით, გადავაბეჭდინებ მანქანაზე და წარმოგიდგენ. ნუ გეშინია, — შენ არ ნაგაკითხებ!“

ბევრ ვინმეს უთქვამს, დაუბეჯითებია და დაუნერია კიდევ, — ირაკლი აბაშიძე არაფერს კითხულობდაო.

ა, ბატონო, კიდევ ერთი დოკუმენტი!

ბაბუა ალუდაური საშვილიშვილო საქმეს აკეთებს გაბრიელ ჯაბუშანურის ეპისტოლური მემკვიდრეობის გამომზეურებით. რაც შეეხება იმას, რომ ირაკლი აბაშიძის რედაქტორობით გამოცემულ ენციკლოპედიაში ვინმე ვასილ ჯაბუასა და ჯაგას ტომის შუა ჯაბუშანურის ადგილი არ მოიძებნა, სულაც არაა საწყენი, პირიქით, არ უნდა მოძებნილიყო.

ეროვნული სულისკვევითებით შედგენილ ენციკლოპედიებში გაბრიელისნაირი ქართული პატიოსნებით საფხე ადამიანები და მაღალი რანგის პოეტები თავის ადგილს დაიჭერენ.

ნუ გეშინია, შენ არ ნაგაკითხებ!

არ იხატება პორტრეტი?!

ეპოქასაც ხომ თვალნათლივ ხედავთ!

ელვის პრესლი

ბარათები

ბარათი ღმერთს

დღეიდან აღარასოდეს მოვწევ სიგარას. ჩიბუხების კოლექცია მხოლოდ კოლექციად დარჩება. ღვთის შეწვევით ვეცდები გავუფრთხილდე საკუთარ ხმას და, ჯანმრთელობას. არასოდეს ჩავიდენ ისეთ საქციელს, რომელიც ღმერთს განაზრისხებს. არასოდეს ვაწყენინებ მამას, მეგობრებს და ყველა სხვას. მეყვარება ღმერთი, მთელი ჩემი გულით, სულითა და გონებით. მივანიჭებ ბედნიერებას პრისილას, მაიკს და ყველა ჩვენიანს. ვიდრე ცოცხალი ვარ გულში ცუდს არაფერს გავივლებ.

ღვთის ნყალობით, მაღლიერი ვიქნები პოლკოვნიკ პარკერის, ჯორჯისა და ყველასი, ვინც დახმარებას მიწევს. მთელი სულით მეყვარება ლინდა. ვიმღერებ მთელი გულით და ხალხს სიხარულს მივანიჭებ. დავეხმარები ბებიას და ყველა ჩემს თანამემწეს. ამ ყველაფერსა და უფრო მეტშიც, მეც და ყველა ზემოთ ნახსენები შევთხოვთ შველას უფალს ჩვენსას ისეო ქრისტეს.

ამინ.

ფიცი

ვფიცავ ვიცხოვრო სწორი ცხოვრებით, გავძლიერდენ წმინდაში, ვეძიო ჭეშმარიტება, ბევრი ვიფიქრო, ვიმარხულო, დავიცხოვრო ვნებები და რაც შეიძლება მეტად განვაავითარო საკუთარი ნიჭი. ვიდრე ცოცხალი ვარ, ღვთის შეწვევით ვფიცავ, ბედნიერება მივანიჭო ხალხს ჩემი ხელოვნებით. ედ პარკერს და ყველა მეგობარს დავიცავ მთელი არსებით, როგორც საკუთარ თავს, ღმერთსა და სამშობლოს.

გონიერება

გონიერება — უსამართლობის ატანის შეძლება, ანგარების გარეშე.

გონიერება — მოთმინებაა. მზადყოფნა გადადო გადაწყვეტილება, უფრო მნიშვნელოვანის სასარგებლოდ.

გონიერება — ნარუმატებლობისაგან თავის დაღწევის უნარია.

გონიერება — უსიამოვნებაზე, იმედგაცრუებაზე, მარცხზე ამაღლებაა, ნუნუნის გარეშე.

გონიერება — ადამიანურობაა, შეგეძლოს აღიარო საკუთარი შეცდომა.

გონიერება — სიტუაციის შეფასება და გადანყვეტილების მიღებაა.

მხოლოდ უგუნური წონიან თავის შესაძლებლობებს მთელი ცხოვრება, მაგრამ საბოლოოდ არაფერს იღონებენ ხოლმე.

გონიერება — საიმედოობაა, იყო საკუთარი სიტყვის ერთგული.

უგუნურთა ხვედრია დაბნეულობა. მათი ცხოვრება გატეხილი სიტყვის, დაკარგული მეგობრების, განუხორციელებელი საქმეების ლაბირინთია.


გონიერება — ხელოვნებაა, იცხოვრო იმასთან, რისი შეცვლაც შეუძლებელია, გამბედაობა — შეცვალო, რაც არასწორია, დაბოლოს უნარი ერთი მეორესაგან გაარჩიო.

წერილი „ყურმა“

ძვირფასო „ყურმა“!

შენმა წერილმა ძალიან გამახარა. აქ აუტანელ მოწყენილობაა და გნერ კიდევ. ახლახან 50-დღიანი სამხედრო სწავლებიდან დავბრუნდი — ეს სამინელება იყო. ფრიდბერგიდან 200 მილში ვიმყოფები. სადღაც 20 დეკემბრისთვის ჩამოვალ, ეს ალბათ ყველაზე დასამახსოვრებელი შობა იქნება. ყველაფერს მივცემდი, ახლა შინ რომ ვიყო. სამხედრო სამსახურს მხოლოდ 1960 წლის მარტში ვამთავრებ. ღმერთო — რა გაძლებს მანამდე. რაიმე სასწაული მაინც მოხდებოდა... ვერ აგინერ, სახლი როგორ მომენატრა. კიდევ ორი წელი რომ დამიმატონ, ალბათ კვილით ავიკლებდი აქაურობას. ერთი სული მაქვს, ესტრადასა და კინოს დავუბრუნდე. ახლა კი ვზივარ და დღეებს ვითვლი. ასე რომ, 15 თვე კიდევ დარჩა. როგორც გენერალი მაკარტური ამბობს: „მე დავბრუნდები!“. დი ჯეის და ლუისს მოკითხვა გადაეცი — უთხარი, ადგილზე დამხვდნენ. კუზენი თუ შეგხვდეს, ჩვენებურად გააშაყიერე. ერთი გერმანელი გოგო გავიცანი — მარგარიტა ჰქვია და ძალიან ჰგავს ბრიჯიტ ბარდოს. ახლა კი ნავედი — ტალახში უნდა ვიგორაო!

შენი ელვის პრესლი.



როკ-ნ-როლი

მე არ ვარ მეფე. მეფე — ქრისტეა. მე მხოლოდ ვმღერი. თავს მხოლოდ მაყურებლის წინაშე ვგრძნობ ცოცხლად. მხოლოდ მაშინ ვარ ადამიანი. ყოველთვის ვიცოდი, რომ უსიმღეროდ დღე არ ღამდება, არც მეგობრობა არსებობს უსიმღეროდ და ცხოვრებაც ფუჭია უსიმღეროდ. ვერასდროს ვიტყვი უარს როკ-ნ-როლზე, ვიდრე ის ხალხს მოსწონს. მინდა სიცოცხლის ბოლომდე ვიმღერო, ესაა ჩემი ცხოვრების აზრი. ზოგჯერ მუსიკა ისე გამიტაცებს, გაჩერება არ შემიძლია. ეს სიცოცხლით საესე რიტმის ბრაღია. ახალგაზრდებს ის სჭირდებათ. არ მესმის, როგორ შეიძლება ნებისმიერმა მუსიკამ ცუდი გავლენა მოახდინოს ადამიანზე. ეს ხომ მუსიკაა, გულიდან წამოსული. როცა ვმღერი, მთლიანად მუსიკაში ვიძირები. კონცერტის ბოლოს კი ფეხზე ძლივს ვდგავარ. ღმერთმა ეს ნიჭი მომცა, ამას რომ ვაქციო ზურგი, აღარ ვიარსებებ. ამბობენ, რომ სცენაზე ვულგარული ვარ, მაგრამ მე ასე ვგრძნობ, ერთი შოუს განმავლობაში 3-4 ფუნტს ვკარგავ. თუ სიმართლე გნებავთ: არც ისე კარგად ვუკრავ გიტარაზე. არასოდეს მიფიქრია, რომ განსაკუთრებული ადამიანი ვარ. ვინც უნდა ვიყო, მაინც ისეთი ვიქნები, როგორიც ღმერთმა შექმნა. ისე, ცოტა კი დავიღალე — ვიყო ელვისი...

წერილი პარატანს ინსტრუქტორს იურგანს საიდალს

ძვირფასო იურგენ,

იმედია კარგად ხარ? მე ცხენით ჯირითი დავინყე, ეს ძალიან მეხმარება ფორმის შენარჩუნებაში. ალბათ გაიგებდი, მალე ახალ ფილმს ვამთავრებთ — „შავი ვარსკვლავი“ ერქმევა. დედაჩემს დოლორეს დელ რიო თამაშობს. ჩემი ახალი ფირფიტაც

მალე გამოდის, რომელშიც ფილმის „ჯარისკაცის ბლუზი“ სიმღერები შევა. იმედი მაქვს, ისიც ისევე მოგეწონება, როგორც „ელვისის დაბრუნება“. მინდა იცოდეთ, როგორ ვაფასებ ყველაფერს, რასაც ჩემთვის აკეთებ. ვიმედოვნებ, ჩემი დისკებიც და ფილმებიც ამ სიკეთეს დაგიფასებ. ღმერთმა დაგლოცოს. სიყვარულით ელვის პრესლი.

ბანაბა

ღვთის ნება ისაა, რომ ადამიანს შესაძლებლობაა მაქსიმუმი და მინიმუმი გამოავლენინოს, რათა აჩვენოს ძალაც და სისუსტეც მათ, ვისაც ღმერთთან მიახლოება სურს; რათა ადამიანმა აღიაროს, მოინანიოს და შეუდგეს რწმენის გზას; რათა შეგვახსენოს, რომ ქვეყნად ყველაფერი წარმავალია; ღვთაებრივი ჩანაფიქრის მისაღწევად ვიმოქმედოთ, შევექმნათ, გამოვხატოთ ჩვენი თავი და გავითავისოთ საკუთარი ინდივიდუალობა; რათა ადამიანმა ნათლად გაიაზროს თავისი დანიშნულება. იმის გაგება, რომ ესაა ღმერთის ნება, სწორედ ცხოვრების აზრია. ამ ყველაფერს საკუთარი ნაკლისა და სისუსტის აღმოჩენა მოჰყვება. მხოლოდ მათი გამოსწორებით მივალწევთ ურთიერთგაგებას, სიყვარულსა და თანადგომას. ვიყოთ გულწრფელნი, გავუფრთხილდეთ და დავაფასოთ ერთმანეთი. ასე შევიგრძნობთ ჩვენი არსებობის აზრსა და დანიშნულებას. შემდეგ საკუთარ გულში კაშკაშა შუქსაც აღმოვაჩენთ. მერე მას სხვა ადამიანებსაც გავუზიარებთ და შევიგრძნობთ, რაოდენ მნიშვნელოვანია ღვთის ნება, სიყვარული. ვადიდოთ ქრისტე, რომელმან მოგვანიჭა სიცოცხლე, იმედი, რწმენა. გვასწავლა ღვთისა და ერთმანეთის სიყვარული. ვიყოთ მაღლიერნი ამ საოცრების, რომელიც თვით სიცოცხლეა.

წერილი პრეზიდენტ ნიქსონს

ბატონო პრეზიდენტო,

ნება მიბოძეთ წარმოგიდგეთ — ჩემი სახელია ელვის პრესლი. დიდი მოწინებთა და უღრმესი პატივისცემით ვაფასებ თქვენს მოღვაწეობას. სამი კვირის წინათ პალმ-სპრინგსში მე ვესაუბრე ვიცე-პრეზიდენტ ეგნიუს და გამოვთქვი ნუხილი ჩვენი ქვეყნის ბედზე. ნარკომანები, ჰიპები, ნეონაციისტები, „შავი პანტერები“ და სხვები თავის მტრად არ მთვლიან და არც ისტებლიშმენტს მიმაკუთვნებენ. ეს არის ამერიკა, რომელიც მიყვარს. სერ, მსურს ჩემს ხელთ არსებული ყოველგვარი შესაძლებლობა გამოვიყენო ქვეყნის საკეთილდღეოდ. სხვა არავითარი მოტივი არ მაქმობრავებს.

მე არ მიზიდავს არც ჯილდო და არც თანამდებობა. ვფიქრობ, შევძლებ დიდი სარგებლობის მოტანას ქვეყნისათვის, თუკი ფედერალური აგენტის უფლებებით აღვიჭურვები და გამოვიყენებ საკუთარ სახელს. უპირველეს ყოვლისა არტისტი გახლავართ და გთხოვთ ფედერალურ უფლება-მოსილებებს. თვითმფრინავში სენატორ მერფისთან ერთად აღმოვჩნდი და ჩვენ განვიხილეთ პრობლემები რომლებიც ჩვენს ქვეყანას შეექმნა.

სერ, მე გავჩერდი სასტუმრო „ვაშინგტონის“ 505-6-7 ნომერში. თან მახლავს ჯერი შლინგი და სონი ვესტი, რომელთან ერთადაც ვმოგზაურობ. აქ დონ ბეროუზის სახელით დავრეგისტრირდი და დავრჩები მანამ, სანამ თანამშრომლობის დასტურის მისაღებად იქნება საჭირო. მე ძირფესვიანად შევისწავლე ნარკომანიისა და ზომბირების მეთოდები, რომელთაც კომუნისტები მიმართავენ. ამდენად, ვფიქრობ, შევძლებ მაქსიმალური სარგებლობის მოტანას.

ბედნიერი ვიქნები, თუკი ეს თანამშრომლობა შედგება და ის საიდუმლოდ დარჩება. შეგიძლიათ ჩართოთ თქვენი თანამემნები და მიხმობთ დღისა და ღამის ნებისმიერ დროს. წელს ნომინირებული გახლავართ 10 ყველაზე თვალსაჩინო ახალგაზრდა

ამერიკელთა შორის. ცერემონია 18 იანვარს, ჩემს მშობლიურ მემფისში შედგება. გიგზავნით მოკლე ავტობიოგრაფიას, რათა უკეთ შეაფასოთ ჩემი წინადადება. ასევე სიამოვნებით გინახულებდით, რათქმუნდა ძალიან დაკავებული თუ არ ბრძანდებით. პატივისცემით, ელვის პრესლი.

მე

თუკი მე მხოლოდ მე ვარ, მაშ ადამიანი ვყოფილვარ, მაგრამ როგორი? მჯერა, რომ მილიონთაგან მხოლოდ ერთ-ერთი ვარ. თუკი ასეა, მაშინ ის მილიონებიც მე ვყოფილვარ, რადგან ერთი ყველა და ყველა — ერთი. მათი წარსული ჩემი წარსულია, ისევე როგორც — მომავალი და აწმყო. მე ვარ და ვიქნები, მაგრამ ვინ?

ღმერთის ნათელი

არსებობს შუქი, რომელიც ჩვეულებრივზე უფრო კაშკაშაა, ბევრად ძლიერი, ვიდრე გაელვება. მას მხოლოდ ისინი ხედავენ, ვინც სიკვდილის პირას არიან. როცა სული სხეულს გაშორდება, ამ ციურ შუქს მაშინ დავინახავთ. ეს ღვთის ნათელია, ისეთი სითბოთი სახსე, რომლის მსგავსიც არავის უნახავს. მას ვერაფერი შეედრება: ვერც ოჯახისა და ვერც ქალი-სა და მამაკაცის სიყვარული. ეს ღვთის სითბოა. ჩვენც ყველა ამ სინათლის ნაწილი ვართ, მაგრამ ჩვენი საკუთარი შუქი ისეთი მცირეა, რომ ვიდრე დედამინაზე ვცხოვრობთ, სულ იმ სინათლისაკენ ვისწრაფით, რათა ღმერთთან დავბრუნდეთ.

ზოგჯერ ისეთ ხალხს ვხვდებით, რომლებიც თითქოს ანათებენ შიგნიდან და სულ მათთან სიახლოვე გვინდა, რადგან ჩვენთვის მათ ნათელი მოაქვთ — არც მატერიალურით და არც სხვა რამ წერილმანით, არამედ უბრალოდ თავიანთი არსებობით. მათ ნათელი სულები აქვთ. ისინი ღმერთთან ახლოს არიან და ჩვენც გვიზიდავენ. მათთან ურთიერთობა სულიერად გვამდიდრებს. ჩვენ მათ ვესწრაფით, გვინდა ვუყვარდეთ და გვიყვარდეს ისინი.

იესო ამბობს: „მე ვარ ნათელი და გზა“. რადგან ჩვენც მისი ნაწილი ვართ, მისი შვილები — ჩვენც ნათელს განვსახიერებთ, სხვადასხვა ფერის სინათლეს. ყოველ ჩვენგანს საკუთარი ფერის სინათლე აქვს, რომელიც ჩვენს ინდივიდუალობას გამოხატავს და ეს ფერები ისევე განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც ჩვენი სახეები. ყოველ ჩვენგანს თავისი საყვარელი ფერი აქვს. მე ლურჯი და თეთრი ფერები მომწონს. ასევე მიყვარს მწვანე, მისი შეთავსება ოქროსფერთან, რადგან ესენი ჩემი აურის ფერებია. ვოცნებობ ჩემს აურაში იისფერი გავაძლიერო. ამისათვის სულიერი განვითარება საჭირო, დახვეწა და ღმერთთან მიახლოება. რამდენადაც უნდა გამიჭირდეს, ამას მაინც ვეცდები. ღმერთს არ უყვარს ზარმაცი და ბოროტი ადამიანები. მას ბეჯითი და კეთილი ხალხი მოსწონს. ვიყოთ კეთილი, ნურავის მივაყენებთ ტკივილს, არცერთ ცოცხალ არსებას, რადგან თუ ბოროტებას ჩავიდინთ, ის უკან დაგვიბრუნდება და ამისი გამოსყიდვა მოგვინევს.

ეს ნათელი ღვთის სიყვარულია, მისი მოწყალე ყოველი ჩვენგანისადმი და მადლი, რომელიც მას სურს, რომ გადმოგვცეს. ნუ შეგვეშინდება ამ შუქის, რომელიც სიზმრებსა და ოცნებებს გვინათებს. თუ სიზმრების გაგება არ შეგვიძლია, მივიღოთ ისინი როგორც პასუხები ჩვენს შეკითხვებზე, რომლებზე დასაფიქრებლადაც არასდროს გვაქვს დრო. ვისწავლოთ საკუთარ თავთან საუბარი, ფიქრი და გულის ხმის მოსმენა, გული ხომ ღვთის რადიოა.

თარგმნა
მამუკა მაღალურიანი

მიხეილ ლიბმანი გრიგორი ოსტროვსკი

გენიალური ყალბისმქნელი

1945 წელი. დაჭრილ-დაჩეხილი, გაპარტახებული ევროპა პირველ მშვიდობიან გაზაფხულს ეგებებოდა. მიჩუმდნენ აფეთქებანი, განთავისუფლებულ ქალაქებსა და სოფლებში ბრუნდებოდნენ პარტიზანები, ღრმა იატაკქვეშეთიდან ევლინებოდნენ ქვეყანას წინააღმდეგობის დიადი არმიის მებრძოლნი. ეს იყო გაზაფხული სიხარულისა და იმედებისა, მრავალ მათგანს ახლომარომ არ ენერა. ხანძართა კვამლი უკვე აღარ ბურავდა დილის ალიონს და ადამიანები ნდობით უღიმოდნენ კაშკაშა, ალერსიან მზეს. კაცობრიობას ძვირად დაუჯდა სუფთა ცის მოხვეჭა და ადგილი ამ ცის ქვეშ ამიერიდან იმათა ეკუთვნოდათ, ვინც იბრძოდა მის მოსახვეჭად და თავისი ღირსება მტერთან თანამშრომლობის სირცხვილით არ შეუბღალავს. ხალხთა სამსჯავროს წინაშე პასუხს აგებდნენ ისინი, ვინც თავისი სამშობლოს მინა-წყალსა და ინტერესებს ოცდაათ ვერცხლად უთმობდა ოკუპანტებს.

1945 წლის 29 მაისს ამსტერდამში, კაიზერსგრაჰტის 321-ში მდებარე შენობის სადარბაზოსთან გაჩერდა ავტომანქანა, საიდანაც ამერიკული დაზვერვისა და ნიდერლანდების სამხედრო პოლიციის რამდენიმე ოფიცერი გადმოვიდა.

— ბატონი ჰან ანტონიუს ვან მეეგერენი ბრძანდებით?

მასპინძელს, წარმოსადგე და ელევანტურ მამაკაცს, მოკლედ შეკრეჩილი უღვაშები რომ ჰქონდა, სახეზე მკვდრის ფერი დაედო.

— აი, დაპატიმრების ორდერი.

რამდენიმე საათის შემდეგ მხატვარი ვან მეეგერენი სახელმწიფო ინსპექტორის ვოონინგის კაბინეტში იჯდა. იწყება პირველი დაკითხვა.

ამსტერდამის ციხის ერთკაციანი საკანი. ხუთი ნაბიჯი სიგრძეში, სამი — სიგანეში. პანანკინტელა სარკმელი გისოსით. ზედამხედველის მწყობრი ნაბიჯები ტალანში. დღეები და ღამეები შემოსილა შიშითა და დაძაბულობით, მტანჯველი მოლოდინით. აგერ, დაიღრჩიალა კლიტემ.

— ვან მეეგერენი! დაკითხვაზე.

თვენახევრის განმავლობაში მხატვარი ჯიუტად უარყოფდა დანაშაულს, თავს იძვრენდა, აქეთ-იქითობდა. მაგრამ უღმობელ ფაქტებს სად გაექცევი! უტყუარი დოკუმენტებით აღჭურვილი გამოძიებელი გადასარჩენი სიცრუის ყველა ხერხს უქოლავდა.

— აღიარებთ თუ არა თავს დამნაშავედ კოლაბორაციონიზმსა და გერმანულ ოკუპანტთათვის ხელშეწყობაში? აღიარებთ თუ არა, რომ 1943 წელს გერმანელთა კონტროლქვეშ მყოფი გუდსტიკერის ანტიკვარული ფირმისა და ჰერმან გერინგის აგენტის ბანკორ ნიდლის შუამავლობით რაიხსმარშალ გერინგის კოლექციისათვის გაყიდეთ მხატვარ იან ვერმეერ დელფტელის სურათი „ქრისტე და ცოდვილი დედაკაცი“? ამ სურათში გერინგმა გადაიხადა ერთი მილიონ 650 ათასი გულდენი, საიდანაც თქვენ — საკომისიოს გამოკლებით — მიიღეთ მილიონი გულდენი. ყველაფერი სწორია?

ბრალდებულის ზურგსუკან კუთხეში მჯდომი სერჟანტი საბეჭდ მანქანაზე აკაუნებდა დაკითხვის ოქმს. ბრალდებულმა თავი ჩაქინდრა და ძლივძლივობით ამოლერდა:

— დიას.

და ისევ ერთკაციანი საკანი. ისევ გამყინავი ძრწოლა განაჩენზე გაფიქრებისას. ვან მეეგერენს მშვენივრად ესმოდა, რაც ემუქრებოდა: ის არ კმარა, რომ ჰოლანდიური კანონების შემოვლით მან საზღვარგარეთ გაყიდა სურათი წარსულის

ერთ-ერთი უდიდესი მხატვრისა და ვის მიჰყიდა? ვისა და გერინგს, ნაცისტური გერმანიის მეორე პერსონას ჰიტლერის შემდეგ, იმ კაცს, ვისი ბრძანებითაც დამხოვილ, უმწეო ნიდერლანდებს თავზე დააყარეს ათასობით სასიკვდილო ბომბი. თავის მოჭრა, ციხე — მოხდეს, რაც მოსახდენია, ოლონდ ცოცხალი დავრჩეო! რჩებოდა უკანასკნელი შანსი.

— არა, ჰოლანდიის ეროვნული საუნჯე არ დაზარალებულა. თავისი ოქრო გერინგმა გაიღო არა ნამდვილ შედეგში, არამედ ნაყალბეში, ნაბაძეში. „ქრისტე და ცოდვილი დედაკაცი“ ვერმეერს როდი დაუხატავს, არამედ მე, ვან მეეგერენმა, დახატე.

პატიმარმა მოზეიმე ღიმილი ვერ დამალა და თავი მალდა ასწავა, თითქოს ელოდა, რომ სახალხო გმირის დაფნის გვირგვინით შეამკობდნენ. მაგრამ ინსპექტორს სკეპტიკურად ჩაეცინა. იაფფასიანი ზრიკია! შენს თავზე აიღო შედარებით მცირე დანაშაული და ამ გზით სერიოზული ბრალდებანი უკუაგდო... ასეთი სვლა არახალია, ძველია. მაგრამ აქ ამგვარი ნომრები არ გაგივათ!

— გაიყვანეთ პატიმარი.

ყველაზე გასაოცარი კი ის იყო, რომ ამჯერად ჰან ვან მეეგერენი სიმართლეს ამბობდა.

იგი ძალზე პატივმოყვარე და ავადმყოფურად თავმოყვარე გახლდათ. მთელი ცხოვრება, — რაც კი თავი ახსოვდა, — ოცნებობდა დიდი მხატვრის სახელზე. იდუმალ ზმანებებში თავი წარმოესახებოდა სახელგანთქმულ, საყოველთაო თავყვანისცემით გარშემორტყმულ მხატვრად, ვისი ქმნილებანიც ამშვენებენ მსოფლიოს უდიდეს მუზეუმებს — გენიალური რემბრანდტის, ფრანს ჰალსის, ვერმეერ დელფტელისა და სხვათა ტილოების გვერდიგვერდ. უსაზომო ზეიადობა ღრღნიდა ჯერ კიდევ მობლიურ დევენტერში, სადაც ერთხანს მსახურობდა ნახატისა და ხელოვნების ისტორიის ასისტენტად, და მოგვიანებითაც, მონიფულ წლებში. მუდმივი სილატაკეც კი ისე არ თრგუნავდა ახალგაზრდა მხატვარს, როგორც სიმწარე არალიარებისა. თვეში 75 გულდენით, ჰა და ჰა, თავს გაიტანდი, მაგრამ პატარა, შეუმჩნეველ მხატვრად ყოფნა... ამგვარ ხვედრს ვან მეეგერენი ვერა და ვერ შეურიგდებოდა. 1913 წელს კონკურსზე XVII საუკუნის სტილით შესრულებულ აკვარელში დელფტის ხელოვნების ინსტიტუტი ოქროს მედალს ანიჭებს. მაგრამ, ვაგლახ, მეორე დღესვე მოუხდა მისი დაგირავება ლომბარდში. ცოტა ხანიც გავიდა და უკვე აღარავის ახსოვდა მისი პირველი წარმატება.

ვან მეეგერენი ჰააგაში გადასახლდა. ბევრს მუშაობდა, შეუპოვრად, შეშლილის ჟინით მუშაობდა. ხატავდა პორტრეტებს, სურათებს ალეგორიულ და ბიბლიურ სიუჟეტებზე. გადაბმულ დღეებს ატარებდა მუზეუმებში, ლამობდა ნიდერლანდური ფერწერის ძველი ოსტატების საიდუმლოებათა ამოხსნას. 1922 წელს პერსონალური გამოფენა მოაწყო. თანდათანობით ნიჭიერი პორტრეტისტის სახელს იხვეჭდა. პირველი მსხვილი შეკვეთები, პირველი ჰონორარები... ენკია ბელგიას, საფრანგეთს, იტალიას, ინგლისს... დიდგვაროვან ბრიტანულ არისტოკრატებს ერთობ ეჭაშნიკებოდა ჰოლანდიელი მხატვრის გულმოდგინე, პედანტური მანერა, მისი გამართული ფერწერა და თანამედროვეთა პორტრეტებისათვის გარდასულ ეპოქათა ელვარებისა და სურნელის მინიჭების უნარი. ბრიტანეთის არისტოკრატებს აჰყვნენ მილიონერები ჩიკაგოდან თუ „ველური დასავლეთიდან“. ნავთობისა და ღორის მოშუშული ხორცის კონსერვთა მეფეებსაც ენადათ, რომ ნამდვილ მეფეებს მიმსგავსებოდნენ.

გაჭირვების უამმა ჩაიარა და დავიწყებას მიეცა. მაგრამ პატივმოყვარე ოცნება სიჭაბუკისა ვან მეეგერენს როდი დავიწყებია. წლების შემდეგ იგი ისევე შორს იყო მისი განხორციელებისგან, როგორც ახალგაზრდობისას. ვან მეეგერენს აქეზებდნენ, აქებდნენ, ხალისით ეპატიჟებოდნენ მაღალ საზოგადოებაში, სადაც დიდად აფასებდნენ თავაზიან, გონებამახვილ მხატვარს, რომელსაც შემკვეთთა გულის მოგება დიასაც ეწინაა და ემარჯვებოდა კიდევ. მაგრამ სათანადოდ მაინც არ აღიარებდნენ. გამოფენებზე მისი სურათები თითქმის შეუმჩნეველი რჩებოდა და რეცენზენტები თავიანთ მიმოხილვებში სულ რაღაც რამდენიმე

* ნიგინდან „ნაყალბევი შედეგები“.

სტრიქონს უთმობდნენ. სერიოზული კრიტიკა ან დუმილით უვლიდა გვერდს ანდა ამუნათებდა, დამოუკიდებელი არა ხარ და ნარსულის მხატვრებს ჰბაძავო. მუზეუმებიც მისი სურათების შექმნას ჯერჯერობით არ ეტანებოდნენ, რემბრანდტისა და ჰალსის მახლობლად შეგულებულ ადგილს სხვები იჭერდნენ.

მეგვერენი წარუმატებლობას ღრმად განიცდიდა, მაგრამ იმედს როდი კარგავდა. სწამდა, რომ ჭირვეულ ფორტუნას ოდესმე მოიხელთებდა და დიდი მხატვარი გახდებოდა. სულის სიღრმეში უჭოჭმანოდ სჯეროდა თავისი გენიალობა. კრიტიკოსთა და ხელოვნებათმცოდნეების შეხედულებას ხსნიდა მათი სიბუციითა ან შურით. ო, იმასაც მოვესწრები, რომ ისინი კუდის ქიცინით იბობლავენ ჩემს წინაშე, როგორც ნიდერლანდების დიდებული მხატვრობის ღირსეულთაგან ყველაზე ღირსეული მემკვიდრის ფერხითით.

— დიახ, მე მოვატყუე გერინგი და მისი ექსპერტები. სურათი, რომელსაც ყველა მიიჩნევდა ვერმეერ დელფტილის ნაწარმოებად, დავხატე მე, დიახ მე, მე, მე, მე...

ვან მეგვერენი ერთსა და იმავეს ჯიუტად, სასონარკვეთით იმეორებდა ყოველ დაკითხვაზე.

— და არა მარტო „ქრისტე და ცოდვილი დედაკაცი“. მე კიდევ ხუთი „ვერმეერი“ დავხატე: „ფეხბანა“ ამსტერდამის რეიკსმუზეუმში, „თავი ქრისტესი“ და „საიდუმლო სერობა“ ვან ბოინინგენის კრებულში, „კურთხევა იაკობისა“ ვან დერ ვორმის კოლექციაში. და სახელგანთქმული „ქრისტე ემაუსში“, ესეც ჩემია, როტერდამში, ბოიმანისს მუზეუმს რომ ამშვენებს. იმავე ბოინინგენსა და ვორმს მივყიდე პიტერ დე ჰოონის ორი სურათი, ისინიც ჩემი დახატულია.

პატიმარს ხმა ჩაუწყდა, ესოდენ უჩვეულო ალიარებად თითქოსდა სუელი შეუხუთაო. თვალები აქეთ-იქით გაურბოდა, შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა. დასაკარგავი აღარაფერი ჰქონდა.

— მოეშვით უარყოფას. ეს უკვე არაერთხელ მოვისმინეთ, — ვოინინგმა საქალაქიდან რაღაც ქალაქლები ამოიღო. — აი, რესტავრატორთა ლეიტვილერისა და ვან ბახემენის ბოლო დასკვნა. ისინი გვარწმუნებენ, რომ „ქრისტე ემაუსში“ — ესაა XVII საუკუნის მხატვრის ნაწარმოები და არა — XX საუკუნის მხატვრისა.

— არა, ჩემი დახატულია. როკბრიუნში, ნიცის მახლობლად, სადაც ომამდე ვცხოვრობდი, ჩემი ვილის სარდაფში ჯერ კიდევ შემონახული იქნება ეტიუდები, მონახაზები და სწორედ ის ჭურჭელიც, რომელიც მაგიდაზე გამოვსახე სურათში.

— კეთილი. შევამოწმებთ.

— მე დაგიმტკიცებთ, რომ ეს „ვერმეერები“ და „ჰოონები“ ჩემი დახატულია. მომეცით ძველი ტილო, ფუნჯები მაჩვის ბუნვისა, ის საღებავები, რომელთაც მივითითებთ, მომეცით მუშაობის შესაძლებლობა და მე თქვენს თვალწინ დავხატავ „ვერმეერს“ და ვერც ერთი ექსპერტი ნამდვილთაგან ვერ გააჩრევს.

ვან მეგვერენს ესმოდა, თუ რა ემუქრებოდა მარცხის შემთხვევაში. და მაინც არ უფრთხობდა ესოდენ სარისკო ექსპერიმენტს. ახლა, გამომძიებლის კაბინეტში მთელი წარსული ცხოვრება ეჩვენებოდა, როგორც საგულდაგულო სამზადისი ამ უკანასკნელი, გადამწყვეტი გამოცდისათვის.

და იგი მართლაც დიდხანს, საფუძვლიანად, აუჩქარებლად ემზადებოდა. მოქმედების გეგმა ჯერ კიდევ 20-იან წლებში მოუმნიფდა და იშვიათი მიზანსწრაფვით ახორციელებდა. თვეების განმავლობაში ჩაღრმავებით შეისწავლიდა XVII საუკუნის დიდი

ჰოლანდიელი მხატვრების ბიოგრაფიებსა და შემოქმედებას, მათი წერის მანერას, ტექნიკის თავისებურებებს. საბიბლიოთეო დარბაზების მყუდროებაში დაულალავად ფურცლავდა ძველისძველ, ჟამთაგან გაყვითლებულ მანუსკრიპტებს, გადმოიწერდა გრუნტებისა და საღებავების ლვლარწინლ რეცეპტებს. მეგობრული და თითქოსდა ბუნებრივი საუბრებისას თავის მეგობარს, რესტავრატორ თეო ვან ვეინგარდენს გამოსცინცლავდა XVII საუკუნის ფერწერული ტექნიკის საიდუმლოებებს. დაჟინებით ეძებდა ისეთსავე ფუნჯებს ნამდვილი მაჩვის ბუნვისაგან, რომლითაც ძველი ოსტატები ხატავდნენ. მთელი დღეები, — ბეჯითი შეგირდით, — ქაშანურის როდინში საღებავებს ლესდა. 12 ათას გულდენად (უზარმაზარი თანხა!) იყიდა მომცრო პარკი უძვირფასესი ლაჟვარდისა, ეს საოცრად სუფთა საღებავი, დღემდე რომ ელვარებს წარსულის მხატვართა სურათებზე. ანტიკვარიატში შეიძინა XVII საუკუნის უცნობი მხატვრის დიდი სურათი „ლაზარეს აღდგინება“: ფერწერას ჩარეცხავდი, ხოლო ძველ ტილოსა და ჩარჩოს გამოიყენებდი, მორჩა და გათავდა!

ეს იყო მეორე, ყველასგან დაფარული ცხოვრება მხატვრისა. „ერისკაცობაში“ კი ჰან ვან მეგვერენს იცნობდნენ მხიარულ, წარმატებულ პორტრეტისტად, კარგ ფულს რომ შოულობდა და ამქვეყნიური სიამენი სულაც არ ეუცხოებოდა. 1932 წელს ჰოლანდიიდან საფრანგეთის რივიერაზე გადაბარგდა და დასახლდა როკბრიუნში, განმარტოებით მდებარე ვილაზე, ჩრდილიანი ბაღით რომ იყო გარშემორტყმული. წინანდელმა ჰონორარებმა ნილად არგუნეს შედარებით მოკრძალებული, მაგრამ სავსებით უზრუნველი ცხოვრება რამდენიმე წლით.

ყველას, მხატვრის ცოლის ჩათვლითაც კი, ეკრძალებოდა შესვლა სახელოსნოში. აქ ოთხ კედელშუა, დახურულ კარს მიღმა, ვან მეგვერენი სასწაულთქმედებას ეწეოდა.

პირველ ცდებს სასურველი წარმატება არ მოუტანია. თავდაპირველად მხატვარმა დახატა მომცრო „მამაკაცის პორტრეტი“ — XVII საუკუნის ჰოლანდიელი მხატვრის გერარდ ტერბორჩის სულისკვეთებით. შემდეგ — „მსმელი ქალი“ ფრანს ჰალსის სტილში და ისევ მარცხი ელოდა. ეს ნამუშევრები ძალზე მიბაძვიითი და არადაამოუკიდებელი იყო, და სიახლოვე ნიმუშებით თვალში მყისვე გხვდებოდა. მაგრამ ვან მეგვერენს უკან არ დაუბრუნია.

მას განსაკუთრებით იზიდავდა სურათები შესანიშნავი ფერმწერის იან ვან დერ მეერისა დელფტიდან ანუ, როგორც ჩვეულებრივ უწოდებენ, ვერმეერ დელფტილისა. იგი, რემბრანდტთან და ჰალსთან ერთად, ჰოლანდიის უდიდეს მხატვრებს მიეკუთვნება.

თავის თანამედროვეთა უმრავლესობის მსგავსად, ვერმეერსაც, ძირითადად, საყოფაცხოვრებო თემატიკა იტაცებდა, ასახავდა ჟანრულ სცენებს ან ჟანრობრივი თემით განმსჭვალულ ალეგორიებს. შემონახულია, აგრეთვე, მისი ფუნჯით შესრულებული პეიზაჟები. მაგრამ იან ვან დერ მეერი თანამომემ ხელოვანთაგან სრულიად განცალკევებით იდგა, როგორც ადამიანი და როგორც მხატვარი. იგი განსხვავდებოდა ჰოლანდიელ ოსტატთა უმრავლესობისგან იმით, რომ გარკვეული პრობლემატიკა აინტერესებდა. ვერმეერს იტაცებდა ატიმოსფეროს, ბუნებრივი სინათლის, ფერთა ურთიერთმიმართების გადმოცემა. ის გაურბოდა ტონალურ (განსაზღვრული ტონისადმი დაქვემდებარება) გამას, ისევე როგორც ლოკალურს (როდესაც ყოველი საგნის გადმოსაცემად წინასწარ



ვან მეგვერენი

ავტოპორტრეტი

განსაზღვრული ფერია გამოყენებული — სინათლისა და ჰაერის ატმოსფეროს მიუხედავად).

მომდევნო საუკუნეთა მხატვრებს მან გაუსწრო იმით, რომ ცდილობდა გადმოეცა ფერთა უფაქიზესი ნიუანსები, განპირობებული ფერთა გარდატეხით — სინათლითა და ჰაერით განმსჭვალულ გარემოში. ამგვარი ეფექტების ძიებისას ვერმეერმა შექმნა ფერწერის თავისებური ტექნიკა — ფაქიზი და სკრუპულოზური. მისი ფერწერული ტილოები, გამორჩეული პოეტურობითა და ზემოთაგონებით არის აღბეჭდილი. ისინი გაჯერებულია ნათელი დღის სინათლითა და გამჭვირვალე ჩრდილებით, წმინდა, მჟღერი ფერებისა და მოვეცხლისფრო ნახევარტონების მუსიკალური ჰარმონიით.

რა გასაკვირია, რომ ამ მხატვარმა მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე სულ რაღაც რამდენიმე ათეული სურათი შექმნა? მათგან მხოლოდ ორმოცს მოუღწევია ჩვენამდე. განა ეს შეედრება სხვა ნებისმიერი ჰოლანდიელი ოსტატის ასობით ტილოს, იძულებული რომ იყო — ბაზრისთვის ემუშავა?

თანამედროვეებმა ვერმეერს ვერ გაუგეს და არც შეეძლოთ გაეგოთ. ამასთან, მისი ისედაც ცოტაოდენი ნაწარმოებნი ჩაიძირნენ ტერბორხის, მეტსიუსს, მირისის და სხვა მისი თვისტომების ნამუშევართა მასაში. ვერმეერი „აღმოაჩინეს“ XIX საუკუნის შუა წლების კრიტიკოსებმა, ხოლო აღზევებით იმპრესიონიზმის მხატვრებმა და თეორეტიკოსებმა აღაზვეეს. და სწორედ მაშინ გაჩაღდა მისი ნამუშევრების გაცხარებული ძიება. მაგრამ ისინი თითქმის არ შემორჩენილა. ყოველ ვერმეერს ოქროს ფასი ედო. აი, სად შეეძლოთ ხელის მოთბობა ნაყალბევის ოსტატებს. მაგრამ ვერმეერი — „კერკეტი კაკალია“; ყალბისმქნელები თავიანთ საკბილოდ ვერ აქცევდნენ.

და აი, სწორედ ეს არაჩვეულებრივი მხატვარი, ვისი სურათების კოპირებაც კი ძნელია, არათუ ნაყალბევის შექმნა, ვან მეეგერენმა ამოარჩია ნიმუშად. ვერავითარი დაბრკოლება ვერ აფერხებდა კადნიერსა და თავდაჯერებულ მხატვარს.

„ქალბატონი მუსიკის დაკვირვება“, „მანდოლინაზე დამკვრელი ქალი“... ვან მეეგერენის ოსტატობა ერთი სურათიდან მეორემდე სრულყოფილი ხდებოდა და მაინც არც ერთი მათგანი არ აკმაყოფილებდა მკაცრ ფალსიფიკატორს. ეს ჯერ არ იყო „ახალი ვერმეერები“, მხოლოდ — მეტნაკლებად განაფული კომპილაციები დიდი მხატვრის ცნობილი სურათებიდან: ერთიდან ნასესხები იყო მოდელი, მეორიდან — კომპოზიციური სქემა, მესამიდან — კოსტიუმი ანდა სკამ-ჭერჭელი. მეეგერენი რაღაც-რულაცებს, რა თქმა უნდა, თავისასაც უმატებდა, მაგრამ ნაყალბევის ხელოვნურობა და არაბუნებრიობა რომ გადაელახა, ეს ჯერჯერობით არ ძალუძდა. უშუალობისა და მღელვარე ცხოვრების ნაცვლად — შებორკილი პოზა, შინაგანი ერთიანობისა და განუმეორებელ თავისებურებათა ნაცვლად — კარგად ცნობილი სახეებისა და დეტალების მოხვალა.

არა, ეს იყო ჩიხი და ვან მეეგერენს ეს მშვენივრად ესმოდა. დამთავრებული, ოღონდ ხელმოწერილი სურათები მოსროლა სახელოსნოს შორეულ კუთხეში, სადაც უკვე ატუზულიყვენ დამტვერილი „ტერბორხი“ და „შალსი“. უნდა ეძებნა სხვა, პრინციპულად განსხვავებული გზა წარმატებისა. და ვან მეეგერენის მიერ მიგნებული გამოსავალი ღირსებას ანიჭებს მას, თუკი საერთოდ შეიძლება ვილაპარაკოთ ფალსიფიკატორის ღირსებაზე.

ვერმეერ დელფტელის ცხოვრება და შემოქმედება დღემდე, მეტწილად, უცნობი რჩება. მისი ბიოგრაფიის მთელი პერიოდები ამოვარდნილია სწავლულთა თვალსაწიერიდან. ვინ იყო მისი მასწავლებელი? ნამყოფია თუ არა ვერმეერი იტალიაში? ზოგი რამ მეტყველებს ამ ჰიპოთეზის სასარგებლოდ. რატომაა, რომ იგი, მკვიდრი პროტესტანტული დელფტისა, კათოლიკე იყო? იტალიაში ხომ არ გაკათოლიკდა? აი, ბიოგრაფიულ გაურკვევლობათა ამ „მღვრიე ნყალში“ გადანყვიტა ვან მეეგერენმა დაეჭირა თავისი ოქროს თევიზი.

და მართლაც, კათოლიკე ვერმეერს რატომ არ დაუტოვებია ჩვენთვის რელიგიური კომპოზიციები? ფალსიფიკატორმა ამ „ხარვეზის“ შევსება გადანყვიტა დიდი მხატვრის შემოქმედების სრულიად „ახალი“ დარგის შექმნით. რაკი ამ რელიგიურ კომპოზიციებს ვერაფერს შეადარებდი, ერთი ნაყალბევის მეორესთან შედარებალა რჩებოდა.

სიუჟეტის ძებნისას ვან მეეგერენი შეჩერდა სახარების ცნობილ ამბავზე, სადაც მოთხრობილია, მკვდრეთით აღმდგარი ქრისტე თავის მონაფეებს რომ გამოეცხადა ემაუსში. ნიმუშად კი აიღო შესანიშნავი იტალიელი მხატვრის კარავაჯოს მიერ იმავე თემაზე შექმნილი სურათის კომპოზიცია. ახლა რჩებოდა ყველაზე მთავარი — დახატვა სურათისა, და ისე უნდა დაეხატა, რომ ეჭვი არავის გასჩენოდა, ეს დიდი ჰოლანდიელი მხატვრის ნახელავი არ არისო.

თითქოსდა არაფერი დაეინყებია, ყველაფერი მოფიქრებულია და შემონმებული, ყოველი ნვრილმანი გათვალისწინებულია. ძველი ფერწერა ჩამორეცხილია „ლაზარეს აღდგინებიდან“: ტილო მზადაა. და XVII საუკუნის პანინაღმოსწავლის მიჭედებულია ქეჩარჩოზე. რბილი ფუნჯები ნამდვილი მაჩვის ბენვისა. ძველებური რეცეპტები, უძვირფასესი ლაჟვარდი, ხელით ნალესი საღებავები, რომლებიც ელვარებდნენ ვერმეერისა და მის თანამედროვეთა პალიტრაზე, იმდროინდელი ჭურჭელი ნატურმორტისათვის. სურათი გაუძღვებს ყოველგვარ შემონმებას: ამაში ვან მეეგერენი ღრმად იყო დარწმუნებული.

დიდხანს მუშაობდა, მოთმინებით, გულისყურით მუშაობდა. ყველაზე ძნელი იყო — „შემონმება სტილისა“, დრო-ჟამისი ძნელად მოსახელთებელი სურნელი, რომელიც ყოველთვის გვზიბლავს ნამდვილ ტილოებზე, რაღაც განსაკუთრებული ზემოთაგონება, XVII საუკუნის ჰოლანდიური ფერწერის მხოლოდ ცოტაოდენ ოსტატებს რომ სჩვევიათ.

აქ კი ვან მეეგერენს არავითარი დათმობა არ სწამდა. ბეჯითმა ფალსიფიკატორმა მარტოოდენ თავი ქრისტესი ოთხჯერ გადახატა, ხოლო მოძრაობას, რომლითაც ქრისტე პურსა ტეხს, მთელი ათი დღე სარკის წინ ამუშავებდა. როკბრიუნელი მეფუნთოშე, ალბათ, ფიქრობდა, რომ ჰოლანდიელი მხატვრის ვილაზე ცარიელა პურს მიირთმევდნენ, რადგანაც პურის შეკვეთები საგრძნობლად გახშირდა.

შვიდი თვე, შვიდი ხანგრძლივი თვე ყოველდღიური, დაძაბული მუშაობისა მოითხოვა სურათმა. და აი, საბოლოოდ, უკანასკნელი მოსმა ფუნჯისა. მხატვარი კიდევ ერთხელ და კიდევ, საგულდაგულოდ, შეავლებს თვალს თავის ქმნილებას. დიახ, სურათი ნაღდად მშვენიერია და მას ხელს მოანერდა თვით ვერმეერიც! მაგრამ ხელმონერა უნდა ყოფილიყო, როგორც იტყვიან, უზადო და დაუნუნარი. ვან მეეგერენი მთელი დღეები ვარჯიშობდა: თუნდაც პანანკინტელა, უზრალყო თვალისათვის შეუმჩნეველი დაყოფება ასოთა მოხაზულობისა შეაჭოჭმანებდა ეჭვიან ექსპერტებსა და გრაფოლოგებს.

მაშ ასე, სურათი დასრულებულია და ხელმონერილი. მერე ვან მეეგერენმა მთლიანად დაფარა იგი ყავისფერი ლაქით, რომელმაც ნამუშევარს დრო-ჟამის ფიფქი მიანიჭა. კრიალა, მოციმციმე საღებავები დაიბინდა, ვირტუოზულად შესრულებული ხელმონერა მიიჩქმალა, მაგრამ სამაგიეროდ მთელმა ტილომ განსაკუთრებული, „სამუზეუმო“ კოლორიტი შეიძინა, ამჟამად ძველ ოსტატთა ნაწარმოებებს რომ ახასიათებს.

წინ იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი მუშაობისა: სურათი სამასი წლით უნდა „დაებერებინა“. ვან მეეგერენმა თავის საუკეთესო ქმნილებას, შეუდრეკლად, უმკაცრესი გამოცდა მოუწყო. იგი სურათს აშრობს 100-120 გრადუს ტემპერატურაზე, ტილოს ცილინდრულად ახვევს, სამაგიეროდ საღებავის ფენისთვის დამახასიათებელი ბზარები ნამდვილივით გამოიყურება. ყველა კვალი რომ წაეშალა, მხატვარმა ფაქიზად შეღება ბზარები შავი ტუშით. ახლა კი თუნდაც მთელი ვეროპის კრიტიკოსები მობრძანდნენ, — ათასი შანსი ერთის წინააღმდეგ, — ვერც ერთი მათგანი ვერ მიხვდება ნაყალბევი!

მაგრამ როგორ უნდა გამოამხეურო? ახალშექმნილი ვერმეერი საზოგადოებას როგორ უნდა მიართვა? ესოდენ დიდი „ალმოჩენით“ კაცობრიობა რანაირად უნდა გააბედნიერო?

სხვა რამ იქით იყოს, მაგრამ ფანტაზიის სიღარიბეს არასოდეს შეუნუხებია ვან მეეგერენი. თავის მეგობარს, ჰოლანდიელ იურისტს კ. ა. ბოონს უამბო რომანტიკული, მაგრამ საერთოდ დამაჯერებელი არაკი იმაზე, თუ მან, ვან მეეგერენმა, როგორ იბოვა იტალიაში „ქრისტე ემაუსში“, მერე კონტრაბანდით, საბაჟო კანონთა გვერდის ავლით, ლამის სასიკვდილო ხიფათში თავს რომ იგდებდა, რომელიღაც იალქნიანი გემით ჩამოიტანა სურათი მონტე-კარლოში. ბოონს, როგორც მოსალოდნელი იყო, ეს ნაამბობი არ გაუსაიდუმლოებია და მალე ამბავი ვან მეეგერენის ნაპოვნისა საყოველთაოდ გახმაურდა.

საფრანგეთის რივიერაზე იმ წლებში ცხოვრობდა ჰოლანდიური ფერწერის ერთ-ერთი უდიდესი მცოდნე, ავტორი კაპიტალური შრომებისა, რომელთაც თავიანთი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავთ, დოქტორი აბრაჰამ ბრედისი. იგი ყურადღებით გაეცნო სურათს, დააკვირდა ხელმოწერას და დაასკვნა, რომ „ქრისტე ემაუსში“ ადრეული ვერმეერ დელფტელის ნამდვილი და, ამასთან, პირველხარისხიანი ნაწარმოები იყო. იმავე 1937 წლის შემოდგომაზე სოლიდურ ინგლისურ ჟურნალში „Burlington Magazine“ გამოჩნდა ბრედისის პუბლიკაცია ვერმეერის შედევრის პოვნის თაობაზე.

ძრავა ჩაირთო და მანქანა გაქანდა რელსებზე. შესახებ სურათისა „ქრისტე ემაუსში“ ალაპარაკდნენ ხელოვნებათმცოდნენი, კრიტიკოსები, ანტიკვარები. ვან მეეგერენს ისლა დარჩენოდა, რომ მივლენათა მსვლელობის რეგულირება მოეხდინა და უამრავ შეთავაზებათაგან ყველაზე ხელსაყრელი და საბავტიო აერჩია. როკბრიუნში მოსალაპარაკებლად მოვარდა სურათმწვანე დ. ა. ჰუგენდეიკი. სურათმა „ქრისტე ემაუსში“ დაინტერესა „ხელოვნებათა ჰოლანდიელი მოყვარულების საზოგადოება რემბრანდტის სახელობისა“, რომელიც ხელოვნების ნაწარმოებთ იქნდა ნიდერლანდების მუზეუმთათვის. ბოლოს და ბოლოს, ამ საზოგადოების დავალებით კოლექციონერმა დ. გ. ვან ბონინგენმა 550 ათას გულდენად შეიძინა „ქრისტე ემაუსში“, რომელიც გადაეცა ბონინგენს მუზეუმის როტერდამში; ვან მეეგერენმა მიიღო 340 ათასი, ხოლო ჰუგენდეიკმა — როგორც კომისიონერმა — დანარჩენი.

მუზეუმში სურათი გამოცდილი და დახელოვნებული რესტავრატორის ხელთ მოხვდა. სამი თვის განმავლობაში იგი აკვირდებოდა მის მდგომარეობას, ფრთხილად ასუფთავებდა გამუქებული ლაქისა და „დრო-ჟამის“ დანაშრევთაგან, ახალტილოს ქმნიდა სურათქვეშ. 1938 წლის სექტემბერში „ქრისტე ემაუსში“ პირველად აჩვენეს ფართო საზოგადოებას ჰოლანდიური ფერწერის 450 შედევრის გამოფენაზე.

წარმატება გასაოცარი იყო. აღფრთოვანებულ მნახველთა ჯარი გამუდმებით ფუსფუსებდა სურათის წინაშე. სპეციალისტებისა და კრიტიკოსთა დიდმა უმრავლესობამ „ქრისტე ემაუსში“ გამოაცხადა ვერმეერის ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო და ყველაზე სრულყოფილ ქმნილებად. „სასწაული გამოცხადებისა იქცა ფერწერის სასწაულად“, — წერდა ხელოვნებათმცოდნე დე ფრისი. გერმანელმა მკვლევარმა კურტ პლიტცშმა რეპროდუქციები სურათიდან მოათავსა თავის საფუძვლიან მიმოგრაფიაში ვერმეერ დელფტელის შემოქმედების შესახებ. იშვიათად თუ ვინმე არ დამორჩილებია მაშინ სურათის ხიზს, იშვიათად თუ ვინმე არ დაუტყვევებია მის ღრმა შინაარსიანობას, პერსონაჟთა თავისებურ ზეშთავილებას, კოლორიტის თვალსაჩინო სილამაზეს. თავდაპირველად ამ უდავო ღირსებებს მკვლევართა ყურადღება რალაცნაირად გადაჰქონდათ მხატვრის წვრილწვრილ ხინჯთაგან, სურათის ჩაღრმავებული მხატვრულ-სტილისტური და ტექნოლოგიური ანალიზისგან. უეცარმა შოკმა თითქოსდა ყველა გააოგნა, დიდი ალმოჩენის თვალისმომჭრელმა სიხარულმა ყველა დააბრმავა. ვან მეეგერენიც სწორედ ამას ვარაუდობდა და ეს ვარაუდი ბრწყინვალედ გამართლდა.

მაგრამ თავლით სავსე კასრში ერთი კოვზი კუპრი მაინც შეერია. 1939 წელს „პირველალმოჩენი“ აბრაჰამ ბრედისი დაეჭვდა, რომ „ქრისტე ემაუსში“ ნამდვილად ვერმეერის ფუნჯს ეკუთვნისო და თავისი ნაჩქარევი ატრიბუცია უარყო. მაგრამ იმჟამად მისი განცხადება ხანდაზმული სწავლულის ახირებად მიიჩნიეს და ყურად არ იღეს. მცირერიცხოვან ექსპერტთა გაფრთხილებანი, ფხიზლად იყავითო, დითირამბების ერთსულოვან ქოროში მთლიანად ჩაიკარგა.

ეს იყო ტრიუმფი, დიდი ხნის ნანატრი, შვილივით გამოზრდილი ტრიუმფი, რასაც მთელი ათი წლის სიცოცხლე მიეძღვნა. მიზანი მიღწეულ იქნა და ვან მეეგერენს შეეძლო, რომ სრული და აბსოლუტური გამარჯვებით დამტკბარიყო.

ხანგრძლივი დაკითხვით დაღლილი ვან მეეგერენი დადუმდა. ინსპექტორი ვოონინგი უსმენდა და ერთხელაც არ გაუწყვეტინებია სიტყვა.

— კეთილი. დაეშვით, რომ ყველაფერი სწორედ ასე იყო. თქვენი სურათი ვერმეერ დელფტელის ნაწარმოებად მიიჩნიეს, დიდმა მუზეუმმა შეიძინა, ახლა თავისუფლად შეგეძლოთ, რომ თქვენი იონი გაგემულავენინათ და ეს ყოველისმცოდნე კრიტიკოსები მასხრად აგეგდოთ. განა ასე არაა? მაგრამ ეს ხომ არ გაგიკეთებიათ?

— დაიხ, — ვან მეეგერენის ხმა ყრუდ ჟღერდა. — მე განვაგრობდი ნაყალბევთა შექმნას. მე მენადა, რომ ჩემი სურათები საუკეთესო ეროვნულ მუზეუმებში გამოეფინათ. ჩემს მოღვაწეობას მე განვიხილავდი როგორც პროტესტს იმ დამცირებათა წინააღმდეგ, რომელთა გადატანა მომინია კრიტიკოსთა ხროვლის მხრიდან. და ვარდა ამისა, მე ძალიან მიყვარს ძველი ოსტატების ფერწერა...

— ხოლო ხუთნახევარი მილიონი გულდენის დოვლათი ამ მხურვალე სიყვარულის ნაყოფია?

ვან მეეგერენს ამაზე კრინტი აღარ დაუძრავს. მაგრამ ახლა ციხის საკანში საკუთარ თავთან მარტოდმარტო რომ დარჩა, ინსპექტორის ირონიული ჩაცინება ველარ დაევიწყებინა.

ის ცრუობდა. ცრუობდა დაკითხვაზე. მთელი ბოლო წლები საკუთარ თავსაც ატყუებდა. მაგრამ შენს თავს მად გაექცევი... ახლა ვერავითარი „ამაღლებული“ მოტივები მის ნამდვილ გულისნაღილს ველარ დაფარავდა. მისმა სურათმა ყველა გამოცდას გაუძლო, მაგრამ თავად მხატვარი ოქროთი გამოცდაში ჩაიჭრა.

ფული, ფული და კიდევ ფული! იმ გულდენებმა, რაც სურათში „ქრისტე ემაუსში“ გადაუხადეს, მხოლოდ მადა გაუღვიძა.

1938-1939 წლებში ვან მეეგერენი ორ სურათს ხატავს XVII საუკუნის გამოჩენილი ჰოლანდიელი მხატვრის პიტერ დე ჰოონის საყოფაცხოვრებო ტილოების სულისკვეთებით. სურათთან „ქრისტე ემაუსში“ შედარებით ეს იყო უკან გადადგმული ნაბიჯი: კომპილაცია, უკვე ცნობილი ხერხების, დეტალების, სახეთა გამოყენება. მაგრამ მიუხედავად ამისა მყიდველები მისვე გამოჩნდნენ. ერთი სურათი — „მოქიფე კომპანია“ — შეიძინა ჩვენთვის უკვე ნაცნობმა ვან ბონინგენმა; მეორე სურათი — „ბანქოს მოთამაშე კომპანია“ — როტერდამელმა კოლექციონერმა ვ. ვან დერ ვორმმა. ფალსიფიკატორმა დაახლ. 350 ათასი გულდენი ჩაიღო ჯიბეში.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისას ვან მეეგერენი ჰოლანდიაში ბრუნდება და მყუდრო კარ-მიდამოს ყიდულობს ლარენში. მტრის მიერ ოკუპირებული სამშობლოს ტრაგედიას მხატვარი მაინცდამაინც არ აუღელვებია. ომის სიმძიმე მას არ ეხებოდა: მდიდარი ადამიანები, — ვან მეეგერენი კი უკვე მდიდარი გახლდათ, — ნებისმიერ ხელისუფლებას მოერგებიან ხოლმე. უფრო მეტიც, ომისდროინდელი არეულ-დარეულობის ატმოსფერო, როდესაც ფაშისტური „კულტურტრეგერები“ დაპყრობილ ქვეყნებს უტიფრად ძარცვავდნენ, როდესაც ფასდაუდებელი ქმნილებანი ილუპებოდნენ, ხოლო მოთხოვნილება ძველ ოსტატთა სურათებზე უფრო და უფრო იზრდებოდა, — ამგვარი ვითარება, როგორც არასდროს,

ხელს უწყობდა ჩაფიქრებულ აფიორებს. ღრმა, საფუძვლიანი ექსპერტიზებისათვის დრო აღარ რჩებოდა, და ჩუმ-ჩუმად სალდებოდა ბევრი რამ, რაც მშვიდობიან წლებში დაეჭვებას გამოიწვევდა. მით უფრო, რომ ახალი ნაყალბევი სურათები, შესრულების მხრივ, გაცილებით დაბალ დონეზე იდგნენ, ვიდრე „ქრისტე ემაუსში“.

ვან მეეგერენი, როგორც იტყვიან, მომენტს იჭერდა. მის მიერ მიგნებული ოქროვანი ძარღვის გამოფიტვა ჯერ შორს იყო. სამი წლის მანძილზე — ხუთი ახალი „ვერმეერი“ და ყველანი რელიგიურ თემებზე. მართალია, დაახლოებით იმავე ხანებში წარმოიქმნა მითქმა-მოთქმაც, აქ რალაც მამაძალლობა არისო. უკვირდათ, ამდენი ვერმეერი ერთი კაცის ხელში რატომ, საიდან და როგორ მოხვდა? და ის სურათებიც, რომლებსაც ვან მეეგერენი თავის სახელს აწერდა, მანერით საეჭვოდ წააგავდა ამ ტილოებს. თუმცა მაშინ ამ მითქმა-მოთქმას ყური ნაკლებად ათხოვეს. ისინი მოგვიანებით გაახსენდათ.

„თავი ქრისტესი“ შეიძინა ვან ბოინინგენმა. მასვე მიჰყიდეს, ანტიკვარების ჰუგენდეკისა და სტრეიბისის შუამავლობით, „საიდუმლო სერობა“. ვ. ვან ვორმმა, თავის მეტოქეს რომ არ ჩამორჩენოდა, სასწრაფოდ შეიძინა „კურთხევა იაკობისა“. 1943 წელს რეიკსმუზეუმი ამსტერდამში — ჰოლანდიის უდიდესი მუზეუმი — ყიდულობს „ფეხთანას“. და დასასრულ „ქრისტე და ცოდვილი დედაკაცი“ თვით გერინგის კოლექციაში მოხვდა.

ოთხასი ათასი, მილიონ ორას ორმოცდაათი ათასი, მილიონ ორას სამოცდათხუთმეტი ათასი, მილიონ ექვსასი ათასი, მილიონ ექვსას ორმოცდაათი ათასი — გულდენები, გულდენები! კარმიდამო ლარენში, მდიდრული ბინა კაიზერსგრაპტზე, ბრჭყვიანა ოქრო და ასიგნაციათა მძიმე, სქელ-სქელი დასტები...

— ბატონი ჰან ანტონიუს ვან მეეგერენი ბრძანდებით? აი, დაპატიმრების ორდერი.

— აღიარებთ თუ არა თავს დამნაშავედ კოლაბორაციონიზმში?

— ეს სურათები მე დავხატე, მე, მე...!

გამოძიება ჯერ არ იყო დამთავრებული, მაგრამ ვან მეეგერენი სასამართლომდე გირაოთი გაათავისუფლეს. მის სახელსწრის კაიზერსგრაპტზე მიიტანეს ძველებური ტილო, აუცილებელი ფუნჯები და საღებავები. მხატვარი მუშაობაში ჩაეფლო.

ეს იყო მისი უკანასკნელი კოზირი თამაშში — დიდ თამაშში, რამეთუ ფსონად იყო არა მორიგი მილიონი გულდენი, არამედ სიცოცხლე ავტორისა. ვან მეეგერენი ხატავდა თავის მეშვიდე და უკანასკნელ „ვერმეერს“ — სურათს „ქრისტე მოძღვართა შორის“. ჩინოსანი პოლიციელები მუდმივად მორიგობდნენ სახელოსნოში. მხატვრის ზურგსუკან ცნობის-მოყვარეობს მოეყარათ თავი: უცხო თვალს ახლა ვეღარ დაემალეოდა. ყოველივე ეს, რასაკვირველია, დაეტყო ნამუშევრის ხარისხს, მაგრამ მთავარი მიზანი მიღწეულ იქნა: უდიდესმა სპეციალისტებმა აღიარეს, რომ ჰან ვან მეეგერენი შეიძლება იყოს ნაყალბე ვერმეერთა ავტორი.

მაგრამ ნამდვილად იყო თუ არა? ამ კითხვაზე პასუხი უნდა გაეცა ექსპერტთა ავტორიტეტულ კომისიას, რომელსაც სათავეში ედგა ბრიუსელის სამხატვრო მეგვიდრეობის ინსტიტუტის დირექტორი პოლ კორემანსი. თვალსაჩინო ხელოვნებათმცოდნეებმა, რესტავრატორებმა, ძველ ოსტატთა ტექნიკის მცოდნეებმა საფუძვლიანად შეისწავლეს ექვსი „ვერმეერი“ და ორი „დე ჰოოხი“. მკვლევართა არსენალში შედიოდა ყველა უახლესი ტექნიკური საშუალება — რენტგენი, მიკროქიმიური ანალიზი და ა.შ. კომისიამ გამოაცხადა თავისი დასკვნა: ყველა სურათი შესრულებულია XX საუკუნის შუა წლების მხატვრის — ჰან ვან მეეგერენის მიერ.

რამდენიმე თვის შემდეგ კი, 1947 წლის 28 ოქტომბერს ამსტერდამის სასამართლოს მეოთხე დარბაზში დაიწყო პროცესი ფალსიფიკატორისა. ბრალდება კოლაბორაციონიზმში მოუხსნეს; რჩებოდა მხოლოდ ხელოვნების ნაწარმოებთა

ყალბისმქნელობა გამოჩენის მიზნით. ბრალდებულმა თავი დამნაშავედ სცნო. 12 ნოემბერს გამოტანილ იქნა განაჩენი: პატიმრობა ერთი წლით.

ვან მეეგერენმა თავის უკანასკნელ სიტყვაში სთხოვა სასამართლოს, რომ მისთვის ციხეში პორტრეტების ხატვის ნება მიეცათ: ახლა ისე ვარ სახელგანთქმული, როგორც არასდროს, და შემკვეთებს თვლა არ ექნებათო. მის პატივმოყვარეობას პრესისა და საზოგადოების ყურადღება, ჩანს, ეამებოდა და ლმობიერი სასჯელით საკმაოდ კმაყოფილი მომავლის დიდ გეგმებს აწყობდა.

მაგრამ ამ გეგმებს განხორციელება არ ეწერა. 1947 წლის 30 დეკემბერს ამსტერდამის ციხის ტუსალი ჰან ანტონიუს ვან მეეგერენი უეცრად გარდაიცვალა — გული გაუსკდაო.

სამი წლის შემდეგ ჩატარდა აუქციონი, სადაც გაიყიდა ნამუშევრები „დიდი ფალსიფიკატორისა“, როგორც გაზეთებში ეძახდნენ ვან მეეგერენს. „ქრისტე მოძღვართა შორის“ სამი ათასი გულდენი ღირდა; დანარჩენი ნაყალბეები — თითო ადიოდა სამას გულდენამდე. ეს იყო უკანასკნელი განაჩენი.

თხრობა ამით შეიძლება დასრულებულიყო... გავიდა წლები. ვან მეეგერენის თაღლითობამ საიხლის ინტერესი დაკარგა. ყველაფერი თითქოს თავ-თავის ადგილზე დალაგდა.

მაგრამ საქმე ჯერ არ დახურულა. ფალსიფიკატორის მსხვერპლებმა საგრძნობი მორალური და მატერიალური ზარალი განიცადეს. მათი კოლექციების „შედეგები“, ფაქტიურად, გაუფასურდა, ხოლო ხელოვნების მცოდნეთა რეპუტაცია ფრიად შეიბღალა. ყველა როდი შეურიგდა ამ სავალალო შედეგებს.

ვან მეეგერენის სიკვდილისთანავე კოლექციონერმა ვან ბოინინგენმა ბელგიის სასამართლოში აღძრა სარჩელი მთავარი ექსპერტის, პროფესორ პოლ კორემანსის წინააღმდეგ. ყველაზე დამაჯერებელმა არგუმენტებმაც კი ვერ გადაარწმუნეს ვან ბოინინგენი: მას ეწადა დემეტრიცები, რომ ყველა თუ არა, ორი სურათი მაინც — „ქრისტე ემაუსში“ და „საიდუმლო სერობა“ მიეკუთვნება არა ვან მეეგერენის, არამედ იან ვერმეერ დელფტელის ფუნჯს. არაერთი წლით გაჭიანურდა ეს უსასრულო პროცესი მრავალ ინსტანციაში და არავითარი შედეგი არ მოუტანია, მაგრამ ჯიუტი კოლექციონერი იარაღს არ ყრიდა.

კაცმა რომ თქვას, სამეცნიერო ჭეშმარიტება აღდგენილია და მასთან შედავება ჭირს. მაგრამ ყოველთვის გამოჩნდებიან ხოლმე ადამიანები, რომლებიც ლამობენ უარყონ ექსპერტთა დასკვნები და აღიარება თავად ვან მეეგერენისა, ვისაც სიკვდილის შემდეგ, განდიდების მანიას მიანერენ. 1949 წელს პ. კორემანსმა ამსტერდამში გამოაქვეყნა ნიგნი „ნაყალბევი ვერმეერები და დე ჰოოხები ვან მეეგერენისა“. მის საპასუხოდ როტერდამში გამოცემულ იქნა ნიგნი პრეტენზიული სათაურით: „ვერმეერ-ვან მეეგერენი. დაბრუნება ჭეშმარიტებასთან“, ცდა იმის დამტკიცებისა — იმავე ვან ბოინინგენის გასახარად, — რომ ნაყალბევი სურათები ნამდვილად ვერმეერისაა, გამოდგა მცდელობა უმსგავსი ხერხებით. ა. ლავაშერიმ, ავტორმა 1954 წელს გამოცემული ნიგნისა „ვერმეერ-ვან მეეგერენი. ნაყალბევი და ნამდვილი“, საკვებით დაუჭირა მხარი კორემანსისა და მისი კოლეგების თვალსაზრისს.

დავა და პროცესები კიდევ კარგა ხანს გრძელდებოდა. მაგრამ როდესაც ვან მეეგერენის აფიორა დაიწყებას მიეცემა და მარტოოდენ ისტორიკოსთა ავლადივად იქცევა, მაშინაც კი უკანასკნელი ნერტილის დასმა არ ეგების, რამეთუ ვიდრე არსებობენ ფალსიფიკატორები და ვიდრე უნამუსო საქმოსნები გამოჩენის გულისათვის კულტურულ ფასეულობათა ფრიად საეჭვო სუროგატებს ამზადებენ, საქმის დახურვა ჯერჯერობით ნაადრევი გახლავთ.

რუსულიდან თარგმნა
ლ. შ. გიორგაძე

გოჩა კუჭუხიძე

„გზად დაღლილი არავის ვუნახივარ“

ელიზბარ ჯაველიძეს 75 წელი შეუსრულდა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებული (რედაქტორები: აპოლონ სილაგაძე, მარიკა ჯიქია, ელისაბედ მაჩიტაძე), რომელიც ორ ნაწილად არის დაყოფილი; პირველ ნაწილში ბ-ნ ელიზბარზე, როგორც მეცნიერსა და მოღვაწეზე, საუბრობენ ჩვენი ცნობილი მეცნიერები, მწერლები, მეორე, რომელშიც სამეცნიერო სტატიებია თავმოყრილი, ენისა და ლიტერატურის, ისტორიოგრაფიის საკითხებს ეხება. წიგნი გამოცემულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საგამომცემლო-სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დაბეჭდილია მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში.



შეუძლებელია, ერთ წერილში სრულყოფილად წარმოვარჩინოთ მთელი შინაარსი წერილებისა და სტატიებისა — ავტორები დიდი სიყვარულით საუბრობენ ამ ჩინებულ მეცნიერსა და პედაგოგზე, საზოგადო მოღვაწეზე, წარმოჩენილია მისი, როგორც რედაქტორის, კრიტიკოსის, ღვაწლი, ვხედავთ მოქალაქეს, პიროვნებას... მრავალი სიახლე და საინტერესო აზრია გამოთქმული სამეცნიერო ნაშრომებში...

კრებულის პირველი ნაწილი იხსნება აპოლონ სილაგაძის წერილით — „თურქოლოგიის ლიდერი“. ავტორი ჯერ ქართული ორიენტალისტიკის ერთ-ერთ უპირველეს ფუძემდებლებს — აკადემიკოსებს: გიორგი წერეთელსა და სერგი ჯიქიას — ახსენებს და შემდეგ გადააქვს სიტყვა სერგი ჯიქიას მონაფე — ელიზბარ ჯაველიძეზე, რომელიც შემდგომ „საქვეყნოდ აღიარებული აღმოსავლეთმცოდნე, თურქული ლიტერატურის საუკეთესო მკვლევარი, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ცნობილი ფიგურა“ გახდა...

კრებულის ამ ნაწილში როინ მეტრეველი („მეგობრის თვალთ დანახული სიკეთე“) ყურადღებას ამახვილებს თურქოლოგიის განვითარებაში ელიზბარ ჯაველიძის მიერ შეტანილ დიდ წვლილზე, აღნიშნავს, რომ „მისმა შრომებმა მნიშვნელოვნად აამაღლეს ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის და ლიტერატურათმცოდნეობის მეცნიერული დონე“, წარმოჩენილია, რომ, თურქულთან ერთად, ელიზბარ ჯაველიძეს დიდი წვლილი აქვს შეტანილი სპარსული, აზერბაიჯანული, უზბეკური ლიტერატურის კვლევაში... რომ მან პუბლიცისტური წერილებით დიდი ზეგავლენა მოახდინა ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე...

რამაზ ხუროდის წერილში — „განსხვავდეთ, უარყო და ნინ აღუდგა“, უკვე სათაურით გამოხატავს სათქმელს, — ელიზბარ ჯაველიძე გამორჩეულია როგორც ეროვნული ადამიანი, უკომპრომისო პიროვნება... როგორც ავტორი წერს: „მთელი მისი ცხოვრება მაგალითია, თუ როგორი ღირსებით შეიძლება იღვწოდეს ადამიანი სხვადასხვა სფეროში: მეცნიერებაში, ლიტერატურაში, პოლიტიკაში — და დარჩეს ყველგან შეუვალი, საკუთარი პრინციპების ერთგული“...

ივანე ამირხანაშვილის წერილში — „წიგნი — ავტობიოგრაფი“ ელიზბარ ჯაველიძის ლიტერატურული სტატიების კრებული „უკეთეს სულითა“ არის განხილული... ავტორი საუბრობს ელიზბარ ჯაველიძის პოლემიკურ წერილებზე და ეს კი უკომპრო-

მისო პიროვნებისა და ჩინებული პროფესიონალის წარმოჩენის საშუალებას აძლევს. წერილში კარგად არის გამოკვეთილი ის პრობლემები, რომელთა წინაშეც ქართველი ერი დგას და რომლებზეც ელიზბარ ჯაველიძე საუბრობს: 1. ანალიზის მოდელის არქონა, 2. ბრმა მიმბაძველობა, 3. იდეოლოგიური კონიუნქტურა, 3. დაბალი პროფესიონალიზმი, 4. მეთოდოლოგიური ცოდნის სიმწირე...

როსტომ ჩხეიძის ესეიში — „საფეხურები ღვთისაკენ“ სულიერ-რწინდული ძმობის — „ფუთუვეთის“ შესახებ არის საუბარი. ეს საკითხები ელიზბარ ჯაველიძეს აქვს მრავალმხრივ შესწავლილი. როსტომ ჩხეიძე ღრმად გასცნობია მის მონოგრაფიას და თავისი მკაფიოდ ჩამოყალიბებული სტილით ძალიან ფართოდ მიმოიხილავს ამ მისტიკური სწავლების არსს... მსჯელობს ორთოდოქსიასთან ფუთუვეთის მიმართების, სულიერი აღმასვლის საფეხურების მიმდევარი საძმოს წევრთა სახელთან ლაშა-გიორგის შესაძლო კავშირის, ამ საძმოდან ყარაჩოღლეთა მომდინარეობის, მათთან „არიფონის“ მიმართებისა და სხვა საკითხებზე... ღვინო სუფისტიკისთვის მისტიკური თრობის საშუალება, სიმბოლო, „არიფონისათვის“ კი — შემოქმედებითი თრობის სიმბოლური განსახიერება იყო...

ემოციურობით გამოირჩევა ლადო მინაშვილის სიტყვა („გზად დაღლილი არავის ვუნახივარ“), რომელიც მას ბოლნისში ელიზბარ ჯაველიძისადმი მიძღვნილ საღამოზე წარმოუთქვამს და რომელიც კრებულში წერილის სახითაა წარმოდგენილი, — ბ-ნ ელიზბარზე, როგორც ეროვნულ მოღვაწეზე, უკომპრომისო პიროვნებაზეა მთავარი ყურადღება გადატანილი...

უნა შერაზადიშვილი მემუარულ ჩანახატში — „თავისუფალი სიტყვის ოაზისი“ თავისი სტუდენტობის წლებს, ბ-ნ ელიზბართან ერთად გატარებულ დღეებს, შემდეგ კი გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ მასთან ერთად მუშაობის წლებს იხსენებს... ეს ის დროა, როცა ძირითადად ელიზბარ ჯაველიძის დამსახურებით ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ ცენტრად იქცა „ლიტერატურული საქართველო“...

ბ-ნი ელიზბარის უკომპრომისო, თამამი, პირდაპირი პიროვნება ჩნდება ანდრო ბედუკაძის წერილიდან — „მეგობრობის კაცი“... ავტორი წერს, რომ ელიზბარ ჯაველიძისათვის „ვიწმეხ დახმარება, მოყვასის სამსახური მთელი რიტუალია და ეს უდიდეს სიხარულს ანიჭებს“. გაზეთში მოღვაწეობის წლების შესახებ იქვე ასეთ სიტყვებს წაიკითხავთ: — „მეხისგავარდნასავით გაბრაზება იცოდა ბატონმა ელიზბარმა, მაგრამ შერიგება იყო ისეთი, რომ თუ წყენა გქონდა კაცს, მაშინვე დაგავიწყდებოდა და აღარასოდეს გაიხსენებდი“...

გულწრფელი სიყვარულით წერენ ავტორები, მათ საუბარში ნათლად იხატება ელიზბარ ჯაველიძის, როგორც მეცნიერისა და მოქალაქის, როგორც კარგი ადამიანის სულიერი პორტრეტი...

კრებულის მეორე ნაწილი იწყება ავთანდილ არაბულის ნაშრომით „არქაიზმი — როგორც კომიკურის საფუძველი“. ავტორი კარგად წარმოაჩენს, თუ როგორ მიმართავენ ქართველი მწერლები, მთარგმნელები არქაულ მეტყველებას, რათა ამით კომიკური, ირონიული განწყობა გამოხატონ პერსონაჟის მიმართ... როცა ამალღებულნი, არქაული სტილით მაღალი სულიერებისაგან დაცილებულ ადამიანზე წერ, მაშინ ირონიად უკვე თავისთავად იქცევა ეს სტილი... აი, მაგალითად, როგორ გოდებს ვაჟა-ფშაველას პერსონაჟი — კოსტა („გოდება დიაკვნისა“): — „იყო ოსეთსა შინა მღვდელი სოლომონ და მე მას თანა დიაკვნად. და იყო მუნ შემოსავალი „პრიხოდსა“ მის „ფრიად-ფრიადი“ ქორონიკონსა ჩყპგ-სა (1883 წ.) გინა პურითა, გინა არყითა, გინა კარაქითა და ყველითა ოსურითა“... ავთანდილ არაბული სხვა მაგალითებსაც გვიჩვენებს ქართული მწერლობიდან... გურამ გოგი-

აშვილის მიერ „გარგანტუა და პანტაგრუელის“ ქართულ თარგმანში არქაიზმების გამოყენების შესახებაც მსჯელობს...

ვალერი ასათიანის ნაშრომში „**ელინოლოგიური ჩანაწერები**“ წარმოდგენილია ქართულ მწერლობაზე ელინიზმის გავლენის კვალი... ავტორის აღნიშვნით, „ქართულ ლიტერატურაში ელინიზაციის პროცესი დაიწყო XI საუკუნის მეორე ნახევარში ეფრემ მცირის მიერ, რომელიც სათავეს უდებს ელინოფილურ მიმართულებას ჩვენს მწერლობაში“. წერილში საუბარია: რუსთველის, ვახტანგ VI-ის, იოანე ბატონიშვილის... შემდეგ — ოთარ ჭილაძის, გალაკტიონ ტაბიძის... შემდეგ კი — ლამა გახარიას შემოქმედებაში ელინური ნაკადის შესახებ... წერილი ძალიან საინტერესოა... როგორც ჩანს, ეს არის მასალა მომავალი გამოკვლევებისათვის, რაზეც მისი სათაურიც მიგვანიშნებს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში ვალერი ასათიანის ძალზე საინტერესო გამოკვლევას მიიღებს მკითხველი...

გიორგი ალიბეგაშვილი ნაშრომში „**გეოგრაფიულ მხარეთა სახისმეტყველება**“ ბიბლიაში, პატრისტიკაში, ქართულ ჰაგიოგრაფიაში მხარეთა სიმბოლურ მნიშვნელობებს განმარტავს... იკვლევს, თუ რა სიმბოლური დატვირთვა ენიჭება მხარეებს ქართულ ჰაგიოგრაფიაში... ღირებულია მისი დაკვირვება, რომ წმიდა ნინოსა და იოანე ზედაზნელის „ცხოვრებებში“ სიტყვები — „ქუეყანაძ ჩრდილოეთისაძ“, რაც სიმბოლურად იმ შინაარსის მატარებელია, რომ ქართლი წმიდა ნინოსა და, ასევე, ასურელი მამების მოღვაწეობამდე ჯერ სრულად გაუქრისტიანებელი, სულიერი მზის გარეშე, უმზო, ჩრდილში მყოფი ქვეყანა იყო, „წმიდა გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ უკვე აღმოსავლეთის ქვეყანად“ არის მოხსენიებული... ჰაგიოგრაფიაში აღმოსავლეთი წარმოდგენილია იმ მხარედ, სადაც სულიერი სინათლეა დავანებული... სხვა არაერთი საინტერესო საკითხიცაა წერილში განხილული...

რუსთველოლოგიაში წლების განმავლობაში არსებულ ძალიან ბევრ პრობლემაზე მსჯელობს **შალვა გაბესკირია** ვრცელ წერილში „**ფიქრები რუსთველოლოგიის რამდენიმე პრობლემურ საკითხზე**“... არის მსჯელობა პოემის ავტორის ვინაობის, სიუჟეტის, ცალკეულ ლექსემათა ეტიმოლოგიის, ბიბლიასთან მიმართებისა და სხვა საკითხებზე... გამოკვეთილია აზრი, რომ ტარიელის პროტოტიპი ბიბლიური დავითია...

გიორგი შაყულაშვილი ნაშრომში „**ბესიკის ლიტერატურული ორიენტაციისათვის**“ საკითხის დასმის წესით გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ბესიკ გაბაშვილის პოეზია არ არის აღმოსავლური ტიპისა, რადგან აღმოსავლური პოეზიის სპეციფიკა სრულიად განსხვავდება ბესიკის პოეზიისგან. ავტორს ამ საკითხზე ადრეც უმსჯელია, ახლა კი ახალი არგუმენტების წამოყენებით დააყენა საკითხი, რომ გადაიხედოს ბესიკის ლიტერატურული ორიენტაციის საკითხი. ჩვენ მისი ნაშრომების მითითებით ადრეც დავეთანხმებთ მკვლევარს ხსენებული მოსაზრების სისწორეში (იხ. — XVI-XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა აღმოსავლურ-დასავლური კულტურულ-ლიტერატურული პროცესების გზაშესაყარზე, 2012; გვ. 374-375; ლიტერატურული ძიებანი, XXXI, 2010) და ამჯერადაც დავძენთ, რომ მართალია გიორგი შაყულაშვილი, როცა მიაჩნია, რომ აღმოსავლური პოეზიისათვის ხშირ შემთხვევაში დამახასიათებელია: 1. სატრფოს შეუცვლელიობა, 2. მეტრფესა და სატრფოს შორის ვასალური დამოკიდებულება, 3. სატრფოს გულცივობა, 3. მეტრფოს თავდადებულობა, 4. მეტრფისაგან საპასუხო სიყვარულის არმოთხოვნა, 5. სატრფოს მოღალატეობა (იხ. გ. შაყულაშვილი, ბესიკი და აღმოსავლური ლიტერატურული ტრადიციები, სამეცნიერო კონფერენცია, თბილისის დამოუკიდებელი ინსტიტუტი „რიტორიკა“, 1995, 15-16 მაისი... ავტორს გაცილებით ადრეც აქვს გამოთქმული ამ საკითხზე მოსაზრებები...), რასაც ჩვენ ვერ ვხედავთ ბესიკის შემოქმედებაში და იგი მართლაც არ უნდა განვიხილოთ ტიპური აღმოსავლური პოეზიის წარმომადგენლად... ბესიკსა და სხვა არაერთ ქართველ პოეტთან ძლიერია

სპარსული პოეზიის მოტივებით გატაცება (ცხადია, ეს განსაკუთრებით თეიმურაზ პირველზე ითქმის...), ბესიკთან ხშირ შემთხვევაში არის აღმოსავლური ინტონაციები, მაგრამ აქ არ გვხვდება აღმოსავლური ლექსის სპეციფიკა... ბესიკისათვის აღმოსავლეთი გარკვეულწილად ერთგვარი ეგზოტიკაციაა... (თუმცა, არა ზუსტად — იმ სახით წარმოდგენილი, რომელიც ტიპურ ევროპულ პოეზიაში გვხვდება...)

აპოლონ სილაგაძისა და ნინო ევიგაძის ნაშრომი — „**არაბული დიალექტური მხატვრული ლიტერატურის შესახებ**“ მკითხველს აცნობს ძველი არაბული (XV საუკუნემდე) და ახალი არაბული დიალექტების (XX ს-დან დღემდე) ლიტერატურის სპეციფიკურ ნიშნებს... ნაჩვენებია, რომ თანამედროვე დიალექტური ლიტერატურა XX ს-ში აღმოცენდა, და რომ ეგვიპტურ დიალექტზე ჯერ პასაჟები იყო ჩართული, მთლიანად დიალექტზე კი — პიესები იწერებოდა... 40-იან წწ-დან დიალექტი უკვე ფართოდ შემოდის სხვადასხვა ჟანრის ეგვიპტურ მწერლობაში. საინტერესოა, რომ დიალექტზე დაწერილი ტექსტის „გამოფრვა შეიძლება სხვადასხვაგვარად, როგორც სალიტერატუროენოვანი ტექსტისა ან დიალექტური ტექსტისა“; აპოლონ სილაგაძის მიერ ეს მოვლენა „კვალაფიცირებულია როგორც არაბული თანამედროვე სინამდვილის დამახასიათებელი ჰეტეროგრაფია“... ზოგიერთ შემთხვევაში გარკვეული ბგერები ისე იწერება, როგორც ისმის (იქვე)... მკვლევარები ახსენებენ ეგვიპტურ დიალექტზე მწერლებს: მუსტაფა მუშარაფას, მაჰმუდ ბეირამ ათ-თონსს, სალაჰ ჯაჰინს, თამიმ ალ-ბარლუსს და სხვებს... აღნიშნულია, რომ „ეგვიპტური დიალექტური მხატვრული ლიტერატურის არსებობა ნიშნავს იმას, რომ ეს დიალექტი ფიქსირდება ლიტერატურულად, რაც, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ იგი განიცდის სტანდარტიზაციას, — ეს არის კიდევ ერთი რეალური ნიშანი იმისა, რომ იგი დიალექტიდან თანდათანობით გადადის ენის კატეგორიაში, იღებს სტანდარტული ენობრივი ფორმის სახეს“... ე. ი. ავტორთა თანახმად, თუ დიალექტი სალიტერატურო გახდა, ის შესაძლოა ენად გაფორმდეს... ცალკე ეროვნების აღმოცენებაზეც შესაძლებელია თუ არა ამ კონტექსტში მსჯელობა, ეს უკვე სხვა საკითხია... წერილი ძალიან კარგი სპეციალისტების დაწერილია, ეგვიპტური ლიტერატურის შემსწავლელთათვის — ღირებული და ქართულ რეალიებთან დაკავშირებით — ძალზე საინტერესო...

ელენე ჯაველიძის წერილის სათაურია — „**უსასრულობის მოტივი იაჰია ქემალის ლირიკაში**“. ავტორი კარგად ერკვევა ლიტერატურამთცოდნეობის მთავარ საკითხებში, იცნობს ფილოსოფიურ ლიტერატურას, სუფიზმს, რაც საკითხის შესასწავლად აუცილებელია... ელენე ჯაველიძე სხვადასხვა ეპოქისა და ქვეყნის მხატვრულ ლიტერატურასთან, არაერთ ჟანრთან მიმართებით განიხილავს იაჰია ქემალის შემოქმედებას... წერილში მაღალპროფესიული დონის ლიტერატურული ანალიზია წარმოდგენილი... ნაშრომში ზოჯერ სპეციფიკურ სამეცნიერო ენას მხატვრული სტილი შეანაცვლებს, რაც ავტორის მწერლურ ნიჭიერებაზეც მეტყველებს... ვისაც თურქი პოეტის — **იაჰია ქემალის** (1884-1953) ლირიკის შესწავლა აინტერესებს, აუცილებლად უნდა გაეცნოს ელენე ჯაველიძის ამ წერილს...

მარიკა ჯიქიას ნაშრომში „**თურქული მსაზღვრელ-საზღვრული ქართულ ანთროპონიმებში**“ ქართულ არეალში დამკვიდრებული თურქული, — კონკრეტულად, — მსაზღვრელ-საზღვრული თურქომნილი ანთროპონიმები აქვს წარმოდგენილი: ალადალ (ჭრელი მთა), ალათემურ (ჭრელი რკინა)... გვარები: თექ-თუმანიძე (tek derman — ერთადერთი ნამალი, აქედან — თურმანიძე...), ალფაშა (თეთრი ფაშა, გვარში — ალფაშაშვილი) და სხვა მრავალი... დადგენილია, თუ რა გრამატიკული თავისებურებანი აყალიბებს თურქული წარმოშობის ქართულ ანთროპონიმებს...

ქართულ ენაში, კერძოდ, მის დიალექტებში შემოსულ თურქულ ლექსემათა ეტიმოლოგიას ეძღვნება **ნუნუ გურგენიძის** წერილი „**ქართულ დიალექტებში ნასესხებ თურქიზმთა ეტიმოლოგიისათვის**“. ავტორი საესვებით სწორად წერს, რომ აუცილებელია გაირკვეს ლექსემის შემოსვლის ქრონოლოგია,

საჭიროა თურქულ დიალექტებში თურქიზმების ფორმის განსაზღვრა, იმ ფონეტიკურ ცვლილებათა გათვალისწინება, რაც თურქულ ენაში სხვადასხვა პერიოდში ხდებოდა... ნუნუ გურგენიძე სავსებით მართებულად მიიჩნევს, რომ აუცილებელია თურქულ ნასესხობათა ლექსიკონის შედგენა და თვითონვე გვთავაზობს რამდენიმე სიტყვას, რომელიც ლექსიკონში უნდა შევიდეს: ბორიო (თურქულში იტალიურიდან შესულად მიჩნეული სიტყვა...), ლაგლაგი (მესხ. — წერო), ჰალილი-ი (ფარეხი) და სხვა... გამოკვლეულია, თუ რომელ ქართულ დიალექტში რა მნიშვნელობით დასტურდება ესა თუ ის სიტყვა, რა მნიშვნელობა აქვს მას თურქულ დიალექტებში...

ლექსიკონის საკითხებს ეხება **რამაზ გორგაძისა და ლუიზა რუხაძის** წერილი — **„ქართულ-სომხურ-თურქული საერთო ლექსიკონის ისტორიიდან (ხანდაკე, ქანდაკი)“**. ეს სიტყვა ქართულ-სომხურ-თურქულ ენებში არაბული ენიდან განსხვავებული მნიშვნელობით არის შესული (თავის მხრივ, არაბულშიც შესულია)... როგორც სტატიაშია აღნიშნული, ამ ლექსიკონს ერთეულთან კავშირდება ქართული სიტყვები — ქანდაკი, ქანდაკება... ტოპონიმები: ზემო და ქვემო ხანდაკი...

ნომადი ბართაია ნაშრომში — **„ქართულ საჭადრაკო ტერმინთა წარმომავლობის შესახებ“** ზოგ შემთხვევაში იზიარებს მეცნიერებაში უკვე გამოთქმულ და სავსებით მისაღებ მოსაზრებებს ქართული საჭადრაკო ლექსიკონის გენეზისის შესახებ (მაგ. „ლაზიერი“ შემოსულია „ალ ვაზირ“-დან... აკაკი მანძი, გოჩა ჯაფარიძე...), სხვა შემთხვევებში თვითონ გვთავაზობს არაერთ ასევე სრულიად სწორ განსაზღვრებას (მაგ. „მატი“ შემოსულია არაბული „მათ“-დან, რაც არაბულში სიკვდილს ნიშნავს... „სპილო“ არაბულ-სპარსულ შესაბამის ლექსე-მასთან არის დაკავშირებული...); ნომადი ბართაიას წერილი ინტერესით იკითხება, საინტერესოა ლექსემათა ერთი ენიდან მეორეში გადასვლისას განცდილი ტრანსფორმაცია...

მაია ანდრონიკაშვილი და **ქეთევან ხაჩიძე** სტატიაში **„არაბული იმპერფექტივი: ასპექტისა და დროის ფორმა და მისი სინტაქსური გარემო“** იკვლევენ, თუ როგორ გამოხატავს არაბული ზმნის იმპერფექტივის ფორმა სხვადასხვა დროს... ამ ასპექტიდან განხილულია ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპი, თუ როდის გამოხატავს იმპერფექტივი ან-მყოში დაუსრულებელ მოქმედებას, როდის — მომავალ დროსა და დასრულებულ მოქმედებას... გაკეთებულია დასკვნა, რომ წინადადების სხვა წევრთა დამატებით ასპექტის კატეგორია ცვალებად სახეს იძენს...

ნაშრომი საკვლევ სფეროში ღრმად გარკვეულ სპეციალისტთა დაწერილია და არაბული ენის გრამატიკის საკითხებზე მომუშავე ყველა მეცნიერს დიდ დახმარებას გაუწევს...

საყურადღებო ნაშრომებია წარმოდგენილი ისტორიოგრაფიის ნაწილშიც...

ნინო სამსონია წერილში **„ქ. ურის მთვარის ტაძრის საკრალური ქორნიების რიტუალების შესახებ“** შუმერული რიტუალების, კერძოდ, საკრალური ქორნიების შესახებ წერს, აღწერილი აქვს არაერთი რიტუალი, ღვთაება... „რიტუალის კულმინაცია იყო ქალღმერთის შეერთება მთვარის ღმერთთან, რომელსაც დიდი ქურუმი და მეფე განსახიერებდნენ სექსუალური აქტით, რომელიც ნაყოფიერების და დედამიწის კვლავ გაოცხლების მთავარ იმპულსად მიიჩნეოდა“ — წერს ავტორი... როგორც ჩანს, ქურუმი ქალი და მეფე ღვთაებებს სულიერად ერწყმოდნენ და შემდეგ ერთმანეთთან ფიზიკური დაკავშირებით ღებულობდნენ მონანილეობას „კოსმიური აქტის“ აღსრულებაში... მიჩნეული იყო, რომ თვითონაც ღვთაებებად იყვნენ იმ დროს გარდაქმნილნი, ღვთაებებთან იყვნენ სულიერად შეერთებულნი... ნაშრომში საუბარია ქალღმერთების — ნინგალის, ინანას... შესახებ, განხილულია ქართველურ ტომებთან მათი კავშირის, საერთოდ, შუმერულისა და ქართველურის ურთიერთმიმართების საკითხები, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ შუმეროლოგიის შემდ-

გომი განვითარების გარეშე შეუძლებელია ქართველურ ტომთა ისტორიის სათანადო შესწავლა...

ნოდარ შენგელიას ნაშრომში **„რამდენიმე დოკუმენტი „მუჰიმეს დავთრებიდან“ სამხრეთ საქართველოს შესახებ“** გამოქვეყნებულია სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივში დაცული საისტორიო წყაროები. დავთრებში დაცულია 300-მდე ტომი; თითქმის ყველა ტომში არის ცნობები საქართველოს შესახებ. ნოდარ შენგელიას ყველა ცნობა აქვს მოძიებული, ნაწილი გამოქვეყნებულია. ამჯერად აქვეყნებს XVI ს-ის რამდენიმე დოკუმენტს, რომელიც ეხება სამხრეთ საქართველოს ისტორიას, ლევან კახთა მეფეს, ქართველთა წარჩინებულებებს — ვარაზასა და ქეიჰუსრევს, სხვებს... არაერთი თურქულენოვანი ტექსტი მეტად რთულად წასაკითხი არაბული ანბანითაა შესრულებული... წარმოდგენილია დადგენილი დედნები და ქართული თარგმანები... ეს არის მასალები, რომელიც, ცხადია, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, საქართველოს ისტორიოგრაფიისათვის ფასდაუდებელი შენაძენია...

ნინო ჯავლიძის ნაშრომის აქტუალობას უკვე მისი სათაური ცხადყოფს — **„შუა საუკუნეების აღმოსავლური წყაროები ცნებების „აბზაზ“ და „აბზის“ (აბზაზ) გაგებისათვის“**. მკვლევარი თურქული, სპარსული, არაბული წყაროების შესწავლის საფუძველზე წარმოგვიჩენს, რომ შუა საუკუნეებში სიტყვა „აბზაზ“ ხან საერთოდ ქართველ, ხან იმიერქართველ, ხან ტომით აფხაზ ქართველს გულისხმობს... გვიანშუასაუკუნეებში, როგორც ეს ოსმალური წყაროებიდან ირკვევა, ეთნონიმით — „აბაზა“ იმიერკავკასიელ ტომებსაც იხსენიებდნენ, ესენი იყვნენ აბზოე-აბაზები, რომლებიც „ლაპარაკობდნენ აბაზურ ენებზე და მათი სამეტყველო ენები იმდენად განსხვავებული იყო, რომ ხშირად მათ ერთმანეთისა არ ესმოდათ“... „ოსმალთა მემატიანეები ტომით აფხაზ ქართველებსა და ჩრდილოკავკასიელ აბაზებს ერთი სახელით — აბზაზით მას შემდეგ მოიხსენიებენ, რაც XVII ს-ში ეს მთიელი ტომები იმიერკავკასიიდან აფხაზეთის სამთავროში მასობრივად იწყებენ შემოჭრას და დამკვიდრებას“...

ამრიგად, ოსმალური წყაროების შესწავლით ირკვევა, რომ ჩრდილოკავკასიელი ეთნოსი ქართველ აფხაზებში ირევა და მათ ამის შემდეგ ერთი სახელით გვიანშუასაუკუნეებში იხსენიებენ... საკითხი მეტად გამოწვლილვით არის გამოკვლეული... განხილული წყაროების მონაცემთა სათანადო დონეზე გაანალიზებას დიდი წვლილი შეაქვს საერთოდ კავკასიის ისტორიისა და, კერძოდ, ამ საკითხის ობიექტურ შესწავლაში...

ელისაბედ მაჩიტაძე სტატიაში **„1997 წლის პოლიტიკური კრიზისი თურქეთში და არმია“** ჩვენი მეზობელი ქვეყნის უახლეს ისტორიას გვაცნობს. ავტორი უახლესი ისტორიის ფაქტებს წარმოადგენს და სავსებით სწორ და კვალიფიციურ ანალიზს აკეთებს. თურქეთის უახლესი ისტორია წერილში ასე წარმოდგება: აშშ-სა და დასავლეთისათვის მისაღებას სეკულარული თურქეთი ზომიერი ისლამით... 1997 წელს ნეჯმეთინ ერბაქანი, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში ისლამისტად მიაჩნდათ, ფსიქოლოგიური დანაშაულის გამო იძულებული გახდა, პრემიერ-მინისტრობიდან გადაამდგარიყო და მისი მთავრობა დაიშალა... 1998 წლის თებერვალში ყოფილ პრემიერ-მინისტრს საკონსტიტუციო სასამართლომ წაუყენა ისლამისტობის ბრალდება და პარტია — რეფაჰი (კეთილდღეობის პარტია) დახურულად გამოაცხადეს (თურქეთის კანონმდებლობით პოლიტიკური მიზნებისათვის რელიგიის გამოყენება აკრძალულია). ეს ფაქტობრივად უხმო სამხედრო გადატრიალება იყო... სწორედ სამხედროებმა დაიწყეს კონსტიტუციური ჩარჩოებში ისლამის წინააღმდეგ ბრძოლა (მართალია, 1980 წელს მოხდა სამხედრო გადატრიალება, მაგრამ შემდეგ აშკარა გადატრიალება უკვე დაუშვებელი იყო... თავად ერბაქანი 1996 წელს გადატრიალების გარეშე მივიდა ხელისუფლებაში... იხსნად „ზომიერი ისლამის“ მომხრედ მიიჩნეოდა და ამიტომ მას მხარს უჭერდნენ)... ელისაბედ მაჩიტაძის მიერ მაღალპროფესიულ

დონეზე დანერილი ნაშრომი ფართო მკითხველს საშუალება აძლევს, კარგად გაეცნოს თურქეთის უახლესი ისტორიის მოვლენებს...

კრებულში დაბეჭდილია ელდარ ნადირაძის ნერილი „კავკასია და საქართველო მაქს ტილკეს შემოქმედებაში“. ავტორი გერმანელი მხატვრის მაქს ტილკეს ცხოვრებასა და შემოქმედებას, საქართველოში მის მოღვაწეობას გვაცნობს, ვხედავთ იმ გარემოს, რომელიც მხატვრის გარშემო იყო შექმნილი... ტილკე 1912 წელს რუსეთის იმპერატორის რეკომენდაციით საქართველოში ჩამოვიდა, მას „კავკასიის მუზეუმმა“ კავკასიის ხალხთა კოსტუმების დახატვა დაავალა. ეთნოგრაფიულ ექსპედიციებს ფოტოგრაფები მიჰყვებოდნენ, მაგრამ ექსპედიციაში მუშაობდა მხატვარიც... ნერილის ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ მაქს ტილკეს ნახატები მხოლოდ ეთნოგრაფიკისათვის კი არ არის საინტერესო, არამედ ჩვენ წინაშეა მხატვარი, რომელსაც ადამიანის, ამა თუ იმ კუთხეში მცხოვრები ხალხის ხასიათის გადმოცემა მშვენივრად ძალუძს... ამაში გვარწმუნებს კრებულისთვის დართული ილუსტრაციებიც: ხევსური, ქართველი ქალი, ყარანოღაელი და სხვა...

ლია ჩლაიძე ნერილში „ცოტა რამ სუმელას შესახებ“ გვაცნობს ერთ ნაწილს თურქი ფოლკლორისტი ჰაიდარ გედიქოღლუს წიგნიდან „აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთი — ზღაპრები, ამბები, თქმულებები, ეპოსები“, რომელსაც ჰქვია — „თქმულება სუმელას მონასტერზე“. „სუმელას სამონასტრო კომპლექსი დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, ტრაპიზონის მახლობლად, ღრმა ხეობაში მდებარეობს. ხეობას „დედა მარიამი“ ჰქვია“. როგორც ლია ჩლაიძე გვამცნობს, სუმელას სახელწოდებას ბერძნულ სიტყვას „მელასას“ (შავი) უკავშირებენ, მისი აღნიშვნით, „უფრო სარწმუნო უნდა იყოს მეორე ეტიმოლოგია“; ავტორი დასძენს, რომ „სუმელა ლაზური სიტყვაა და „სამებას“ ნიშნავს... ჰაიდარ გედიქოღლუს წიგნის ამ თავიდან ვხედავთ, რომ არაერთი საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული მონასტრის დაარსების, მასში დაცული ხატის დათარიღების შესახებ... თურქი მეცნიერი სუმელას მონასტრის ისტორიას ათონის ივერთა მონასტრის კონტექსტში განიხილავს... წიგნი საინტერესო ჩანს და მას აუცილებლად უნდა გაეცნონ შესაბამის სფეროში მომუშავე მეცნიერები და, საერთოდ, ისტორიით დაინტერესებული მკითხველი... წიგნი ერთგვარად პოპულარული ფორმით, ფართო მკითხველისათვის ადვილად აღსაქმელი ენით არაერთი საინტერესო კითხვაა დასმული... ავტორი საბოლოო პასუხთა გაცემისაგან თავს იკავებს და უფრო კითხვებს სვამს, რაც უდავოდ საყურადღებოა...

კრებულს ბოლოში ერთვის ელიზბარ ჯაველიძის ნაშრომების არასრული ბიბლიოგრაფია... მკითხველმა მიიღო ძალიან კარგი წიგნი, რომელშიც დიდი სიყვარულია გამოხატული საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, პიროვნების მიმართ, რომელიც მეცნიერებისათვის მეტად ღირებულ შენაძენს წარმოადგენს... ჩვენ ისლად გვგვრჩენია, რომ უღრმესი მადლობა მოვახსენოთ კრებულის ავტორებსა და გამომცემლებს და მკითხველს კი ამ შესანიშნავი წიგნის გაცნობისაკენ მოვუწოდოთ.

იოსებ ჭუმბურიძე

თექვსმეტ წლამდეც დაიშვებიან!

ანუ ჯაყოღან მუსუსამდე, ანდა პირიქით

ჯერ „მუსუსს“ ვნახავთ. გორში.

გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში. მოთხრობა, ყველამ იცის, მიხეილ ჯავახიშვილისაა.

დამდგმელი რეჟისორი — სოსო ნემსაძე.

ინსცენირებაც მასვე ეკუთვნის და ქვესათაურიც: „არცთუ ისე სახარბიელო ამბავი ერთ მოქმედებად“.

თეატრის ფოიეში ძველი (ძველისძველი!) სპექტაკლების აფიშებია გამოფენილი.

მაკა ჯაფარიძე ერთ-ერთზე მიმითითებს და წამიკითხავს: „ბავშვები თექვსმეტ წლის ასაკამდე წარმოდგენაზე არ დაიშვებიან“.

1945 წელია და ვასო ყუშიტაშვილი დგამს ზურაბ ანტონოვის პიესას „მზის დაბნელება საქართველოში“.

რა უნდა იყოს ამ სპექტაკლში ისეთი, თექვსმეტ წლამდე ასაკის მოზარდმა რომ არ უნდა ნახოს?!

ინცენა სპექტაკლი.

მართალია, მოთხრობას „მუსუსი“ ჰქვია, მაგრამ მის წიაღში ისე არ „წვიმს“, როგორც სათაურში „ქუხს“. მთავარი პერსონაჟი, ვისაც მწერალმა ეს ეპითეტი მიაკუთვნა, სინამდვილეში, ისეთი შეყვარებულია, სატრფოს ერთგულებაში „ვეფხისტყაოსნის“ გმირებსაც კი გაეჯიბრება.

„ქაა, სანყალ მუსუსას რას ერჩით? ხუმრობა უყვარს, თორემ აქამდე ერთი ქალიც არ გაუფუჭებია.“ — დაუნდობელი ჭორიკანებიც კი ასე ამბობენ. მოთხრობა იმდენად ეთიკურია, რომ დღევანდელი ფონზე ზედმეტად პურიტანულიც კი მოჩანს.

მაგრამ რამდენი ასეთი პატოსანი ნაწარმოები „გაუფუჭებიათ“ თანამედროვე რეჟისორებს?! საბედნიეროდ, სოსო ნემსაძეზე ამას ვერ ვიტყვით. ერთადერთი უხერხული სიტყვა, სპექტაკლში რომ რამდენჯერმე გაისმის, ქართველ ტელემყურებელს ბულბულის გალოზად მოეჩვენება. და ეს სიტყვაც („უნიფხო“) მოთხრობიდან მოდის.

ვერ ვიტყვით, რომ ეს მიხეილ ჯავახიშვილის საუკეთესო მოთხრობაა. კი, დიდი მწერლის ხელი მასაც ატყვია, მაგრამ რაც ამას გაგრძობინებს, მხოლოდ სიტყვით გამოითქმის და სცენაზე ვერ წარმოადგენ. მაგალითად: „კარებმა დაიკვნესა“, ანდა: „გაფითრებული მოხუცი ცახცახით მოათრევედა სხვის ფეხებს“.

მაგრამ მოთხრობაში ისეთი მხატვრული სახეც უხვადაა, წარმოდგენის სახიერ გადაწყვეტას რომ გიკარნახებს და სოსო ნემსაძე სასცენო სანახაობას ლიტერატურული ნაწარმოებიდან გამოღებული ძაფებით ქსოვს. მწერალი ქორეოგრაფსაც (გია მარღანია) ძლიერ ეხმარება:

„ფეფელო მიმინოსავით გავარდა. მუსუსი ქორივით დაედევნა. თავდიდან სიკო ჯერ ნაწყენ ბატივით გაჰყვა ორივეს, მერმე ჩამორჩა, მიხედ-მოიხედა და თავჩალუნული, სათამაშო ფორიდან გავიდა“.

სცენოგრაფიაზეც იგივე ითქმის (მხატვარი — თამარ ჭავჭავაძე).

მწერალი აქაც „მოკარნახება“: „მუსუსის ქოხი პეტრეს კვითკირის სახლს ისე ჰქონდა მიკრული, როგორც სანაგვე ყუთი თეთრსა და სუფთა კედელს. უკან ორივე სახლს ბალები ჰქონდათ: მუსუსს ერთი დღიური, პეტრეს კი — ხუთი დღიური“.

რეჟისორი და მხატვარი მათ საცხოვრისებს, ამ „პროპორციითა“ და დახვეწილი პირობითობით წარმოგვიდგენენ. რაც შეეხება ბალებს, ისინი მზესუმზირისაა. დეკორაცია ცვალებადია და როცა ბალები „წინ გადმოდიან“, სცენაზე ულამაზესი სახილველი იქმნება. რატომ მზესუმზირების? ხომ შეიძლება, შებრუნებითაც ვიკითხოთ: რატომ არა მზესუმზირების? სხვათა

შორის, არა მგონია, ვან გოგის უკვდავ „მზესუმზირებში“ მთავარი მზესუმზირები იყოს...

...ორგანულია სპექტაკლის მუსიკალური პარტიტურაც (კომპოზიტორი — **მამუკა მეგრელიძე**). ის ზუსტად შეესაბამება „არცთუ ისე სახარბიელო ამბავს“.

და მაინც, ეს ყოველივე ვერ გიშველის, თუ არ გყავს მსახიობები, რომლებიც ჯავახიშვილის პერსონაჟებს ბუნებრივი სილალითა და დამაჯერებლობით წარმოგვიდგენენ.

სპექტაკლში თორმეტი მსახიობი თამაშობს და, საბედნიეროდ, ყველა სწორედ სილალითა და ბუნებრივობით გამოირჩევა და, რაც მთავარია, მარად სანატრელ ანსამბლურობას აღწევენ.

ამიტომაც ყველა უნდა დავასახელოთ: **ლევან ოზგებაშვილი** (პეტრე), **ნათია ტატულაშვილი** (ტასო), **გიორგი ელიზბარაშვილი** (მიხა), **მანანა თევდორაშვილი** (მართა), **თეკლა მარჯანიშვილი** (ფეფელო), **მარი არღუთიშვილი** (კატო), **ზაზა თედელური** (გოგი), **კონსტანტინე კახიშვილი** (ლინლილა), **შოთა ხანჯალიაშვილი** (ტიტე), **ზვიად მაღალაშვილი** (სიკო), **ზურაბ პავლიაშვილი** (რწმუნებული), **თურბენდ რევაზაშვილი** (თევდორე).

ეს ისეთი სპექტაკლია, ტექნიკური რეჟისორის წვლილიც უთუოდ მნიშვნელოვანი იქნება (**სოფო დრულევი**).

და არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, ამგვარი სპექტაკლების წარმატებას რომ განსაზღვრავს — მისი უდიდებულესობა **გემოვნება!**

უმისოდ, ადვილი შესაძლებელია, ზემოხსენებული სილალე მდარე სანახაობაში გადაიზარდოს.

სოსო ნემსაძე, საბედნიეროდ, ამისაგან დაზღვეულია: ნიჭს გემოვნებაც ახლავს!

საოცარი მწერალია ჯავახიშვილი, ჯერ „ჯაყოს ხიზნებს“ დანერს, შემდეგ კი — „მუსუსს“ და ამოგასუნთქებს, — გვეტყვის იგი პრემიერის შემდეგ.

თვითონაც მისწირია, მისი ნატეხი — ჯერ „დანტონის სიკვდილს“ დადგამს, შემდეგ კი „მუსუსით“ ამოგასუნთქებს...

რამდენიმე დღის შემდეგ მარჯანიშვილის თეატრში ვართ, ოღონდ სხვა დასის სპექტაკლზე.

ცხინვალის **ივანე მაჩაბლის** სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი.

დევილი თეატრი.

აქაც — **მიხეილ ჯავახიშვილი**.

ოღონდ „**ჯაყოს ხიზნები**“ (ამოსუნთქვის შემდეგ).

დამდგმელი რეჟისორი — **გოჩა კაპანაძე**.

ამ სცენაზე ისეთი „ჯაყოს ხიზნები“ თამაშდებოდა!..

გოჩა კაპანაძეს ამით ვერ შეაშინებ.

ესეც თავისებური ეპატაჟია — სპექტაკლის სწორედ აქ, ამ კედლებში ჩვენება.

მერე რა, რომ ჯაყოს როლის საუკეთესო შემსრულებელი **გივი ჩუგუაშვილი** დარბაზში ზის (**ავთანდილ მახარაძე** ტელედადგმაში იყო საუკეთესო!).


მართალია, შეუღარებელი თეიმურაზ ხვეისთავი — **ნოდარ მაგლობლიშვილი** არ ჩანს, მაგრამ ჩვენ ხომ გვახსოვს, ლამის ქრისტეს რომ ვამსგავსებდით.

იმ სპექტაკლში „ის ერთადერთი სცენაც“ არ იყო ისეთი, ბავშვებისთვის მისი ნახვა რომ აგვეკრძალა.

სატელევიზიო ვერსიაც კი, რომლის გამოც **თემურ ჩხეიძეს** კინალამ მიხეილ ჯავახიშვილის ბედი არგუნეს, ცხინვალელთა სპექტაკლთან შედარებით, ანგელოზად მოგეჩვენება. მახსოვს, მის ტელეგანხილვაზე ერთი ხანდაზმული კაცი რა აღშფოთებით ლაპარაკობდა მსახიობთა აღვირგახსნილობაზე (კორექტურა არ გეგონოთ!)...

საინტერესოა, რაღას იტყოდა ცხონებული, გოჩა კაპანაძის სპექტაკლს რომ მოსწრებოდა.

ცეკვა და ეროტიკა — ნუთუ იძლევა „ჯაყოს ხიზნები“ იმის საბაზსა და საფუძველს, ეს ორი რამ უხვად რომ წარმოვადგინოთ?



სცენა გორის თეატრის სპექტაკლიდან „მუსუსი“ ზვიად მაღალაშვილი (სიკო), ლევან ოზგებაშვილი (პეტრე), გიორგი ელიზბარაშვილი (მიხა)



სცენა ცხინვალის თეატრის სპექტაკლიდან „ჯაყოს ხიზნები“ ლელა მახნიაშვილი (მარგო), რამაზ ხომასურდიე (ჯაყო)

ცეკვით ძალადობის, დაპყრობის, დამონების გამოსახვა არახალია. **თემურ ჩხეიძეს** ის დიდი გემოვნებითა და აუცილებელი დოზით ჰქონდა გამოყენებული. ეს მეტაფორა უნდა იყოს და არა კონცერტი. რაც შეეხება ეროტიკის ნაირგვარი ფორმით წარმოდგენას, ამის გამართლება, მართლაც გაჭირდება.

თუმცა გაჭირდება მთლიანობაში სპექტაკლის დაწუნებაც, რადგან ჩვენ წინაშე რეჟისორის უდავოდ სერიოზული ნამუშევარი, მსახიობთა საკმაოდ საინტერესო შესრულებაც. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ორი მარგოს მონაცვლეობა, არის ძლიერი ემოციური მუხტიც, თითქოს ყველაფერია, მაგრამ არ არის ზომიერება, ურომლისოდაც დიდი ხელოვნება ვერ შეიქმნება.

დამთავრდა სპექტაკლი და სამი ახალგაზრდა (თექვსმეტ წელს ახლად გადამცდარნი) პარტიტიდან სიცილითა და ასეთი შეძახილით გამოვარდა: „ეგრე ვიცის ჯაყომა!“

მათთვის ეს აღმოჩნდა მთავარი.

დღეს აფიშაზე არსად და აღარავინ აწერს, თექვსმეტ წლამდე ასაკის ბავშვები წარმოდგენაზე არ დაიშვებიანო.

პირიქით, რეჟისორები თითქოს მიზანმიმართულად ირჯებიან იმისათვის, რომ სწორედ ამ ასაკისანი მიიზიდონ.

შინ მისულს ტელევიზორში ჯაჯანიძის გადაცემა დამხვდა. და გამახსენდა გორის თეატრის ძველი (ძველის ძველი) აფიშა: „მზის დაბნელება საქართველოში“.

და გამახსენდა კიდევ უფრო ძველი ნაწარმოების სათაური: „ვინ არის დამნაშავე?..“

ვინ არის დამნაშავე?

ნაწილი კუპატაძე

რობერტ სტურუას ბროტისკი

ანუ
ანიშტანის ენა და დიმიტრი უზნაძის
განწყობის თეორია

დიდი იყო თელაველი მაცურებლის მოლოდინი რუსთაველის თეატრის გასტროლისადმი. ჩვენ უნდა გვეხილა ბრწყინვალე ქართველი კომედიოგრაფის პოლიკარპე კაკაბაძისა და თანამედროვეობის უდიდესი ქართველი რეჟისორის შემოქმედებითი ტანდემი სპექტაკლში — „ასულნი“. ამ საზეიმო განწყობილების აპოთეოზი გახლდათ იუნესკოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამოცხადება: მსოფლიო თეატრალურ ხელოვნებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის რობერტ სტურუას მიენიჭა მსოფლიო თეატრალური ხელოვნების ელჩის წოდება.

მამ ასე, სპექტაკლი დაინყო... ფარდა აიხადა და სიბნელის, სიმარტოვის, უსასოობის ფლუიდი წამოვიდა სცენიდან. მორიალე ლანდებივით შემოდიან ასულნი და, რომ ელოდები სტურუასეულ ტემპერამენტთან, დინამიკურ და ექსპრესიულ აჟიოტაჟს, ისინი კიდევ უფრო ამუქებენ ისედაც რუხ სინამდვილეს; ჯერ იატაკზე განერთხმებიან, შემდეგ კი თანდათან ცოცხლდებიან, რათა გულმტკივნეულად შემოგვლადადონ: „ჩემო ერო, ჩემო ტანჯულ ერო!“

სცენიდან ისმის ქართველი მწერლების ნააზრევისა თუ გამონათქვამების ფრაზები, რომელთა შორის პოლიკარპე კაკაბაძეც გაკრთება ხოლმე. თუმცა ეს წამიერი „გამოკრთო-მაც“ საკმარისია რობერტ სტურუას ზღვარდაუდებელი ფანტაზიის საასპარეზოდ.

ასულნი სულმოუთქმელად ელოდებიან მხსნელს; ეს მოლოდინი მათი ცხოვრების მიზანი, თუმცა ისიც კარგად იციან, რომ ერთი კაცის ჭკუა ვერ იხსნის ერს, ქვეყანას გადაარჩენს მხოლოდ ერთარსად შეკრული ერი. საქართველო ხომ ის ჩონგურია, რომლის სიმებიც ჩვენ ვართ ყველა.

შთამბეჭდავია სცენა, როდესაც ქალები ამაოდ უკაკუნებენ დახშულ კარს; მათ წიაღშივე იბადება ყრმა, რომელიც სიმბოლურად სულ ზევით მიისწრაფის. ეს ახალშობილი ალბათ ის ყრმაა, ვისი აკვანიც დაირწა ბაზალეთის ტბის ძირას. შემზარავი სანახავია, როდესაც მის მშობელს ყელს გამოადრევენ. სტურუამაც ვერ შეძლო ამ ავბედითი ხელის შეჩერება.

ნუთუ მართლა ასეთები ვართ?! თუკი ვინმე გამორჩეული გამოგვერია, „ისე გავთელავთ, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადას“. გამოსავალი თითქოს არ ჩანს. „გზა რომ ვიცოდე, გავიქცეოდიო“ — ამბობს ერთ-ერთი ასული; ესაა გაქცევის მცდელობა უგზობისას... ესაა გზა არსაით! ...და ჰამლეტისეული „ყოფნა, არყოფნის“ განწყობა.

ყურს ხვდება სცენიდან წამოსული რეპლიკები. მართალია, თელაველი მაცურებელი აგვარიდეს კახურ-ინგლისურ სკაბრეზს, მაგრამ გერმანული შორისდებულები ვერსად წაიღეს. ერთ-ერთი ასული ისეთი მკაცრი რუსული ინტონაციით გასცემს ბრძანებას — „ადგილებზე!“ — რომ ყურში უნებურად ჩაგვესმის — „По местам!“. მორჩილი ასულები კი ერთადგილზე გროვდებიან ცხვრებივით. რუსულზე გამახსენდა, საინტერესოა ტელევიზორის სცენა: ერთ ეკრანზე ორი (იგულისხმება ათიოდე) დიქტორი ერთსა და იმავეს ერთნაირ ინტონაციით ერთად იმეორებს, რითაც „ნეტ სიგნალს“ ეფექტი იქმნება; ანუ ბევრს კი ლაპარაკობენ, მაგრამ ის სიგნალი არ მოდის, რაც ქვეყანას გადაარჩენს.

სპექტაკლში პერსონაჟებს სახელები არა აქვთ, ამიტომაც რაც გინდათ, ის დაარქვით; მე პირადად ნინო არსენიშვილის მშვენიერ ასულს ხან ოფელიას ვეძახდი, ხან ჯულიეტას, ალბათ კაროუნაც მოუხდებოდა. მარინა კახიანის არაჩვეულებრივად ნათამაშები ასული ხან ლედი მაკბეტი იყო, ხან ოდეტა ან ოდილია. ყველაზე ეფექტური მაინც სცენის ფიცარნაგში ჩასვლისას მისი ზეანეული თითია; მსახიობი ამ უესტით გვაფრთხილებს და ამკარად მიგვანიშნებს, რომ ყოველთვის და ყველგან არსებობდა და არსებობს ყოველსმეძლე თითი, რომელიც მიგვითითებს, ჭკუას გვასწავლის და რომელსაც შენი დასჯაც შეუძლია.

მარინე კახიანსა და ნინო არსენიშვილთან ერთად სცენაზე დგანან ქართული თეატრის მშვენიერა და სიამაყე ქალბატონები: ზაზა ლებანიძე, თათული დოლიძე, მანანა გამცემლიძე, ნანა ლორთქიფანიძე, მარიკა ჭიჭინაძე, მარინა ჯანაშია, დარეჯან ხარშილაძე, რომლებიც ამ სპექტაკლში იმდენად არ თამაშობენ, რამდენადაც მუშაობენ და ბოლომდე იხარჯებიან. ამასთან დაკავშირებით, თავს ნებას მივცემ, გავიხსენო მამჩემი — ცნობილი მსახიობი — ალექსი კუპატაძე, რომელიც ტრუფვალდინოს თამაშობდა „ორი ბატონის მსახურში“. ერთხელაც, სპექტაკლის შემდეგ დალილმა, გასაფრთხულმა, ოფლად დაღვრილმა ამოიხვრით დაიჩივლა: ადამიანები ჩვეულებისამებრ ამბობენ ხოლმე — „ვმუშაობთო“, მე კი ვამბობ „ვთამაშობ“ — მეთქი, რა აბსურდიაო. მიგვანია, რომ „ასულნი“-ს შემთხვევაში ეს აბსურდი მოხსნილია, ვინაიდან აქ უფრო „მუშაობაა“, ვიდრე „თამაში“.

აუცილებლად უნდა შევეხო გვირგვინის თემას, რომელსაც გამორჩეული ფუნქცია აქვს ბატონი რობერტის თითქმის ყველა დედაში. ამ სპექტაკლშიც პერსონაჟები იბრძვიან ვირტუალური თუ ხელშესახები გვირგვინისათვის: ყვარყვარეს გვირგვინი სკამია და კარიერა; „კავკასიურ ცარცის წრეში“ გვირგვინი მატერიალიზებულია; სადაც თავი ერთია, იქ საფიქრალიც არაფერია, მაგრამ თუ თავი ორია, მაშინ გვირგვინიც ორად გაიყოფა. მარინა კახიანის გმირს კი ტუტანჰამონივით წაგრძელებული თავი მუდამ მზადა აქვს გვირგვინის ჩამოსაფხატებლად.

...და ისევ რიტორიკული კითხვა: — რა შუაშია პოლიკარპე კაკაბაძე? თუ მეტყვით, რომ მამ ანთეული ლამაზა, მჭადის მარჯვედ ცხოვბა და ქვასანაყი რაღააო, —რა და, ჩემო ძვირფასო, ეს ხომ დავით კაკაბაძეა და არა პოლიკარპე კაკაბაძე, თუმცა გულის გამათბობელი იმერული ესკიზები კი წამდვილად არის.

აღნიშნულთან დაკავშირებით არ შემიძლია არ დავეთანხმომ ბატონ პაატა ჩხეიძეს: „პოლიკარპე კაკაბაძის „სამ ასულს“ აქ ვერსად ნახავთ, ვერც სხვა შედეგებს შეხვდებით ქართული დრამატურგიისა... („ჩვენი მწერლობა“, №23, 2014). ასე რომ, ზოგისთვის ეს სპექტაკლი-გამოცანა ვარიაციებია პოლიკარპე კაკაბაძის პიესების თემაზე, ე.წ. „გონივრული ეჭვით“ შექცობილი მაცურებლისათვის კი ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილია.

ანიშტანის ცულლუტი და ანცი გამომეტყველებით გამოყოფილი ენა თანაბრად მიესადაგება ოფიცოზისა თუ მაცურებლის უზნაძისეულ განწყობის თეორიას, რითაც დასტურდება, რომ „გროტესკული ინტონაცია ეპოქის სულისკვეთების ანარეკლია“ (ნანა კუცია, „ჩვენი მწერლობა“, №24, 2014).

ბატონი რობერტ, ჭეშმარიტად ამალღებული და კეთილი საზოგადოების განწყობა თქვენი შემოქმედების მიმართ საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთ, რასაც შემოუერთდა თელაველი მაცურებელიც სპექტაკლის მსვლელობისას გამოხატული სათანადო რეაქციითა და აპლოდისმენტებით. მითუმეტეს, რომ სპექტაკლი წამდვილად არ იყო ადვილად აღსაქმელი. ამიტომაც შემთხვევითი არ გახლდათ, რომ წარმოდგენის დაწყების წინ ავანსცენაზე გამოსულმა რობერტ სტურუამ მაცურებელს მრავალმნიშვნელოვნად მოგვმართა — ძალიან მკაცრად ნუ განმსჯითო.

ვერ შევძელი, ჩემო კუმირო!

ეკა ბუჯიაშვილი

„სახსატი ჩვენი დიდი ტაქარი“

(განხილვა
როინ ჭიკაძის მოწოდებაში
„ქალმოსილება ქართული სიტყვიერებისა“)

2011 წელს ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ექსპრეს-ინტერვიუში მარსელ პრუსტის ანექდოტის კითხვას „თქვენი საყვარელი საქმიანობა?“ — **როინ ჭიკაძე** ასე უპასუხებს:

— ქართული ენის წიაღში ხეტიალი ნუ მომიშალოს ღმერთმა. წლების შემდეგ კი ლიტერატურის ინსტიტუტში, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების, იგივე ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ძალისხმევით გამართულ შეხვედრაზე იტყვის: — ...და მეც შეძლებისამებრ „ვიხეტიალე“ ქართველ მწერალთა სამყაროში, სადაც შემხედნენ დიდებულ მოქართულენი... და ასე შეიქმნა ეს წიგნი: „ქალმოსილება ქართული სიტყვიერებისა“, რომელსაც დღეს წარვუდგენ საზოგადოებას.

— ბატონი როინი თვალსაჩინო მკვლევარი და ენათმეცნიერია... მშობლიურ თელავში გამართული კონფერენციების არამარტო უცვლელი მონაწილე, მაღალი დონის განმსაზღვრელიც, ადამიანი, რომელიც მონოდეგულია, რომ ყველგან, სადაც კი არის, კულტურის ცენტრი შექმნას.

სხვადასხვა დროს დაწერილი მოხსენებების თუ საჯარო ლექციებისგან შედგა ეს წიგნიც, რომელშიც ამ კუთხითაც აისახა ბატონი როინის მრავალმხრივი და საგულისხმო მოღვაწეობა.

იყო დრო, მწერლის სტილი არ შეისწავლებოდა ქართულ ლიტერატურაში.

მეტიც — სტილი დანაშაულად ითვლებოდა საბჭოთა ეპოქაში და იდევნებოდა.

არამარტო თანამედროვე მწერლებს ავიწროებდნენ, შეეძლოთ, მაგალითად, ვაჟას სახელი წამოენიათ ამ კუთხით და... აეკრძალათ მისი შემოქმედება, არადა მწერლობა — და მწერალიც — სწორედ სტილია, თავისი მრავალფეროვანი შრეებითა და ენობრივი თავისებურებებით.

ამ საკითხის შესწავლისას როინ ჭიკაძე ერთი მონაკვეთით არ იფარგლება და ქართულ ლიტერატურაში მიმდინარე პროცესებს თვალს მიადევნებს ძველი მწერლობიდან მოყოლებული დღემდე. და თუნდაც ერთ შემოქმედზე წერდეს, იცი, რომ მთლიანობაში აქვს გააზრებული ქართული ლიტერატურა, მისი ენობრივი თავისებურებანი... და ამიტომაცაა ეს დაკვირვებანი მრავალმხრივ საგულისხმო, — ასე გახსნა შეკრება **როსტომ ჩხეიძე** და სიტყვა მომხსენებელს **იოსებ ჭუმბურიძეს** გადასცა.

წიგნი რომ ცოცხალი არსებასავითაა, ეს საკითხი წამოინია თავის სიტყვაში ბატონმა იოსებმა.

„ქალმოსილება ქართული სიტყვიერებისა“ მხოლოდ ენათმეცნიერის წიგნი რომ არ არის და ლიტერატორისაცაა — ესეც!

— თუ გულახდილად ვიტყვი, ამ კრებულში ყველაზე მეტად სწორედ ეს სიმბიოზი მხიბლავს.

ეს წიგნი ადასტურებს, რომ თვითონ ქართული ენა არ არის მხოლოდ გრამატიკული ფენომენი.

ისიც საინტერესოა, სად გადის ზღვარი ენასა და ლიტერატურას შორის.

მაგალითად, სიტყვათქმნადობა ენის (გრამატიკის) სფეროა თუ ლიტერატურისა?

ამ წიგნში სიტყვათქმნადობას მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი ლენინის, ოთარ ჩხეიძის შემოქმედების ფონზე.

ბატონ იოსებმა თავის მოხსენებაში არაერთი მაგალითი მოიყვანა წიგნიდან იმის ნიმუშად, რომ თვით ყველაზე „გრამატიკული“ თემაც აქ ლიტერატურითაა გაზავებული.

მეცნიერის დაკვირვებებს შორის მომხსენებელმა გამოარჩია შეხედულება ნიკო ლორთქიფანიძის სტილზე, რომლის მახასიათებლადაც ბატონი როინი მიიჩნევს არა მხოლოდ ენობრივ ექსპრესიას, არამედ უდიდეს ნდობას მკითხველისადმი.

ბატონ იოსები შედარებით ლაკონური გამოსვლით შემოიფარგლა, რაკი თანამომხსენებელნი ფართოდ იმსჯელებდნენ ცალკეული საკითხების შესახებ.

— გაგვიკვირდებათ და თვით ანა კალანდაძესაც მათ „ვუთომბ“, არადა პირდაპირ შემზურდა სიღრმისეული მსაჯელობა მის ლირიკაში მზის თაყვანისცემაზე, ანაზე, როგორც „პოეტურ ნარმართზე“.

სამაგიეროდ, ენათმეცნიერის ესეი-გამოკვლევა „მარტოობის პრობლემა გოდერძი ჩოხელის ნააზრევში“ ფილოსოფიური ჭრილიდან ყოფით პლანში გადაიტანა და აღნიშნა:

— ბედნიერია ის, ვისაც მარტოობის სევდას ცხოვრების ღირსეული თანამგზავრი უქარვებს. ბატონ როინს „მარტოობის ქარს“ არაჩვეულებრივი ქალბატონი ნანა კუპატაძე არიდებსო.

როინ ჭიკაძის, როგორც პიროვნების დასახასიათებლად ბატონი იოსები ქალბატონი ნანას მიერ ერთ შინაურულ შეხვედრაზე ნათქვამ სიტყვებს გაიხსენებს: „ხომ ამდენი წელია ერთად ვართ, არ მახსოვს, არ მახსოვს, როინს რამე შემლოდეს!“

— ესეც ქალმოსილებაა — ქალმოსილება კაცობისაო, — დასძევს მომხსენებელი.

როსტომ ჩხეიძე კი იმ ამბავს მოიგონებს, როინ ჭიკაძემ თავისი მეუღლის წერილს ასე რომ უშუამდგომლა რედაქციამ:

— სიმღერა რომ არის: ცოლი გამიდიდგულდაო... მე ცოლი გამიკრიტიკოსდა და აბა, ნახეთ, თუ გამოვა რამე აქედანო.

ბატონმა როსტომმა ასევე დაბეჭდა ის პუბლიკაცია, შეკრებაზე კი ამ ერთი კონკრეტული შემთხვევიდან განაზოგადა როინ ჭიკაძის იუმორის უნარიც, მის მეცნიერულ ნაშრომებშიც რომ იჩენს თავს თუნდაც მახვილი ფრაზების სახით და ამ კუთხითაც განსაზღვრავს წიგნის მაღალ დონეს.

მოგვიანებით **რამაზ მეფარიშვილი** როინ ჭიკაძის სამეცნიერო მოღვაწეობის მაღალი დონის განმსაზღვრელად სხვა მიზეზებსაც დაასახელებს, ოღონდ ჯერ იტყვის, რომ:

— ბატონი როინი უალრესად ფართო ინტერესის მქონე მეცნიერია. ფიქრი, მიღმური ფიქრი მოგვახლება ამ წიგნის გაცნობისას და ვერ იპოვით მასში აზრს, ბუნებრივი რომ არ იყოს. თითქოსდა რაღაც ნათესაობაა ამ წიგნსა და მასში გააზრებულ მწერლებს შორის. ამ უკანასკნელთ რომ შეეძლოთ მადლიერების გამოხატვა, ავტორის მიერ მათი აზრის სილამაზის ასე გათავისებების გამო, მაშინ სამადლობელი უდავოდ ამ წიგნს ერგებოდა.

დიმიტრი ლიხაჩოვი თავის ერთ-ერთ წერილში წერს, რომ ლიტერატურისმცოდნეობა, თუკი დღემდე არ არის ზუსტი მეცნიერება, უნდა გახდეს. ეს ნიშნავს ზუსტი მეთოდების შემოტანას ლიტერატურის თეორიაში, მეტადრე ენათმეცნიერებისა და ლიტერატურის კვლევისას. ეს კარგად ესმის ბატონ როინს და ამკვიდრებს კიდევ თავის მეთოდოკას ამ სფეროში. კერძოდ, სიტყვათა შინაარსი დადგენილია არა მხოლოდ კონტექსტით, არამედ შესატყვისობასთან მიმართებით.

ნიგნში ვერ იპოვით ზედმეტ არგუმენტს, რადგან მეცნიერს არგუმენტთა ზედმეტობა არგუმენტის სისუსტის მაჩვენებლად მიაჩნია. მისთვის არაა უცხო მეცნიერული შეცდომები, მაგრამ მთავარია, როგორ დაძლევეს მათ მომავალში.

ბატონი როინი, უპირველეს ყოვლისა, გრამატიკოსია. თუმცა მისი დაკვირვებანი ლიტერატურასთან დაკავშირებით მეტად ნიშანდობლივია. ჩვენ ყურადღებას შევამჩნევთ მხოლოდ ერთ მათგანზე: რუსთაველის სახისმეტყველება „დავითიანში“, სადაც მკვლევარი არა მხოლოდ პარალელებსა და ანალოგიებს მოიძიებს, არამედ ქმნის ლექსიკურ სახისმეტყველებას. მისი აზრით, რუსთაველისა და გურამიშვილის ენა უამრავ მასალას იძლევა ანტონიმების შესწავლაში, ხოლო ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ატრიბუტიკა ეს არის რუსთაველის გურამიშვილისეული წარმოჩინება.

ბუნებრივად იბადება კითხვა, რამ განაპირობა ლიტერატურისა და გრამატიკის მკაცრი კანონების ესოდენ დიდი ჰარმონიულობა? არ ვიცით, ეს ალბათ მისი კვლევის საიდუმლოა. თუმცა ერთი რამის თქმა ცხადლივ შეიძლება: ბატონი როინი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში იმ წლებში სწავლობდა, როდესაც იქ მოღვაწეობდნენ შალვა ნუცუბიძე და კორნელი კეკელიძე. მათ საფუძველი ჩაუყარეს ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებას. შალვა ნუცუბიძე და კორნელი კეკელიძე სხვადასხვა მხრიდან აწონასწორებდნენ ქართულ აზროვნებას. ეს წონასწორობა იქნებ მათი ხელდასხმით მოდის. თუ ეს ასეა, მაშინ ეს ჰარმონიულობა, წონასწორობა კიდევ ერთ დიდ ღირსებას მატებს ამ ნიგნს და თავის მხრივ განსაზღვრავს მის მაღალ დონეს.

ერთი შესანიშნავი პოეტი ამბობს: ნიგნის გადაშლამდე სარიტუალო გალობაა შესასრულებელი. თუ ამ აზრს ვერწმუნებით და ისე გადავშლით ბატონ როინის ნიგნს, ჩვენ აღმოვჩნდებით ქართული სიტყვიერების ძალმოსილებაში, სადაც აზრის სიღამაზე ესოდენ მრავლისმეტყველადაა განფენილი.

თანამომხსენებლებმა კი მართლაც ვრცლად და საინტერესოდ განიხილეს როინი ჭიკაძის ამ ნიგნში გაანალიზებული საკითხები.

თამილა ზვიადაძემ იმაზე ისაუბრა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ლიტერატურული საზოგადოებისათვის მწერლის შემოქმედების ენობრივ ანალიზს და ამ ფონზე როინი ჭიკაძის ნიგნიდან გამოარჩია საგულისხმო დაკვირვებანი სხვადასხვა მწერლის პროზასა თუ პოეზიაზე. მათ შორის გამოყო მზის ლექსიკური სემანტიკის კვლევა ანა კალანდაძის შემოქმედებაში; ასევე, გურამ რჩეულიშვილის თხრობის დამუხტული სტიქისა და წინადადებათა მძაფრი დინამიკის განმსაზღვრელი სინტაქსური თავისებურებანი;

რევაზ ინანიშვილის მაღლიანი ქართულის, ხალხური საგანძურისა და ნასაზრდოები სიტყვიერების ენობრივი ანალიზი; დაკვირვებანი ოთარ ჩხეიძის შემოქმედებით სტილზე, თავისთავად მდიდარ სამყაროზე, რომელსაც თვითონ მკვლევარი უწოდებს „ჰომის სიტყვისა“ და ამბობს, რომ ქართული ლიტერატურა ოთარ ჩხეიძეს ბევრი მივიწყებული სიტყვისა და ახალი სემანტიკური ერთეულის შემოტანა-დამკვიდრებას უნდა უმადლოდეს, და კიდევ მოიხმოდ უხვად ასეთი ნიმუშები შეკრებილთათვის.

ქალბატონი თამილა როინი ჭიკაძის სხვა ნაშრომებსაც შეეხო, სხვა ქართველ მწერალთა სიტყვის ძალმოსილებასაც. მათ შორის, საინტერესო შეხედულებებს ვასილ ბარნოვის, დავით კლდიაშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიასა თუ შიო არაგვისპირელის შესახებ და დასძინა, რომ:

— მწერლის, მისი ენობრივი სამყაროს, მხატვრულ-ფუნქციური სტილის კვლევებით ირკვევა ბუნებრივი ეროვნული

ენის ფუნქციონირების თავისებურებანი კონკრეტულ დონეზე, კონკრეტულ ვითარებაში. ესაა ამ კვლევათა ზოგადმეცნიერული ღირებულება, თუმცა მათ კერძო მნიშვნელობაც აქვს: არკვევს, რა შემატა მწერალმა სალიტერატურო ენას ლექსიკის დონეზე და რა გავლენა იქონია ზოგადად მისმა ენამ და სტილმა საზოგადოების მეტყველების კულტურაზე.

ამ თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია იმგვარ ნიგნთა გამოჩენა სამზეოზე, რომლებიც სწორად წარმოსახვენ სამყაროს მწერლისეული ხედვის ენობრივ ანალიზს. როინი ჭიკაძის ეს ნიგნიც სცილდება პირნმინდად ენათმეცნიერული სტილისტიკით დასახულ საზღვრებს და თანამედროვე ქართული ფილოლოგიის მნიშვნელოვანი შენაძენია.

როინი ჭიკაძე ქართულ საენათმეცნიერო წრეებში ერთ-ერთი გამორჩეული, საინტერესო და ნაყოფიერი მკვლევარის სახით რომ დამკვიდრდა, ამაზე **თიკო ბურჭულაძემაც** ისაუბრა და აღნიშნა, რომ ენის მსახურება დიდი ბედნიერებაა და დიდი პასუხისმგებლობაც, რადგან ასეთ დროს თანამონაწილე ხდები ენაში მიმდინარე პროცესებისა.

— ბატონმა როინმა ეს დიდი ბედნიერებაც და დიდი პასუხისმგებლობაც თანაბრად იტვირთა, რაც კარგად გამოჩინდა ამ ნიგნში.

ჩემთვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა ბატონი როინის შეხედულებანი სიტყვის ძალაზე, ენის შესაძლებლობებზე, სხვადასხვა მწერლის ენობრივ სამყაროზე; მან მარჯვე ტერმინებიც შემოიტანა სინტაქსის მკვლევართათვის.

ამ ნიგნში ძალიან კარგად გამოჩინდა ისიც, როგორ იყენებს შემოქმედი არა მხოლოდ ლექსიკურ მარაგს, არამედ როგორ აგებს ფრაზას, რა საშუალებებს იყენებს სტილური, სინტაქსური, ინტონაციური თვითმყოფადობისათვის.

ოღონდ ქალბატონი თიკოს გამოსვლამდე **ნუნუ გელდიაშვილმა** მიმოიხილა საინტერესო მოხსენებით როინი ჭიკაძის ნიგნი. პირნმინდად სინტაქსურ-გრამატიკულ საკითხებზე საუბრის შემდეგ სრულიად დამოუკიდებელ და განსხვავებულ თემად გამოყო ნიგნში გიორგი ლეონიძის ქართული. ამ საკითხის შესახებ მოგვიანებით **ვაჟა შენგელიამაც** ისაუბრა და აღნიშნა:

— გიორგი ლეონიძე სწორედ სიტყვათქმნადობით გამოირჩეოდა და ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი გახლდათ, მისი ენობრივი ქსოვილის შესახებ გამოქვეყნებულ გამოკვლევათა შორის კი როინი ჭიკაძის ნაშრომი გამორჩეულია თავისი სიღრმით.

ნუნუ გელდიაშვილი კი ნიგნში საგანგებოდ შეეხო ოთარ ჩხეიძის შემოქმედების ანალიზსა და მის თავგანჯარა ქართულსაც; სულხან-საბა ორბელიანისეული მემკვიდრეობის ანარეკლსაც კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებით ნააზრევში, რასაც მომხსენებელი როინი ჭიკაძის მიკვლევულად მიიჩნევს.

ქალბატონი ნუნუს თქმით, ამის დასტურად მეცნიერს რამდენიმე არგუმენტი მოჰყავს: „გამსახურდიასაც უყვარს იგავური თხრობა (ზოგჯერ ფრაზებიც იდენტურია); მხატვრულ ნაწარმოებებსა თუ პუბლიცისტურ წერილებში ხშირად იყენებს ორბელიანის იგავებს; თვითონაც თხზავს იგავებს; ერთ-ერთ ნოველა-იგავს სულაც ასე ასათაურებს: „სიბრძნე-სიცრუისა“, და რაც ყველაზე მთავარია, ლექსემა „იგავი“ დაედო საფუძვლად გამსახურდიასეულ სიტყვათქმნადობის ნიმუშს „იგავმიუწვდომელი“.

— კიდევ უამრავი ნიმუშის მოყვანა შეიძლება ნიგნიდან იმის ნათელსაყოფად, რომ ბატონი როინი, როგორც მეცნიერი, უდიდესი პროფესიონალია.

უდავოა, რომ მისი შრომები ბევრ ახალგაზრდა მკვლევარს გაუკვალავს გზას; ასწავლის, როგორ გამოიკვლიოს, როგორ წეროს და თან ჩააქსოვოს საქმის უდიდესი სიყვარული, პროფესიონალიზმი, რუდუნება, მოქნილი სიტყვა. ამავე

დროულად, დატვირთოს ემოციით და სასიამოვნო წასაკითხადაც აქციოს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, რადგან უცხოა ლინგვისტური კვლევებისთვის.

— როინ ჭიკაძეს დღემდე პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ გაგონილი მქონდა იმ დიდ ამაგზე, რაც მან, როგორც რექტორმა, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის უნივერსიტეტს დასდო, — ეს ემზარ კვიტიანიშვილის გამოსვლაა, — ისიც ვიცოდი, რაოდენ მზრუნველობას უწევდა იგი ახალგაზრდებს გზის გაკვალვაში, ყოველნაირად ხელს უწყობდა, თანადგომას არ აკლებდა უნივერსიტეტის პედაგოგებს, თანამშრომლებს.

უნდა ვალიარო, აქამდე არ მქონდა ნაკითხული მისი მეცნიერული ნაშრომები და ახლა, როცა ნაკითხვებზე ბატონი როინის მეტად მნიშვნელოვანი ნიგნი „ძალმოსილება ქართული სიტყვისა“, მაშინვე ცხადი გახდა, რამდენად სერიოზული მკვლევარი, ჩვენი მწერლობის რა ღრმა მცოდნე და თავგამოდებული ჭირისუფალი ყოფილა იგი.

ამ ნიგნის მეორე ნაწილი, თითქმის ნახევარი, ეძღვნება გიორგი ლეონიძის ქართულს და მასში თვალნათლივ არის წარმოჩენილი ის აურაცხელი სიმდიდრე, მაღლი ქართული სიტყვისა, მრავალთავან განსხვავებული „მუხლადი“ ლინიერება, გაუზუნარი ელვარება, რასაც „ყიფჩაღის პაემანის“ დამწერი თავის პოეზიასა და პროზაულ ქმნილებებში ავლენდა. რედაქტორის, ჩვენი ცნობილი ენათმეცნიერის, პროფესორ გიორგი გოგოლაშვილის მცირე, ტევად ნინათქმამი საგანგებოდა ნათქვამი: „ვისაც გიორგი ლეონიძის ენობრივი სამყაროს გაცნობა უნდა, ეს ნიგნი ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს“.

თავიდანვე უნდა აღვნიშნო — და ეს მთლად ავტორის ბრალიც არ გახლავთ — მწირად, ღარიბულად გამოიყურება ლიტერატურა, რასაც პოეტზე დანერგილი უაღრესად მნიშვნელოვანი გამოკვლევები ეყრდნობა.

გიორგი ლეონიძის უფროსმა შვილიშვილმა, საუკეთესო ისტორიკოსმა გიორგი ქავთარაძემ, თავისი ხარჯით ორჯერ გამოსცა საამაყო პაპის ყველაზე სრული და სანდო კრებულები — „საქართველოს ცრემლები“ (1999) და „ლექსნი, თქმული ნიგნი გიორგი ლეონიძისა“ (2000). ასევე საყურადღებოა, იზა ორჯონიკიძის თაოსნობით, ლიტერატურის მუზეუმის მიერ გამოცემული ერთტომეული „ოლე“ (2000) და „ნაკადულის“ გამოცემა (2008), რომელსაც ერთვის ელენე კოშორიძის მშვენიერი გამოკვლევა და მისივე შედგენილი მრავლისმომცველი ლექსიკონი. კარგი იყო, აგრეთვე, გათვალისწინებული ყოფილიყო ჩვენი შესანიშნავი ფილოლოგის, გიორგი ლეონიძის შემოქმედების საფუძვლიანი მცოდნის ივანე ლოლაშვილის ნიგნები — „მრავალკარედი“ და მისივე მოგონებები პოეტზე, რომლებიც ბევრ საინტერესო დაკვირვებას შეიცავს.

ეს უნებლიე ხარვეზი ოდნავადაც არ ამცირებს ბატონ როინ ჭიკაძის დიდად სასარგებლო ნაშრომს, რომლის ცალკეულ თავებში მოხმობილია უამრავი მაგალითი იმისა, რა მარჯვედ უხვად იყენებს გიორგი ლეონიძე ხალხში დაგროვილ საუნჯეს ქართული სიტყვისა. თუ რამდენად ფართოა ავტორის არეალი, ამის დასტურად დასათაურებათა ერთი ნაწილის ჩამოთვლაც იკმარებს:

„I. ადამიანის თვისებებისა და მოქმედების აღმნიშვნელი ლექსიკა. II. ქართულ სუფრასთან დაკავშირებული ლექსიკა. III. ფრინველთა სახელები. IV. მცენარეთა სამყაროსთან დაკავშირებული ლექსიკა. V. ბუნების მოვლენებთან დაკავშირებული ლექსიკა...“

სასურველია ზოგიერთი თავის („ფრინველთა სახელები“) განვრცობა, ვინაიდან პოეტის შემოქმედებაში ერთობ დიდი ადგილი უკავია მეტაფორულად გააზრებულ ფრინველებს.

ცალკე გამოკვლევა ონომასტიკურ ლექსიკას („ადამიანთა საკუთარი სახელები“, „პერსონაჟთა საკუთარი სახელები“



როინ ჭიკაძე, როსტომ ჩხეიძე

პოემაში „ამბავი თბილისისა“, „პერსონაჟთა საკუთარი სახელები მოთხრობების კრებულში „ნატურის ხე“, „მეტსახელეზი“, „ადგილის სახელწოდებანი“...).

დიდალი, მრავალფეროვანი მასალით არის წარმოდგენილი მოზრდილი თავი „ძველქართული ლექსიკა გიორგი ლეონიძის მხატვრულ ქმნილებებში“. იგივე ითქმის მომდევნო თავზე „სიტყვათქმნადობა გიორგი ლეონიძის ენის მიხედვით“. დაწვრილებითი აღწერილობით გამოირჩევა „სახელთა წარმოქმნა გიორგი ლეონიძის თხზულებათა ენაში“ და „კომპოზიტები გიორგი ლეონიძის ენაში“.

ფრიად სასიამოვნოა, რომ ხშირ შემთხვევაში როინ ჭიკაძე ამოკრეფილი, მოხმობილი მაგალითებისადმი ემოციურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს, ნიშნად დახვეწილი გემოვნებისა.

როგორც მოსალოდნელი იყო, საჭიროებისდა მიხედვით, დამონებულია ჩვენი სახელოვანი მეცნიერების — აკაკი შანიძის, არნოლდ ჩიქობავას, ვარლამ თოფურიას, ივანე გიგინეიშვილის, შოთა ძიძიგურის, გივი მაჭავარიანის, ფარნაოზ ერთელიშვილის, ზურაბ ჭუმბურიძის, ბესიკ ჯორბენაძის, დამანა მელიქიშვილის და სხვათა ნაშრომები.

როინ ჭიკაძის სამაგალითო ცოდნა, მეცნიერული კეთილსინდისიერება და კვლევის დაუცხრომელი ჟინი იმის უეჭველი სანინდარია, რომ იგი კვლავ მიუბრუნდება გიორგი ლეონიძის მოზღვავებულ ენობრივ სტიქიას, უფრო სრულყოფს წინამდებარე მონოგრაფიას, რის შემდეგაც, იმედი უნდა ვიქონიოთ, ცალკე ნიგნადაც გამოსცემს. ეს სასურველი, საშური საქმეა.

„ძალმოსილება მეცნიერის სიტყვისა“, — ნიგნის სახელწოდების ასეთ პერიფრაზს მიმართა კრებულის რედაქტორმა გიორგი გოგოლაშვილმა თავისი წინასიტყვაობის დასათაურებისას და მარინა კაკაჩია სწორედ ამით დაიწყებს საუბარს:

— არც ეს არის შემთხვევითი, — იტყვის, — მართლაც ძალმოსილია სიტყვა მეცნიერისა. იგი წვდება ყველა იმ მწერალსა თუ საზოგადო მოღვაწეს, რომელსაც ილიასეული „მამული, ენა, სარწმუნოება“ აერთიანებს. ამიტომაც თავის საინტერესო მოხსენებაში, არაერთ საგულისხმო საკითხს რომ მიმოიხილავს როინ ჭიკაძის ნაშრომიდან, ილიას დამოკიდებულებას ენისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს. აი, ამონარიდიც ამ მოხსენებიდან:

„ილია იმ ხაზის გამგრძელებლად გვევლინება, რომელსაც იოანე საბანისძემ დაუდო საფუძველი ქართულ ლიტერატურაში. როინ ჭიკაძე ეცადა შეძლებისდაგვარად გაეთა-

ვისებინა სამი ღვთაებრივი საუნჯე ილია ჭავჭავაძისა. ილია წუხს: „ეხლა ეგ დიდებული სიტყვა თვითულს ჩვენგანის გათავთავებულს უძრავს ქონებასა ნიშნავს და არა მთელის ხალხის სამშობლოს, ბინასა, რომელიც ქვისა და კირის მაგიერ ჩვენის მამა-პაპის სისხლითა და ძვლებით გამყარებულია. სადღაა მამული? ხორცის დაუძღურებას სულის დაუძღურებაც ზედ მოსდევს. განვთვითულებით და რამოდენადაც თვითული ჩვენგანი მთელს ქართველობაზედ უძღურია და პატარა, იმოდენად თვითოეულის ჩვენგანის აზრი საყოველთაო საგანზედ დაუძღურდა, დაპატარავდა. ჩვენს დაფუყებულ და შევიწროებულს გონებას სადღა შეეძლო ექონია ის ვრცელი და დიდებული აზრი დიდებული სიტყვისა? მამულის ხსენებაზედ ეხლანდელის ქონდრის კაცს თავისი ნებვდაყრილი სახნავი მინა წარმოუდგება ხოლმე; მამულისათვის ბრძოლა ეხლა სასამართლოში შეტანილი ღერბიან ქალღმერთსა დადგო საჩივარია; მამულისათვის ძლევა მოსილება — მოგებულის საქმის განაჩენის პირია, ჯეროვნად შემონმებული, მამულის სიმამრე — ტყრუშული ღობეა, ვენახ გარშემო შემორტყმული; მამულის პატივი — ნებვია, სახნავ მინაზედ სასუქად დაყრილი; მამულის შვილობა — მხენელისა და მთესველის სახელიდაა“.

როინ ჭიკაძეს დათვლილი აქვს: სიტყვა მამული 137-ჯერ გვხვდება ილიას პოეზიაში. საინტერესო დაკვირვებაა ამ სიტყვის ბრუნვის ფორმებზე. მოთხრობითბრუნვიანი ფორმა ერთადერთხელ გვხვდება. ეს ფაქტიც აშკარად გამოხატავს ილიას დამოკიდებულებას მამულისადმი. ვინაიდან მოთხრობითბრუნვიანი ქვემდებარე ხომ რეალურად მოქმედია. ილიასთვის კი მამული რეალურად მოქმედი კი არ არის, არამედ ყველასთვის საზრუნავი და საპატრონო ობიექტი.

ილიას გვერდით აკაკი და ვაჟა ხომ თავისთავად იგულისხმება. ისინი არამარტო თანამოაზრენი, არამედ მამულისა და ქვეყნის სამსახურში მდგომი სამი გმირია, რომლებმაც ქაჯებისაგან მამული უნდა დაიხსნან. დღეს ამ საკითხების წინ წამოწევა არ უნდა იყოს შემთხვევითი.

როინ ჭიკაძეც იმ თარგისა და ყაიდის მეცნიერი ჩანს, რომელსაც მამული, ენა, სარწმუნოება გადაქცევია ფიქრისა და განსჯის საგნად. ალბათ ესეც იყო მიზეზი, ენასთან ჩაკირკიტებული მეცნიერის წიგნის შეფასებისას თავისი წინასიტყვაობის სათაურში მეცნიერის სიტყვის ძალმოსილებაზე რომ გაამახვილა ყურადღება **გიორგი გოგოლაშვილმა**, ვინც, მიზეზთა გამო, შეკრებას ვერ ესწრებოდა.

ამიტომ რედაქტორის სიტყვა შეკრებაზე **ვახტანგ ხმალაძემ** წაუკითხა შეკრებილებს და მასში მოაქცია თავისი შეხედულებებიც როინ ჭიკაძის წიგნის ღირსებასა და მნიშვნელობაზე, მის პერსპექტივაზე ქართულ სამეცნიერო სივრცეში.

შეკრება კი თვითონ ბატონმა როინმა გაასრულა:

— ...საბედნიეროდ, სტუდენტობიდანვე დამებედა ჩხეიძეების შემოქმედებით გარემოში ყოფნა, როცა ვისმენდი ოთარ ჩხეიძის შთამბეჭდავ ლექციებს საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიაში.

შემდეგ იყო შეხვედრები როსტომ ჩხეიძესთან;

კერძოდ: პირველი საქმიანი შეხვედრა დაახლოებით ორი ათეული წლის წინათ შედგა, როცა ბატონმა როსტომმა „მოიცალა სხუათა ყოველთა კეთილთაგან“, ესტუმრა თელავის უნივერსიტეტს და დააფუძნა ალექსანდრე ორბელიანის რეგიონული საზოგადოება და წლების განმავლობაში არაერთი საინტერესო შეხვედრის გამართვასთან ერთად, თავისი და ოთარ ჩხეიძის შემოქმედებითი მემკვიდრეობითაც შეავსო როგორც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ისე უნივერსიტეტელთა საოჯახო წიგნადაი ფონდებიც.

მერე იყო უაღრესად მნიშვნელოვანი, თუმცა ფრაგმენტული, მაგრამ ჩემთვის ფრიად ღირსსახსოვარი შეხვედრები „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე.

ამ ურთიერთობის ლოგიკური გაგრძელებაა დღევანდელი შეკრებაც, რომელიც ბატონმა როსტომმა ჩემთვის, სიტყვიერებასთან შეჭიდებული ერთი მეცნიერის გასამხნეველად მოაწყო, რათა კიდევ ერთხელ შეგვახსენოს ჩვენი საღმრთო ვალი — ვეზიაროთ ქართული სიტყვის მადლს, დავიცვათ მშობლიური ენა, ის ენა, ლოცვად რომ აღავლინა ოთარ ჩხეიძემ:

„ენა ქართული, ენა სალოცავი ჩვენი, სახატე ჩვენი, დიდი ტაძარი“.

რუსუდან ბოლქვაძე

მოდ, პითაგაშოთ

□

მიხეილ თუშანიშვილის მონატრება

1992 წლის 24 დეკემბერს უილიამ შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარის“ პრემიერა დაინიშნა. წინა დღე, როგორც ხშირად ხდება თეატრში, დაძაბული გამოდგა. გვექონდა შეგრძნება, რომ სპექტაკლი ჩავარდა. - რა უბედურებაა, ბებრებივით დაძუნძულებით სცენაზე! ეს ქაფივით სპექტაკლი უნდა იყოს, ზეანუელი, ბოტიჩელის უნდა ჰგავდეს! - შენიშვნებით და საყვედურებით დაგვხუნძლდა... მეორე საღამოს, პრემიერის სათამაშოდ რომ მივედით, სამსახიობო შესასვლელში, კედელზე მისი წერილი დაგვხვდა:

„პიტერ პენი მოფრინდა ბავშვებთან ფანტაზიის ჯადოსნურ სამყაროდან, ასწავლა მათ, როგორ უნდა მოახტე ქარს ზურგზე და გააქროლო მეორე შესახვევამდე, მარჯვნივ და კიდევ იმის იქითაც, სულ დილაშენ-წარმოსახვისა და თამაშის შესანიშნავ სამყაროში. და ვიდრე ბავშვობა არ დამთავრდა, ისინი დაფრინავდნენ (როგორც ჩვენი შვილები და შვილიშვილები), შემდეგ გაიზარდნენ, დაოჯახდნენ, დაივიწყეს, რასაც აკეთებდნენ... ახლა პიტერ პენს მათი შვილები მიჰყვებიან თავის ფანტასტიკურ კუნძულზე, სადაც პირატები, ჯუჯები, ფერიები, წითელკანიანები და სხვა საოცრებები არიან. ნუ დაბერდებით! ნამდვილი არტისტები მთელი ცხოვრება დაფრინავენ!“

ასეთ სიტყვებს რომ ადამიანი დანერს, ეს ნიშნავს, რომ იგი თვითონაც ჯერ კიდევ დაფრინავს და, მიუხედავად თავისი გარეგნული ასაკისა, არ დაბერებულა! დიდ ადამიანებს ხშირად ბავშვებს ადარებენ, „დიდი ბავშვი“ - იტყვიან ხოლმე. მასში ძალიან ჭარბად იყო ბავშვი... მეტიც, ზოგჯერ მეგონა, რომ ის მართლა ბავშვი იყო, ნამდვილი ბავშვი ხნიერი კაცის სხეულში... აი, ისეთი, ცნობილ ფილმში რომაა... ოლონდაც ეს მისი საიდუმლო იყო, რომელსაც მალავდა და რომელიც ზოგჯერ „გაყონავდა“ ხოლმე.... ქუჩაში, პორტფელით ხელში, სკოლისკენ მიმავალ სევდიან მონაფეს ჰგავდა, განსაკუთრებით ზამთარში, „წესიერად“ რომ ჰქონდა კაშენი ჩაფენილი პალტოს საყელოში... რეპეტიციებზე ხომ — იყო და იყო ბავშვი! ათასნაირი... ანცი, გაბუტული, მეოცნებე, ურჩი, ჭირვეული, ხუმარა, თამაშით გართული! ხშირად ეუბნებოდა მსახიობებს: „წამოიყვანეთ თან თქვენი შვილები, თუკი ვერავისთან ტოვებთ და აქ თამაშობთ“. მორიგეობაც დაანესა ბავშვებთან ყოფნაზე, როცა მშობლები მუშაობდნენ... და თუ თამა-

შით გართულ ბავშვს მშობელი შენიშვნას მისცემდა, აჩერებდა: დაანებე თავი, ითამაშოს, ხელი არ შეუშალოთ. ნახეთ, როგორაა გატაცებული, აი, ასე უნდა იყოთ თქვენცო...

რეპეტიცია მისი სტიქია იყო, ხელშეუხებელი, ჯადოსნურ სამყაროში გადასვლის წმინდა რიტუალი. მაგიდას მიუჯდებოდა, პორტფელს გახსნიდა და იქიდან, როგორც ჯადოსნური სკივრიდან, ამოალაგებდა პიესას, ფანქრებს (ფანქრები უყვარდა), საშლელს, ჩანახატებს, ჩანაწერებს, თავის საყვარელ კახურ ქუდს... დაიხურავდა, ბამბუკის წკირს დააკაკუნებდა დირიჟორივით და იწყებოდა თამაში-თავდავინწყება! რეპეტიცია „მისი თამაში“ იყო!..

ერთხელ ტრენაჟზე ეტიუდი შემოგვთავაზა — „გამდნარი ნაყინი“. ძალიან სახალისო და სასაცილო ეტიუდები გამოგვივიდა. თვითონაც ჩვენს გვერდით ჩამოჯდა რამპაზე და „გადნა“... უცებ სიცილი აუტყდა (აი, ბავშვს რომ გაკვეთილზე ეცინება და მასწავლებლისგან სახეს მალავს, ისე) და წამოიძახა: „ჰე-ჰე! ეხლა ჩემებს შინ ჰგონიათ, რომ სამსახურში ვარ“! 70 წლის იყო მაშინ, პროფესორი, სახალხო არტისტი და სხვადასხვა პრემიის ლაურეატი...

„ზაფხულის ღამის სიზმარს“ რომ დგამდა, ორი თვის მანძილზე როლების განაწილება არ ვიცოდით. ყოველდღე ვიკრიბებოდით და ვთამაშობდით, ვისაც რა უნდოდა, მეფეებს, დედოფლებს, კაცებს, ქალებს, ჭინკებს, ცხოველებს, ფერებს... ვიგონებდით სხვადასხვა ვარიანტს, როლებს ვცვლიდით, ვთხზავდით ბიოგრაფიებს, მოკლედ — ვთამაშობდით... გარეთ კი ომი იყო, გვცოდნენ და გვშიოდნენ, მაგრამ სულაც არ „დუმდნენ მუხები“. იმიტომ, რომ ჩვენ ვთამაშობდით!

„ნატატალზე“-ს დგამდა. როლი არ მოუცია, თუმცა ყველა რეპეტიციაზე მიბარებდა. მეც, ცოტა გაკვირვებული, ყოველდღე მორჩილად დავიარებოდი.

ერთხელაც გადაუდებელი საქმე მქონდა და გადავწყვიტე გათავისუფლება მეთხოვა. ის იყო დავაპირე, რომ გამომხედა და: რეპეტიციის მერე დარჩიო, მითხრა. რაღას ვიზამდი, დავრჩი. „გოგო, მოდი ჩვენ ახალი პერსონაჟი გამოვიგონოთ და თუ გაცოცხლდება — სპექტაკლში შევუშვათ, ვნახოთ, რას იზამს!“ ორი საათი სარეპეტიციოში, იატაკზე ვისხედით და, ბავშვები რომ ქვიშაში თამაშობენ, ისე ვთამაშობდით, ვფანტაზიორობდით... გონს რომ მოვედით მოსალამოვებული იყო. სახლისაკენ ერთი გზა გვქონდა: „შენს გაჩერებაზე ჩამოვალ, ლეილას ყვავილებს ვუყიდი, შინ მისვლა რომ დავგვიანო“... „შატალოდან“ დაბრუნებული ბავშვებივით დავიშალეთ...

ბოლო ოქტომბერი იყო, თეატრიდან ერთად გამოვედით. — გოგო, ცხენის ნაბლი რა სასარგებლო ყოფილა, თურმე, წნევას აწესრიგებს... შენს ქურჩაზე ხომ ბევრი ყრია, შეგიძლია მომიგროვო?

— კი, რა თქმა უნდა!
იმავე ღამეს მოვაგროვე მთელი პარკი „ახალგამოჩეკილი“ პრილა ნაბლები და თეატრში მივუტანე. გაუხარდა. ათიოდე დღის მერე ვკითხე:

— ბატონო მიშა, რაო ნაბლებმა? წნევის საქმე როგორ არის?

— გადასარევეად, აი!
პორტფელი გახსნა... ეს ჩემი ნაბლები ისე კოხტად ჰქონდა ჩანყობილი ფანქრებისა და კახური ქუდის გვერდით, სიცილი ვერ შევიკავე:

— ეს რა არის? პორტფელიდან როგორ მოგიწესრიგებენ წნევას? ხელში უნდა გეჭიროთ, ან ჯიბეში მაინც გედოთ, როგორც ამბობენ.

— მოიცა ერთი! შეხედე, რა ლამაზებია, რა ფერია, რა ფორმები! იცი, რა კარგად ვთამაშობ?



მიხეილ თუმანიშვილი

იმის მერე, ოქტომბერში, ჩემს ქურჩაზე ცხენის ნაბლებს ვაგროვებ... მარტო, მაგრამ მაინც... თამაში გრძელდება... ჩვენ ვთამაშობთ!

„ახლა კი ფარდა“-ო, ბარათი რომ დავგიტოვა სანერ მაგიდაზე, ესეც ხომ თამაში იყო! თამაშით გვიტხრა - თამაში დამთავრდაო...

რამდენიმე თვით ადრე, თეატრიდან გამოდიოდა, კარბში შევეფეთე. როგორც ყოველთვის, ვაგვიანებდი და თავის გასამართლებელი ტექსტი დავატრიალე ტვინში მომენტალურად (დამგვიანებლები გამიგებენ!). მაგრამ მას არც უფიქრია საყვედური. ძალიან სევდიანი მეჩვენა. შეჩერდა. შევჩერდი. უცებ გამომიცხადა:

— მე მივდივარ...

ისე უცნაურად თქვა ეს, რომ გამაცია, მექანიკურად წავილულულე:

— სახლში?

სახე ახლოს მომიტანა და თითქოს უნდა უკეთ გამაგებინოსო, დინჯად გამიმეორა:

— გოგო, მივ-დი-ვარ... — და ხელი დამიქნია... მაშინ კი გავიგე, რა ნასვლაზეც მელაპარაკებოდა! ჰო, სახლში მიდიოდა, ოღონდ უფრო შორეულ, უფრო იდუმალ გზაზე, თავის მეგობარ პატარა უფლისწულთან...

...„ამფიტრონი — 38“ მისი ბოლო სპექტაკლი გამოდგა. ფინალში იუპიტერის გარდაუვალ ნებას დამორჩილებული მერკურე, დედამინაზე დროებით ჩამოსული, ემშვიდობებოდა პერსონაჟებს, მსახიობებს, მაყურებელს, თეატრს და უკან, ზეცაში ბრუნდებოდა... აი, რა სიტყვებით მთავრდებოდა სპექტაკლი, აი, რა გამოდგა მისი დიდი თამაშის დამამთავრებელი სიტყვები:

„სიჩუმე! სრული სიჩუმე!... მზეო, ჩააქრე შენი ფარანი!.. გავქრეთ ყველანი!..“

P.S. ძალიან გამიჭირდა ამ წერილის დაწერა... ყველას თავისი მიხეილ თუმანიშვილი ჰყავს, მე ჩემი მოვიგონე... და რადგანაც პიტერ პენი და პატარა უფლისწული ვახსენე, ამ წერილს ასეთ მიძღვნას დავუმატებდი:

„ბატონო მიშას, როდესაც იგი პატარა ბიჭი იყო...“

ლია კარიჭაშვილი

„ჰაგიოგრაფიული თხრობის“ შესახებ

გიორგი ალიბეგაშვილის წიგნი „ჰაგიოგრაფიული თხრობა“ 2013 წელს გამოცა „უნივერსალმა“ (რედაქტორები: ვასილ მალაფერიძე, მერაბ ბუჩუკური). წიგნი თავმოყრილია 8 ნარკვევი ძველი ქართული მწერლობის საკითხებზე და ჰაგიოგრაფიული ძეგლი „წმინდა ნინოს დაუჯდომელი“. ნარკვევებს უძღვის შესავალი ქართულ და ინგლისურ ენებზე, დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა, სპეციალურ ტერმინთა და ცალკეულ სიტყვათა განმარტებანი.

წიგნი ეძღვნება გამოჩენილი მეცნიერის, რევაზ სირაძის, ხსოვნას.

შესავალში ყურადღება გამახვილებულია წიგნის სათაურზე. ავტორი განმარტავს „ჰაგიოგრაფიისა“ და „თხრობის“ ფართო მნიშვნელობებს. „ჰაგიოგრაფია“, პირველ ყოვლისა, წმინდანის ცხოვრების აღმწერელს ვგულისხმობთ, თუმცა ბერძნული სიტყვა „ჰაგიონ“ — წმინდა ნივთს, სინამდის აღნიშნავს. ამდენად, ჰაგიოგრაფს არა მარტო წმინდანის ცხოვრების, არამედ წმინდა საგნების, სინამდევების აღმწერის დატვირთვაც აქვს. აქედან გამომდინარე, ჰაგიოგრაფი ნიშნავს, ზოგადად, ხელოვანს — ხატმწერს, ფრესკის შემოქმედს, ხუროთმოძღვარს, აგრეთვე ჭედურობის, ტიხრული მინაქრის, ხელნაწერების, მინიატურების, ნაქარგობის ოსტატს.

„თხრობა“, გარდა ნარატივისა, სასულიერო მწერლობის სპეციფიკიდან გამომდინარე, გულისხმობს აგრეთვე წმინდანთა სიტყვიერი ხატის შექმნას, იკონოგრაფიულ გამოხატულებას. მკვლევარი ხაზს უსვამს, რა მსოფლმხედველობრივი ასპექტებია მნიშვნელოვანი ჰაგიოგრაფისთვის, რა არის მისთვის რელევანტური განსახოვნების თვალსაზრისით. ეს არის სამყაროს მშვენიერების, კოსმიური წესრიგისა და ადამიანის, როგორც ღვთის ხატის, ესთეტიკური სახის წარმოჩენა და სხვა. წიგნი წარმოდგენილი ძეგლები შესწავლილია სწორედ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად იკვეთება მათში გარკვეული სისტემურობა, წესრიგი და პარადიგმულობა. ამგვარი კვლევის საფუძველს იძლევა ბიბლიურ თხზულებათა სახე-სიმბოლოები, სიუჟეტები და, როგორც ავტორი აღნიშნავს, ნიმუშის ესთეტიკა.

გიორგი ალიბეგაშვილი ყურადღებას ამახვილებს ძველი ქართული მწერლობის ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორებიცაა საქართველოს გაქრისტიანება, ეკლესიის ავტოკეფალია, ქართულ-ბიზანტიური ჰაგიოგრაფიული პარალელები, ეროვნულ წმინდანთა ბიბლიური პარადიგმები, ასკეტიკის საკითხები და სხვა.

ნარკვევი — „კონსტანტინე დიდი და ქართლის მოქცევა“ — წარმოაჩენს პარალელებს „ქართლის მოქცევის“ ეპიზოდებს, პარადიგმულ მოდელებსა და წმ. კონსტანტინე დიდის მოღვაწეობას შორის.

ქართლის მოქცევაში კონსტანტინე დიდისა და ელენე დედოფლის მიერ შეტანილ წვლილზე მრავალი ბიზანტიელი ავტორი საუბრობს. ქართველი მოღვაწენი ისევე, როგორც ბერძენი ისტორიკოსები, კონსტანტინე დიდს მოიხსენიებენ „მეორედ პავლედ ზეცით ნოდებულად“ და „ახალ მონად ცათა მეუფისა“. კონსტანტინე დიდის ორივე ეს პარადიგმული მოდელი მისადაგებულია წმ. მეფე მირიანსა და წმ. ნინოზე.

საყურადღებოა „უცხოური წყაროები საქართველოს მოქცევის შესახებ“. ამ საკითხთან დაკავშირებით, მკვლევარ-

რი განიხილავს წმ. ეფრემ მცირის თხზულებას „უწყებანი მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენიების“. წმ. ეფრემ მცირე ეყრდნობა ბერძნულ-ანტიოქიურ წყაროებს. საქართველოს მოქცევა წმ. კონსტანტინე დიდის დროს დადასტურებულია გიორგი ამარტოლის ქრონოგრაფსა და სვიდას ენციკლოპედიურ ლექსიკონში. ამავე საკითხს ეხებიან IV საუკუნის ისტორიკოსი აგათანგელოსი და ლეონ გრამატიკოსი. დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის განმტკიცებაზე საუბრობენ პროკოპი კესარიელი, ევგარი სქოლასტიკოსი, იოანე ზონარა და სხვები.

იბერიის მოქცევის საკითხთან დაკავშირებით წმ. ეფრემ მცირე, როგორც ცნობილია, სარგებლობს თეოდორიტე კვირელის ნაშრომით. ცნობები ამავე საკითხზე დაცულია გელასი კესარიელისა და სოკრატე სქოლასტიკოსის ნაშრომებში.

რაც შეეხება საქართველოში მოციქულთა მიერ ქრისტიანობის ქადაგების ტრადიციას, დამონშვებულია ევსევი კესარიელისა და ეპიფანე კონსტანტინოპოლისის ნაშრომები. ამის შემდეგ უკვე აქტუალურია წმინდა ნინოს მოღვაწეობა ისევე ბიზანტიური წყაროების გათვალისწინებით. გიორგი ალიბეგაშვილი ამ წყაროთა წარმომავლობისა და ურთიერთმიმართების წარმოჩენას ისახავს მიზნად.

„წმინდა ნინოს ცხოვრების“ უძველესი შრეების რეკონსტრუქციის წინაპირობებად მკვლევარი მიიჩნევს: 1. რედაქციათა ურთიერთშეპირისპირებას, 2. ტექსტის სტრუქტურული და ენობრივი თავისებურებების გათვალისწინებას. 3. ქართული რედაქციების მონაცემთა შეჯერებას სომხური და ბერძნული წყაროების ჩვენებებთან. 4. ტექსტის კულტურულ-ისტორიულ და ქრისტოლოგიურ ანალიზს. 5. საკითხავებად გამოყენებულ ეპიზოდთა ლიტურგიულ-ეორტალოგიურ შესწავლას. 6. ტექსტის ქრონოლოგიურ მინიშნებათა განხილვას ძველი ქართული წელთაღრიცხვის სხვადასხვა სისტემაზე დაყრდნობით.

რედაქციათა თავისებურებების შესახებ მკვლევარი შენიშნავს, რომ „წმ. ნინოს ცხოვრება“ ლეონტი მროველმა შექმნა მეფეთა ცხოვრების საისტორიო ჟანრის გათვალისწინებით, არსენ ბერმა — მეტაფრასტიკის მოთხოვნათა მიხედვით; ნიკოლოზ გულაბერიძემ თამარის ეპოქის რელიგიურ-სახელმწიფოებრივი იდეალების შესატყვისად გადაამუშავა, საბა მიტროპოლიტმა კი „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ლიტურგიულ-ეორტალოგიური ტექსტის „პირველ მამათა“ მიერ შექმნილი რედაქცია წარმოადგინა, ამასთანავე, იგი ჰიმნოგრაფიული, კერძოდ, დაუჯდომელი „გიხაროდენის“ სტრუქტურითა და პოეტიკით შედგენილი საკითხავია. ტექსტში წმ. ნინოს მოღვაწეობის 5 უმთავრესი ფუნქციაა განსაზღვრული, რომელთა მიხედვით, წმ. ნინო არის: 1. ქრისტეს გამორჩეული მოციქული. 2. ღვთის სიტყვის განსწავლული ქადაგი. 3. ცხოვრების მახარებელი, 4. სიმართლის გზაზე ქართველი ერის წინამძღვარი, 5. დედა ღვთისას საკუთარი მოღვაწე. მკვლევრის აზრით, უმთავრესია ბოლო ფუნქცია, რადგან ქართულ ქრისტიანულ კულტურაში საქართველოს განმანათლებლის მოღვაწეობა გააზრებულია ღვთისმშობლისეულ გზად. წმ. ნინოს მოღვაწეობა ერთგვარად ჩაენაცვლა ყოვლადწმინდა მარიამის „აღუსრულებელ“, მოციქულთა თანასწორ მისიონერულ მოღვაწეობას საქართველოში. წინა ოთხი ფუნქციაც „ღვთისმშობლის საკუთარ მოღვაწეზეა პროეცირებული“.

ჰაგიოგრაფიული პარალელებია დაძვნილი „წმინდა შუშანიკის წამებასა“ და „წმინდა სოფიასა და მისი ასულების მარტვილობას“ შორის. მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს ბიზანტიური თხზულების პერსონაჟთა სახელთა სემანტიკაზე, ეპიზოდთა კონტექსტებზე. გამოკვეთილია ორივე ტექსტისთვის ნიშანდობლივი ჟანრობრივი პრინციპები და განსახოვნებით მსგავსება-განსხვავებანი:

1. დრამა, რომელსაც მარტვილობითი ჟანრის თხზულების ავტორი წარმოადგენს, გარკვეული აზრით, ანტიკური პიესის სქემას მიჰყვება (გმირი — ანტიგმირი). ამის კვალობაზე ჰაგიოგრაფიულ გმირთა ოპოზიციური წყვილებია: მარტვილი — მსაჯული; მოძღვარი — მსტოვარი და სხვა. მოვლენათა სქემატური განვითარება ასეთია: მარტვილის მოკლე ისტორია, მსაჯულის უღვთო ქმედებანი, წმინდანის დასმენა. მონამისა და მსაჯულის სიტყვისგება, მარტვილისა და მოძღვრის საუბარი, წამების დროს გამოჩენილი სიმტკიცე და გამძლეობა, წმინდანის მიერ სიცოცხლეშივე ან შემდეგ აღსრულებული სასწაულები, წმინდანის გარდაცვალება და ანგელოზთა დასს შერთვა, ღვთისმოყვარეთა განმტკიცება და სიხარული.

2. უარყოფითი პერსონაჟი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მთლიანად ბოროტების მსახურია. უღვთო, მრისხანე, სულმდაბალი. ამავე დროს, საწყალობელი, უბადრუკი ადამიანი.

3. ბიბლიური პარადიგმები, როგორც მკვლევარი შენიშნავს, ბიზანტიურ ტექსტში პირდაპირ ან ქვეტექსტურად იკითხება. „წმინდა შუშანიკის წამებაში“ კი ეს პარადიგმები პირდაპირ არ იკითხება. მკვლევარი ვარაუდობს, რომ იაკობ ხუცესის მოღვაწეობის დროს განსახოვნების ამგვარი ფორმები ჯერ არ იყო შემუშავებული. „ჩანს ეს მხატვრული „მოთხოვნა „შედარებით მოგვიანო პერიოდში ყალიბდება“ (გვ. 66). შევნიშნავთ, რომ ქვეტექსტურად ბიბლიური პარადიგმები და სიმბოლიკა, ცხადია, „შუშანიკის წამებაშიც“ ჩანს. სიმბოლური გააზრებანი იწყება მარტვილის სახელიდანვე. როგორც ცნობილია, შუშანიკი — პირდაპირი მნიშვნელობით, წყლის შროშანი ანუ ლოტოსი — საკმაოდ გავრცელებული სიმბოლოა. ქრისტიანობაში თეთრი შროშანი უკავშირდება ღვთისმშობელს. მან იკონოგრაფიაშიც იჩინა თავი: გაბრიელ მთავარანგელოზს ხარებისას თეთრი შროშანი მიჰაქვს წმინდა მარიამთან. ბიბლიური პარადიგმის ერთ-ერთი ნიმუშია წმ. შუშანიკის შესახებ ნათქვამი: „განაბრწყინა და განაშუენა ყოველი იგი ციხე სულიერთა მით ქნარითა“ (რევაზ სირაძე, „აგიოგრაფიული სახისმეტყველების ერთი პარადიგმული ნიმუში“, წიგნში იაკობ ცურტაველი, „შუშანიკის წამება და ადრექრისტიანული კულტურა. გვ. 234-239.).

4. ჰაგიოგრაფიული ნარატივის შესაბამისად, ორივე ტექსტში ისტორიული რეალობაა აღწერილი.

5. საანალიზო ტექსტების განხილვისას გიორგი ალიბეგაშვილი ორგვარი სიბრძნის („ჭეშმარიტი და განქარვებადი“ ანუ საღვთო და გარეშე სიბრძნე) საკითხს ეხება. ბიზანტიურ ტექსტში საუბარია ანტიკურ წარმართულ სიბრძნეზე, რომლის ესთეტიზაციაც გარკვეულწილად მოახდინა ქრისტიანობამ, ქართულ ძეგლში კი ქრისტიანობის საპირისპიროდ მაზდეანური რელიგია ჩანს, რომელიც ქრისტიანულმა კულტურამ „სერიოზულ“ „გარეშე სიბრძნედ“ არ მიიღო.

ქართველი ჰაგიოგრაფის თემას აგრძელებს წერილი „იაკობ ხუცესი — ავტორი და პერსონაჟი“, რომლის პრობლემეტიკაა: ეპოქა და ლიტერატურული ჟანრის მოთხოვნე-



ბი, თხზულების შექმნის ისტორიული ფონი; ტექსტი და მთავარი პერსონაჟები; მოთხრობის სახისმეტყველება; რწმენითი იდეალები; ტექსტის რიტმი და დიალოგები; სასულიერო პირები და სხვა პერსონაჟები, გზა მარტვილისა და გზა მოლაღატისა; ტექსტის მხატვრული თავისებურებანი.

ცნობილია, რომ ენა ცნობიერებას წარმოაჩენს. გაქრისტიანებული ენა გამოხატულებაა ერის ქრისტიანიზაციის პროცესის დასრულებისა. ნარკვევში — „გამოცხადების ენა და ახალმოციქული წმინდა ნინო“ — გიორგი ალიბეგაშვილი სვამს კითხვას: რა დანიშნულებისაა ბიბლიის ენა სრულიად ახლებურად მოაზროვნე ტიპის თანამედროვე ადამიანისთვის? იოანე ზოსიმეს ჰიმნთან მიმართებითაც მსგავსი კითხვა ჩნდება, რადგან ის სწორედ ბიბლიური, ღვთისმეტყველებითი,

ისტორიული, და სახისმეტყველებითი შინაარსითაა გაჯერებული. რა აზრით შეიძლება იყოს ამგვარი ენა ჭეშმარიტების შუამავალი? თეოლოგიური ლიტერატურის გათვალისწინებით, მკვლევარი სამ უმთავრეს ასპექტს გამოკვეთს: 1. სიტყვიტექნიკის სახეები და ენა — იოანე ზოსიმეს მიერ შემოთავაზებული ენის ესქატოლოგიური გააზრება გულისხმობს გამოხატვის ორმაგი გაშინაარსების წესს: განყენებულ ფორმულირებას და სახეობრივ აღწერას. 2. სიმბოლოები და ბიბლიური პარადიგმები — წარმოდგენილია კონკრეტული მაგალითები, როგორ მოაზრებს ბიბლია ორ, ხილულ და უხილავ ცას, ან რას ნიშნავს სიმბოლურად ღამე, უდაბნო და სხვა. „სიმბოლოთა საშუალებით გადმოცემული რეალური მოვლენები, ისტორია თითქოსდა გამოცხადების ენაში მოქცეა, ამგვარი სიმბოლოებით გაჯერებული ენა კი ინახავს ისტორიულ აზრს და შეგვასხენებს მას“ (გვ. 105). 3. ხორცშემოსილი სიტყვა: „რამდენადაც ქრისტე საკუთრივ ღვთის სიტყვაა, ძე-სიტყვის ყოველი ქმედება ჩვენთვის სიტყვაა“ (ნეტარი ავგუსტინე). თვით ადამიანის სიტყვა აერთიანებს სულიერ და ხორციელ ბუნებას, რადგან ადამიანის სიტყვა „ხორცქმნილი“ აზრია.

მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს იოანე ზოსიმეს ფრაზაზე: „ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან“. მისი აზრით, სიტყვები: „ახალი“ და „წმიდა“ ადრეულ შუა საუკუნეებში სინონიმებია, რასაც ბიბლიურ, პატრისტიკულ თუ ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში მათი ურთიერთჩანაცვლება მიანიშნებს.

იოანე ოქროპირის, გრიგოლ ხანძთელისა და ფრანჩესკო ასიუელის „ცხოვრებანი“ მკვლევრისთვის საყურადღებოა არა მხოლოდ ეროვნულობის ნიშნით, არამედ ზოგადკულტუროლოგიური თვალსაზრისითაც. ბევრი რამ ჰაგიოგრაფიული თხზულებებისთვის საერთოა, თუნდაც იმიტომ, რომ ეს ძეგლები, უპირველეს ყოვლისა, ღვთისმეტყველების ნიმუშებია. მათი ძირითადი განმასხვავებელი თავისებურებანი კი მხატვრული განსახოვნების, ისტორიულ გარემოსა და რეალობის ჭრილში უნდა ვეძიოთ.

გიორგი ალიბეგაშვილმა წმიდა ათონელი მამების — იოანეს, ფთვიმესა და გიორგის „ცხოვრების“ ბერძნული ვერსია მხატვრული ასპექტების თვალსაზრისით შეისწავლა.

ნარკვევის დასაწყისში ორი საყურადღებო განმარტებაა მოცემული: 1. წმ. ათონის მთის ქართველთა ლავრის სახელწოდება „ივირონი“ არასწორია. ბერძნული ლავრონი ივერთას, ქართველთას ნიშნავს — ამიტომ სახელწოდებად უნდა გამოვიყენოთ ივერთა ან ქართველთა მონასტერი. 2. უნდა განსხვავდეს ასკეტიკის ორი უმნიშვნელოვანესი ტერმინი —

„ბერი“ და „მონაზონი“. დღეს ბერს უწოდებენ მოსაგრე მამაკაცს, ხოლო მონაზონს — მოსაგრე ქალს. ქრისტიანული ტრადიციით, რომელსაც ძველი ქართული მწერლობაც ითვალისწინებს, „ბერი“ „სულიერი ჰასაკის“ სისრულეს მიღწეული მონაზონია.

„კლასიკური ბერმონაზვნობის ისტორიის აღმწერი ავტორები რჩეულ მეუღლებს არა მარტო მინიერებაზე ამაღლებულ ადამიანებად, არამედ უხორცობადაც კი წარმოიდგენდნენ, თუმცა ქართული ჰაგიოგრაფები არცთუ იშვიათად სცდებიან ამ ჩარჩოებს და არა მხოლოდ მონაზვნური კანონის კუთხით აფასებენ მათ ღვაწლს. ამას მოწმობს გიორგი მერჩულის, გიორგი ათონელისა და გიორგი მცირის თხზულებები“ (გვ. 135).

როგორ დგას ეს საკითხი იოანე, ეფთვიმე და გიორგი ათონელების ბერძნული „ცხოვრების“ ვერსიაში? როგორ ყალიბდებოდა ათონზე ასკეტური ცხოვრება და მისი ფორმები? ამ კითხვებზე პასუხის ძიება ნარკვევის მიზანი. ქართველ მოღვაწეთა „ცხოვრების“ ბერძნული ტექსტი მანანა მარჩანელი გამოსცა. მან შეისწავლა ქართული და ბერძნული რედაქციების ურთიერთმიმართების საკითხი და მიიჩნია, რომ ტექსტი ორიგინალური ბერძნული ნაწარმოებია. ნაწარმოები სამ დამოუკიდებელ „ცხოვრებას“ წარმოადგენს, რომლებიც გაერთიანებული იმ ნიშნით, რომ სამივე ქართულთა მონასტრის სამ ფუძემდებელს ეხება.

ათონის საღვთისმეტყველო-სალიტერატურო სკოლა განსაკუთრებით საყურადღებოა გიორგი ალიბეგაშვილისთვის. გამოსაცემად მზად არის მისი ვრცელი ნარკვევი ათონის მთის შესახებ, რომელიც ერთგვარი გზამკვლევიც იქნება ამ თემით დაინტერესებული მკითხველისთვის. ამჯერად მოცემულია მცირე ლიტერატურულ-ისტორიული ექსკურსი — ქართული და ბერძნული გადმოცემები ათონის, ღვთისმშობლისა და საქართველოს კავშირის შესახებ. ასკეტის პრინციპებისა და მხატვრული განსახილვის თვალსაზრისით განხილულია წმიდა მამების: იოანე მთაწმიდელის, ეფთვიმე მთაწმიდელისა და გიორგი მამყენის „ცხოვრება“. აღნიშნულია, რომ ტექსტის კომპოზიციური წყობა ცენტრალურ-ციკლურია, რაც გულისხმობს წმინდანთა ისტორიის გადმოცემას მრავალი ეპიზოდით, რომელთა ცენტრშიც წმინდანის მხატვრული სახეა.

გარდა ზემოთ დასახელებული გამოკვლევებისა, ნიგნის ღირსება, აგრეთვე, მასში შეტანილი „წმ. ნინოს დაუჯდომელი“, რომელიც პირველად 1882 წელს გამოქვეყნდა „საქართველოს სამოთხეში“ და საგანგებო შესწავლას საჭიროებს, ხოლო ნარკვევებს დართული „სპეციალურ ტერმინთა და ცალკეულ სიტყვათა განმარტებანი“ სასულიერო მწერლობის სპეციალისტებსა და მკითხველ საზოგადოებას დიდად წაადგება.

უნდა აღინიშნოს, რომ ნიგნში წარმოდგენილ თითოეულ ნარკვევში ჩანს არამარტო ღრმა ცოდნა, არამედ ემოციური დამოკიდებულებაც ძველი ქართული მწერლობის საკითხებისადმი, მხატვრული რეალობის ცოცხალი განცდა („წმ. შუშანიკის წამების“ პასაჟებში „თითქოს ნაცრისფერი ღრუბლებით ჩამოქუფრული შემოდგომის დღის ტონი შეიგრძნობა“ (გვ. 96). კვლევის თანხლებს სიფრთხილეს და ერთგვარ მონივნებას კი წარმოშობს შეგნება იმისა, რომ სასულიერო მწერლობა ქართული ქრისტიანული კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია.

როსტომ ჩხეიძე

პოლემიკა არაჩვენებურად ან ნაბიჯი მომავლისაკენ

(გალაკტიონი და ოლია ოკუჯავა:
ლეგენდა და სინამდვილე)

საკმაოდ მწვავე კამათს გამოიწვევდა გალაკტიონ ტაბიძისა და ოლია ოკუჯავას ურთიერთობა — მათი სიყვარულისა და ცოლქმრობის ამბავი — ვახტანგ ჯავახიძესა და თეიმურაზ დოიაშვილს შორის, კამათს, რომლის შუაგულში თქვენი მონა-მორჩილიც მოხვდებოდა.

უფრო ზუსტად — სულაც აქედან აებმოდა პოლემიკა, უშუალო საბაზი კი ჩემი ბიოგრაფიული რომანი აღმოჩნდებოდა გალაკტიონზე: „კომიკოსი ტრაგედიაში“.

„კამათი“ და „პოლემიკა“ ჩაცემის თუ არა მკითხველის ყურს, თუკი იმ მასალებს არ გასცნობია, მაშინვე იფიქრებს, რომ ატყდებოდა დამამცირებელი და შეურაცხყოფელი ეპითეტების კორიანტელი, ჭორების გადმოფენა თუ ცილისწამებათა სერია, ოჯახების ლაფში ამოთხერა, საგვარეულოების ლანძღვა-გინება... ეს „გინება“ მეტაფორულადაც და პირდაპირაც, ჰა-ჰა ფონეტიკურად მსგავსი გამოთქმები ეკმარათ...

და თუ ამცნობ, მსგავსიც არაფერი მომხდარაო, ხელს ჩაიქნევს: მწვავე კი არა, თურმე პოლემიკა საერთოდაც არ გამართულაო.

არადა, კამათი და სწორედაც მწვავე სინამდვილეში იმას ჰქვია, რაც „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე წარმოდგა 2014 წლის 19 სექტემბრისა და 17 ოქტომბრის ნომრებში.

თეიმურაზ დოიაშვილი დეტექტიური ყაიდის ესეის „დრამა ბინაში ანუ ფსევდოლეგენდის წინააღმდეგ“ ეპიგრაფად წარუშმღვარებდა ვახტანგ ჯავახიძის სიტყვებს:

— სტალინსა და ბერიას რომ არ დაეხვრიტათ ოლია ოკუჯავა, გალაკტიონი არავითარ შემთხვევაში არ მოიკლავდა თავს.

ციტატა მოხმობილია იმ მცირე სტატიიდან „როსტომ მეორე“ („ლიტერატურული გაზეთი“, 2014, 1 აგვისტო), რომელშიც ბატონი ვახტანგი მსაყვედურობდა: „რევაზ გაბაშვილის ცხოვრების ქრონიკის“ განხილვისას ქართული ბიოგრაფიული რომანის თხუთმეტი ნიმუში რომ ჩამოთვალე და ორიც პოტენციური ავტორი, რომელნიც ამ ყაიდის თხზულებებს წერენ და ჯერ არ დაუსრულებიათ, რატომ გამოგრჩა ჩემი „უცნობი“?

ის გარემოება, რომ ამ ნიგნს არ ვიცნობდი, იმთავითვე გამოირიცხა, რაკილა „გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკაში“ ხშირად ვისხეებდი და ვიმომხებდი.

მაშ რა შეიძლება მომხდარიყო?

და ვახტანგ ჯავახიძე ასეთ ახსნას მოუძებნიდა:

— აქამდე მექვებოდა და ამჯერად საბოლოოდ დავრწმუნდი, არსებობს მეორე როსტომ ჩხეიძე, რომელიც წლების მანძილზე აგროვებდა და აზუსტებდა მასალებს გალაკტიონის რომანისთვის და მერე დაჯდა და დაწერა ეს სოლიდური ნიგნი.

— დიახ, არსებობს ორი როსტომი: ერთი, რომელიც წერს და წერს და წერს და მეორე — რომელიც ჩანს.

არც ამ პასაჟს და არც მთელს სტატიას იუმორი და გონებაშეხილობა არ აკლია, ასე ნიშანდობლივი ვახტანგ ჯავახიძის პოეტური თავისებურებისათვის, და მის ლექსებში მარჯვედ გათამაშებული ციფრები და რიცხვები აქაც მოხდენილად გამოყენებული, ორიგინალურ ჩანაფიქრთან ერთად სახალისო საკითხავს რომ ხდის ამ წერილ-

საც, საიდანაც ცალკეულ ამონარდებს სიამოვნებით გავიტან ჩემი რომელიმე წიგნის გარეკანის მეოთხე გვერდზე, რომელზეც ჩვეულებრივ სარეკლამო ციტატებს ათავსებენ ხოლმე.

ხოლო რაკილა თქვენი მონა-მორჩილი ორი არსებობს და ოდესმე შესაძლოა ჩემი ორეულიც გამოცხადდეს, სტატიის ფინალში მსუბუქი ირონიით გამკენწლავდა:

— როგორც ჩანს, რევან გაბაშვილის ცხოვრების ქრონიკის განხილვას დაესწრო სწორედ ის მეორე როსტომი, რომელიც ჩანს და რომელსაც ჩემი „უცნობი“ ჯერ არ ნაუკუთხავს.

ის გარემოება, რომ „უცნობი“ ზუსტი ჟანრობრივი განსაზღვრებით მხატვრულ-დოკუმენტური პროზის ნიმუში უფროა, ვიდრე ბიოგრაფიული რომანი, შესაძლოა მთლად არ მათავისუფლებდეს საყვედურისაგან, ოღონდ მაშინ, ბიოგრაფიულ რომანთა სიას თუ ჩამოყენრდი — პირობითად „უცნობიც“ მოხვდება ამგვარ სიაში, რატომაც არა, მაგრამ განხილვის ბოლოს წარმოთქმულ სიტყვაში სახელდახელოდ ჩამოვთვალე ცალკეული ნიმუშები, მითუმეტეს, რომ ვახტანგ ჯავახაძის ამ შესანიშნავი ქმნილებისადმი ჩემი დამოკიდებულება — გარდა რომანის ფურცლებზე ხშირი დამონშებისა — საჯარო შეხვედრების დროსაც არაერთხელ გამომიხატავს და ტელეკრანინდანაც, და ბიოგრაფიული რომანის ჟანრსა და მის თავისებურებებზე სახელდახელო მსჯელობისას ყოველთვის შესაძლოა აღარ იყოს აუცილებელი მისი გახსენება. ყოველთვის, თორემ ხშირად კი უნდა გვახსენებოდეს.

ისე რადგანაც ბატონ ვახტანგს გულს დაჰკლებია, სიამოვნებით გავიმეორებ არაერთხელ ნათქვამს, რომ: მისი „უცნობი“ ჩემი ერთ-ერთი საყვარელი წიგნიცაა და გამოკიდებულება გალაკტიონ ტაბიძის არქივში — ამ დიდებული, თუმცე ქალკურ რეალობაში გასარკვევად, თავგზა რომ არ აგებნეს. ეს წიგნი გულდასმით რომ არა მქონოდა შესწავლილი და დამუშავებული, ცხადია, ასე სწრაფად ვერ ავულებდი ალღოს გალაკტიონის ჩანაწერთა უზარმაზარ ზეინს (საბედნიეროდ, უკვე ტომეზადაც გამოცემულს საქართველოს ლიტერატურის მუზეუმის წყალბოლი, უშუალოდ კი იზა ორჯონიკიძის თავგამოდებით) და... აღარც ბატონი ვახტანგი თუ სხვები გაიოცებდნენ რომანის ბოლოს მითითებული თარიღების ამოკითხვისას, რაც იუნყებოდა, რომ „კომიკოსი ტრაგედიიდან“ შეიქმნა 2011 წლის 1 დეკემბრიდან 2012 წლის 15 აპრილამდე: ასოცდათხუთმეტ დღეში დაწერო 889 გვერდიანი აშკარად წარმატებული რომანი, თანაც ბიოგრაფიული ანუ დოკუმენტური, როცა ფანტაზია მაქსიმალურადაა შეზღუდული, შეუძლებელია და თარიღები განგებდა დაიწროებული, რათა ავტორმა მკითხველს თავი მონარობოს.

და მარტოა და ის თუ გაუფანტავდათ ეჭვს, რომ მანამდეც და მას შემდეგაც ზედიზედ გამოცემი ახალ ბიოგრაფიულ რომანებს და... მამ ისინი როდისღა იყო დაწერილი, თუკი გალაკტიონის ცხოვრების ქრონიკა სცილდებოდა და ეგებ ბევრადაც სცილდებოდა მითითებულ თარიღთა ფარგალს?!

აქვე მინდა დავიხიო ისიც, რომ უპატიებელ დანაშაულად მიმაჩნია ვახტანგ ჯავახაძის „უცნობის“ გაშვება რუსთაველის პრემიაზე — მისთვის ძალადობრივი გზით წართმევა სავსებით კუთვნილი უმაღლესი ლიტერატურული ჯილდოსი, ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩვენი ისხენიებენ ამ პრემიას.

ბატონი ვახტანგი ამ სტატიაში იმასაც ამბობს, რომ ჩემს წიგნს ორი გმირი ჰყავს: გალაკტიონ ტაბიძე და ოლია ოკუჯავა; რომ 2012 წელი გახლავთ ოლია ოკუჯავას მეორე და საბოლოო რეაბილიტაციის წელიწადი და ამ დაგვიანებულ აღიარებაში — ჩემთან ერთად — მასაც მიუძღვის წილი; და რომ ჩემი წიგნის ნაკითხვის შემდეგ აძლევს თავს უფლებას თამამად განაცხადოს...

და სწორედ აქ წერია ის ფრაზა: ოლია რომ არ დაეხვრიტათ, გალაკტიონი თავს არ მოიკლავდაო, — თეიმურაზ დოიაშვილი თავისი პოლემიკური გამოხმაურების ქვაკუთხედად რომ აქცევდა და მასში — ბატონი ვახტანგის გარდა — იგულისხმებდა ნოდარ ტაბიძესაც (კიდევ უფრო მეტადაც, რადგან ამ ურთიერ-

თობის გაიდელებში მისი წვლილი ყველაზე თვალსაჩინოა) და თქვენს მონა-მორჩილსაც, ვინც რეალისტურ სურათს აღადგენდა ამ ურთიერთობისა, მაგრამ ბატონ თეიმურაზს მიაჩნია, რომ ოლია ოკუჯავას სახეს მაინც ზედმეტად ვარომანტიკულად და, ამდენად, გაიდელებისკენაც წამიცდება ხელი.

ეს შთაბეჭდილება დარჩებოდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ამ ბიოგრაფიული რომანის რედაქტორობას ვთხოვდი და დიდად მაღლიერიც დავურჩებოდი არაერთი საგულისხმო რჩევისა თუ შენიშვნისათვის. ერთადერთი, რასაც არ გავიზიარებდი, გახლდათ სწორედ ოლია ოკუჯავას ლიტერატურული პორტრეტი და გალაკტიონთან მისი ურთიერთობის პერიპეტეები. რედაქტორი მიიჩნევდა, რომ სჯობდა შემეკვეცა ოლიას ბარათების დეტალური განსჯა და მის მწერლურ უნარზე ცოტა გადამეტებული საუბარი, და გამეძლიერებინა რეალისტური ხაზი. და თუმცე არ დავყაბულდებოდი, ბატონი თეიმურაზი წამითაც არ იყოყმანებდა, ხელი მოეწერა რედაქტორობაზე და პანეგირისტული სტრიქონებიც ეძღვნა წიგნისათვის რედაქტორის მინანურში.

რომანის განხილვაზე კი — შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში — თეიმურაზ დოიაშვილის თაოსნობით რომ გაიმართებოდა და თვითონვე გაუძღვებოდა, ამ საყვედურს გამოთქვამდა (მსუბუქად, მაგრამ მაინც) ოლია ოკუჯავას სახის გაუმართლებელი ვარომანტიკულების გამო, თუმცე მთავარ მომხსენებელს, ლევან ბრეგაძეს, თუ რამე მოეწონებოდა ამ წიგნში, ერთ-ერთი... სწორედ ოლიას პორტრეტი და ამ პერსონაჟისათვის უხვად გამეტებული ფურცლები.

მისი მოხსენება „დირიჟორი თვით იყო...“ „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე რომ გამოქვეყნდებოდა (2013, 1 ნომბერი), ეს პასაჟი ასე წარმოდგებოდა:

— როსტომ ჩხეიძის დამსახურებაა ოლია ოკუჯავას მწერლური ტალანტის აღმოჩენა. მისი დღიურები და გალაკტიონთან მიწერილი ბარათები, რომლებიც, საბედნიეროდ შემოგვრჩა, ავტორის მართებული შეფასებით, თითქმის დასრულებული ლირიკული მინიატურებია. მათ ლიტერატურულ ღირებებზე ვრცელად მსჯელობს როსტომ ჩხეიძე და უხვდაც მოჰყავს ციტატები მათგან... ოლია ოკუჯავა ამ წიგნის ყველაზე ტრაგიკული პიროვნებაა.

და აგერ ბატონი ვახტანგიც რარიგ გამეხარებინა: „კომიკოსი ტრაგედიის“ საბოლოო რეაბილიტაციაა ამ ქალბატონისა და გალაკტიონის ჩრდილიდან მისი გამოსხნა, ამაში კი ამ წიგნის ავტორთან ერთად მეც მიდევს წილიო.

და თეიმურაზ დოიაშვილი ამ სტატიის გაცნობისას უკვე მოვალედ მიიჩნევდა თავს, რომ საგანგებოდ წარმოეჩინა ეს ურთიერთობა, რომელსაც — მისი უტყობით — ხელოვნურად არაგებდნენ დანტე-ბეატრიჩესა და პეტრორკა-ლაურას მოდელს, არადა სინამდვილეში — თუკი მაინცდამაინც პარალელები და ანალოგიები გვიტაცებდა — ალექსანდრ ბლოკისა და ლიუბოვ მენდელეევის დაულაგებელ, ერთგულების ნორმით შეუზღუდავ „ოჯახს“ უფრო ჰგავდა, თუმცე მწარე რეალობა ვერც ბლოკს შეუშლიდა ხელს, შეექმნა „ლექსები მშვენიერ ბანოვანზე“, და ვერც გალაკტიონს — დაეწერა „შორეული ქალის“ ციკლი.

ესეიმი შუაგულში კი მოაქცევდა გალაკტიონის ვრცელ ლექსს „დრამა ერთი ბინისა“, პირველად 1928 წელს რომ დაიბეჭდა, როგორც შემადგენელი ნაწილი პოემისა „ეპოქა“, დამოუკიდებელ სათაურს კი მოგვიანებით შეიძენდა, როდესაც ავტორი ამ პოემას ლექსებად დაშლიდა და ციკლის სახით გამოაქვეყნებდა თხზულებათა მეორე ტომში (1935 წელი).

ესეი, რომელიც თავისი აგებულებით გამგრძელებელია თეიმურაზ დოიაშვილის ლიტერატურული დეტექტივების ციკლისა, მრავალმხრივ საგულისხმოა არამარტო ღრმა ანალიტიკური განსჯით, აზრის სიცხადით და ლოგიკურობით, არამედ — ფორმის დახვეწილობითაც და ფსიქოლოგიური ჩაკირკიტების იმ ხელოვნებითაც, რომლის წყალობითაც პოეტური მინიშნებანი თუ შეფარული განცდა-განწყობილებანი მზის სინათლეზე მარჯვედ ამოიზიდებიან და ხელშესახებს

ხდიან არა მარტოდენ ლირიკული გმირის მწუხარებას, სასო-
წარკვეთასა და დიდ სულიერ წამებას, არამედ თვითონ გა-
ლაკტიონისაც.

სტრიქონები გადაიხსნებიან მკვლევარის — უფრო ზუს-
ტად, დეტექტივის — მზერის წინაშე და გარდასული ამბის
ბუნდოვანი, ვუალრებული კონტურების მიღმა გამოიღან-
დება დრამის ის შეკუმშული „ფაბულა“, რომელიც ლექსის ში-
ნაარსის ამოხსნისაკენ ძალდაუტანებლად უბიძგებს.

აგერ მოულოდნელად დაბრუნებულა სადღაც გადაკარ-
გული ქალი, „გამხდარი, ჩუმი და ავადმყოფი“, და თან მოუტა-
ნია სირცხვილის დალი („ვერ გადაურჩა სირცხვილს“). და ვა-
რაუდი, ლექსი-დრამის პერსონაჟთა პროტოტიპები გალაკტი-
ონი და ოლია არიანო, მკვლევარს მოაძებნიებს პოეტის დლი-
ურის 1921 წლის 25 მაისის ჩანაწერს,
რუსეთიდან ახალდაბრუნებულ ოლი-
ასთან შეხვედრის აღწერას, რათა და-
ედასტურებინა, რაოდენ ზუსტად გა-
დადის დლიურის ყველა დეტალი ლექ-
სში, ხოლო მთავარი კოლიზია იდუმა-
ლი ამბისა ამ სტრიქონებში შეფარუ-
ლა: ვერ გადაურჩა ყინვას, ვერ გადა-
ურჩა სირცხვილსო.

დლიურის მიხედვით, გალაკტიონი
კოცნის ოლიას, ის კი ამას არ ელოდე-
ბა და... იბნევა.

მართლაც რატომ უნდა ყოფილი-
ყო ოლიასათვის მოულოდნელი და
დამაბნეველი ქმრის კოცნა — საესე-
ბით ბუნებრივი საქციელი ხანგრძლი-
ვი განშორების შემდეგ?

ჯერ მარტო ქალის შეცბუნება
მიგვახვედრებს მიზეზს, და ოლიას
სიტყვებმა მხოლოდ უნდა დაგვიდას-
ტუროს ვარაუდი.

— არ გეზიზღები? — მღელვარედ
ამოთქვამს ქალი, — მე გადამდები სე-
ნით ვარ ავად...

ხოლო გალაკტიონის პასუხი ქა-
ლის კითხვაზე თეიმურაზ დოიაშვილს
პოეტის შემბრალებ გულისა და
მგრძნობიარე ბუნების გამოხატულებად მიაჩნია:

— საშინლად ავადმყოფიც რომ იყო, ჩემთვის მაინც ძვირ-
ფასი ხარ, ოლია!

რაოდენ დამაფიქრებელია იმის მიკვლევა, რომ დლიურის
ეს ინფორმაციულად და ფსიქოლოგიურად უკიდურესად გა-
დატვირთული მონაკვეთი, მოსაუბრეთა ემოციურად დაძაბუ-
ლი, მღელვარე დიალოგი ლექსში გადატანილია მოკლე შე-
სიტყვებებით, რომლის მიღმაც სიტუაციის მთელი დრამა-
ტიზმი გადამალულა:

**„აი დავბრუნდი“ — ამბობს.
„დარჩი“ — პასუხი შენი.**

და რომ სიტყვა „დარჩი“, რასაც ლექსში მამაკაცი წარ-
მოთქვამს, გალაკტიონის რეალურ გრძნობათა ქარტეხილს
ფარავს.

ფილიგრანული შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, როგორ
იბრძვის პიროვნებაში შეურაცხყოფის ტკივილი და მიტევე-
ბის სურვილი. და პირადული უკან იხევს — ბრალდების დრო
არ არის, ოლია ავადაა. და რაც მთავარია, გალაკტიონი თავს
კი არ იტყუებს („მე გავიგე, მე ვიცი ყველაფერი!“) — მისი რე-
აქცია კვლავაც პოეტის შემბრალებ გულის ამოძახილია, განმ-
ტკიცებული მოვალეობის გრძნობით („მე ვიზრუნებ შენთვის,
რომელიც ასე შებრალებით მიყვარხარ“).

თვით ბედისწერა დაპირისპირებაა პოეტს?
ლალატის წინაშე აღმოჩენილა?

მაგრამ მასში უნდა იძალოს ქრისტიანულმა მორალმა —
შენდობის სურვილმა, და ფაქიზი ფსიქოლოგიური დაკვირვე-
ბა იმასაც გვითვალსაჩინოებს, თუ როგორ გამოაქვს გალაკ-
ტიონს საკუთარი თავისადმი, შინაგანი ჭიდილის შემდეგ,
მკაცრი განჩინება: დუმილი! არც ერთი სიტყვა ოლიას, არც
ერთი სიტყვა — სხვებთან!

და აი ლექსმა უნდა მიგვახვედროს, რომ მოქმედების
სტრატეგიას დლიურიდან ცხოვრებაში გადაუნაცვლებია, რა-
კილა პოეტურ ტექსტში ზუსტად განვითარებულა დლიურის
„სცენარი“. და ასე დაუსადგურებია დრამის მონაწილეთა შო-
რის გადაულახავ დუმილს და იმ საბედისწერო დლიდან ერთ
ჭერქვეშ მიტევევით აღდგენილი ერ-
თობა კი არა ზეიმობს, არამედ მწარე
უკონტაქტობა, რეალური გაუცხოება.

დეტექტივი დაუნდობლად მიი-
წევს პოეტის სულის სიღრმეში, რათა
მიაკვლიოს იმ შრესაც, თუ ცხოვრე-
ბის სისასტიკეს რარიგ დაულენავს
გალაკტიონის ზნეობრივი თვითშეგო-
ნება: შეურაცხყოფილი სულის კე-
თილშობილური განაზრახვი არაცნო-
ბიერის სიღრმიდან „ამომხტარ“ შეუნ-
დობლობის შემოტევას უნდა შეენი-
როს. და ცნობიერიდან განდევნილი
დასჯის წადილი უნებლიეთ დლიურში
უნდა ამოტივტივდეს: „არასდროს ამ
სიტყვებს მე არ გეტყვი და შეიძლება
ეს უფრო უსასტიკესი სასჯელი იყოს
შენთვის“.

და აგერ ეს დამაფიქრელი ნიუან-
სიც — თურმე უთქმელობასა და დუ-
მილში, მიტევევასთან ერთად, საპი-
რისპირო აზრიც უნდა ამოვიკითხოთ:
დასჯის სურვილი... და აღარც ის გაგ-
ვიკვირდეს, თუ დლიურიდან, პატიე-
ბის მოტივის თანადროულად, მძაფრ
თვითირონიასთან შერწყმული უპა-
ტიებლობის დემონის სარკასტული

ხარხარიც მოგვესმის: „ვერავინ ვერ გაიგებს ამ ცნობას. ეს,
თითქო, არც მე ვიცი... ხა, ხა, ხა!“

უძრავ დუმილში დანთქმულ ადამიანთა თანაცხოვრების
შინაგანი დრამატიზმი სწორედ ასე თუ წარმოისახებოდა:

— აი, ისინი სხედან ერთმანეთის პირისპირ, რმზერე ერ-
თმანეთს და თავთავის საფიქრალის ფიქრობენ. რომ იმედი უნ-
და ჰქონდეს ორ ურთიერთგაუცხოებულ არსებას? ამის პასუ-
ხად ავტორი-მთხრობელი ყოვლისმცოდნის სამზეროდან მიგ-
ვანიშნებს რეალურ ვითარებაზე: პატიება არ შედგა, დრო
მკურნალი ვერ აღმოჩნდა! სასწაულის მოლოდინი ამათა —
აღტაცების ხანა ჩავლილია, გული კი გრძნობით ველარ გათ-
ბება.

ასე უნდა ჩაინუროს ერთ სტროფში („თქვენ შეიძლება უც-
დით სასწაულების მოსვლას, როცა გათბება გული პატიებით
და გრძნობით? ან აღტაცებას უცდით? მაგრამ ამო ცდაა.
თქვენ ერთ ბინაში სდუმხართ და რალაცაზე ფიქრობთ“) დრა-
მის მონაწილეთა და, შესაბამისად, მათ პროტოტიპთა გა-
უცხოებული თანაცხოვრების გამოცდილება — 1921-ის შემ-
დგომი მრავალი წლის მწარე გამოცდილება.

და მკვლევარ-დეტექტივს აქ კიდევ ერთხელ უნდა შეეხსე-
ნებინა მკითხველისათვის, რომ 1928 წელს გამოქვეყნებული
ლექსი, როგორც პოემის შემადგენელი ნაწილი, 1935 წელს
დამოუკიდებელი სათაურითაც უნდა წარმომდგარიყო — ავ-
ტორის სიცოცხლეში პირველად და უკანასკნელად.



ვახტანგ ჯავახიაძე

— ოლიას ბოლო გადასახლებაზე მცირე ხნით ადრე გალაკტიონმა თავისი ე.წ. ოჯახური ცხოვრება განსაზღვრა როგორც **დრამა...** ლექსის დასასრულისკენ დაუნდობლად მიშვლდება ვერემდგარი მიტევების სავალალო შედეგი: ბედისწერას ერთ სივრცეში ჩაუკეტავს კაცის ბედის დამამხოველი „ცივი ტიკინა“ და ქალის ახალგაზრდობის შემშუსვრელი „გველი“!

დრამატულ ამბავს ბოლოს მინებებული რომ აქვს სოცრეალისტური მორალიზებული განსჯა და ოპტიმისტური მონოდება — ახალ დროს გაუსწორონ თვალი, ეს უკვე სხვა მსჯელობის თემაა, მთავარი ისაა, რომ მკითხველი — მკვლევარის კვალობაზე — დაუეჭვებლად სცნობს „დრამის“ პერსონაჟთა პროტოტიპებს: გალაკტიონ ტაბიძესა და ოლია ოკუჯავას.

თეიმურაზ დოიაშვილიც თავის მხრივ ადასტურებდა, რომ ოლია ოკუჯავა განათლებული, ნიჭიერი პიროვნება გახლდათ, ვინც უდავოდ პოზიტიური როლი შეასრულა გალაკტიონის ცხოვრებაში, მაგრამ — მკვლევარის რწმენით — არც ის უნდა დაგვევინებინა, რომ იგი არაქართულ ტრადიციებზე აღზრდილი, თავისებური ფიზიოლოგიური და ფსიქიკური ნიშნების ქალბატონი გახლდათ, ურაკომუნისტურ შეხედულებათა მქონე ოჯახსა და სქესის პრობლემებზე.

და როდესაც გამოეკამათებოდა თავის იმ კოლეგებს, რომელნიც წლების განმავლობაში მონდომებით ძერწავდნენ, ამდიდრებდნენ და ხვეწდნენ ლეგენდას ოლია ოკუჯავასა და გალაკტიონის გაუხუნარ, უჭკნობ სიყვარულზე და შეკითხვას გალაკტიონის სტროფითვე გამოხატავდა, შიგნით მცირე ცვლილებას რომ შეიტანდა: დავილაღე მე ამ ამბით... თქვენ, მკვლევარნო, თქვენც, მგონსებო, დაგრჩათ კიდევ ქალში რამე სანეტარო, საოცნებო?! — მათ შორის ვახტანგ ჯავახიძეს გამოარჩევდა და ეპიგრაფში გატანილი მისი გვარ-სახელით უშუალოდ „უცნობის“ შემოქმედისაგან მოითხოვდა პასუხს.

ან დაედასტურებინა ამ ესეის მხატვრულ-იდეური მრწამსი, ანდა გაბათილება მოექცება.

ცოტა ხანში ბატონი ვახტანგი მესტუმრებოდა „ჩვენი მწერლობის“ რედაქციამი და მომიტანდა გამომხატურებას თეიმურაზ დოიაშვილის ესეი, ერთგვერდიან მასალას, რომელსაც სტატიასაც ვერ დაარქმევდი. ვახტანგ ჯავახიძისა გახლდათ მხოლოდ სათაური: „39! 39! 39!“ ქვესათაური „კოლეგა გალაკტიონოლოგების საყურადღებოდ“ და ერთნიდადებიანი პრეამბულა: „წარმოგიდგინთ ერთი საკუთარი სახელის ქართულ-რუსულ-ფრანგულ ვარიაციებს, რომლის ავტორია გალაკტიონ ტაბიძე“; და ჩამოინერებოდა სახელის „ოლია“ 39 ვარიაცია მოფერების, მილაციცების, მისათუთების ნიმუშად, სიტყვათამაზის დაუმცხრალ დადასტურებად;

ოლია, ოლა, ლია, ოლიალია, ოლი, ოლა, ოლე, ოლოლო, ოლოლი, ოლოლო, ოლოლი, ოლინიკ, ოლინიკა, ოლიკინ, ოლიკინი, ოლიკინი, ოლიკინი, ოლიკინი, ოკლო-შოკლო, ლოკ, ოლა, *Ольга, Оля, Оли, Олюшка, Олюся, Оля О, Оль-Оли, Оль-Gall, Galol*, ოლია! ო! ლია! ოლ-ოლ! ია! აილოლო! ლიო! ლია!, ია! — დამავიგვინებულ აკორდად ეს ფრაზა რომ შერჩეულიყო:

— ოლოლი! ლო იცოდე, ლა მშვენიერი დღე აღის დღეს! თავისებურ მელიოდიად გახმიანებულ ვარიაციებს „ლას“-ის ასე ჩანვანა კიდევ უფრო გაამკვეთრებდა.



თეიმურაზ დოიაშვილი

თანაც, გალაკტიონის ნახატებიდანაც შეარჩევდა ორ ნიმუშს, რომელთა საყრდენიც ოლიას სახელი გახლდათ.

ვის, რომელ პოეტს დაუტრიალებია ამდენგვარად სატრფოსა თუ მეუღლის სახელი, და ნუთუ ეს შეიძლება შემთხვევითი იყოს და არა დიდი გრძობის გადმოღვრა? — გამჭვირვალე გახლდათ საპასუხო მასალის მხატვრულ-იდეური მრწამსი, ავტორის დაბეჯითებას კი ადასტურებდა სათაურში სამჯერ გაეღვებული ძახილის ნიმუში.

— მე მომენონა თემურის ის წერილი, — ვეტყვოდი.

— მეც ძალიან, რომ იცოდე, მაგრამ ოლიას სახელის ამ დაუსრულებელ, მოუნყინარ თამაშსაც ხომ რაღაც პასუხი უნდა გაეცეს?! ამ ნახატებსაც...

— თქვენი გრაფიკული ლექსების ციკლშიც შეიძლება შეიტანოთ, ისეთი ორიგინალური მასალა, — ეს აზრი გამიჩნდებოდა.

— გრაფიკული ლექსებისა რა გითხრა, მაგრამ „უცნობის“ მომდევნო გამოცემაში აუცილებლად ჩავრთავ ცალკე თავად. შემოკლებულად აქამდეც მქონდა, შენ კი მოგეხსენება, მაგრამ ასე სრულად ძალიან მოიხდინა.

დასაბეჭდად ორიგინალურ გზას გამოვძებნიდი — მასალის შესაფერისს: კლავიატურაზე კი არ ავანცობინებდი, არამედ ბატონი ვახტანგის ხელნაწერადვე გავიტანდი ყურნალის გარეკანის მესამე გვერდზე, ავტორის გვარ-სახელისათვის კი გალაკტიონისეულ დანერილობას ვამჯობინებდი, „უცნობის“ ყველა გამოცემას რომ ამშვენებს.

თავის თვალსაზრისზე დარჩებოდა ვახტანგ ჯავახიძე.

და კვლავაც ასე აღმოჩნდებოდა ეს ორი გალაკტიონოლოგი ამ საკითხში საპირისპირო პოლუსზე, თავთავიანთ შეხედულებებს აღარ გადასინჯავდნენ ნაწილობრივაც კი. ვერ შეთანხმდებოდნენ და ვერა.

კამათი მოთავდებოდა. სიმწვავეც მეტი რა არის, როდესაც პოლემიკა ისე დასრულდება, მოკამათეთა პოზიციები ოდნავადაც რომ არ დაახლოვდება.

მწვავეს კი არა, პოლემიკას საერთოდ ვერ ვხედავო, — ხელს ჩაიქნევს იმედგაცრუებული მკითხველი ამ მასალების გაცნობისას, — ეს როგორ შემეშლება, ჩვენებური კამათი იმდენ ბატალიას შევსწრებივარ, პოლემიკები ის იყო თუ იყო, თორემ ეს სადაური რა კამათიაო!..

მაგრამ ხომ უნდა გაირღვეს ეს მოჯადოებული წრე და ეს სტერეოტიპიც იქცეს ნამსხვრევებად?!

და სწორედ ასე — შეურიგებლად, მტკიცე შეწინააღმდეგებად კამათის უზნეო, სამარცხვინო ფორმებთან, ავერ თეიმურაზ დოიაშვილი და ვახტანგ ჯავახიძე შეკავშირებულნი რომ დგანან ამ ახალი განზომილების წინა ხაზზე და არა შეგონებით, არამედ პირადი მოქმედებით წარმოგვიდგენენ ამ განზომილების უჩვეულო მომხიბვლელობას, ასერიგად რომ გვწყურია და... იქ მისასვლელი ბილიკებისაკენ კი არც ვიხედებით, თითქოს თავისით გადაგვეშლებოდეს ფიანდაზად.

— მოიცა რა, ჩვენებურ პოლემიკას რა სჯობსო, — ველოდები, როდის მეცემა ყელში ვინმე, ძალიანაც შემოფოთებული, ემანდ მართლა არ გამოგვაცალონ სასერიო ასპარეზოო...

ჯემალ ინჯია

ორი სუფრა

□

ბურამ ასათიანის გასხენება

ავგისტოს ომი დამთავრებულა და „ჩვენი მხერღობის“ 26 სექტემბრის ნომერს ვფურცლავ ხელახლა, ექვსი წლის შემდეგ.

არავის ეგონოს, რომ ის „ხუთდღიანი ომი“ იყო. იგი დღესაც გრძელდება, მაგრამ ვაი რომ არა გალაკტიონისეული გაგებით — „ომი მიაჩნდათ ლხინად, ასეთი იყო გორი“.

დავეშვათ მიწაზე.

ძველ ჟურნალს ვათვალიერებ და თეიმურაზ დოიაშვილის, დიდად ნიჭიერი კრიტიკოსის, სიტყვებს ვკითხულობ: „ერთი ჭირის სუფრაზე ერთად ვისხედით მე და ბატონი გურამ ასათიანი...“

რალაც-რალაცები შევბედეო უფროს კოლეგას და დიდი პაუზის შემდეგ ასე უპასუხნია უკვე აღიარებულ კრიტიკოსს: „მე რომ მოვედი ბესო ჟღენტი დამხვდა, შენ რომ მოხვედი — გურამ ასათიანი.“

დიდებულად უთქვამს ცხონებულს.

პირადად ახლოს არ ვიცნობდი, მაგრამ ვიცოდი მისი ფასი და წონა. იგი დაუსწრებლად შემოიყვანა ჩვენს სტუდენტურ სამყაროში მისმა მეგობარმა და კოლეგამ — ნოდარ ალანია, რომელიც ქართული ლიტერატურის კურსს კითხულობდა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ნოდარის თქმით, გურამს ძალზე უყვარდა სერგეი ესენინის პოეზია და ეს სიყვარული გადამდები აღმოჩნდა. აღმოჩნდა და მეც გადმომეღო. უამრავი ლექსი ვთარგმნე, მათ შორის, ისიც, ორივემ რომ ზეპირად იცოდნენ. ამ უსათაურო ლექსის („ყველა ნელ-ნელა წავალთ“) ნაწყვეტი მოტანილი მაქვს წიგნში „ოთარ ჩხეიძის აბრისი“ და აქაც ასევე გავიმეორებ თუნდაც იმიტომ, რომ წიგნში გაიპარა დასანანი კორექტურული შეცდომა რუსული ტექსტის ბოლოს — დაე ახლა გასწორდეს:

**Много дум я в тишине продумал,
Много песен про себя сплотил,
И на этой на земле угрюмой
Счастлив тем, что я дышал и жил.
Счастлив тем, что целовал я женщин,
Мял цветы, валялся на траве
И зверье, как братьев наших меньших,
Никогда не бил по голове.**

ჩემი თარგმანი:

მე იმ სიჩუმეს ფიქრით ვნთქავდი, თან ჩემთვის ვმლეროდი, შევთხზე ბევრი რამ. პირქუშ მიწაზე რომ ვსუნთქავდი და რომ ვარსებობდი — ბედნიერი ვარ — რომ მე ვკოცნიდი ქალებს — რად არა — რომ მდელოს სუნი ცხვირში მცემია, რომ მხეცებისთვის — ჩვენი პატარა ძმებისთვის — თავზე არ მიცემია.

სულის ამოსვლამდე კითხულობდა თურმე ზეპირად ლენინგრადის ქსენონში სიკვდილთან მებრძოლი ნოდარ ალანია ესენინის ლექსებს და ცრემლებად იღვრებოდნენ თეთრხალათიანი ფერიები.

ეს გურამ ასათიანისგან ვიცი.

ერთი ჭირის სუფრაზე ერთად ვისხედით მე და გურამ ასათიანი.

ნოდარის ქელეხი იყო.

გურამი უძღვებოდა სუფრას.

რიტუალის დასასრულს გორელეები განსაკუთრებულად გვადღეგრძელა, წამოვდექით ფეხზე მე და ზაურ ნაქაძე — ჩვენ ხომ ნოდარი თავის უმცროს და განუყრელ მეგობრებად გვთვლიდა.

ერთი ცნობილი მწერალი თავის კაბინეტში გულჯავრიანად ლაპარაკობდა — გურამი ისე წავიდა ამქვეყნიდან, არამცთუ წერილი, სიტყვაც არ დაუსველებია ჩემზე, გვართაც კი არსად ვყავარ მოხსენიებულიო.

რა თქმა უნდა, მე ეს ჯავრი არ მანუხებს, ყველამ თავისი იცის. ერთი კი ცხადია, რომ, დაშტამპული კრიტიკული აზროვნების ფონზე გურამ ასათიანის სახე მეტად მომხიბვლელად გამოჩნდა ლიტერატურული პროცესების მდინარების უამს ჩემს ახალგაზრდობაში.

და ერთი ეპიზოდი იმ ახალგაზრდობიდან:

გორის სასტუმრო „ინტურისტის“ რესტორანში ვზივარ თანატოლებთან ერთად. კუპედან მიმტანის დასაძახებლად გამოვედი და თვალი მოვკარი საერთო დარბაზში მაგიდასთან მოტრაპეზე „არაგორულ“ ქალ-ვაჟს.

„ეს ხომ გურამ ასათიანია“, — გავიფიქრე.

მერე რა, რომ არა მცნობს. პირმშვენიერ მეგობარ ქალთან სადილობს.

გამოვეცხადე. მივესალმე. როგორ არ გიცნობო.

მოვხვით ორივეს ხელი და კუპეში შევიყვანე, ჩემს მოედანზე გავაგრძელეთ პურობა. ფრიად გავახარე მეინახეები დახვეწილი ინტელიგენტის, საამოდ მოუბარის და პოეზიის ცოცხალი ენციკლოპედიის, გურამის, სტუმრობით.

ძალზე დაგწყვიტა გული მისმა უდროოდ გასვლამ წუთისოფლიდან.

1994 წლის 1 იანვარს ეს ლექსი დამინერია:

**გურამ ასათიანი
ასათიანი გურამი
კი არა ჰგავდა დემოსტენს,
იყო ნამდვილი გურმანი,
ვინც უსინჯავდა გემოს თქვენს
ლიტერატურულ პურმარილს.**

...და მაინც — ნეტავ სად არის ახლა ის პირმშვენიერი?



ბატონო როსტომ, დიდი სიამოვნებითა და ინტერესით წავიკითხე თქვენი წიგნი — „სიმართლე გიორგი სააკაძეზე“. შევეცადე ჩემი მოკრძალებული აზრიც ჩამომეყალიბებინა წერილში — „სააკაძის პატარა თავი... აბა ამერიკის ჩექმა გვინდა?..“ წერის დროს უცნაურ დამთხვევაზე მომიხდა ჩაფიქრება. ამაში ახლობლის სიტყვებმა მიზიძგეს.

„გაგიჟდი? ვერ ხედავ რა ხდება? (ნეტა რა ხდება?) 2012 წელია, 1991 წელი კი არა, გაანებე სააკაძეზე წერას თავი, სამსახურს მიხედევ“ — ეს ბოლო ფრაზები გაფრთხილებასავით გაისმა. მეგობარმა თქვენი წიგნი გადაშალა და გამოცემის წელი რომ წაიკითხა — „ხო, ესეც ხომ ფანტაზიკოსიაო...“ ეპატიება, ინჟინერია, მაგრამ ქართველიც რომ არის სულით ხორცამდე?

პაატა ჩიქოვანი

სააკაძის პატარა თავი...

(აბა ამერიკის ჩექმა გინდა?)

დიდხანს ვფიქრობდი, რით დამეწყო ამ წერილის წერა — „ერთი წიგნის“ შესახებ. ვმსჯელობ ჩემთვის და ერთი წიგნის და ამ წიგნში უაღრესად კვალიფიციურად გადმოცემული (ყოველმხრივ) ერთი ისტორიული საკითხის შესახებ კი არა, უფრო დიდი და პრობლემური თემის შესახებ უნდა დავწერო, რომელიც დღემდე აქტუალურია (სამწუხაროდ). რა წიგნიაო? — იკითხავს პატივცემული მკითხველი. რა და როსტომ ჩხეიძის „სიმართლე გიორგი სააკაძეზე“. რომელ გიორგი სააკაძეზე, ჩვენ ეროვნულ დევგმირ კაცზეო? იტყვიან **ერთნი** — გულუბრყვილონი; ეს რომელზე, მოედანზე რომ ძეგლი უდგას დევგმირის სხეულით და პატარა თავითო? იტყვიან **მეორენი** — უფრო ფრთხილნი, გიორგი სააკაძის ცხოვრების ისტორიაში შედარებით კარგად ჩახედულნი (უთუოდ კარგი იუმორის მქონენი). სააკაძესაც მიადგნენო, ბოროტად ჩაიქირქილებენ **მესამენი**. რაც ჩასძახებს, იმას იძახიან ჯიუტად. პირველთ შეუდოთ უმეცრები არიან — კომუნისტური პროპაგანდის მსხვერპლნი. ბოროტად ჩამქირქილებლებს, არ დავახასიათებ, მაგრამ ვიტყვი, რომ ბევრად უფრო საშიში არიან, ვიდრე სააკაძის „გმირობის“ შესახებ სიმართლის მკვლევარებს და წარმომჩენთ ჰგონიათ.

იმის დასტურად, რომ საკითხი ერთი პიროვნების როლს სცილდება, თვითონ ავტორის წინასიტყვაობიდან მოვიყვან ციტატას: „გიორგი სააკაძის პიროვნებისა და სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწეობის განსჯა-შეფასება კარგი სასინჯი ქვაა იმის გასარკვევად, თუ როგორი გვინდა იყოს საქართველოს ისტორია — სიცრუის საბურველ-შემოხვეული, თუ ისეთი, როგორიც სინამდვილეში გახლდათ“.

ხედავთ მკითხველო, არც ისე ადვილი ყოფილა საქართველოს ისტორიის ცოდნა (ყველა რომ თავს დებს, პოლიტიკოსებისა არ იყოს). პოლიტიკოსებისაო?! ეს რა წამოცდა. რა შუაშია?! — იკითხავენ **ერთნი**. **მეორენი** იტყვიან: პოლიტიკოსმა ისტორია უნდა იცოდესო, **მესამენი** — გააჩნია რა, როგორ და რისთვის უნდა გამოიყენოსო (რა ობიექტურია მესამე ნაწილი?!)? სამწუხაროდ, სწორედ ეს მესამენი განკარგავდნენ (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) რა და როგორ უნდა გვესწავლა ისტორიაში, რათა ისტორიის უკუღმართი გაკვეთილები ცხოვრებაში გავვემეორებინა (რასაც განსაკუთრებით კარგად ვახერხებთ უკანასკნელ ათწლეულებში).

ჩემი წერილის სათაური — „სააკაძის პატარა თავი... აბა, ამერიკული ჩექმა გვინდა?“ — სწორედ ისტორიის კონიუნქტურულმა წერამ განაპირობა. უფრო სწორად, ყაბდო იდეალებით აღზრდილ თაობას, განსაკუთრებით იმ **მესამეებს** (ზემოთ რომ ვახსენებდი) — საოცარი რამ ახასიათებთ, საკმარისია... და სხვა პოლიტიკურ თემებს თავი გაანებო და სააკაძეზე სიმართლე მოუთხრო, რომ 10, მაქსიმუმ 15 წუთში, გაღიზიანებული ტონით გკითხავენ: აბა ამერიკის ჩექმა გვინ-

და?... არა ბატონებო, არც მე და არც წიგნის ავტორს — როსტომ ჩხეიძეს არავის ჩექმა და ხიშტი არ გვინდა და ვისაც უნდა... მიმიხვდი, მკითხველო? (ბოდიში)

ქართულ ლიტერატურასა და ისტორიულ მეცნიერებაში იყვნენ მწერლები, მეცნიერები, რომლებსაც სწორად ჰქონდათ განსჯილი გიორგი სააკაძის „საქმენი საგმირონი“, და იყვნენ „კონიუნქტურმიკები“, რომლებიც აპარებდნენ (უფრო სწორი იქნება — ეპარებოდათ) ან გვერდს ვერ უვლიდნენ სააკაძის მიერ ქვეყნისთვის ჩადენილ ავკაცობას, ცდილობდნენ სხვადასხვა ფორმით შეენიღბათ, და ამის შესახებ კარგად წერს როსტომ ჩხეიძე და ბევრად უფრო კარგად ხსნის, ვინ და რატომ, რა მხატვრული ფორმების გამოყენებით ბედავს თავისი სათქმელის თქმას — თავის პირველივე წერილში ბატონ როსტომს აქვს ლევან გოთუას „უგზო ქარავანი“ (რომელიც სტალინის ეპოქაში დაინერა და 11 წელი არ დაუბეჭდეს) გაანალიზებული.

განხილვისას სხვდებით საოცარ მხატვრულ-შინაარსობრივ მიგნებებს. ლევან გოთუა ცოცხალი რომ იყოს, დაურეკავდა როსტომ ჩხეიძეს და მადლობას ეტყოდა. საერთოდ, მთელი წიგნი არის საუკეთესო მაგალითი ობიექტური ანალიზისა, თუ ვინ, რატომ და როგორ წერდა გიორგი სააკაძეზე. მე, თქვენი მონა-მორჩილი, არ ვიკადრებ ჩემეული შეფასება დავურთო წიგნში მოცემულ ღრმა ისტორიულ ანალიზს — ეპოქისა და პიროვნებისა. ეს ბ-ნმა როსტომმა ბრწყინვალედ გადმოგვცა ჯერ წიგნის I-ვე თავში — „ორმოლტიანი მათრახი“, ხოლო შემდეგ პოლემიკურ წერილთა სერიისაში. წიგნის ბოლო თავები (ვალკე განსახილველად მიმაჩნია და სტატიის ბოლოს მოგახსენებთ. მხოლოდ მაგალითად დავასახელებ იმ დიდი ეროვნული იდეოლოგიის მამამთავრებს, ვინც საბოლოო ჯამში უარყოფითად აფასებდა გიორგი სააკაძის მოღვაწეობას. დიას! — საბოლოო ჯამში (ამასაც მნიშვნელობა აქვს), რადგან კარგ სამხედრო ნიჭს, სიმამაცეს, ძლიერ პიროვნულ და ფიზიკურ ძალას, უნარს მიზნისთვის, თავგანწირვას (ვაი!.. ვაი!.. ვისთვის? ან რისთვის?) არც არავინ უკარგავს სააკაძეს.

აი, ისინი, ბატონებო: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ლევან გოთუა, კონსტანტინე გამსახურდია, ივანე ჯავახიშვილი, თამაზ ნატროშვილი, ვალერიან გაბაშვილი, აკაკი ბაქრაძე, ვახუშტი ბაგრატიონი, ბერი ეგნატაშვილი და სხვანი და სხვანი. მათ ისტორიის ცოდნაში და პატრიოტიზმში ვინმეს ეპარება ეჭვი? მაშინ რა ხდება? არსებობს ერთი ქეშმარიტი ისტორიული სიმართლე, რომელიც როსტომ ჩხეიძემ ჩამოაყალიბა ისტორიული წყაროებისა და ზემოთ ჩამოთვლილი დიდი ადამიანების აზრების შეჯამების შედეგად სააკაძის რენეგატობის შესახებ (რეგენატი რომ ეროვნული გმირი არ შეიძლება იყოს, ეს ხომ აქსიომაა).

მაშ რატომ არ არის ისტორიის სახელმძღვანელოებში შეტანილი ისტორიული სიმართლე, რატომ? სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის 20 წლის თავზეც ქართულ საზოგადოებას სტალინის მიერ გაყალბებული ისტორიული აზრით ვასწავლით ახალ თაობას. რატომ არის ფართო საზოგადოებისთვის დღემდე უცნობი სააკაძის ავკაცობანი, მისხალ-მისხალ მოძიებულ ქართულ და უცხოურ წყაროებსა და ლიტერატურაში როსტომ ჩხეიძის მიერ (ტიტანური შრომაა, ბატონებო, ტიტანური!).

მარტო სიმართლე კი არ უნდა ისწავლებოდეს, ისიც უნდა ითქვას, ტყუილს რატომ და როგორი მეთოდოლოგიით წერდნენ და ასწავლიდნენ.

რატომ და როგორ ქმნიდნენ ხალხისთვის ყალბი გმირების სახეებს (რატომ? მაპატიე მკითხველო, ნამდვილად წერის დროს მიპყრობს სიბრაზე)? დამეთანხმებით, თუ სიმართლე 20 წელია რაც დაინერა და დაიბეჭდა როსტომ ჩხეიძის მიერ, რატომ სვამენ გიორგი სააკაძის სადღეგრძელოებს დღემდე? ეკლესიაში მლოცველი მრევლი 3-ჯერ რწმენაშეცვლილ, ქართველი წმინდანის მოკვდინების უშუალო მონაწილეს კიდევ გმირად რატომ მოიხსენიებს?

ნიგნში — „სიმართლე გიორგი სააკაძეზე“, — სადაც ზემოთ მოხსენებული დიდი მწერლებისა და ისტორიკოსთა აზრებია ციტირებული, რომელშიც ჩანს, რომ ქართველი ხალხის რჩეული ეროვნული ინტელიგენცია გიორგი სააკაძეზე უარყოფით აზრს გამოთქვამს (განსხვავებით ნომენკლატურული ინტელიგენციისაგან), უამრავი არგუმენტი და უცხოური წყაროები გვისაბუთებენ, რომ გიორგი სააკაძე 1616 წლის კახეთის ანოიკებასა და კახელების ფერეიდანში გადასახლებაში მონაწილეობდა (ამ „გმირობაზე“ არცერთ საბჭოთა ისტორიის სახელმძღვანელოში არაფერი წერია. რატომ?).

წმინდა მონამის ლუარსაბის სისხლშია გასვრილი და სხვა უამრავ ბოროტებაში საქართველოს წინაშეა დამნაშავე.

ბაზალეთის ძმათამკვლელი ომი — ლეგიტიმური მეფის დამხობის მიზნით — მხოლოდ მისი პირადი ამბიციების გამო მოხდა. შედეგი — არამართო უამრავი ქართველი გმირის სისხლია, შაჰ-აბასი გაახარა და, მოკლედ რომ ვთქვათ, მტრის საქმე გააკეთა (ოჰო!.. ეს რა კარგად შეგვიძლია?!..). ამ ბრალდებათა მიუხედავად ახალგაზრდებს ეუბნებიან, გმირი იყო.

ბაზალეთსა და მტრის საქმის კეთებასთან დაკავშირებით გამახსენდა, ჩემო მკითხველო, ეკატერინე II-ის წერილი, საქართველოში მყოფ დიპლომატიურ მოხელეს — კაპიტან იაზიკოვს — რომ სწერს — ისე მოაწყეთ სახელმწიფო გადატრიალება და მოკალით ერეკლე II, რომ რუსული კვალი არ გამოჩნდესო („მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის პოლიტიკური ისტორია“ — პაატა ბუხრაშვილი, „ამირანი“, 2, 2001). რუსეთის პოლიტიკურ წრეებში ქართული ისტორია კარგად უსწავლიათ. ჩვენ?.. არ შემოიძლია არ გადმოვწერო როსტომ ჩხეიძის ნიგნში მოყვანილი პოეტ გრიგოლ აბაშიძის ლექსის სტრიქონები:

წყევლა და კრულვა მათ გზას, შავგზიანს, ვინც სამშობლოზე მახვილგანვდილმა მამულს მტრის ურდო შემოუსია და საქართველოს სისხლი აწვიმა.

ძვირად დაგვიჯდა ვისი გაცნობაც, ვინც დედის საფლავს ხნავდა სახველით ჯანდაბას მათი დიდი კაცობაც, ჯანდაბას მათი დიდი სახელიც.

ვითომ „ხნავდა სახველით და დიდი კაცობა, დიდი სახელი“, მართო რენეგატ სააკაძეზე რითმისთვის დასჭირდა დიდ პოეტს?

აბა გაიხსენეთ, ბატონო მკითხველო, 1922 წელს თბილისში, ნაძალადევის რაიონში მუშებთან შეხვედრის შემდეგ, სადაც სტალინის ობსტრუქცია მოუწყვეს, გამწარებულმა სტალინმა რა დაიქაღანა?! „საქართველო — გადასახნავიაო“ (ვილაცა გახარებული შემედავება 1922-ში კი არა, 1923 იყო თბილისში. აუ... ეს რა შემშლია, მაგრამ მის სიტყვებსა და საქმეებზე რას იტყვით, ბატონებო?). ეს „ვილაც“ იმ **მესამეთა** კატეგორიიდან არის. მოვასხენებდი მკითხველს — ძირითადად სწორედ ასეთ ავციებთან მოუწია პოლემიკა ბატონ როსტომს (ყველა მასთან მოკამათეს ავციად არ მოვიხსენიებ, განსაკუთრებით ბატონ გივი ჯამბურას), რომელთაც კარგად პასუხობს როსტომ ჩხეიძე. ამ შემთხვევაშიც მე მათ მიმართ ამ ეპითეტით შემოვიფარგლები.

ქართველი წმინდანის ლუარსაბ მეფის სისხლში სააკაძის ხელი ურევიაო, წერს როსტომ ჩხეიძე და, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ქართველი ისტორიკოსების ფარსადან გორგიჯანიძის, ანტონ კათალიკოსის, ზაქარია ჭიჭინაძის და სხვათა და სხვათა, ასევე უცხოელ მისიონერების მოსაზრებებსაც იმონებს, პიეტრო დელა ვალეს, შარდენს და სხვებს. იმდენი არგუმენტი და პროფესიონალის აზრი მოჰყავს, რომ ყველას ვერ ჩამოვთვლით; მხოლოდ იოსებ ტფილელის — გვარად სააკაძის — პოემიდან როსტომის მიერ დაწერილ ნიგნში მოტანილ ციტატას მოგახსენებთ:

ქვეყანამ იცის, შენ იყავ მისი სისხლისა მღვრელია.

როგორც მოგეხსენებათ, იოსებ ტფილელი ქება-დიდებას ასხამს თავის მოგვარეს — გიორგი სააკაძეს, თუმცა მის ავკაცობას — წმინდა ლუარსაბ მეფის მკვლელობაში მონაწილეობას — ისიც ვერ უფლის გვერდს და აღიარებს. ხედავ, მკითხველო, არც ვერ პოემა გამორჩენია როსტომ ჩხეიძეს სხვა არგუმენტებთან ერთად.

ამ ყველაფრის მიუხედავად, ვგულისხმობ ბ-ნი როსტომის მიერ მოძიებულ ისტორიულ სიმართლეს, ვინ და რატომ ედავება მას ისტორიული სიმართლის მტკიცებულებებში? რატომ, ბატონებო, და: ნიგნის ბოლო თავებში პირდაპირ გადადიან გულისნადების გახსნაზე ბ-ნი როსტომის კრიტიკის „ქარცეცხლში“ გამტარებლები (მათ გვარებს არ ვასახელებ), სადაც ჩანს, რომ ძველი ბელადის ნაცვლად, ახალ ბელადებს უკმევენ გუნდრუკს. მათ სტალინი ამკარად (1992 წელს მოსკოვიდან ახალჩამოსული) ედუარდ შევარდნაძით ჩაანაცვლეს. ე.ი. თუ საბჭოთა პერიოდის ნომენკლატურა სტალინ-სააკაძეს აიგივებდა, მათ ამ წერილებში შევარდნაძე და სააკაძე დააკავშირეს ერთმანეთთან თავიანთი ცხოვრების წესით. მითუმეტეს, რომ ბ-ნი როსტომის პირველი წერილი, 1990 წლის 28 ნოემბერს გამოქვეყნდა გაზეთში „საქართველო“.

უნდა ვთქვა, რომ იმ დროს, შევარდნაძის საწინააღმდეგო მიტინგები ირბოდა და იხვრიტებოდა, როდესაც პოეტი სახლში ჩაიხვრიტეს (დღემდე ეს საქმე გამოუძიებელია), მხატვარს ხელი მოაჭრეს და ა.შ. ბ-ნი როსტომის მხრიდან სააკაძის — რენეგატისა და ქვეყნისთვის უბედურების მომტანის (რაზეც ზემოთ მოგახსენებდით) — საკითხის ნამოჭრა მოქალაქეობრივი გმირობის ტოლფასი იყო, ხოლო ვაიკრიტიკოსთა მხრიდან — მლიქვნელობა და ბეზლობა. ცოტა ადრეულ წლებში იყო ბ-ნ გურამ გეგეშიძის მოთხრობა — „დიდება“, რომელსაც მოიხსენიებს თავის ნიგნში ბ-ნი როსტომი და ეხებოდა რენეგატობის თემას, თუმცა გურამ გეგეშიძის ნაწარმოები ალეგორიულია და ცოტა ფანტასმაგორიულადაც შეიძლება ჩაითვალოს (ყოფილ ვერნიც ფანტასტი მწერალი იყო და არ ახდა მისი დაწერილი?!).

როსტომ ჩხეიძემ დაწერა ისტორიული სიმართლე ისტორიულ პიროვნებებზე, ისტორიის რეალურ გაკვეთილებზე — სწორედ რომ გაკვეთილებზე. ისტორიული სიმართლის გაკრიტიკებაც თავის კეთილდღეობისთვის, მლიქვნელობის მასალისთვის გამოიყენეს ვაიკრიტიკოსებმა, თორემ რა სააკაძე, რა ისტორია, რისი სიმართლე, რომელია ილია ჭავჭავაძეზე, ივანე ჯავახიშვილზე და სხვა ზემოთ ჩამოთვლილ დიდ ადამიანებზე უფრო დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე (ისე მეც მაქვს, ჩემო მკითხველო, ერთი წერილი პეტრე I-ზე — „რეფორმატორი“ ანუ რეფორმები ხალხის გარეშე. რედაქტორებმა ხან ვის მიამსგავსეს, ხან ვის, მე კი პეტრეზე ვწერდი). რა ექნა ბ-ნ როსტომს, არ გამოექვეყნებინა ამხელა ნაშრომი და ნაღვანი? არ გამოეაშკარავებინა ისტორიული სიმართლე? ვინ ვის მიამსგავსა, ვინ ვინ იგულისხმა, ეს მათი პრობლემაა. მართალი ისტორია კი ისტორიაა.

ნუ აირჩევენ პოლიტიკოსები რენეგატის გზას, ნუ დაივინებენ, რომ რეფორმების მიღმა ცოცხალი ადამიანები დგან თავისი ოჯახებით. ეს მათი ასარჩევია, ვაიპოლიტიკოსების.

ამას წინათ შევიტყვე, რომ მეუფე ანანიას ხელმძღვანელობით შეიქმნა „ისტორიული სიმართლის დამდგენი კომისია“. ისევ დედა-ეკლესია დაგვეხმარება, რომ ჭეშმარიტება მივიტანოთ საზოგადოებამდე და არა კონიუნქტურით განსაზღვრული ისტორია, თუ ამას ისტორია შეიძლება ვუნოდოთ.

წიგნის დასასრულს ერთ ჩემთვის უცნობ ისტორიასაც აეხადა ფარდა. ერთი კრიტიკოსი, სოციალისტური რეალიზმის წარმომადგენელი, ზუსტად ისევე, როგორც საბჭოთა პერიოდში, იყენებს კრიტიკის ლენინურ ფორმას, როდესაც მეცნიერულ არგუმენტებს წითელი კრიტიკოსი (თუ მათ კრიტიკოსი ეწოდება და არა ჩეკისტი და რატომაც ვუნოდებ ჩეკისტებს, ქვემოთ მოგახსენებთ...) უპირისპირებს სოციალურ წარმოშობას, „თავადი“ რომ ხარ, იმიტომ ემტერები ხალხურ გმირ სააკაძესო.

როსტომ ჩხეიძე წიგნის ბოლოს თითქოს ჯინაზე თავის გენეალოგიას მეფე ლუარსაბ პირველს უკავშირებს (მთლად არ გადაიროდნენ საბჭოთა კრიტიკოსები სიხარულით? მეფის შთამომავალიც ყოფილაო!). თუმცა ბ-ნი როსტომი არც იმას იფიქრებს, რომ სააკაძეების ნათესავიც გამოდის. მაგრამ რა ქნას ჭეშმარიტმა მწერალმა და მეცნიერმა? ისტორიული სიმართლე ხომ ერთია?!

როგორც შეგპირდით, იმის დასამტკიცებლად, რომ საბჭოთა კრიტიკოსთა და ჩეკისტთა მეთოდები ერთიადიგივე იყო, ერთ დოკუმენტს მოგიყვანთ მაგალითად. „Жеднвник ВЧ, 1918 г. 1“-ში წერია ინსტრუქცია, თუ გამომძიებელმა რომელი მნიშვნელოვანი კითხვებით უნდა განსაზღვროს დამნაშავეს ბრალეულობა: 1. როგორი სოციალური წარმოშობისაა, 2. როგორია მისი აღზრდა, განათლება, 3. რა პროფესიისაა?

ხედავთ, მკითხველო, ჩეკისტებისთვის სოციალური წარმოშობა დანაშაული ყოფილა, დამნაშავე კი ყოველთვის მტყუანია — ეს ლოგიკურია. ე.ი. ჯერ დამნაშავედ გამოიყვანო. საკუთარი პოლიტიკური და მორალური ნორმებიდან. ე.ი. როგორი სამართლებრივი ნორმებით სარგებლობდნენ „ჩეკისტები“ და ასევე მორალური პოლიტიკური შეხედულებებით უპირისპირდებოდნენ საბჭოთა კრიტიკოსები როსტომ ჩხეიძეს.

„როცა სიმართლეს ვერ ასაბუთებ მეცნიერული არგუმენტებით, მაშინ სოციალურსა და პირადულს უნდა გადახვიდე“ — ასე მოძღვრავდა ლენინი ჩეკისტებს და რასაკვირველია, საბჭოთა კრიტიკოსებიც ხელმძღვანელობდნენ ბელადის დანაშაულებით.

კარგად ჩანს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბ-ნმა როსტომმა მართალი მეცნიერული არგუმენტებით უპასუხა თავდამსხმელებს. ერთიც უნდა ვთქვათ, თავაზიან და დელიკატურ ტონთან ერთად მისი პასუხები „კრიტიკოსებს“ ზოგჯერ იუმორითაც არის შეზავებული, რომელსაც ობიექტური მკითხველი ხარხარამდე მიჰყავს. თუმცა რა გვეცინება, როდესაც XX საუკუნის ბოლოს სტალინური მენტალობით მოძღვრავდნენ ერს ეს ჩვენი ვაიკრიტიკოსები.


ციტატები არ მომყავს წიგნიდან „სიმართლე გიორგი სააკაძეზე“, რადგან გამიჭირდა გამომერჩია და წიგნს თავიდან ბოლომდე ხომ არ გადავწერდი? ნაიკითხეთ, ბატონებო, და ინფორმაციის მიღებასთან ერთად იხალისეთ კიდეც. თუმცა ერთ მაგალითს მაინც მოვიყვან: ბ-ნი როსტომის სტატიის მიმართ — „ვინც არ არის კახაბერი“ (1993 წ.) — კრიტიკული წერილის ავტორთან პოლემიკის დროს, იყენებს სიტყვას — პიტალო.

ჩემი, არცთუ ისე წესრიგით გამორჩეული ბავშვობიდან გამომდინარე, გამიკვირდა ამ სიტყვის ნაკითხვა მის წინადადებებში. პიტალო — რა? რა უნდა ყოფილიყო მეორე სიტყვა, დაფიქრდი. რაც ზოგიერთმა თქვენგანმა იფიქრა, მეც ის მეორე მეორე სიტყვა, მაგრამ წურას უკაცრავად. მეორე სიტყვა... ჭეშმარიტებაა, დიახ! პიტალო ჭეშმარიტება. პირველ სიტყვაში ბ-ნი როსტომი, „ქუჩურიც“ რომ ესმის, ისეთ პიროვნებადაც წარმომიდგა. მეორე სიტყვით — ისევ ისეთად, როგორსაც ვიცნობ — ინტელიგენტობაში დაბრუნდა. მოპაექრემ (გვარს არ დავასახელებ), მისი უზნეობითა და უცოდინარობით გაბრაზებულ თავად ჩხეიძეს პირველი სიტყვა დაანერჩია, მაგრამ თავადი თავადად დარჩა, მეორე სიტყვა (ზოგიერთებმა რაც ვიფიქრეთ) ჩანაცვალა და ამ ორი სიტყვის კავშირის საშუალებით, შინაარსობრივად საოცარი სიზუსტით გადმოსცა, ვისთან და რა ჭეშმარიტების მლაღადებელთან ჰქონდა კამათი.

ოც წელზე მეტია იურიდიული აქტით დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ, ხოლო მენტალობით ისევ სსრკ-ში ვართ დარჩენილები.

ამ წლების განმავლობაში არცერთმა მთავრობამ სამართლიან ისტორიულ განათლებას არ დაუთმო ჯეროვანი ყურადღება. ე.ი. ფაქტობრივად, ლენინურ-სტალინური იდეოლოგიით განვავრცობთ ცხოვრებას.

20 წელიწადში 12 განათლების მინისტრი გამოვიცვალეთ. კულტურის მინისტრთა რაოდენობას აღარ ჩამოვთვლი. ნუთუ არ შეიძლებოდა თანამედროვე სტანდარტებით გადაგველო მსოფლიოსთვის საჩვენებელი ფილმი ჩვენ წმინდა, ეროვნულ, მებრძოლ მეფეებზე, სადაც ნამდვილ ისტორიულ სიმართლეს ვაჩვენებდით.



გიორგი სააკაძის ძეგლი

ნებდით. შეიძლება ყველა დროის და მთავრობის და პარლამენტის წევრმა წაინუნუნოს — გადალებას ფული სჭირდებაო. ვუპასუხებ: განათლების მინისტრების შეცვლის შემდეგ სამინისტროში მომსახურე ახალი მანქანების შესყიდვაში რაც თანხა იხარჯებოდა, ერთი ფილმის გადალებას — მაგალითად წმინდა მონაწილე ლუარსაბ მეფის შესახებ — ეყოფოდა. არა?

პოლონეთში XX საუკუნის 70-იან წლებში პატრიოტის და დიდი მწერლის ჰენრიკ სენკევიჩის ისტორიული რომანების ეკრანიზაცია დაიწყო. ამ ფილმებმა დიდი როლი ითამაშა პოლონელი ახალგაზრდების ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებასა და ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში.

ჩვენ?... ჩვენ ისევ სტალინის დაკვეთით გადაღებულ ფილმს ვაჩვენებთ ახალგაზრდობას — „გიორგი სააკაძე“.

როსტომ ჩხეიძე კარგად მიმოიხილავს საქართველოს ისტორიის პირველი სახელმძღვანელოს — ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის და სიმონ ჯანაშიას მიერ დაწერილი წიგნის — ბედს. მას თავის წიგნში დეტალურად აქვს გადმოცემული, თუ რა საკითხები შეცვალა და რა ისტორიული ფაქტები ამოაღებინა გიორგი სააკაძისთან დაკავშირებული სახელმძღვანელოდან სტალინმა, ნაიკითხეთ, ბატონებო... და გაიგებთ სიმართლეს.

ერთი პატარა გადახვევა:

დიახ, უნდა იდგეს სტალინის ძეგლი, მითხრა ჩემმა მეგობარმა, მოქანდაკე გურამ ნიკოლაძემ (გენეტიკურად მოდგამს ნიჭი). ნუთიერი პაუზის შემდეგ კი გააგრძელა: ოღონდ თავდაყურა.

ბევრი ვიცინეთ, მაგრამ „შლოპანცები-სა“ და ველოსიპედების ძეგლის დადგმას არ აჯობებდა? მაშინ გენახათ უცხოელ ტურისტთა ცენა საქართველოში.

კაცმა ისტორია გადმოგვიბრუნა და... (ალბათ პატარა ჩანართს არ ამომიღებს ბატონი რედაქტორი. ესეც ხომ ისტორიული სიმართლეა).

დაბოლოს — ნაიკითხეთ და ნაიკითხეთ წიგნი „სიმართლე გიორგი სააკაძეზე“.

ლეილა მესხი

ქართული

ფიქრის კრიალოსანი

მოგონებები ხშირად ფიქრის კრიალოსანს ჰგვანან, ხან ერთი ბურთულა ჩამოიმარცვლება, ხან — მეორე... ერთმანეთს ნაკლებად ემსგავსებიან. იცვლიან სახეებს, ფერს, იერს, წარსულსა და დღევანდლობაში მონაცვლეობენ და რომ გგონია ბევრი რამ დაინწყებული გაქვს, თურმე ყველაფერი გახსოვს...

პაპა

ბონი. სოფელი ახალბედისეული. თავად ენუქ ლორთქიფანიძის ოჯახი. ხუთი უმშვენიერესი ასული: ელენე, თამარი, ალექსანდრა, პოლისინა და ნუცა. (ამათგან ორი, ცნობილი ფარმაცევტი გახლდათ.)

განათლებულმა, ღრმად მორწმუნე თავადმა, წერაკიბხვის გამაფრცვლელი საზოგადოების წევრმა, მშობლიურ სოფელში, დაწყებითი სკოლის დაარსება საკუთარი ხარჯებით მოისურვა. (1908 წ.) ახალგაზრდა პედაგოგები მოინვია (ვალერიან ძიძიგური, შალვა ჩიმაკაძე და სხვები.) თავისთან, ოჯახში მიუჩინა ბინა. ყოველივე ამისთვის, ქუთაისის მიხაილოვის ბანკში, მამულები: “სამზეურა” და “მაღალჭვარი” დააგირავა. ალბულები თანხა (3 000 მანეთი—ოქროთი) სკოლის მშენებლობას მოახმარა — მის ინვენტარს, სახელმძღვანელოებს, პედაგოგების ხელფასებს. მოგვიანებით, შვილიშვილებმა, პაპის არქივში ბანკისგან გამოგზავნილი შეტყობინება ვიპოვეთ. (სესხის გადაუხდელობის გამო ბანკს მამულები აუქციონზე გასაყიდად გაჰქონდა!) გაყიდეს თუ არა, არ ვიცი, მგონი ვერ მოასწრეს. რეკოლუცია მოახლოვდა. პეტერბურგიდან გამოწერილი ჟურნალ “ნივას” ნომრებიც ვნახეთ, “ივერიის”, “დროების”, “კვალის”. ძელისძველი “ეფუთიც” საგულდაგულოდ შეენახა.

სოფლის მოსახლეობის ნახევარზე მეტი, თავადის მოკეთე და ნათული იყო, მის მიერ დაარსებულ სკოლაში სწავლობდა. თუმცა, 1921-23 წლებში, ადგილობრივმა კომკავშირლებმა, თეთრი ქვით ნაშენი წმ. გიორგის ეკლესია რომ დაანგრის ახალბედისეულში და ბიბლია დაწვეს, თავადის კუთვნილი ტყე-პარკი, უძვირფასესი ხის ჯიშების ნაკრძალიც, ზედ მიაყოლეს... ასწლიანი მუხები, ცაცხვები, ჭადრები, აკაციები და ნეკერჩხლები ძირში ჩაჩხეს.

“ნაჯახის ცემის ხმამ მოკლა მამაო”, (იგონებდა დედა). სინამდვილეში, ადამიანთა უმადურობამ იმსხვერპლა იგი! სულ მალე, ახალი უბედურება ეწვია ოჯახს, თავადის უმცროსი ასული, უნაზესი და უმშვენიერესი ასული, ნუცა, ჭლექით გარდაიცვალა.

გახსენება არ მსურს...

P.S.

ამჟამად იქაურობა აღარავის ეკუთვნის. ენუქ ლორთქიფანიძის ნასახლარზე ენგურჰისის ელექტროხაზმა გაიარა. მის დიდ ეზოში, რკინის ვეება ბოძია აღმართული. მაღალძაბვიან მავთულებს სულ ზრიალ-ზრიალი გაუდით... მხოლოდ ჭადარი შემორჩა (ასზე მეტი წლის), ქარისგან გაძარცვული, ტოტებდამსხვრეული, მაინც ამაყად მდგარი, ახლად აფეთქებული მწვანე ჩხორალით რომ იწონებს თავს... (სიმბოლური მეჩვენება!)

რაც მთავარია, დღესაც, „ენუქი ლორთქიფანიძის ჭადარს“ ეძახიან...

სოფლის ბოლოს, ორ ღელეს შუა, მაღალ ფერდობზე წამომდგარი, ნაბლის ხისგან ნაშენი, ფართოაივანიანი, ბირკილებით მორთული თავადური ოდა-სახლი მემკვიდრეობით გვერგო. (კედელზე პაპის გადიდებული სურათი ჩანდა, თეთრი წვერით, ნაცრისფერი ჩოხა-ახალუხით, ფიქრიანი მხერით.) თავადის ოჯახიდან შემორჩენილი ბოლო ნივთებიდან -სპარსული ხალიჩა, საკერავი მანქანა — “ზინგერი”, ვერცხლის ბურთულებით მორთული დიდმუცლიანი ლამპა, პეტერბურგიდან გამოწერილი სერვიზი (ოცდაოთხ კაცზე), ვერცხლის დანა-ჩანგალი და ოქროს სამკაულები, ერთ ბნელ, წვიმიან ღამით, ფანჯრიდან გადაიტანეს ქურდებმა. მძინარე ბავშვებს, მათ დედას (მამა ომში იყო!) კარი უხმაუროდ მიუხურეს და ყველა ნივთი წაიღეს.

სამნი აღმოჩნდნენ. მათი ყოველი ნაბიჯი სველ მიწას ალბუებდა. სად იდგნენ, რა ეცვათ (ერთი მათგანი ფეხშიშველა აღმოჩნდა!), მომხდარი, უმალ რაიონის მილიციას შეატყობინეს. გამომძიებელი გვესტუმრა, შუბლშეკრული, გრძელცხვირა კაცი. მეძებარი ძალღივით დაყნოსა იქაურობა. რაღაცეებს ინერდა, იმასსოვრებდა. ძიება ჩვეული წესით წარიმართა. ცოტაც და... სოფლის ყველა საექვო პირი ნახირივით შემორეკეს ეზოში. უმრავლესობა ახალგაზრდები იყვნენ, უმნივარი ბიჭები, ორ მათგანს, კომისარიატიდან გამოძახება მიელო, უახლოეს დღეებში ომში უწევდათ წასვლა. ეს იცოდა სოფელმა, ამიტომ აყრილიყვნენ ყველანი ერთად! დიდები და პატარები. თუმცა სდუმდნენ, თითოეულმა მათგანმა იცოდა, ვინ რისი მკადრებელი იყო, ვის რა შეცდომა ჩადინა... მზერაგაფართოებულ, დაძაბულ ადამიანებში მათი ახლობლებიც ერია, დედები, მამები, დები და ძმები. სდუმდნენ ისინი.

დედაც დუმდა, ენუქ ლორთქიფანიძის უმცროსი ასული. ფერგაცრეცილსა და მღელვარებისგან ენაჩავარდნილს, ერჩია, საერთოდ არავისთვის დაედოთ ბრალი, არავინ დაეპატიმრებინათ. ნივთების დაბრუნებაზეც უარს იყო... ეს ბიჭები, მის თვალწინ დაიზარდნენ, მის ფერხთით. მათი მხიარული ბაღლობა ახსოვს... ეს კი ბევრს ნიშნავდა!

გამომძიებელმა, ფეხსაცმლის გახდა და სველ კალაპოტში ფეხის ჩადგმა უბრძანა ბიჭებს. მაშინ იყო, მღელვარებისგან ლამის ნაიქცა დედა. შებარბაცდა. თავისდაუნებლიეთ, ტალახის კალაპოტისკენ გადაიხარა, თითქოს თავად სურდა შიგ ფეხის ჩადგა. გამომძიებელმა გაოცებით მოხედა.

— ახალგაზრდები არიან, ნუ შევარცხვენით...— შესთხოვა დედა. მეტი არ მახსოვს...

ბარათი

გოგონებს, ომის არც დაწყება გაუგიათ და არც დამთავრება, მცირეწლოვანი იყვნენ. სამაგიეროდ, თოვლიანი დღე დამახსოვრდა. ქარბუქმა ლამის ყველა გზა ამოავსო, ყველა ბილიკი. მისვლა-მოსვლა შეწყდა. ის ყაბალახიანი, გამხდარი კაცი ჯოხის ბჯენით რომ მოხარავდა თოვლს, მათი ეზო-კარისკენ მოინევდა. უცხო ჩანდა. ერთხანს შუა ჭიშკარში იდგა, შინ შემოსვლას არ აპირებდა. დედა გაეგება. დანით-ლეული ხელები კარგახანს ჯიბეში აფათურა უცნობმა, ბოლოს სამკუთხა ბარათი ამოიღო და დედას გაუწოდა- “ქუთაისში, ავტოქარხნის მშენებლობაზე გერმანელებთან ერთად, ქართველი ტყვეებიც მუშაობენ. საღამოთი ბარაკში აბრუნებენ. მნახველი ესევა, ძმას ვეძებდი, ამბავი მომივიდა, ვილაცას უნახავს... მაგრამ ვერ ვიპოვე. ტყვეთაგან ერთმა, ბარათი ისროლა. “ახალბედისეული. პაპა მესხს!”— ეწერა ზედ. ნახაულებიდან ვარ (მეზობელი სოფლიდან). გულმა არ მომიტმინა, არც თოვლს შევეპუე. დილაადრიან დავადექი გზას.” ეს თქვა და, მორჩა, მიბრუნდა და წავიდა. თავდაღმართში დაეშვა...

ერთხანს უაზროდ იდგა დედა, ბარათს დასცქეროდა. მერე ატირდა...

ჩვენ დიდად ვერ მივხვდით უცნობის მოსვლის მიზეზს, მაგრამ ბალღური გუმანით ვიგრძენით, იმ სამკუთხა, კუდრაჭა ბარათმა, უგზო-უკვლოდ დაკარგული მამა გაგვიცოცხლა...

ამის მომონება

ეს შესხენება სადღაც შორიდან მოდის, ნელ-ნელა, ლიცლიციტ. მკრთალი სილუეტი გარკვევით იკვეთება. მამის ხმა მესმის... უკვე ასაკოვანი კაცის. მცირე სუფრასთან, ახლობლებს შორის ზის. ჩავლილ დღეებს იგონებს...

...სველი "პარტიანკებით", ჩექმებით, ფარაჯებით, განუწულები, მანანწალა ძაღლებივით მშვივები, ტალახში ვნევართ... თავის ნამონევეს ვერ ვბედავ, ვითომ მზვერავი ვარ. სინამდვილეში, გამოუცდელი, ახლადგანვეული ჯარისკაცი ვარ. ტუაფსესთან ახლოს, დაბომბილ, მიწასთან გასწორებულ რომელიღაც დასახლებაში ვიმყოფებით. ყინავს. სიცვიისაგან ვკანკალებთ. ირგვლივ არავინ ჩანს, არცერთი სულიერი. მხოლოდ ყვავები ყრანტალებზე შიშველ, უფოთლო ხეებზე. არც გერმანელები ჩანან! ჯერ არ მინახავს ისინი, არც პირისპირ შევყრივარ. ვის ვებრძვი ან რატომ, ვიცი. მაგრამ მოწინააღმდეგის უშუალოდ ხილვა, მაინც სხვაა... ჰოდა, მოულოდნელად გადავეყარეთ. მკვდარი იყო, ქერა, ანონილი. ოცი-ოცდაორი წლის იქნებოდა. მკლავებგადაშლილი იწვა თოვლში, გახელილი თვალებით თითქოს ცას შესცქეროდა... წინ ნამონეული ჩიჩახვი უჩანდა. ერთხელ რომ დაგხედე, მეორეჯერ არ გამიხედავს. არ ვიცი, ვისმა ტყვიამ იმსხვერპლა, რატომღაც თავს დამნაშავედ ვგრძნობდი...

თანმხლები, ასაკით ჩემზე უფროსი, ქროლათვალეებიანი, ჯიჯგვი კაცი (თავი ადგილობრივ მკვიდრად რომ მიაჩნდა,) ერთხელ რომ ამეკრა, ველარ მოვიცილე. "ნაშ გრუზინო", ამბობდა ჩემზე, უღვაშებზე ხელს ისვამდა, თითქოს სტალინს ბაძავდა... გაუჩვეველი ეროვნების იყო! მიცვალებული გაჩხრიკა. ჯიბიდან რაღაც ნივთები ამოუღო: დანა, კბილის ჯაგრისი, ტურის გარმონი, შოკოლადის ფილა. ტანზეც გახადა. ბათინკები, თბილი წინდები, შალის საცვლები, თივთიკის სვიტრი. "გავიყოთ", - მანიშნა. (უარი ვუთხარი.). ნაძარცვ-ნაალაფართი შეიმოსა. გათბა. გახალისდა. ხრამუნით შეექცეოდა შოკოლადის ფილას. დაბრუნების დრო იყო! არ დავცვალდა, ზურგში, ხიშტის ჩხვლეტა ვიგრძენი. არავითარი გასროლა, ხმაური. (ჩანს გვითვალთვალებდნენ!) ორთავენი მტრის რკალში აღმოვჩნდით.

მოსაუბრემ თხრობა შეწყვიტა..

ტყუება

დედის ლოცვას საიდუმლო ძალა აქვსო, ნათქვამია... მთელი ღამე ლოცულობდა დედა. დილით გზას დავადექით, სამი შვილიდან (სამი გოგონადან) შუათანა შემარჩია. შედარებით ნამორჩილული, უფროსი და, მეზობლის ქალთან ერთად ოჯახში დატოვა. გზას დავადექით. ქუთაისში, ავტოქარხნის მშენებლობაზე, გერმანელ ტყვეებთან ერთად ქართველი პატიმრებიც იმყოფებოდნენ, ამას მამის გამოგზავნილი ბარათი გვატყობინებდა.

გადაწყდა! მამის სანახავად მივდივართ! ჩანთაში, ნემოში გამომცხვარი მჭადები, ყველი, დოქით ღვინო, მოხარშული დედალი, კვერცხები და ბოთლით რძე მიგვაქვს. ესაა ჩვენი მოსაკითხი. წლობით უნახავი, უგზო-უკვლოდ დაკარგული მამა უნდა ვნახოთ. ეს ბევრი ნიშნავს. უბეში, მამის გამოგზავნილი, სამკუთხა ბარათი უდევს დედას. (ზეპირად ვიცი!) თუმცა, იმ ბარათზე მეტად, ღრმა თოვლებზე, გაუყვალავ გზაზე და თეთრად გადაფიფქულ სივრცეზე ფიქრობს. რაც აფრთხობს, შიშით შემომხედავს, ბავშვი რაღას ნამოვიყვანეო, ფიქრობს ალბათ.

ბიბლია გვასწავლის, რთულ, საძნელო საქმეზე წასვლისას, წინ უსუსური ნაიმძღვარეო. ოღონდ მე, დედის ნაბიჯებს ადევნებულნი, უკან მივდევი. თანდათან წინ მივინევთ. მამასთან შეხვედრის მოლოდინი ძალას გვმატებს, მეც და დედასაც... ხუთი-ექვსი კილომეტრი ფეხით ვიარეთ. ხონამდე მივალნივით, იქ, თვითმცლელზე სხვებთან ერთად მოვთავსდით.

მალაკის ველზე გაჩაღებული მშენებლობა დაგვცხვდა. ირგვლივ ბარაკები, რუსეთიდან ევაკუირებული ადამიანები, სატვირო მანქანები, ყვითლად აზულელი ტალახი, ჯარისკაცები. ყველაფერი უცხო იყო, რაც ახლად ნამორჩილ გოგონას მახსენებდა და თავგზას მიკარგავდა. სხვებთან ფართო ალაყაფის კარს ადამიანები მისეოდნენ. მნახველები. ყველანი ერთმანეთში არეულიყვნენ. ტყვეები ჯერ არ ჩამოეტარებინათ, თოფშემართული ჯარისკაცები მზადყოფნაში იდგნენ. შემოსულ ხალხს, მნახველებს იგერიებდნენ. უკანვე ერეკებოდნენ.

საცაა უნდა გამოჩნდნენ...

თოვლსა და ლაფში ამოგანგლილი, სიცვიისაგან ვკანკალებ. კალოშები მაცვია, წინდებში თოვლი ჩამყრია. დედა თითებს მიხელს, სულს მიბერავს... ერთი ჯგუფი ჩაატარეს, მეორე...



— ლევან მესხი! — დედის უძალო ხმა მესმის — ბუჭალა! სადა ხარ!

შინაურობაში, მეტსახელად მამას, „ბუჭალას“ ეძახდნენ.

არავინ გვპასუხობს. მგონი არც ესმით.

მძიმე ნაბიჯებით მოაბიჯებენ ტყვეები, მეჩვენება, რომ ყველანი ერთმანეთს ჰგვანან. უფერულები, ძალაგამოცლილები. თავჩაქინდრულები. ვერ ვარჩევ რომელია გერმანელი და რომელი ქართველი, ერთნაირი სამოსი აცვიათ, ერთმანეთს ჰგვანან. თოფმომარჯვებული ჯარისკაცები ახლოს უტრიალებენ... არადა, თითქოს სიგიჟე შეჭყრიათ მნახველებს. კივიან, წივიან, ღრიალებენ, თავისიანს ეძახიან, უხმობენ. ამასაც არ ჯერდებიან, ესვრიან ჩანთებს, პურის გოგორებს, ყველს, მჭადის ნატეხებს, მოხარშულ სიმინდს, ბოლოკსაც კი.

უცებ! შუა რიგებიდან გვესმის:

— მესხი მეოთხე ბარაკშია!

დედა შეშდება. უაზროდ მისჩერებია.

—სადაა მეოთხე ბარაკი?

—იქეთ! — აღმოსავლეთისკენ გვითითებენ.

შორს ბარაკები მოჩანს. ნაცრისფერი, ვეება შენობები. მათ წინ ვინრო ფიცრულებსა და სარდაფებში, ომს გამოქცეული, ევაკუირებული ადამიანები ცხოვრობენ, აქ დაუდევთ ბინა... მავთულხლართების მიღმა მშენებლობაა გამართული. ავტომშენებელ ქარხანას აშენებენ. აშენე კრანები, ტრაქტორები, ბულდოზერები მოჩანს. ღამის განათებით, მკაცრი კონტროლით, დაცვით. ყველაფერი შემამშინებელია... იღბალი უნდა ყველაფერს, ჩვენც მივედით და ალაყაფის ვეება კარები მიიხურა. ვინც შესაყვანი იყო, შეიყვანეს. ირგვლივ ალაფებული გზა, გამდნარი თოვლი და საშინელი სიცვია. თითები მენვის, თვალებში ცრემლი ჩამდგომია.

დაცვა ახლოს არ გვიკარებს. ავტომატს გვიღებებს.

ღამდება. სუსხიანი ქარი უბერავს. საბრალო დედა-შვილი! მათი გასაჭირი არავის იცის, არც არავის ადარდება. შორს სივრცეში ქალი გამოჩნდა, მძიმე ვედროებს მოათრევს. ეტყობა სალაფავი მოაქვს. სულ ახლოს ღორის ღრუტუნი ისმის. წითური ქალია, შალით სახე გაკრული. დაბამბული აცვია („ტელეგრაფიკა“) მაღალყელიანი თექის ჩექმები უჩანს. ღონიერი მაჯები და დაწითლებული ხელები აქვს. რალაცას ეკითხება დედას. დედის მთრთოლვარე, ტირილამდე მისული ხმა, კენესასავით გაისმის ცივი, სუსხიან ღამეში. სავე ვედროები ღორებს ჩაუპირქვავა ქალმა. უკან ბრუნდება. ერთადერთი სიტყვა იმედივით გადმოგვიგდო და ჩავგვიარა. შეტოკდა დედა. უცნობს ჩრდილივით აედევნა.

სულ მალე გათოშილ-გაყინული დედა-შვილი, სადღაც სარდაფში აღმოვჩნდით. ცხელ ღუმელთან, მრავალ ადამიანთან შორის. უმრავლესობა ქალები და ბავშვები იყვნენ. არ მახსოვს სად მეძინა, ვისთან. სითბომ ერთბაშად გამთიშა. ან რა მოილაპარაკეს მასპინძელმა ქალმა და დედამ...

ახლაგათენებული, თოჯინასავით ხელ-ფეხ გამშებული, წამომაყენეს, თავზე ჩაჩი დამხურეს, წინსაფარი ამაკრეს, ხელში ქაფქირი მომცეს და კარგა ხანს დერეფნებში მატარეს. ცოტაც და, ჩემდა გასაოცრად, მავთულხლართების მიღმა აღმოვჩნდი, ცხელ ქვაბთან და უცნობ ქალებთან ერთად. მშენებარე ტერიტორია იყო. ირგვლივ კომპიუტრები და ავტომატიანი კაცები მოჩანდა.

ერთგან კოცონი ენთო, ირგვლივ ნაცრისფერსამოსიანი მამაკაცები უხსდნენ. წვერმოშვებულები, უფერულები. წნეგოს ღეჭავდნენ, ცეცხლში აფურთხებდნენ. წყალ-წყალა სუფი, მობარბული კარტოფილი და რუხი პურის ნაჭრები ჩამოურიგეს.

მივხვდი, აქ, ამ უცნობ ადამიანებში უნდა მეპოვა საკუთარი მამა. გამიძინელდა. აღარ მახსოვდა. დედასთან გადაღებულ სურათზე, იგი ბედნიერი ჩანდა, სიხარულისაგან ორთავენი ბრწყინავდნენ. ახლა ამდენ განაცრისფერებულ, სახეჩაყამებულ მამაკაცებში როგორ გინდა შეიცნო იგი.. სურათზე, მოხდენილი, კოკობულვაშიანი ახალგაზრდა კაცი ჩანს, (ცა ქუდად რომ არ მიაჩნია და, დედამინა ქალამნად.) აქ კი... შავი, დაჩაქვებული სახეებში, თამბაქოს ბოლსა და მაზუთის სუნში, ძნელი იყო მისი ცნობა.. არც დაძახება შემეძლო (წინასწარ გამაფრთხილეს!) არც ზედმეტი აფორიაქება. უდროო დროს თუ უადგილო ადგილას შემოხეტებულ არსებას ვგავდი.

პატიმრები ვინაობას მეკითხებიან, წლოვანებას, სადაურობას. თავგზა მეზნევა, გვარს ვასახელებ, სოფელსაც. ერთხანს დუმან. ვილაცამ ხმამაღლა ჩაახველა, ყველანი, კოცონის ბოლოს, ჯამში თავჩარგულ, ხმელ-ხმელ კაცისკენ იცქირებიან. უხმოდ მისჩერებიან. მეც იქეთ ვიხედები. მომკალით და ვერ ვცნობ! არადა, მზერაგამშებული უცნობი კაცი პირდაპირ ჩემკენ მოდის...

— შენი შვილია... — ეუბნება ვილაც — გეძებს.

— შვილი?! როგორ შემოვიდა? — თითქოს არ სჯერა. ჩახლექილი ხმა აქვს.

— მზარეულმა შემოიყვანა..

საცა ავტირდები. თოვლით გადაჯეკილ მიწაზე უაზროდ გავიშხლართები. უკან დაბრუნება მწაღია, დედასთან მივდი! იგი მავთულხლართების მიღმა დარჩა, მარტოდმარტო, კომპიუტრზე მოქანავე ჯვარისკაცს შიშით შესჩერებია. მასთან მივდი! არადა, უცნობი, ხმელ-ხმელი კაცი თანდათან მიახლოვდება. ჩემს წინ იჩოქებს, სახეზე მაცქერდება. წნეგოს, მაზუთის, სველი სამოსის მქისე სუნი ასდის. თვალებს ვხუჭავ, სახეს ვარიდებ... უსასრულობაში ვიკარგები. გონს რომ მოვდივარ, დედის ჩურჩული მესმის:

— ნახე?!

— ჰო.

— იცანი?

— არ ვიცი... — ხმამაღლა ვტირი.

იმ წუთების გახსენება ყოველთვის მზარავს!!!

ბედისწერა

გავიდა წლები. ბედისწერის უცნაურობა ხშირად მიგრძენია. მფარველი ანგელოზის არსებობაც მწამს... დარწმუნებული ვარ ყოველივე უფლის ნებით ხდება. ოღონდ, ერთი უცნაური შეხსენება ვერაფრით ამოვიგდე გონებიდან. ჩვიდმეტი წლის ვარ, ჩემს დასთან ერთად ხონიდან, (სადაც საშუალო სკოლა დავამთავრე), ახალბედისეულში მივემგზავრები დედასთან. ტრანსპორტის იშვიათობაა, ხუთი-ექვსი კილომეტრის გავლა ფეხით გვინევს.. ღრუბლიანი საღამოა, კოლმეურნეობის მძლომა, თვითმცლელი შეგვიჩერა და, სხვებთან ერთად, მანქანის ძარაზე მოვთავსდით. უმეტესობა ახალგაზრდები არიან, თანასოფლელები. მძლოლის უკან, კუთხეში ვდგავარ, კაბინას ვეყრდნობი...

ხიდს მივუახლოვდით. წამით ვიგრძენი, თითქოს რაღაც ძალა დაბლა მენევა, ჩასვლა მსურს. დას ჩაჩურჩულე: "ხიდთან ჩავიდეთ!" გაოცდა, მანქანით მგზავრობა ერჩია. ახლა თუ ჩავიდოდით და მოკლეზე მოვჭრიდით, ოც წუთში შინ ვიქნებოდით. მანქანა კიდევ ნახევარ სოფელს შემოივლიდა და ისე მიაღწევდა ჩვენს სახლამდე. დას ჩასვლა არ სურდა, თანატოლებთან ყოფნა ერჩია. მე კიდევ, გამოუცნობი ძალა ქვემოთ მენევა. ვისკუბე და ჩავხტი. დაც ჩამომყვა.

ჩემი ადგილი — ძარის კუთხეში, მეზობელმა დაიკავა, ეფრემიძის ვაჟმა. (სახელი არ მახსოვს!) მაღალსა და რხეულს, შუბლზე ნაბლისფერი კულულები ეყარა.. თეთრი ხალათი და ახალთახალი კოსტუმი ეცვა. ფრთხილობდა, არ დასვროდა, მანქანის კაბინას თითებით ეყრდნობოდა. მომავალ კვირას ნიშნობა ჰქონდა. ყველანი ულოცავდნენ. ბედნიერი იყო...

ბილიკს გავყვევით, სოფელში შესვლა ვერ მოვასწარი, უეცარმა ხმაურმა, მანქანის ღმუილმა თუ ადამიანების კივილმა იქაურობა შეძრა. არ ვიცი, რა მოხდა, მძლოლს საჭემ უმტყუნა, ნანვიმარი მიწა ჩაიშალა თუ... მანქანა ადგილიდან მოსხლტა. ხევში გადაეშვა. ჩემს ადგილას მდგომი ვაჟის გარდა, ყველანი გადარჩნენ...

დღემდე ვერ გამირკვევია, რა ძალა იყო, დაბლა ჩასვლას რომ მაიძულებდა, ან ის უიღბლო ყმანვილკაცი, ჩემ ნაცვლად, სასიკვდილოდ რად გაიმეტა. სინდისის ქენჯნას დღემდე განვიცდი...

ნათელში მისი სული!

მამის დაბრუნება

ჩემს სიყმანვილეს მამის სახება გამოუცნობ დარდად ჩარჩა, უფრო ტკივილად. თითქოს ვიცნობდი და არც ვიცნობდი. მისი ტყვეობის მრცხვენოდა, მეხამუშებოდა, თანატოლებში ვერ ვამხელდი. გმირი მამა მინდოდა! კინო-ფილმებში ნანახი, წიგნებში ამოკითხული. თუმცა წლების შემდეგ მისმა პიროვნებამ ერთბაშად საბურველი ჩამოიცილა და დარჩა ის, რაც სინამდვილეში იყო. სიტყვის კაცი, მშრომელი, ფიცხი და უშიშარი.

... პატიმრობიდან დაბრუნებულ მამას ნახევრად გაპარტახებული ოჯახი დახვდა. სამ მცირეწლოვან გოგონასთან ერთად, დედას უჭირდა ოჯახის მოვლა. დაბრუნდა მამა და აშკარად ვიგრძენით მისი მარჯვენის ძალა. რაც ომსა და ტყვეობაში გააცდინა, (ექვსი წელი საკმაო დრო იყო!) თითქოს ანაზღაურება სურდა. დღედაღამ შრომობდა, მოსვენება არ ჰქონდა. ახლო-მახლო რაც მინდვრები იყო, ყველა გადახნა. ბურქნარი გაჩეხა, სიმინდი დათესა, ვაზი გააშენა. ნახევრად დამშეული, დაობლებული, გაპარტახებული სოფელი დახვდა. (ორი ძმა ომში დაეღუპა!) თითქოს სასწაული მოხდა! ზღვა მოსავალი მოვიდა იმ წელს... ნაომარ ქვეყანას ყველაზე მეტად სიმინდი სჭირდებოდა! ეს იცოდა მამამ. გრძელ-გრძელი, ბარჩხალა ტარობით აავსო სასიმინდე, ოდა-სახლი, აივანი.

ენუქ ლორთქიფანიძის ოჯახში, მამა, ზედსიძედ იყო შე-
მოსული. თავად წყალტუბოს რაიონიდან, სოფელ ცხუნკური-
დან იყო... (ეკონომისტი გახლდათ,) თუმცა სამსახურისთვის
ვერ მოიცალა. (ტყვეობიდან დაბრუნებულს ძნელად გაუღებ-
დნენ კარს!) ამიტომ ჩარჩა სოფელში, არც უნანია.. მეურნეს-
თან ერთად მეზაღვეც გახლდათ. გაზაფხულზე, მსხლის და
ვაშლის კვირტებით აივანებდა ჯიბებს. მიუვალ, ციცაბო ადგი-
ლებს შეჰყვებოდა, პანტა ვაშლებს და მსხლებს ეძებდა, ხის
ტოტებზე, ნორჩ შხორალზე, ჯიშთან კვირტებს ამყინდა. მოგ-
ვიანებით, მიუვალ ფერდობზე, უხვად დახუნძლულ ნაყოფს
რომ პოულობდნენ მეზობლები, ქარვისფერ მსხლებს თუ ვაშ-
ლებს, იცოდნენ ვისი ნამოქმედარიც იყო. ლოცავდნენ.

მაღე ცხუნკურიდან ობოლი ძმისშვილი ჩამოიყვანა (გელა
მესხი). ჩვენთან ერთად იზრდებოდა... „ვეფხისტყაოსნის“ ზე-
პირად ცოდნას გვაძლევდა მამა. აფორიზმებით გვესაუბრე-
ბოდა. რამდენად გასაოცრად არ უნდა გეჩვენოთ, ბიძაშვილ-
თან ერთად, ჩვენ, გოგონებსაც გვასწავლა თოფის სროლა,
ცხენზე ჯდომა, ხეხილის მყნობა, ვაზის გასხვება, გაკვირტვა.
მართალია ნაკლებად გამოვიყენე. მაგრამ... თოფი მხოლოდ
ერთხელ გავისროლე... მამა შინ არ იყო! თანატოლებთან თავ-
მონონების მიზნით, აივანზე, საფანტით დატენილი თოფი გა-
მოვიტანე და მსხლის ხეზე მოჭიკჭიკე გულყვითელას ვესრო-
ლე. ძლიერმა დარტყმამ აქეთ მე წამაქცია, იქეთ ჩიტუნა ჩამო-
აგდო ხიდან. მისმა სიკვდილმა შემძრა... საფანტი გულში მოხ-
ვედროდა. მეორედ თოფი ხელში არ ამიღია!

მაღე ხარები იყდა მამამ, ურემი გამართა. ყოველ კვი-
რას, სიმინდით სავსე ტომრები ხონის ბაზარში მიჰქონდა გა-
საყიდად. მყიდველი არ აკლდა.

ერთხელ, გვიან ბაზრობიდან ბრუნდებოდა მამა. (ძველ
თანამებრძოლებს შეხვედროდა და ცოტა დაელია) ჯიბეში ფუ-
ლის შეკერა ედო. ლილინით მოჰყვებოდა გზაპარას, ნახახულე-
ვი გაიარა. ლელის პირს ჩამოჰყვავა, ტყიანი ფერდობი და ნაყანა-
რი ჭალა გამოჩნდა. ამ ადგილს „ბოყოურას“ ეძახდნენ სოფლე-
ლები. დაუსახლებელი, საშიში ადგილი იყო. ხშირად ხვდებოდ-
ნენ და ძარცვავდნენ მგზავრებს. ამიტომ იყო ბაზრობიდან დაბ-
რუნებული გლეხები ჯგუფ-ჯგუფად ბრუნდებოდნენ შინ..

მამა მარტო იყო.

ჩანს ხონიდან გამოჰყვანენ. ხუთნი იყვნენ. ახალგაზრდე-
ბი. ორი წინ გადაუდგა ურემს, ორიც უკნიდან მიეპარა, კოფო-
ზე ასახტომად მოემზადნენ. მეხუთე შორიდან ზევრავდა,
ხელში დანა ეჭირა...

იარალი არ ჰქონდა მამას, ცალ ხელში სახრე ეჭირა, მეო-
რეში — წალდი. ფეხზე წამომდგარმა, შემართული ტანით,
უპირველესად პირუტყვს გადაჰკრა სახრე, დასჭყვილა: „მი-
დი! მიდი! რას ზოზინობ!“ აქეთ ხარებს სცემს, იქით მოძალა-
დეებს, პირდაპირ სახეში ურტყამს, ამოსვლის საშუალებას
არ აძლევს.

— არ ამოხვიდე, დაგჩეხავთ! — ღრიალებს — „ნემცებმა“
ვერაფერი მიქნეს, თქვენ რა უნდა მიყოთ! თქვე მათხოვრებო!
ფეხი არ ამოდგათ, თორემ დაგჩეხავთ! ბუჭალა ვარ, მესხი!

თითქოს ვხედავ!

ნელ-ნელა ჩამორჩნენ თავდამსხმელები, ერთხანს გზაში
იდგნენ, მერე ყანაში მიიმალნენ.

ეს მოგონება მამის პიროვნებას, შეიძლება დიდს ვერა-
ფერს მატებს, მაგრამ... რატომღაც თავად მემატება ძალა...

პირველი ნიბნი

მეოთხე კლასელი ვარ. ხონის ქალთა სკოლაში ვსწავლობ.
(სემინარიის ყოფილ შენობაში!) ეკატერინე შამათავა გვას-
წავლის, შესანიშნავი პედაგოგი, შამათავების დიდებული
ოჯახის წევრი. კლასში ისეთი სიჩუმეა, ბუზის გაფრენას გაი-
გონებ. მასწავლებელი ჩურჩულით გვესაუბრება. ფერმკთა-

ლი, გაცრეცილი ქალია, მაღალი ტანის, ჭალარა, ხშირად
ავადმყოფობს. თბილი, ხავერდოვანი ხმა აქვს. მის ყოველ
სიტყვას გულისყურით ვუსმენთ. ვიმასხოვრებთ. ნაკლებად
წყრება, არავის სჯის.

მესამე თუ მეოთხე რიგში თავჩახრილი ვზივარ მერხზე,
მუხლებზე წიგნი მაქვს გადაშლილი. ვკითხულობ... ეგნატე
ნინოშვილის „ქრისტინეა“. მთელი გულისყურით იქ ვარ, გუ-
რიაში, ნინოშვილის გმირებთან. არ გამიგია, როდის წამომად-
გა მასწავლებელი თავზე. ერთხანს გაუნძრევლად იდგა, ხმას
არ იღებდა, მგონი ჩემთან ერთად ისიც კითხულობდა წიგნს.
სხვა შემთხვევაში, სხვა პედაგოგებთან ვაი-უბედურება ატყ-
ვებოდა, გაკვეთილზე მხატვრული ლიტერატურის კითხვას
გვიკრძალავდნენ. სასტიკად გვსჯიდნენ, მითუმეტეს, მეოთხე
კლასელი მოწაფე „ქრისტინეს“ ვკითხულობდი...

ეკატერინე მასწავლებელი უხმოდ იდგას მერე დაიხარა
და გადაშლილ წიგნში, ფურცელზე, ფრჩხილით მონიშნა.
„აქედან — აქამდე ხმამალა წაიკითხე, დე, სხვებმაც გაიგო-
ნონ!“ მეჩურჩულედა. აღარ მახსოვს რა წავიკითხე, რატომ
ჩათვალა აუცილებლად მისი ხმამალა მოსმენა. ტექსტი რა
ხანია გადამაკინებდა, წიგნის ფურცელზე ფრჩხილით დარჩე-
ნილ ნაკვალევს კი დღესაც ვხედავ...

სამარადისო ხსოვნა მას! მის სულს, მის პიროვნებას!

ხონის უნივერსიტეტი

ხონში გატარებული მონაფეობის წლები ერთგვარ საუნი-
ვერსიტეტო წლებად მიმაჩნია. დაბაში ორი ბიბლიოთეკა იყო.
საბავშვო და საჯარო. მათი შესაძლებლობები ბოლომდე რომ
ამოვწურე, უფრო სწორად, რისი წაკითხვაც მსურდა, ყველა-
ფერი წავიკითხე... (ისტორიული, გეოგრაფიული, მხატვრუ-
ლი.) განუწყვეტილ წიგნებს ჩავკირკიტებდი, შინ თუ გა-
რეთ, მგზავრობისას, გაკვეთილებზე, შესვენებისას, ხის ტოტ-
ზე ჩამომჯდარსაც მიკითხია. მერე ისე მოხდა, საინტერესო
წიგნები თითქოს გამოიღია დაბის ბიბლიოთეკაში... უგუნე-
ზოდ დავედი. ვილაც-ვილაცებთან ვავიკითხე. ხონი ცნო-
ბილი იყო თავისი ინტელიგენციით. ეგემონებთან მკითხვე-
ლით, მათ ოჯახებში ბევრი საინტერესო წიგნი მეგულეობდა.
ერთბაშად გამიღეს კარი.

მცნობდნენ კიდეც, რაიონში ცნობილი ფარმაცევტის, კა-
ჭუ (ალექსანდრა) ლორთქიფანიძის დისშვილი ვიყავი. მისი
გაზრდილი. სკოლაში კარგად ვსწავლობდი, რაიონულ შეხ-
ვედრებზე სიტყვით გამოვდიოდი. „ნორჩი ლენინელსა“ და
„ახალგაზრდა კომუნისტში“ ვიბეჭდებოდი. ეს ბევრს ნიშნავ-
და.

დაბაში მცხოვრები, ექიმების, პედაგოგების, მსახიობების
ოჯახებმა უფლება მომცეს მათი მდიდარი ბიბლიოთეკა, რო-
გორც მსურდა ისე გადამექოთებინა. ჩხიკვიშვილების, წიგნი-
ვაძეების, ბახტაძეების, შამათავების, სანოძეების ოჯახები
სავსე იყო ძველისძველი გამოცემებით, ყურნალ-გაზეთებით
(„ივერია“, „კვალი“, „დროება“. „ემშაკის მათრახი“, „პრომე-
თე“) საგულდაგულოდ შენახული და აკინძული ეგზემპლარე-
ბით, ყოველ მათგანზე ხელი მიმინვდებოდა. ამიტომ ვუნოდებ
იმ წლებს, ხონის უნივერსიტეტის წლებს...

ხონის დაბრუნება, ერთგვარ გამოცდას ჰგავდა. მასპინ-
ძლები, ეტყობა ჩემით ერთობოდნენ, წიგნის შინაარსს მე-
კითხებოდნენ, მთავარ აზრს, ნაწარმოების დანიშნულებას.
მაიძულებდნენ თხზულებას ჩავლრმავებოდი, მასზე მეფიქ-
რა. ეს კი ბევრს ნიშნავდა... მათი უმრავლესობა პედაგოგები
იყვნენ, ასაკოვანი ადამიანები, მათ ხსოვნას დიდ პატივს
ვცემ. თითოეული ოჯახი მასხოვს...

გიორგი წიგნივადეს ულამაზესი მეუღლე ჰყავდა, (სილამა-
ზის კონკურსში გამარჯვებული ქალბატონი — პელო). ბატონი
გიორგი ცნობილი პედაგოგი და მომღერალი გახლდათ. ხონში

სალამო არ ჩატარდებოდა, მას რომ არ ემღერა. „დამისხი დამალევი, ეგ ლვინო ოხერ-ტიალი...“ ახლაც ჩამესმის მისი ხავერდოვანი ხმა. ბატონმა გიორგიმ სამი წიგნი მაჩუქა, ილია ჭავჭავაძის რჩეული, ვაჟას „ალუდა ქეთელაური“ და ლევან ასათიანის „ქართველი პოეტი ქალები“ (1937 წ. გამოცემა) შამათავეზის ოჯახი. რეზო შამათავე, პოეტი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. ბიძა დავით შამათავე, ცნობილი მწერალი, თბილისში ცხოვრობდა. მის მოთხრობებში შთამბეჭდავად იყო ასახული ძველი ხონი, რევოლუციის ხანა, მენშევიკების გაქცევის პერიოდი. მწერლის და, ქეთევან შამათავე ხატვას გვასწავლიდა. დავითის გარდაცვალება განიცადა. მახსოვს, ცხენისწყლის პირას წაგვიყვანა გოგონები და თეთრი კენჭები შეგვაგროვებინა. უდროოდ გარდაცვლილი მწერლის საფლავი იმ კენჭებით მოვრთეთ. რაღაც სიმბოლური იყო!

ჩხიკვიშვილების ოჯახი. ცნობილი ექიმის. (აკაკი წერეთელი სტუმრობდა.) უმდიდრესი ბიბლიოთეკა ჰქონდათ. ქართულ, რუსულ, ფრანგულ ენებზე გამოცემული წიგნები. მათი შთამომავალი გახლავთ, პედაგოგი და ლიტერატორი ლიანა ვაშაკიძე, თავისი შეგნებული ცხოვრება ხონს რომ შეალია...

ილია ბახტაძის, ცნობილი პუბლიცისტის ოჯახი. „ივერიის“, „კვალის“, „დროების“ ნომრებს იქ გავეცანი... ძველი სურნელი შერჩენოდა კარადებს, თაროებს. მაბრუებდა და თავგზას მიბნევდა. სხვა სამყაროდან დაბრუნებულს ვგავდი, სხვა თვალთ ვუცქერდი სამყაროს... ასეთ ოჯახებში გატარებულმა წუთებმა ბევრი რამ შემძინეს. უსაზღვრო მადლობა მათ!

ციცხე-ცხელია

სიყმაწვილის ასაკში (12 წლისას) მოულოდნელად ციცხე-ცხელია შემეყარა, ხუთი დღე უსასრულო სივრცეში დავქროდი, უნახავ ქვეყნებს, ადამიანებს, სახეებს ვხედავდი. სიმხურვალის აღმურში ვინვოდი... მოვრჩი და, თითქოს სხვა ადამიანმა გაიღვიძა ჩემში. ახალი საფიქრალი გამიჩნდა, ახალი სურვილები, ინტერესები... უკვე სხვაგვარად ვაზროვნებდი. სკოლაში ამხანაგები ვერ მცნობდნენ, ვერც პედაგოგები. გაზრდილი ვიყავი, სიმაღლეში წასული. ფურცელს და ფანქარს არ ვიცილებდი, დღე და ღამ ვწერდი. მოკლედ „სანერელი“ შემეყარა. ყველაფერზე ვწერდი, რა მიხაროდა და რა მწყინდა, ახალი რა წავიკითხე, გავიგე, შევიცანი. ყველაზე მეტად, ფათერაკში ჩავარდნილი საკუთარი თავი მაინტერესებდა, ამიტომ იყო ახალ-ახალ სიუჟეტებს ვიგონებდი, სევდიან თუ მხიარულ თავგადასავლებს... მეგონა დროთა განმავლობაში, გატაცება გამივლიდა, წერის სურვილი გამინელდებოდა, მაგრამ არაფერი შეგეშალოთ! თუ მომემატა, თორემ არაფერი მომკლებია.

მადლობა უფალს!

„დათას წყარო“

მასხენდება როგორ დავწერე პირველი მოთხრობა „დათას წყარო“. იმერელ თავადზე, დათა ლორთქიფანიძეზე... იგი ენუქ ლორთქიფანიძის, ჩემი პაპის, ბიძაშვილი გახლდათ.

დათას ორი შვილი ჰყავდა, და-ძმა, ჯიბრაილი და გულო ლორთქიფანიძეები.

ერთ წვიმიან, ცივ საღამოს, დეიდა თამარმა ამ უიღბლო ოჯახის თავგადასავალი მიაბო. ყოველივე დაწერილებით მომითხრო. გასაოცარი შთაბეჭდილება დატოვა... ნამდვილი ამბავი იყო. თავადს, საკუთარი შვილის მკვლელობა დააბრალეს და ციმაში გაადასახლეს. რუსეთში მცხოვრები, მდიდარი კაცი, მეცენატი და ბიზნესმენი ჯიბრაილ ლორთქიფანიძე, პეტერბურგიდან ჩამოსული, მამას ეწვია ახალბედისეულში. რამდენიმე დღე დარჩა. დილით ეტლმა მოაკითხა და

გაემგზავრა. გზაში უგზო-უკვლოდ დაიკარგა. პეტერბურგში არ ჩასულა. ცოლ-შვილი ეძებდა...

მოგვიანებით, მისი სისხლიანი სამოსი, უცნობმა მწყემსმა, შუა ტყეში, ხის ფულუროში იპოვა. გამოძიება დაიწყო. ყველაფერი გაჩხრიკეს, ვერავითარ კვალს ვერ მიაგნეს. მოხუცი თავადი ერთი და იგივეს იმეორებდა: „ეტლში ჩაჯდა და წავიდაო“. თუმცა სოფელში მოსული ეტლი არავის უნახავს. ისე გაასამართლეს და ციმაში გზას გაუყენეს მოხუცი, ჩვენება არ შეუცვლია. გვამი ვერ იპოვეს, ვერც ტყავის ჩემოდნებს მიაგნეს. გაქრა კაციც და ბარგიც.

გამოძიებაში ენუქ ლორთქიფანიძეც იღებდა მონაწილეობას. დათა ლორთქიფანიძე მეფის ოფიცერი იყო (ტყვიას-ტყვიასში სვამდაო!) ბოლო წლებში სამსახურს თავი დაანება და შინ დაბრუნდა. ყველაზე მეტად ნადირობა იტაცებდა. მწყერზე, კურდღელზე...დათვზე. ობოლი, ყრუ-მუნჯი ბიჭი ჰყავდა შეკედლებული. რომლის ენა ყველაზე კარგად მას ესმოდა. 20-22 წლის, ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა მუდამ თან ახლდა. ისიც თქვეს, ჯიბრაილის სისხლიანი სამოსი რომ ანახეს, ბიჭმა თვალეებზე ხელები აიფარაო... იმასაც ამბობდნენ, მამა-შვილს შორის, წინა ღამით შეხლა-შემოხლა მოხდა. აფორიაქებული და გაცეცხლებული ჩანდნენო. გაავეზულმა თავადმა ანთებულ ლამპას ხელი წამოავლო და შუა ეზოში ისროლაო. ნაშხვრეებიც იპოვეს. არც თავადს უარყვია, ერთბაშად ააღდა ლამპა და ცეცხლი რომ არ გაჩენილიყო სახლში, ეზოში მოვისროლეო. სინამდვილე არავინ იცოდა.

სასამართლო პროცესზე დუმდა დათა. ოთხმოცი წლის კაცს ბოლომდე შერჩენოდა ეშხი და ლაზათი. თავმოწონედ იდგა, ნაცრისფერი ჩოხა-ახალუხით, ვერცხლის ქამარ-ხანჯლით. ასე გამოცხადდა ქუთაისის გუბერნიის სასამართლოში. ასევე მშვიდად გაჰყვა ციმაში მამავალ გზას.

ჩასვლის პირველსავე კვირას გარდაიცვალა... სასამართლოს ეზოში, ხის ქვეშ, მუნჯი ბიჭი იდგა და მოთქმით ტიროდა. პროცესის დამთავრების შემდეგ, ხელბორკილით რომ გამოიყვანეს დათა, ყმაწვილი ფეხებში ჩაუვარდა მოსამართლეს, თან გამაყოლეო, სთხოვდა. ძლივს მოაცილეს ბიჭი. მთელი სოფელი მოსულიყო, ცრემლიანი თვალებით შესცქეროდნენ დათას, თუმცა ვერარას შეგუოდნენ.

აი, ესენი იყვნენ ჩემი მოთხრობის გმირები.* აი, ამგვარი ბიოგრაფიის პატრონები აღმოჩნდნენ ისინი. საოცარი გატაცებით ვწერდი, ღამეები არ მეძინა, თითქოს საკუთარ თავში ახალი სამყარო აღმოვაჩინე, მათი ფურცელზე გადატანა მენადა. უნდა მომესწრო, სანამ ყველაფერი გაქრებოდა და გმირთა სახეები გაუფერულდებოდა.

მიკვირს, ეგზომ გამოუცდელი და მწერლობაში გაუნაფავი, ასე რთულ თემას როგორ შეეჭქიდე. ნაწყენი არ ვარ. საჯილდო ლოდის ადგილიდან დაძვრა გამიძინელდა, მაგრამ... ხომ შეეჭქიდე! ოთხი რვეული გავავსე. დავხუტე და შევინახე. არ მივბრუნებულვარ, გადაფურცვლის სურვილიც არ მექონია, თითქოს საიდუმლო კოდი ჩავდე შიგ... (არადა, დათას დაპატიმრების სცენა, სასამართლო პროცესი, მუნჯი ბიჭი ერთობ შთამბეჭდავი გამოვიდა... დეიდა აღფრთოვანებული იყო!)

გავიდა წლები. ნალკოტად ქცეული დათას სახლ-კარი, ეზო და მამული გაჩანაგდა. კოლმეურნეობამ მინა გადახნა და

* როდენი იყო ჩემი გაცემა როცა მოგვიანებით, ლევან სანიკიძის „მესამე დასვლზე“ დაწერილ ისტორიულ ნარკვევში ამოვიკითხე, რომ გულო ლორთქიფანიძე ცნობილი რევოლუციონერი იყო. პარტიის დავალებით ირანში მოღვაწეობდა. ცხოვრების მნიშვნელოვანი წლები ირანში გაატარა. იქვე გარდაიცვალა. (მგონი მოკლეს!) ხოლო პეტერბურგში მცხოვრებ ბიზნესმენს, ჯიბრაილ ლორთქიფანიძეს, პარტიის დავალებით, საქართველოში იარაღი უნდა შემოეტანა. (1905 წლის რევოლუცია ახლოვდებოდა.) შემოიტანა კიდევ, მაგრამ ფარული აგენტურის მეშვეობით იარაღიც დაიკარგა და ბიზნესმენიც უგზოუკვლოდ გაქრა. გამოძიება არასწორი გზით წარიმართა.

ჩაის პლანტაციები გააშენა. ბოლოს ისიც ამოძირკვეს. დღევანდელ დღეს ლორთქიფანიძეები არ ცხოვრობენ ახალბედისეულში, სოლომონ მეფის მიერ („ფიცის კაცებისთვის“ — ლორთქიფანიძეებისთვის) ნაბობები მამულები, განქარდა.

მხოლოდ ცივი, კამკამა წყარო მოჩქევს ძველებურად.

უხილავი არსება

პირველი მოთხრობის დაწერამ თავად გამაოცა, შინაგანად შემძრა. ასეთი რამ თუ მოსახერხებელი იყო არ მეგონა. დაუფიქრებლად ვწერდი, თითქოს ვილაყ გარეშე, უხილავი არსება გვერდით მეჯდა და მკარნახობდა, თითოეულ სიტყვას, სტრიქონს მეწურჩეულებოდა. თანდათან იხატებოდა გარემო, სივრცე. იძვრებოდა გმირები, სახეები. თავიანთი გარეგნობით, ხასიათებით. ინერებოდა დიალოგები. ყოველივე ფურცელზე გადადიოდა, თავად გადამქონდა ანთებულ გულით, აფორი-აქებულ გიგანობით. ხეირიანად ვერ ვხვდებოდი რა ამბავი იყო ჩემს თავს, რა მემართებოდა... რა ერქვა ყოველივე ამას. რატომ ვკანკალებდი, ან რა მიხაროდა ასე ძალიან. ჯერჯერობით მნიშვნელობას არ ვაძლევდი ნაწერის ხარისხს, ღირებულებას, მწერლობა ჩემი უბრალო გატაცება იყო თუ შემდგომაც გავყვებოდი ამ რთულ საქმიანობას. ამაზე არ ვფიქრობდი, საამისოდ არ მეცალა... არადა, გარკვევით ვხედავდი მათ, ვისზედაც ვწერდი, რომელ გარემოებასაც აღვწერდი. ყოველივე ჩემს თვალწინ ხდებოდა. მათი შემქმნელი თუ გამცოცხლებელი თავად ვიყავი. ასე ამრიგად, ნელ-ნელა დაიხატა სივრცე, სოფელი, ქვეყანა. იქ ჩემი გმირები ცხოვრობდნენ, ერთმანეთში დავობდნენ, პაექრობდნენ, ურთიერთს ძნელად ეგუებოდნენ.

ბოლოს როცა გადავიკითხე მოთხრობა, გაცვივებამ შემიპყრო. საკუთარი უნარით თუ შესაძლებლობით გაცვივებული დავრჩი. აღფრთოვანებულიც... რაღაც უცხო ძალა ვიგრძენი, შემძლო ისეთი რაღაცეები დამინახა თუ აღმეწერა რაც სხვებისთვის შეუცნობელი იყო, შეუძლებელიც... ჩემს ირგვლივ მყოფნი, თუნდაც დები, დედა, დეიდები, მეგობრები, თანატოლები ამგვარ საოცრებასთან ძალზე შორს იყვნენ. გაცვივებით შემომცქეროდნენ. არადა, ახალ სამყაროში თავს მშვიდად ვგრძნობდი... რაღაც მიხაროდა, მსიამოვნებდა, აღფრთოვანებულიც ვიყავი. რა იყო?! საკუთარ თავში მწერალი აღმოვაჩინე?! ყველასგან განსხვავებული პიროვნება. ეს მიხვდარიყავ გამაბრებოდა თუ მწყენოდა... ოღონდ ვერ იყო, თითქოს სამყარო გადასხვაფერდა, ადამიანებმა იერი იცვალეს. რატომ? მიხვდრა გამიძნელდა. შეცნობაც. ის დღე და ის დღე, განუწყვეტილად ახალ გმირებს, სახეებს, თავგადასავლებს ვეძებდი, სიუჟეტებს ვქმნიდი. მხატვრულ პალიტრას ვამდიდრებდი.

დრო გადავიდოდა და მოთხრობიდან — მოთხრობაში ისე გადავიდოდა, როგორც წარსულიდან მომავალში. ცხოვრებაში ჯერაც უხილავ უცნობ გმირებს ვპოულობდი, მათ ვეცნობოდი, მათეულ ჭირ-ვარამს ვიზიარებდი. ყოველივე ეს ოდნავ გამაბრებელი განცდა იყო, სასიამოვნო და ძნელად შესაცნობი. წერის პროცესს მცირედი ტანჯვაც ახლდა, რაც სულიერ გაორებას იწვევდა ჩემში. ასეთ დროს, საკუთარ თავში, სხვას, უცხო არსებას შევიცნობდი. სურვილი მიჩნდებოდა სხვის ტყავში შევძვრალიყავი, სხვისი სიცოცხლით მეცოცხლა, სხვისი ტკივილი განმეცადა და მეგრძნო. ახლებურად მყვარებოდა და მძულებოდა კიდევც...

ყველა ამ განცდისთვის მადლობელი ვარ, უფალო!

გიორგი შატბერაშვილის ბარათი

საცხოვრებლად ქუთაისში გადავედი.

დეიდასთან ვცხოვრობ (დეიდები მრავლად მყავს, დედასავით თბილები და ახლობლები). ერთთან ხონში საშუალო სკოლა დავამთავრე, მეორესთან უმაღლეს სასწავლებელში გამოცდების ჩასაბარებლად მზადება დავიწყე. თან პატარ-პატარა ნოველებსა და მოთხრობებს ვწერ. არავის ვუმხელ, თუმცა, საამისო სურვილი უდავოდ გამაჩნია... ბევრს ვკითხულობ, მხატვრული ლიტერატურა ჩემი ყველაზე დიდი გატაცებაა! ჭეშმარიტი სიხარულია...

იმ დღეებში ჟურნალ „ცისკარში“ გიორგი შატბერაშვილის მოთხრობა „მკვდრის მზე“ გამოქვეყნდა. საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა. ქართული ენის სიმდიდრე, სიმინდვე. გმირთა საოცარი გალერეა, სამახსოვრო პერსონაჟები, ზუსტი და ლაკონიური თხრობა... იმდენად დიდი იყო შთაბეჭდილება, საკუთარ თავს ვერ მოვერიე და მწერალს ვრცელი ბარათი მივწერე... რამდენად სასიამოვნოა ავტორისთვის, უცნობი მკითხველისგან მთრთოლვარე სტრიქონებით, გულისნადების გაზიარება, თავად მოგეხსენებათ. რატომღაც, პასუხს არ ველოდი!

ერთ დღეს, ჩემდა გასაოცრად, გიორგი შატბერაშვილისაგან ბარათი მივიღე (ჩემს არქივში ინახება) უცნობ მკითხველს გულითადადობით მპასუხობდა. მწერდა: „შემთხვევით ქუთაისში აღმოვჩნდი, თეატრში სპექტაკლის „არსენა ჯორჯიაშვილის“ პრემიერას დავეხსარი. დარბაზში ყოფნისას, წამით, ჩემი ქუთაისელი მკითხველი გამახსენდა, უცნობი ქალიშვილი, რომელმაც ასეთი გულწრფელი ბარათი მომწერა და მე მადლობაც ვერ ვუთხარი. ვიჯექი დარბაზში და ვათვალთვლებდი ახალგაზრდებით გაჭედულ პარტერს, ამფითეატრს. შეიძლება აქ იყოს! გამიელვა წამით. გადავწყვიტე, როგორც კი თბილისში დავბრუნდებოდი, წერილი მომწერა... ასედაც ვიქცევი. დარწმუნებული ვარ ლექსებს ან მოთხრობებს სწერ... სხვაგვარად ამნაირ ბარათს ვერ მომწერდი. მესტუმრე თბილისში, „ცისკრის“ რედაქციაში, შენი შემოქმედება გამაცანი.“

სავალალოდ, იმ ხანებში თბილისში ჩასვლა ვერ მოვახერხე, ბატონი გიორგი სულ მალე გარდაიცვალა. (ნათელში მისი სული!) თბილი ბარათი სამახსოვროდ დამრჩა...

მოსკოვი

1958 წელი. ქუთაისში ვცხოვრობ, გამოცდებისთვის ვემზადები. დეიდას მეგობართან, ქალბატონ ანა პეტუხოვასთან ვმეცადინეობ. იგი ინსტიტუტის ლექტორია, მკაცრი, დისციპლინირებული ქალბატონი. ის ერთი წელი, ლამის ცეცხლის ალზე მატრიალა, იმაზე მეტს მოხვდება, რაც შემეძლო. (ნეტავ ამჟამად თუ ამეცადინებენ ასე მონდომებით ყმაწვილებს.) არც თავისი თავი დაზოგა და არც მე... უსაზღვროდ მადლიერი ვარ!

მოსკოვში ჩავირიცხე, ისტორიულ-საარქივო ინსტიტუტში. გამოცდები წარმატებით ჩავაბარე. სხვადასხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსული, განსხვავებული აზრისა და გაგების, ეროვნებისა და რჯულის ახალგაზრდები შეიკრიბნენ. ზოგიერთთან ვმეგობრობდი, თავისუფალ დროს მუზეუმებს, გამოფენებს ვათვალთვლებდი, სპექტაკლებს ვესწრებოდი. ტრეტიაკოვის გალერეის, პუშკინის მუზეუმის ხშირი სტუმარი ვიყავი. იმ ხანებში დიდ თეატრში ზურაბ ანჯაფარიძე მღეროდა. მისი ყველა სპექტაკლი ვნახე. ამერიკელების, ჩეხების გამოფენები დავათვალთვლე. ნოვოდევიჩის სასაფლაოს ვენვიე. ნაფუდა ალილუევა-სტალინას საფლავი პირველად ვნახე. რასაც ინსტიტუტში მასწავლიდნენ, დიდ აღფრთოვანებას არ იწვევდა, სლაგური ენა, დამწერლობა, არქეოგრაფია და პალეოგრაფია, ფილოსოფიის ისტორია, უმეტესად ისეთ საგნებს გვასწავლიდნენ, რომელიც შემდეგ არაფერში გამომიყენებია. უბრალოდ თვალსაწიერი გავიფართოვე...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ვაგრძელებთ ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილების პუბლიკაციას ახალი კომენტარითა და შენიშვნებით. მკითხველს ვთავაზობთ პოეტის ერთ ადრეულ, ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის მრავალმხრივ საყურადღებო წერილს გრიგოლ ორბელიანისადმი. ის გაგზავნილია 1837 წლის თებერვალში თბილისიდან პოლონეთში, ვილნოს გუბერნიაში, სადაც მსახურობდა პოეტის გადასახლებული ბიძა. წერილში ჩართულია პოეტის ლექსები: „ძია გ...სთან“ და „ყაბე ყაბახზედ“.

აღნიშნული წერილი იონა მუხარაგია აღმოაჩინა გრიგოლ ორბელიანის არქივში. პირველად გამოქვეყნდა გაზეთ „დროებაში“ 1885 წლის 1 ივნისის №114-ში. დედანი დაკარგულია. წერილის რუსული ტექსტის თარგმანი ეკუთვნის პ. უმიკაშვილს (1834-1904).

მაია ცერცვაძე

„შენი არს ყაბახი, ძიავ“

(ციკლიდან: „ნოველები ბარათაშვილისა“)

ღიას, ყაბახიც, ისევე როგორც ლხინის სუფრა, საქართველოს პოეტური ნიშანია...წარსულის ნიშანია, ერთგვარი სიმბოლო, რაც პოეტის დისნულმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა სწორად გაიგო.

ვახტანგ კოტეტიშვილი. „გრიგოლ ორბელიანი“

ბ. ორბელიანისადმი

ტფილისი. გარეთუბანი,² 1837 წელსა, თებერვლის...

საყურადღებო ძიავ³

გთხოვთ, მომიტევეთ ესდენ ხანს ჩემგან მოუწერელობა; ეს გარემოების ბრალია: ხან არ ვიცოდი ადგილი, თუ სად იმყოფებოდით, ხან საქმეებში გავერთოდი სამსახურისა გამო (я чиновник экспедиции суда и расправы)⁴ და ამობაში ორშაბათი გამომეპარებოდა ხუალმე, როდესაც მანდაური ფორტა მოდის. ასე, ძიავ, ვიცი, მომიტევეთ.

აგერ წელიწად ნახევარია, რაც მე გიმნაზიაში კურსი დავასრულე⁵ და ვიმყოფები სუდაირასპრავაში. წარდგენილი ვარ ჩინზედ და ჩქარაც მოველი. მაგრამ უნდა აღვიარო, რომ არც პანციონში ყოფნის დროს,⁶ когда будущность моя представлялась мне в радужных мечтаниях,⁷ და არც მერმე, ვიდრე სამსახურში შევიდოდი, სულ არ მომსვლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური: ჩემი სურვილი იყო ჯარისკაცობა, იგი მზრდიდა მე აქამომდე და ახლაც ხანდისხან კიდევ შთამომეპარება ხუალმე გულში. მამ რაღამ დამიშალა, თუ კი ჩემი სურვილი იყო? აი, რამ დამიშალა: ჩემთა მშობელთა მიზეზად ეს მომიდეს, რომ კოჭლი ხარო⁸ და, თუ არ ინვალიდის კომანდაში,⁹ სხუაგან არ მიგიღებენო. მაშინ, როდესაც ფერჯი უკედ მქონდა და კარგადაც მაქვს, ასე, რომ ჩემებურად კიდევ ვჰხტი და კიდევ ვტანცაობ.¹⁰ მაგრამ რადგანც შევიტყე უარი მათი და მით უამოვნობა, ვჰსთხოვე უნივერსიტეტში მანც გაგზავნა, რომ, თუ შტატსკი¹¹ ვიყო, ვიყო... არც ეს შემისრულეს. უბედურებისა გამო, მამაც¹² ამ დროს ავად შეიქნა¹³ და ავადმყოფი, ჩემს თხოვნაზე, ასე მეტყოდა: „შვილო, ხომ ჰხედავ შენის სახლის გარემოებასაო, იქნება მე ველარც კი გავანო ამ სნეულებასაო, შენს სახლს არ უპატრონებო?“ ამის შემდეგ გული აღარ იყო, რომ კიდევ შემეწუხებინა მამა ჩემის თხოვნით. დავრჩი ისევე ჩემს მამულში; განვჰნესდი სამსახურში და დაუმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა, თუმც ხანდისხან ჯავრით დავაპირებ ხუალმე მასთან შებმას: ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის აღსრულება! რადგანაც ასე მოხდა, მამ აქ ეკსპედიციაზე კარგს ადგილს ვერ ვიპოვნინდი. უნდა მართალი ითქვას, რომ ეს ადგილი ყრმანვილის კაცისათვის, ვისაც კი სამოქალაქო სამსა-

ხური უნდა, პირველი შკოლაა; ეს არის რომ кругъ чиновниковъ не выгоденъ для образованія нравственности,¹⁴ მაგრამ ეს თავიზედ არის დამოკიდებული. ამისათვის გაცნობებთ ჩემს ვითარებას, რომ ჩემი აქ დარჩომა სიზარმაცეში არ ჩამომართოთ. ღმერთმა დამიფაროს! ეგ თვისება სხვსაც მეჯავრება. ჭეშმარიტად არა, ზარმაცი არა ვარ, მაგრამ რა ვქნა, რა გაენყობა სოფლის ბრუნვას... მახლას!¹⁵



ამ წარსულს ზაფხულში, ერთს შუწნიერს, მთვარიანს ლამეში, ყაბახზედ¹⁶ დავიარებოდი, სადაც მისმან შუწნებამ, სატრფოთ მარაქამ, მათმან უწინდელეებ კიდევ დარდიმანდობამ სრულიად განატყებს სახედულში, აღმიტაცეს ფიქრნი, წარმიღეს გონება! კოჯრის ნიავის ქროლაზე, ძიავ, მერწმუნენით, თქუწნ მომაგონდით, მაშინ მომაგონდა: „განცეცხლებულთა ლვინისგან შუბლთა კოჯრის ნიავი განგვიგრილებდეს“¹⁷ და მაშინ განვიზრახე, რომ ამ ლამეს უთუოდ აღვწერ და გაუგზავნი ძია გრიგორის მეთქი, და კიდევ აღვასრულე; მით უფრო ჩქარად, რომ ერთმა საგანმა პირველ დამასო გულს კაეშანი.¹⁸

შენი არს ყაბახი, ძიავ, შენ გიყვარს იგი, და ამისათვის მახზედ წარმოებული შემთხვევაც შენ მოგეძღვნის. აი:

ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი, წაგართო ავის ენისა გესლმან; სატრფონი მისნი შემოგარენი გარდახვენილსა დაგინშო ეტლმან! მაგრამ გაჩნს კიდევ გულში მის არე; გიყუარს ყაბახის კარგიც და ავი, თუმც უცხო და შორს თემად იარე, მრავალი კარგი ჰნახე ამბავი. მაგრამ რას ხედავ ან კრული ჩრდილოს? აჰა, ის ლამე, ოდეს სატრფონი ალამაზებდენ შენს ყაბახს ამოს, შენის სიყრმისა თანზრდილნი, ჰსწორნი!¹⁹

ლამე ყაბახზედ²⁰

მიყუარს, ყაბახო, მყუდროება ლამისა შენის,... თალხად ბნელისა მაისის დროს წყნარის და ტფილის, ბევრჯერ მინახავს სახე შენი შუწნიერებით — ძუწლის ახალთან, ახლის ძუწლთან შენობაებით; მაგრამ უმეტეს მიყვარს ლამე, როს მთვარე შუქით მოჰყვენს შენს არეს, თვით ბუნებით სავსეს სიამით და მომდინარე მჭევლებითა ხუვილით მტკვარი ზვირთთა ალატყუწვლს შორით სმენად დასამტკობარნი! ამ გუარი იყო ის ლამეცა, ოდესცა გარე ფიქრით მოცულმან ჩუწულებრივ ყაბახს ვიარე, სადაცა მწყობრად დარაზმულნი აქა-იქ ქალნი

პირად-პირადად სეირნობდენ, კეკლუც მოსილნი, და მათ გარემო შეჰფრფინებდენ ყრმანვილნი კაცნი, ზოგნი დამძინილნი, ზოგნი ტრფიალ და ზოგნი ანცნი. თვითონ ცის მთვარეც მოწინებთ ღრუბელთ ეფარა, როს ქუცყნის მთვარეთ შეეტრფოდენ და მას კი არა!

„შსთქვრამ“, — იტყვიან, „ყაფლან, ყაფლან“²¹ ზოგნი ქალები, „თუნდ თავსა უფლად,²² ახლა პრანჭვას ნუ კი მოჰყვები!“ ყაფლანც, მორჩილი სატრფოთა მათ დაილილინებს გულის საკუდავად და თან-და-თან ყელს მოიღერებს.²³ ვის არ გსმენიათ მის ლაშობით თქმა, რომ მყის სევდები, კეკლუცნო ქაღონო, არ აგშლიათ გულად მკვდრები? კილოს და კილოს ხორხში ამოდ დაირაკრაკებს, და მას ნიაჲი არე-მარეს შეამუსიკებს. უეცრად მარჯუნივ დავინახე თეთრკაბიანი, მათ შორის მდგომი, ვინ მომჰჰადა მჰსწრაფლად ცნობანი, არ ვიცი, ამ დროს რად აღვიგზენ უფროს ცეცხლისა, სად არს გაბედვა, სად არს ძალი გრილის გულისა? ვნახე სადღაცა ქალთ კრებაში როდისღაც ერთი, მას აქეთ თვალი ველარ მოჰკვარ და ახლა ერთი სდგას აქა მწყაზრად, ვით ქურციკი ვეფხვთა შორისა; ყელი ყელყელობს, დამფანტველი მსწრაფლ გონებისა! თვალი შემოსანრო მან ამ დროს მე და შემომიღინა; ამან გამამხნო — და გულს ძვერით წარვჰსდგეი წინა. და ასე ვუთხარ: „ნეტარ რომე მეღირსა კულად სანატრი ჩემთვის ნახვა თქუწნი ან მხიარულად.“ „გამადლობთ, — მითხრა მან, — რომ თქუწნ

მაინც გახსოვართ კიდევ,

ახლა მოდაა, ვინც ვის იცნობს, ივინყებს ისევ“. „დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ვერც მოდები ვერ მამიშლიან თქუწნსა ხსოვნას და ვერც დროები.“ ამა სიტყუაზედ ვარდი ღანვთზედ მყის აეფურცლა, ამ დროს ნიავმანც თეთრი კაბა მიმოუქროლა. და — ბუდეშური მის ფეფები ლამაზად მოჩნდა, რომელთ სიამით ცნობა ჩემი მიმჰჰადეს თვისდა. ამ დროს მთოვარემც შუქს მის ხალი აღუგზნობინა, რომელმან ჩემს გულსა სანდომობით შუშვა მოჰფინა. მაგრამ სხვა მუნით მიიჰჰმობდა სატრფოსა ქალსა, რომელი მყისვე მიეფარა, ნათელი — თვალსა!

ძიავ, ეს ლექსები დიდი ხანია დაწერილი მქონდა. მაგრამ ფორტას ვერ ვანდე კიდევ, რა ვიცი, როგორ მომხდარიყო, იქნება, დაკარგულიყო, და მერმე: უ²⁴...

„არ ვინ იცის, რა გამოვა რისაგან“.²⁵

სხუშბრ, გთხოვთ თქუწნის წიგნით მასიამოვნოთ რაიმე; იგი ჩემთვის ძვირფასია. მშვიდობით! ღმერთმა ინებოს, რომ კულად მამულში გიხილოთ.²⁶

თქუწნი უმორჩილესი ნ. ბარათაშვილი

1. **გ. ორბელიანისადმი** — გრიგოლ ზურაბის (დმიტრის) ძე ორბელიანი (1804-1883), გენერალ-ადიუტანტი, პოეტი, ქართული რომანტიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, მეფე ერეკლე II (1720-1798)-ის შთამომავალი, შვილიშვილის შვილი (დედამისი ხორეშანი (1786-1833) ელენე ერეკლეს ასულის (1753-1786) ქალიშვილი იყო). სწავლობდა კეთილშობილთა სასწავლებელში, შემდეგ საარტილერიო სკოლაში. მონაწილეობდა სამხედრო ოპერაციებში მთიულეთის წინააღმდეგ, რუსეთ-სპარსეთის (1826-28) და რუსეთ-თურქეთის (1828-29) ომებში. დააპატიმრეს 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის. 1859 წლიდან თბილისში მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებლად მსახურობდა. პოეტურ ნიმუშებთან ერთად უაღრესად საინტერესოა მისი ეპისტოლური მემკვიდრეობა, რომელიც უხვ მასალას იძლევა ქვეყნის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ყოფისა და ავტორის პირადი ცხოვრების შესახებ. დაკრძალულია ქაშუეთის ტაძარში.

2. **გარეთუბანი** — გარეთუბანი, გარეუბანი, ფეოდალური ხანის თბილისის გალავნით შემოფარგლულ ნაწილს გარეთ მდებარე ერთ-ერთი უბანი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, კალას ჩრდილოეთითა და დასავლეთით. ვახუშტი გადმოგვცემს: „ზღუდეს გარეთ უბნობენ ან გარეთუბანს, სადაც არს ასპარეზი“ (ასპარეზი, შემდგომში ყაბახი, დღევანდელი 9 აპრილის სახელობის ბაღი — მ.ც.) (ვახუშტი ბაგრატიონი. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ქართული მწერლობა. ტ. 8 გვ.74). ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის (1802-1869) გადმოცემით ნახსენები ზღუდე ანუ ქვეითირის გალავანი, ალექსი ერმოლოვის (1777-1861) ბრძანებით დაუნგრევიათ: „შემუსრა მთავარ-მართველმა ლენერალ ერმოლოვმა 1824 თუ 1823 წელსა... ბოლო დროს დაქცევის მიზეზისა ხმა გამოვიდა: ასეთი მშვიდობა მოახდინა ლენერალ ერმოლოვმა, რომ საჭიროდ აღარა რაცხდა საქართველოში ციხეებსაო“ („ძველი მოზღუდევილობა ქ. ტფილისისა“, საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება, აღ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის არქივი). ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ქალაქის ტერიტორია სამ ნაწილად დაიყო. მე-19 საუკუნის დასაწყისის თბილისის აღწერის მიხედვით, რომელიც ისტორიკოს გიორგი ბოჭორიძის პირადი ფონდში აღმოჩნდა, ამ სამიდან ერთ-ერთი „არის ნოდებელი გარეთუბნად. აქ იყო და არსცა დღეს ჰოსიანთ მონასტერი, სახელდებული ვანქად (დღევანდელი გრ. ორბელიანის მოედნის სახელოვან მდგარი XIV-XVI სს სომხურ-გრიგორიანული საკათედრო ტაძარი ფაშა-ვანქი), სასახლენი თავადთა, დუქნები, ახლად აშენებული ქარვასლა ზუბალოვისა. ესე გარემოზღუდევილ არს მთითა კლდინითა და მდინარის მტკვრისა“. „არც დღეს გავალ გარეთუბანს“ — ათქმევინებს სალომე ორბელიანს (1795-1847) გამიჯნურებულ ბეჟანა მკერვალს გრიგოლ ორბელიანი თავის „მუხამბაზში“ („არავისთვის მე დღეს არა მცალიან“). გარეთუბნის ასახსენლად პოეტს ლექსისთვის შენიშვნის სახით მიუწერია: „სადაცა ცხოვრობდნენ ორბელიანნი“. გარეთუბანი იყოფოდა შედარებით მცირე უბნებად: მუხრანბატონიანთ უბანი, ვანქის უბანი, ორბელიანთუბანი (ე.წ. „ორბელიანთ აული“ — ორბელიანების სამოსახლო) და შუა კარის უბანი. გარეთუბანში აგებდნენ ევროპული ტიპის შენობებს. უბნის ცენტრი ქმნიდა მოედანს (ახლანდელი თავისუფლების მოედანი). 1859 წელს ადრინდელი ყაბახის ადგილას გაშენდა ბაღი. ამ დროისათვის გარეთუბანი ახლანდელი მძევი კაკაბაძეების ქუჩამდე აღწევდა. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ქალაქის ოფიციალურ ტოპონიმიკაში გარეთუბანი აღარ იხსენიება. მისი ტერიტორია დღეს თავისუფლების მოედნის, ბარათაშვილის ქუჩის, რუსთაველის პროსპექტის, ჭანტურიას ქუჩასა და მტკვარს შორის მიდამოებშია მოქცეული.

3. **საყურელო ძიავ!** — გრიგოლ ორბელიანი ნ. ბარათაშვილის ბიძა იყო, დედამისის ეფემია ორბელიანის (1801-1849) ღვიძლი ძმა.

4. **я чиновникъ экспедициі суда и расправы** — მე ვარ მოხელე სასამართლოსა და განჩინების ექსპედიციისა. იმხანად, როცა ეს წერილი იწერებოდა, ნ. ბარათაშვილი მსახურობდა საქართველოს უმაღლესი მთავრობის სასამართლოსა და სასჯელაღსრულების ექსპედიციაში (Экспедиция Суда и Расправы Верховного Грузинского Правительства), სადაც ის გამოსაცდელი ვადით 1835 წლის ექვს ნოემბერს მიიღეს. 1836 წლის 18 იანვარს გადაიყვანეს „კანცელარისტის“ თანამდებობაზე. სასამართლოსა და სასჯელაღსრულების ექსპედიცია მოთავსებული იყო გიორგი XII-ის (1746-1800) ყოფილ სასახლეში, ე.წ. სალაყბოსთან. მას განაგებდა ვასილი ივანეს ძე ილინსკი (1789-1845), შემდგომში პოეტ ვახტანგ ორბელიანის (1812-1890) სიმამრი. სასამართლოსა და სასჯელაღსრულების ექსპედიციაში ნ. ბარათაშვილი 1840 წლამდე მსახურობდა (იხ. ვ. ნო-დარიძე. ნიკოლოზ ბარათაშვილი სამართლისა და განჩინების ექსპედიციაში. ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, №5 სექტემბერ-ოქტომბერი, 1968წ. გვ.72-83).

5. **გიმნაზიაში კურსი დავასრულე** — ნ. ბარათაშვილმა თბილისის გიმნაზიის კურსი 1835 წელს დაასრულა „ქებითი ატესტატით“, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. მისი თანაკლასელების და მასთან ერთად კურსდამთავრებულის ლევან რელიქიშვილის (1817-1892) შემონახული ატესტატის მიხედვით, მომელიც 1835 წლის 25 ოქტომბერს არის გაცემული, შეიძლება ვივარაუდოთ პოეტის მიერ გიმნაზიის დამთავრების ზუსტი თარიღი.

6. **პანციონში ყოფნის დროს** — „ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელი“, სადაც სწავლობდა ნ. ბარათაშვილი, 1830 წლის 1 მარტს გიმნაზიად გადაკეთდა. 1830 წლის 28 დეკემბერს ახალგაზს-ნილ გიმნაზიასთან დაარსდა „კეთილშობილთა პანსიონი“. იგი გან-

კუთვნილი იყო ორმოცი მონაფისათვის, რომელთაგან ოცდაათი საქართველოს ღარიბ თავადაზნაურთა შვილებს ეკუთვნოდა, ათი კი გამიზნული იყო ამიერკავკასიაში მომსახურე რუს მოხელეთა ბავშვებისათვის. პანსიონში ღებულბდნენ სხვა თავადაზნაურთა და მოხელეთა შვილებსაც, ოღონდ საკუთარ ხარჯზე. პანსიონით სარგებლობის უფლება პედაგოგთა რეკომენდაციით ეძლეოდა კეთილშობილთა სასწავლებლის ათ განსაკუთრებით ნიჭიერ ბავშვს. ნიკოლოზ ბარათაშვილის მამამ ითხოვა მისი ვაჟიშვილი აყვანათ გიმნაზიასთან არსებულ პანსიონში სახელმწიფო ხარჯზე. შემორჩენილია 1830 წლის 22 მასით დათარიღებული ამიერკავკასიის სასწავლებელთა დირექტორის, კოლეგიის მრჩეველ ე. გრუბერის მიერ თბილისის გიმნაზიასთან არსებულ პანსიონში სახელმწიფო ხარჯზე ჩასარიცხად წარდგენილ ღარიბ და წარჩინებულ მონაფეთა თორმეტკაციანი სია, რომელშიც სხვებთან ერთად დასახელებულია 12 წლის მეორეკლასელი თავადი ნიკოლოზ ბარათოვი, კაპიტნის, თავად მელიტონის ვაჟი (იხ. შ. ჩხეტი. „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. ტ. 1. მასალები ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ. შსსრ შინაგარე საქმეთა სამმართველოს გამოცემლობა. თბილისი 1945 წ. გვ. 156). ნ. ბარათაშვილი მიღებულ იქნა პანსიონში „ნახევარპანსიონერად“, ე.ი. მას უფლება ჰქონდა ოჯახშიც დაბრუნებულიყო. ღამეს სახლში ათვდა. „პანსიონერები სწავლობდნენ გიმნაზიაში სხვა მონაფეებთან ერთად, კლასვარეთ კი იმყოფებოდნენ პანსიონის ხელმძღვანელთა მეთვალყურეობის ქვეშ, ამისთვის პანსიონს აყვანილი ჰყავდა ოთახის ზედამხედველები, განთქმულნი თავიანთი სიმკაცრით... პანსიონის მეთვალყურეობა დაკისრებული ჰქონდა საპატიო მზრუნველს, უშუალო ხელმძღვანელობა და სამწეო ნაწილი, დირექტორის მეთვალყურეობით, ინსპექტორს ებარა“ — იგონებდა ნ. ბარათაშვილის გიმნაზიის ამხანაგი ლუკა ისარლოშვილი (1814-1893) (ი. ბალახაშვილი. „ბარათაშვილის ცხოვრება“. ლიტერატურა და ხელოვნება“ თბილისი. 1967 წ. გვ. 110).

7. когда будущиш моя представлялась мне в радужных мечтаниях — როდესაც ჩემი მომავალი წარმტაც ოცნებებში წარმომიდგებოდა.

8. კოჭლი ხარო — ზ. ჭიჭინაძის (1854-1931) გადმოცემით, რომელიც პოეტის შესახებ ცნობებს აგროვებდა მის ნათესავ-მეგობრებში. ნ. ბარათაშვილი გიმნაზიაში სწავლისას 1832 წელს კიბიდან გადმოვარდნილა და ფეხები მოუფტვრევია, ბოლოს დიდის ნაწილობით მოურჩენიათ, მაგრამ შემდეგ ისე მარდად ვეღარ დადიოდა. „რასა იქს ტატიკო, კიდევ კოჭლობს, თუ აღარა? და ან რას ჰსწავლობს?“ ეკითხება გრ. ორბელიანი თავის ძმას ზაქარია ორბელიანს (1806-1847) რიგიდან 1835 წლის 25 ივლისს გამოგზავნილ წერილში (იხ. ნიკოლოზ ბარათაშვილი. ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, ტფილისი, 1922 წელს, გვ. 297). ბიოგრაფოსთა ნაწილი (ს. ცაიშვილი, ი. ბალახაშვილი) ვარაუდობს, რომ ეს შემთხვევა, რასაც ნ. ბარათაშვილის სიკოჭლე მოჰყვა, რამდენიმე წლის შემდეგ, 1835 წლის ზამთრის ბოლოს ან გაზაფხულის დამდეგს მოხდა. 1938 წლის 15 ოქტომბერს, პოეტის ნემტის დიდობიდან მთაწმინდაზე გადასვენებისას, როცა ნემტს მეცნიერული ექსპერტიზა ჩაუტარდა, გაიკვინა, რომელი ფეხით დაკოჭლებულა იგი. ექსპერტიზის დასკვნაში ჩანერილია, რომ „ოდნავი დაკოჭიება“ ეტყობა ძვლებს მარცხენა ქვედა კიდურის წვივ-კოჭის მიდამოში.

9. ინვალიდის კომანდაში — მე-18-19 საუკუნეებში რუსეთის საიმპერატორო არმიამი არსებობდა ინვალიდთა საჯარისო ნაწილები (ასეულები, რაზმები). ინვალიდებს, თანამედროვე გაგებით, მიეკუთვნებოდა სამხედრო მოსამსახურეთა ამ კატეგორიის მხოლოდ ნაწილი, ე. წ. „არამომსახურე ინვალიდები“. „სამხედრო ინვალიდების“, ე. წ. „მომსახურე ინვალიდების“ კატეგორიას შეადგენდნენ შინაგანი (მაგალითად, სამაზრო) ჯარები, ჰოსპიტალთა მომსახურე პერსონალი და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების — იარაღის და სამთო ქარხნების, სახაზინო ფაბრიკების, ზოგიერთ მცირე ციხესიმაგრეთა და საპატიმროთა — დაცვის ნაწილები (მომრავი ინვალიდთა დანაწილი ასეულები). გარდა ამისა, ინვალიდთა ასეულები შედიოდნენ არმიის სავლე ნაწილების (პოლკების, საარტილერიო ბრიგადების) შემადგენლობაშიც. 1874 წელს მათ სახელი გადაერქვათ და უმწყობრო ასეულები ეწოდათ.

10. კიდევ ვტანცობ — ნ. ბარათაშვილს კარგად სცოდნია და ძალიან ჰყვარებია ცეკვა. ცეკვა სხვა საგნებთან ერთად ისწავლებოდა კეთილშობილთა სასწავლებელში. სასწავლებლის საგნებისა და საათობრივი განაწილების ცხრილის მიხედვით ვიკებთ, რომ ყველა კლასში მას კვირაში ორი საათი ეთმობოდა. ცეკვას ასწავლიდა მას-

წავლებელი ტანაგელი (იხ. ნ. გრიგალაშვილი. „ხე ცნობადისა“. თბილისის უნივერსიტეტის გამოცემლობა. 1987 წ. გვ. 32-33). ლუკა ისარლოშვილი (1814-1893) იგონებდა პოეტზე: „ერთხელ მარტყოფში ვნახე და მშვენიერი ლეკური ითამაშაო“ (ს. ცაიშვილი — „ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის“. „ლიტერატურის მაცნა“. №1-2 1940 წ. გვ. 387). ნ. ბარათაშვილს ხალისიან, მხიარულ ჭაბუკად ახასიათებენ თანამედროვენი. „ნიკომ არ იცოდა დაკვრა, მაგრამ სიმღერა და მუსიკა ძლიერ უყვარდა. ასეთი მხიარული იყო, რომ ვერავინ შეატყობდა, მწერალიაო“ (პოეტის დის ბარბარე ვეზირიშვილის (1826-1919) ნაამბობიდან. იხ. ნიკოლოზ ბარათაშვილი. ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, ტფილისი, 1922 წელს, გვ. 296). „ნიკოლოზ ბარათაშვილი სკოლაში კარგად სწავლობდა. უმეტესად განსხვავებული იყო თავის ამხანაგებში მხიარულის ხასიათით, სიმარდით. პირველი მოცეკვავე იყო, საკუთრად ლეკურისა, ყველასაგან საყვარელი ამხანაგი. (კონსტანტინე მამაცაშვილის (1814-1900) მოგონება ნიკოლოზ ბარათაშვილზე. კრებულში ნიკოლოზ ბარათაშვილი. თხზულებათა სრული კრებული ლევან თავთაქიშვილის საერთო რედაქციით). „პეგ“, თბილისი, 2005 წ.; გვ. 214). „სხვაზე უფრო დანიშნავებული იყო ბარათაშვილი ტანცაობითაც. სასწავლებელს ჰყავდა ტანცების მასწავლებელი და ჰქონდა საკუთარი ტანც-კლასი. ყოველ შაბათობით მოდიოდა სასწავლებელში ოსტატი აღდადანიო, რომელიც სხვათაგანის ლეკურსაც ასწავლიდა. ბარათაშვილი პირველი მოცეკვავე იყო და უპირველესი მოლეკურე, თუმცა მესამე კლასში იყო, თუ მეოთხეში“ (ი. მეუნარგია. „ცხოვრება ნიკოლოზ ბარათაშვილისა. კრებულში ნიკოლოზ ბარათაშვილი. თხზულებათა სრული კრებული ლევან თავთაქიშვილის საერთო რედაქციით). „პეგ“, თბილისი, 2005 წ.; გვ. 220).

11. შტატსკი — (რუს. Штатский) სამოქალაქო პირი.

12. მამაც — მელიტონ ნიკოლოზის ძე ბარათაშვილი (1795-1860), თავადი. მელიტონის მამა ნიკოლოზი (?-1803 წლის შემდეგ) დაახლოებული პირი იყო ერეკლე II (1720-1798)-ისა და გიორგი XII (1746-1800)-ის კარზე. ირიცხებოდა ამალაში, რომელიც 1803 წელს რუსეთში, ბელგოროდში გადასახლებულ მარიამ დედოფალს (1768-1850) გააყოლეს. ნიკოლოზს თან ახლდნენ ოჯახის წევრები, მათ შორის მელიტონიც, რის გამოც მას ჩინებულად სცოდნია რუსული ენა. ქართულის გარდა სცოდნია სომხური და თურქული ენებიც. მელიტონმა დაამთავრა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი. 1810 წლიდან ცამეტე წლის მანძილზე მუშაობდა თარჯიმნად საქართველოს მთავარმართებლის ალექსანდრე ტორმასოვის (1752-1819) კანცელარიაში. 1811 წელს, როცა ტორმასოვს ახლდა ახალციხის ექსპედიციაში, მას ებოძა პრაპორშჩიკის ჩინი. 1812-13 წლებში, როგორც თარჯიმანი თან ახლდა მაშინდელ მთავარმართებელს მარკო ფილპ პაულუჩის (1779-1849) კახეთის აჯანყების საწინააღმდეგო ექსპედიციაში, მიუღია მონაწილეობაში ბრძოლებშიც. მელიტონი მსლებლად გააყოლეს აჯანყებაში მონაწილეობისათვის პეტერბურგში გადასახლებულ გრიგოლ ბატონიშვილს (1789-1830). 1813 წელს მან მიიღო პოდპორუჩიკის, 1816 წელს — პორუჩიკის, ხოლო 1820 წელს — კაპიტნის ჩინი. 1824 წელს დაინიშნა განჯის პოლიციისტურად და ოლქის უფროსად. 1829-1832 წლებში მონაწილეობდა თავადაზნაურობის საქმეებში — ქართული მილიციის ორგანიზებაში, ლეკებზე აღაზან-გაღმა ლაშქრობაში. 1832 წელს უბოძეს მაიორობა და დაუნიშნეს პენსია. 1832 წლის 17 დეკემბერს აირჩიეს თბილისის მაზრის თავადაზნაურობის მარშალად 1833-35 წლების პერიოდისათვის, 1835 წლის 27 დეკემბერს ხელახლა აირჩიეს ამ თანამდებობაზე, ამავდროულად არჩეული იქნა აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობის მარშლის პირველ მოადგილედ. მელიტონი განათლებული კაცი ყოფილა, კარგი მცოდნე ქართული ლიტერატურისა, მჭევრმეტყველი, კეთილი, მეტად სტუმართმოყვა და გულუხვი. გამოირჩეოდა სიფიქსითა და გულუზიადობით — „ჩვენი მელიტონ ისევ ისეა, ანჩხლი, ჭყვიანა, მყვირთა, თავის სახლის დამამწარებელი“ — წერდა გრიგოლ ორბელიანი თავის ძმას ილია ორბელიანს (1815-1853) 1839 წლის 23 დეკემბერს გორიდან (იხ. გრ. ორბელიანი. წერილები. ტ. 1 1832-1850. აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით. „სახელმწიფო გამოცემლობა“ თბილისი, 1936 წ. გვ. 50). ხელგამოღობა ცხოვრების ნესმა გააღარბა და ვალებში ჩაავადო. მთავრობისადმი ლოიალურად ყოფილა განწყობილი, 1832 წლის შეთქმულებაში არ მონაწილეობდა. თანამედროვეთა გადმოცემით მასა და პოეტ შვილს შორის მაინცდამაინც კეთილგანწყობილი დამოკიდებულება არ სუფევდა. მელიტონ ბარათაშვილს ცოლად ჰყავდა ფევიია ზურაბის (დემიტონი) ასული ორბელიანი (1801-1849). გარდაიცვალა ხაშურის რაიონში, სოფელ ოსიაურში,

სადაც დაქვრივებული მამა თავის ქალიშვილს ბარბარე ვეზირიშვილისას სტუმრობდა. დაკრძალულია იქვე (დანვრილებით მელიტონ ბარათაშვილის შესახებ იხილეთ პ. ინგოროყვა. ნიკოლოზ ბარათაშვილი. „მერანი“, თბილისი, 1969წ. დი. ბ. ბალახაშვილი. „ბარათაშვილის ცხოვრება“. „ლიტერატურა და ხელოვნება“ თბილისი. 1967წ; აგრეთვე ც. ბარბაქაძე. „სად განისვენებს ნიკოლოზ ბარათაშვილის მამა?“ „ახალი ქართული გაზეთი“, №74, 17 ოქტომბერი, 1998წ).

13. ავად შეიქნა — 1837 წელს მელიტონ ბარათაშვილი ლოგინად ჩავარდა. იგი ადრეც ავადმყოფობდა. „მელიტონის უიმედოდ ავადმყოფობამ ძალიან შემანუხა. მთელი დღე მწუხარებისაგან თვალი არ მომიხუჭავს... შენ ისეთ რიგადა მწერ, რომ მგონია საწყალი მელიტონი კიდევ მომკვდარა“ — სწერდა გრ. ორბელიანი თავის ძმას ზაქარიას 1835 წლის 11 აპრილს ბირჟიდან (იხ. გრ. ორბელიანი. წერილები. ტ. 1. 1832-1850. აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით. „სახელმწიფო გამომცემლობა“. თბილისი. 1936წ. გვ. 28). „მელიტონის კარგათ ყოფობამ მეც კარგათ გამხადა — ღმერთმა ნუ გამავიწყობს მაგის უბედურება“ (იხ. გრ. ორბელიანის 1835 წლის 4 ივნისის წერილი ზაქარია ორბელიანისადმი. იხ. გრ. ორბელიანი. წერილები. ტ. 1. 1832-1850. აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით. „სახელმწიფო გამომცემლობა“. თბილისი. 1936წ. გვ. 28). „ემადლობ ღმერთს, რომ მელიტონი მორჩა, რომლის იმედი არ მქონდა, შენის მოწერის მიხედვით.“ (გრ. ორბელიანის 1835 წლის 27 ივლისის წერილი ზაქარია ორბელიანისადმი. (იხ. ნიკოლოზ ბარათაშვილი. ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, ტფილისი, 1922 წელსა, გვ. 297). „Мелитону все не здаровиться“ — ზაქარია ორბელიანის 1836 წლის 16 ივლისის წერილიდან გრიგოლ ორბელიანისადმი (ი. ბალახაშვილი. „ბარათაშვილის ცხოვრება“. „ლიტერატურა და ხელოვნება“ თბილისი. 1967წ. გვ. 163).

14. кругъ чиновниковъ не выгодеиъ для образования нравственности — მოხელეთა წრე არაა ხელსაყრელი ზნეობრივი განვითარებისთვის.

15. მახალს! — (საუბ.) შორისდებული. გამოხატავს დანაწევას (რას იხამ! რა გაეწყობა! აფსუს!) (ქველ. ერთტომეული. გვ. 626).

16. ყაბახზედ — ბარათაშვილის დროინდელ თბილისში, ორბელიანთუბანში, დღევანდელი 9 აპრილის (ყოფილი ალექსანდრე მეორეს, შემდგომ — კომუნარების) ბაღის ქვედა ბაქანზე მოწყობილი იყო ყაბახი (თურქ. Kabak — გოგრა), საასპარეზო ადგილი, სადაც იმართებოდა სხვადასხვა საცხენოსნო შეჯიბრებები, ჭიდაობა და მშვილდოსნობა. ყაბახის — ძველი ქართული საცხენოსნო თამაშის — თემატიკა ფართოდ აისახა ქართველ მწერალთა (არჩილი, თეიმურაზ მეორე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, გ. ერისთავი...) შემოქმედებაში. ყაბახი, ნ. ბარათაშვილის განსახილველი წერილი და ლექსი „ღამე ყაბახზე“ იქცა შთაგონების წყაროდ არჩილ სულაკაურის შესანიშნავი მოთხრობისა „ღამე ყაბახზე“.

17. „განცეცხლებულთა ღვინისგან შუბლთა კოჯრის ნიავი განგვირღილებდეს“ — ოდნავ სახეშეცვლილი სტრიქონი გრ. ორბელიანის პატრიოტული სულიკეთების ლექსიდან „იარალის“ (1832), რომელიც მიძღვნილია სახტ-პეტერბურგში გადასახლებულ ქართველ ბატონიშვილთა მხლებლის, უკანასკნელ ქართველ მეფეთა კარის მგოსნის, მიმღერლისა და თარის დამკვერელის იარალი შანშიაშვილისადმი (ლექსშია: „გაცხლებულთა ღვინისგან შუბლთა კოჯრის ნიავი განგვირღილებდეს“).

18. ერთმა საგანმა პირველ დამასო გულს კაეშანი — მკვლევარები ფიქრობენ, რომ აქ პოეტი საუბრობს თავის პირველ სიყვარულზე — არა უგვიანეს 1836-37 წლების გატაცებაზე. ბარათაშვილოლოგიურ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ მას ერქვა ნინო. ერთადერთი დასაყრდენი პოეტის სატრფოდ „ნინოს“ მიჩნევისა გახდა ლევან მელიქიშვილის (1817-1892) 1846 წლის 19 იანვრის წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი, რომელიც პოეტის სიკვდილსა და მისი ნაწერების გამოცემას ეხება და რომელშიც ავტორი იხსენებს რევაზ ანდრონიკაშვილთან სტუმრობას მისი მეუღლის სახელობის დღეს. რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილი (1818-1878) ნ. ბარათაშვილის ბავშვობის მეგობარია, გენერალ-ლეიტენანტი, გენერალ-ადიუტანტი, კავკასიური ომების მონაწილე, თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი (1871), ერთ-ერთი მეთაური რეაქციონერთა დასისა და ილია ჭავჭავაძის „გამოცანების“ ადრესატი. იგი დაქორწინებული იყო ნინა ეილერზე, არტილერიის გენერლის ალექსანდრ ქვისტოფერის ძე ეილერის (1773-1849) ქალიშვილზე, ცნობილი პერიცარიელი მეცნიერის, მათემატიკოსის, მექანიკოსის და ფიზიკოსის ლეონარდ ეილერის (1707-1783) შვილთაშვილზე. რო-

გორც ცნობილია, ლეონარდ ეილერმა ცხოვრების თითქმის ნახევარი რუსეთში გაატარა და დიდი წვლილი შეიტანა რუსული მეცნიერების განვითარებაში. მისმა შვილებმა მიიღეს რუსეთის ქვეშევრდომობა. ეილერის შთამომავალთა დიდი ნაწილი ცხოვრობდა საბჭოთა კავშირში. ნინა ეილერი ლეონარდ ეილერის უმცროსი ვაჟის, გენერალ-ლეიტენანტ ქრისტოფერ ეილერის (1743-1808) შვილიშვილია. ლევან მელიქიშვილის რუსულ ენაზე დანერული ზემოხსენებული წერილის პეტრე უმიკაშვილისეული თარგმანი გამოქვეყნებულია ჟურნალ „მნათობის“ 1938 წლის №12-ში. ლ. მელიქიშვილი სწერს გრ. ორბელიანს: „ახლა გავახარებ იმ აზრით რა პატივის გრძნობა აქვთ განსვენებულისა და მისი ნიჭისა მის ყველა მცნობესა. 14 იანვარს (კენინა ნინოს დღეობას) ჩვენ რამდენიმე ყმაწვილი ქართველები რევაზ ანდრონიკაშვილთან ვიყავით სადილად: ჩვენთან ყავლანიც (იგულისხმება ყავლან ორბელიანი — მ. ც. იხ. კომ. 21) იყო, რომელსაც ვთხოვეთ „სული ბოროტო“ ემღერა. მაგრამ წარმოვიდგინე, არც იმან და არც ერთმა ჩვენთაგანმა არამც თუ შეპირად არ იცოდა ეს მშვენიერი ლექსი — არც კი ვისმე ჰქონდა გადაწერილი და ყველანი გულით შევწუხდით, რომ განსვენებულის ნაწერები იკარგებოდა“. ჩვენს მიერ ხაზგასმულ სიტყვებს „კენინა ნინოს- აქვს განმარტება სქოლიოში: „არ ვიცო, იცი თუ არა, პირველი სიყვარული საწყლისა იყო ნინო; არც ის ვიცო, იცი თუ არა, რომელი ნინო იყო“. ი. მუხნარგია თავის მონოგრაფიაში ნ. ბარათაშვილზე წერს: „პირველი მისი სიყვარული იყო ნ. თ. (ხაზი ჩვენი — მ. ც.), რომელსაც უძღვნა ლექსი: „მიყვარს თვალები მოხედილები...“ (ი. მუხნარგია. „ცხოვრება ნიკოლოზ ბარათაშვილისა. კრებულში ნიკოლოზ ბარათაშვილი. თხზულებათა სრული კრებული ლევან თათაქიშვილის საერთო რედაქციით. „სრვ“, თბილისი, 2005წ.; გვ. 227). ამ ნინოს ამავე ნარკვევში ავტორი ერთგან ორბელიანად მოიხსენიებს (იგივე წყარო. გვ. 237). სამწუხაროდ, ბიოგრაფოსი არ განმარტავს, არ ასახელებს წყაროს, რის საფუძველზე მიიჩნევს პოეტის სატრფოს გვარის ინიციალად „ო“-ს და რატომ შიფრავს მას მაინცდამაინც „ო“ ორბელიანად“. ორბელიანთა სათავადო სახლის ბოლოდროინდელ გენეალოგიურ ტაბულაში, რომელიც საგულდაგულო კვლევების საფუძველზე შედგენილია ცნობილი მკვლევარ-გენეალოგის იური ჩიქოვანის მიერ და რომელსაც ყურადღებით გავეცანით, არ ფიგურირებს არცერთი ნინო ორბელიანი, რომელიც შეიძლება ნ. ბარათაშვილის თანამედროვედ და სატრფოდ ვიგულოთ. ამ გვარ-სახელის ქალები ან მისი ნათესავები არიან ან პოეტის სიყვარულისთვის შეუფერებელი ნლოვანების გამო. ამიტომ, ვფიქრობთ, ვიდრე მეტად ხელშეხახები საფუძველი არ გვექნება, ნ. ბარათაშვილის პირველი სატრფო მხოლოდ სახელით შეგვიძლია მოვიხსენიოთ. ექვე გამოვთქვამთ ფრთხილ ვარაუდს პოეტის პირველი სატრფოს იდენტიფიკაციის საკითხზე. ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმან, რომ კენინა ნინოს ხსენებისთანავე ლევან მელიქიშვილს გაახსენდა ნ. ბარათაშვილის პირველი სიყვარული და ამაზე გადაუგდო სიტყვა გრ. ორბელიანს. ხომ არ არის პოეტის პირველი სატრფო თავად წერილში ნახსენებ „კენინა ნინო“, შემდგომ რევაზ ანდრონიკაშვილის მეუღლე? ცხადია, საკითხი სიღრმისეულ, საფუძველიან კვლევასა და მკაცრ დასაბუთებას მოითხოვს, რასაც სამომავლოდ ვაპირებთ. ჯერჯერობით კი გამოთქმული მოსაზრება მხოლოდ ჩვენს ვარაუდად რჩება.

19. ლექსში ნ. ბარათაშვილი დაქვრივებულს ლაპარაკობს 1832 წლის სათავადაზნაურო შეთქმულებაზე, მის მოლაპატურ გამცემლობასა („სამშობლო შენი წაგართო ავის ენისა გესლმან“) და ბიძის მძიმე ხვედრზე — სამშობლოსგან მოშორებასა და „ჩრდილოს“ — რუსეთში გადასახლებაზე.

20. 1836 წლის ზაფხულში დაწერილი ნ. ბარათაშვილის ლექსი „ღამე ყაბახზედ“, რომელიც ამ წერილშია ჩართული, შემდგომ მას 1841 წლისთვის გადაუმუშავებია და თავის ლექსთა ხელნაწერ კრებულში შეუტანია. პოეტის თხზულებათა ნაბეჭდ გამოცემებში უმთავრესად ლექსის გადამუშავებული ვარიანტებია შესული. ამდენად წინამდებარე წერილი სხვა დანარჩენთან ერთად იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მან ლექსის თავდაპირველი ვარიანტი შემოინახა.

21. ყავლანს — ყავლან ასლანის ძე ორბელიანი (1813-1878), ცნობილი თავადი, ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათესავი, დედის ბიძაშვილი, გრიგოლ ორბელიანის უახლოესი მეგობარი, კოლონიალური პიროვნება, პოდპორუჩიკი. ცოლად ჰყავდა ჯერ ნინო თამაზის ასული ქობულაშვილი (1817-1839), რომელიც მშობლიურობას გადაჰყვა, ხოლო შემდეგ ელისაბედ ივანეს ასული ბარათაშვილი (1824-

1892) (ყაფლან ორბელიანის შესახებ იხ. გიორგი აბზიანიძის წერილი „ყაფლან ორბელიანი — ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის პერსონაჟი“ „ლიტერატურის მატრიანე“. №1-2 1940წ. გვ. 466-473; აგრეთვე მ. ცერცვაძე. „იყო ორბელიანების ... სამოსახლო“. ორბელიანთუბანი. „ლიტერატურა და ხელოვნება“ №5(53), 2010წ. გვ. 56-61). დაკრძალულია კუმისის სამების ტაძარში. იქვე დაკრძალული არიან მისი მეუღლეები და ჩვილმეტი წლის ასაკში გარდაცვლილი ვაჟიშვილი დავითი (1845-1862). მათი საფლავის ეპიტაფიები გამოაქვეყნა ივანე ლოლაშვილმა (იხ. „ექსპედიცია კუმისში სამების ტაძრის ნეკროპოლის აღსაწერად“. ი. ლოლაშვილი. „ოცი წელი გიორგი ლეონიძესთან“, „მერანი“, 1980. გვ. 104-105).

22. თავსა უფლად — იგულისხმება პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის (1786-1846) ლექსი „თავსა უფლად“: „თავსა უფლად წურვინ ჰგონებთ,/ყოველთა ესრეთ გაიგონეთ!/ერთგზის თქვენცა ტრფიალეთ/ ჩემებრ მწარედ დაგიმუხით...“

23. ყაფლანც, სულდგომი ამიკობით, დაილინებ/ გულის საკვდავად და თან და თან ყელს მოიღერებს — ყაფლან ორბელიანი დიდი მომღებელი, სტუმართმოყვარე და დარდმანი, ქალების მოტრფიალე და იმ დროის ახალგაზრდობის სული და გული ყოფილა. მას კარგი ხმა და ლექსებისათვის ხმების შეწყობის უნარი ჰქონია. მღეროდა ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის და ნ. ბარათაშვილის ლექსებზე. მისი დისშვილის ნინო ერისთავი-ქობულაშვილისას (1860-1935 წლის შემდეგ) გადმოცემით: „მისი სიმღერის მოსმენას არაფერი სჯობდა. ტკბილი ხმა ჰქონდა. ყელმოღერებით მღეროდა. უმისოდ ლხინი არ გაიმართებოდა. დიღუნის თავი იყო... ყაფლანი მუდამ იყო ვინმეთი გატაცებული. დიდი თავყანისმცემელი იყო ქა-ლიანობა. იტყვოდა ხოლმე: თქვენ ახალგაზრდებმა სიყვარული არ იცითო. როცა მე ვინმე მიყვარდა, მთელს ღამეს მის ფანჯრის ქვეშ ვათენებდი და ვმღეროდიო. ხანდახან სატრფო ფანჯრიდან გადმოძახებდა: ყაფლან, გეყოფა ვაცვიდებო. მეც ვეტყვიდი: მამ შენი საბურველი გადმომიგდეო და მართლაც გადმომიგდებდაო“ (გ. აბზიანიძე. „ყაფლან ორბელიანი — ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის პერსონაჟი“ „ლიტერატურის მატრიანე“. №1-2 1940წ. გვ. 470).

24. ფონტას ვერ ვანდე კიდევ, რა ვიცო, როგორ მომხდარიყო, იქნება, დაკარგულიყო, და მერმე: პ — იგულისხმება როგორც წერილის დავარგვის, ისე ცენზურის საფრთხე. ბარათის ამ ადგილს ყურადღება მიაქცია მკვლევარმა მიხეილ კეკელიძემ. იგი უძველესად: „პოეტი ამბობს, რომ ფონტას „ვერ ვანდე კიდევ“ (ცხადია, ჩანს, რომ ფონტასთან დაკავშირებით მას რაღაც დიდი უსიამოვნება შეხვედრია კიდევ. ეს უსიამოვნება 1832 წლის შეთქმულების გამო შეხვედა პოეტს). „იქნება დაკარგულიყო და მერმე პ.“ სხვა არაფერია თუ არა შეფარვით თქმული: იქნება ფონტამ ვინმეს გაეხსნა წერილი და ლექსი წაეკითხა, რასაც მოჰყვებოდა ავტორის (ნ. ბარათაშვილის) ხელახლა პ. [ატიმრობა]. აი, სწორედ ამის გამო დაევაგვიანე ლექსებისა და წერილების გამოგზავნა, აცნობებს გრ. ორბელიანს ნ. ბარათაშვილი“ (ი. ბალახაშვილი. „1832 წლის შეთქმულების ბარათაშვილის ჯგუფი“. „ცისკარი“, №9, 1968, გვ. 139). ის უსიამოვნებანი, რომელზეც საუბრობს მკვლევარი, ვფიქრობთ შემდეგში მდგომარეობს: 1833 წელს, 15 წლის ნ. ბარათაშვილს დაუწერია სატირული ლექსი, სავარაუდოდ, 1832 წლის შეთქმულების გამცემლობაზე და თავისი თანაგომნაზიელი მეგობრების დახმარებით ფოსტით გაუგზავნა თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის ნიკოლოზ ფალავანდიშვილისათვის (1790-1855). მთავრობა შესდგომია საქმის კვლევას და საგანგებოდ გაუფრთხილება ფოსტა. ფოსტის მმართველობისათვის უცნობებით, რანაირად იყო დაბეჭდილი პატაკი, რომლითაც მიუვიდა ის ადრესატს და ფოსტის პარატისთვის დაუვალებით თვალყურით დევნება წერილების მიგზავნისათვის, რათა ამ გზით გამოერკვირათ დამნაშავე. „ფოსტამ მთავრობა დამნაშავეს კვალს, როდესაც ვიმნაზიიდან მიიღო საძიებელი ბეჭდი დაბეჭდილი ერთი წერილი. წერილის მიმტანი ვიმნაზიის მსახური დაიჭირეს და მთავრობას წარუდგინეს. იმავე საღამოს სასწავლებელში მოვიდნენ გამოძიების სანარმოებლად: ჟანდარმის ოფიცერი, პროკურორი და პოლიციის უფროსი. გამოძიების შედეგად გამოიკვია, რომ სატირის ავტორია ნიკო ბარათაშვილი, ლექსი გადაწერილია ლევან მელიქიშვილის ხელით, ხოლო პაკეტზე მისამართი დაწერილია პეტრე ბაგრატიონის ხელით“ (პ. ინგოროვი. „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, „მერანი“, თბილისი, 1969წ. გვ. 52). გამოძიების შედეგები აცნობეს კავკასიის ჯარების სარდალს და მთავარმართებელს და რადგან დამნაშავენი არასრულწლოვანი აღმოჩნდნენ, მათ სასჯელად მხოლოდ როზგით დასჯა აკმარეს. ამ ინციდენტს რამდენადმე განსხვავებულად გადმოგვცემს ი.

მეუნარგია თავის ბიოგრაფიულ ნარკვევში. ზემოხსენებულ პეტრე რომანის ძე ბაგრატიონს (1818-1876) ეს ამბავი ასე გადაუცია აკაკი წერეთლისთვის (1840-1915): „გამიგონია შარებით დიდი კაცების ლანძღვა? ავცილოა ჩვენი, მისი მეგობრები: ის სწერდა და ჩვენ ვებზენდით; როცა ფოსტალიონი მოვიდოდა ხოლმე ჩვენს სასწავლებელში, ჩვენ შემოვხევედით გარს, უცხად ავუწვევით ჩანთის თავს, სადაც წიგნები ელაგა, და ჩავუდებდით ხოლმე ჩუმად ჩვენს გალესილ წერილებს. ის რას მოიფიქრებდა, რომ ნახავდა ჩანთაში წერილებს? მიჰქონდა ადრესისამებრ“ (ა. წერეთელი. „ჩემი თავგადასავალი“. რჩული ნაწარმოებები ხუთ ტომად. „საბჭოთა საქართველო“ თბილისი. 1989 წ. გვ. 83). რაც შეეხება ნ. ბარათაშვილის პატიმრობას 1833 წლის პირველ თვეებში, ამის შესახებ ცნობებს გვანდინი მისი თანამედროვენი დ. გრიგორიევი და გრ. გურიელი (1819-1891). ეს უკანასკნელი იგონებს: „ნიკოლოზ ბარათაშვილი და მე ერთ სკოლის სკამზე ვიჯექით. ნ. ბარათაშვილმა წინით შეიტყო, რომ შენ გაგჩხრეკენო. მას ბევრი ლექსები აქვდა რუსის მთავრობის წინააღმდეგ წაწერი. იგი მალე წავიდა სახლში, მეც თან წამიყვანა, ყველა ეს ნაწარმი ბუხარში შეყარა და ცეცხლს მისცა. ის იყო, ეს დაინო და გამჩხრეკავნიც მოვიდნენ. სასტიკად გაჩხრეკეს ყველაფერი, მერე ნ. ბარათაშვილს ლექსებს უჩვენებდნენ და ჰკითხავდნენ, რომ ეს ლექსი შენი დაწერილია? ნ. ბარათაშვილი ყველაფერზე უარს ეუბნებოდა. ჩხრეკა გათავდა და ნ. ბარათაშვილს უთხრეს, რომ შენ დაპატიმრებული ხარ, როგორც სოლომონ დოდაშვილის მეგობარი... მალე წავიდნენ და ნ. ბარათაშვილიც თან წაიყვანეს, ამის შესახებ სკოლაშიც იყო გამოკითხვა. ორი კვირის შემდეგ ნ. ბარათაშვილი გაანთავისუფლეს“ (ი. ბალახაშვილი. „1832 წლის შეთქმულების ბარათაშვილის ჯგუფი“. „ცისკარი“, №9, 1968, გვ. 138-39).

25. არ ვინ იცის, რა გამოვა რისაგან — ი. გრიშაშვილს ნ. ბარათაშვილის თხზულებების 1922 წლის გამოცემის საკუთარ ეგზემპლარზე, რომელიც მის ბიბლიოთეკა-მუზეუმშია დაცული და რომელზეც გაკეთებული საყურადღებო მინაწერებისა და მარგინალიების გათვალისწინება მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ნ. ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობის კვლევისას, მოხაზულია სტრიქონი: „არ ვინ იცის. რა გამოვა რისაგან“ და მინერილია: „ეს საიათნოვას ლექსიდანაა“. მკვლევარი არ აკონკრეტებს საიათნოვას რომელი ლექსიდანაა აღნიშნული სიტყვები. ა. განწერელიასა და გ. ლეონიძის აზრით, ის წარმოადგენს თავისებურად შეცვლილ რეფრენს საიათნოვას ლექსისა „შე სანყალო ჩემო თავო, რა იქენ“. რეფრენი ასე იკითხება: „რომელს დავაბრალო, რისაგან არის,/ეს საქმენი ჩვენი ჭკვისაგან არის“ (ი. გრიშაშვილი. „საიათნოვა და ძველი ტფილისი“. 1918. გვ. 107). ნ. ბარათაშვილის სიტყვების მსგავსება ზემოთმოყვანილი ლექსის რეფრენტთან, ვფიქრობთ, არც ისე თვალსაჩინოა. „არ ვინ იცის რა გამოვა რისაგან“ უფრო მოთარულ ფრაზას ჰგავს, რომლის პირველწყარო შეიძლება საიათნოვას სხვა რომელიმე ლექსის ტაქტი იყოს. მას ვხვდებით სხვა ქართველ კლასიკოსთა ტექსტებშიც. მდრ. „ჩვენ აქ არც ერთის დამტკიცება გვინდა, არც მეორისა, ხოლო გვიკვირს ასე გადაწყვეტილად ლაპარაკი იქ, საცა არავინ იცის, ჯერ რა გამოვა რისაგან, და ბ-ნმა მარამ რად ინება ასეთი ლაპარაკი?“ (ი. ჭავჭავაძე. „ქვათა ღალადი“. რჩული ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტ. 5. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1987წ. გვ. 44) „წუ დაივინებთ, რომ ერთგან სადაც გამბეჭტას წამოსცდა, რომ ელზას-ლოტარინგია შეიძლება უსისხლოდაც დაგვიბრუნდესო. არ ვინ იცის, რა გამოვა რისაგან“ (ი. ჭავჭავაძე. „ბალკანეთის საქმე“. <http://s-s.tagiweb.com/balkanethis-saqmeebi/>). „რასაკვირველია, «არ ვინ იცის, რა გამოვა რისაგან», მაგრამ ეს აზრი ძირეული აზრია სამივე პანია სახელმწიფოსი, მით უფრო, რომ განეც-გამონევა დღესაც შესაძლებელია, რადგანაც პირველი ამისი მაგალითი ასეთის გამარჯვებით ბოლგარიამ აჩვენა ყველას“ (ი. ჭავჭავაძე. საპოლიტიკო მიმოხილვა. 1882 წელი, იანვარი. <http://s-s.tagiweb.com/sapoli-tiko-mimokhilva-ianvari/>). „მაგრამ ცისარტყელაც რომ არსად სჩანს? ამ მწუხარე ფიქრებს ჰფანტავს შემდეგი სიმღერით: „არ ვინ იცის, რა გამოვა რისაგან!... თუ რომ ხმები გაყოფა მტრისაგან და სხვ.“ (ა. წერეთელი. ცხელ-ცხელი ამბები (კავიერკვალიტა“). <http://www.ambioni.ge/kvarkvalita>).

26. ღმერთმა იწებოს, რომ კულად მამულში გიხილოთ — იმ დროს, როცა ბარათაშვილი ამ წერილს სწერდა ზიძას, ის ვიღწოში მსახურობდა. 1832 წლის სათავედანაწარმო შეთქმულებაში მონაწილეობისათვის გრ. ორბელიანს აპკარა დანაშაული არ დაუშტკიცდა და გაათავისუფლეს საქმის საბოლოო გამოძიების დამთავრებისთანავე. ავლაბრის ყაზარმებში სამი თვის პატიმრობის შემ-

დღე იგი, როგორც მეშვიდე კატეგორიის „მცირე“ დამნაშავე, „კავკასიის საზღვრებში“ მოქმედ ჯარში იქნა გაგზავნილი, იქიდან კი 1833 წლის მინურულს გაამწესეს ნევის საზღვაო პოლკში, რომელიც ვილნოში (დღევანდელი ვილინიუსი) იყო დაბანაკებული. 1837 წლის 14 იანვრის წერილით, რომელსაც ის თავის ძმას ზაქარიას უგზავნის, ვიგვბთ, რომ საიმდროოდ გრიგოლ ორბელიანი საქართველოში შევებულებით ჩამოსვლას აპირებდა: „ჩემო საყვარელო ძმაო ზაქარიას! ყოველივე ჩემი საქმე ჯანჯალია. არზა ოტპუსკისა დამიბრუნეს ამის მიზეზით, რომ რადგანაც არზაში ეპსნიერევიარ პორუჩიკობით და ეხლა მე ვარ შტაბსკაპიტანი, ამისთვის უნდა არზა გამოიცვალოს, მამაძაღლებმა ოთხი თვე ვავიდა და ეხლა დამიბრუნეს. ჯავრით აღარ ვარ. როტაც მივებარე, ვიყავ ჩემთვის თავი-

სუფლად, под предлогом болезни და ყოველს ფორტაში მოველოდი ოტპუსკსა. ეხლა, რა უყო, ოთხი და ხუთი თვე კიდევ მომიგვიანდება, მანამ გამოვა разрешение. უნდა ხელმეორედ მივიბარო როტა და მისთანა ჯანჯალი საქმეები. —ახ!.. ხვალ მივდივარ ბირჟაში, ესე იგი პოლკის შტაბში, არზის მისართმევედ ხელმეორედ“ (იხ. გრ. ორბელიანი. წერილები. ტ. 1. 1832-1850. აკაკი ვანერელიას რედაქციით და შენიშვნებით. „სახელმწიფო გამოცემლობა“ თბილისი, 1936წ. გვ. 44-47). 1838 წელს გრიგოლ ორბელიანი შტაბს-კაპიტნის ჩინით ხელმეორედ ჩაირიცხა საქართველოს გრენადერთა პოლკში, რომელიც ქ. გორში იდგა. შესაძლოა, ნ. ბარათაშვილმა იცოდა ბიძის გეგმები სამშობლოში დაბრუნებისა და ამას გულისხმობდა ჩვენს მიერ ხაზგასმულ სიტყვებში.

გივი გამრეკელი

კარლსენი, კვლავ კარლსენი!

იმ მეტად დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ, რაც შარშან 23 წლის ნორვეგიელმა პრეტენდენტმა მაგნუს კარლსენმა თავისზე ორჯერ უფრო ასაკოვან ვიშვანათან ანანდთან მოიპოვა და მსოფლიოს მეთექვსმეტე ჩემპიონი გახდა, ბევრი ელოდა მის ხანგრძლივ ყოფნას უძლიერესის სავარძელში. მაგრამ შემდეგ საჭადრაკო სამყარო უდიდესი სიურპრიზის მოწმე გახდა. მოხდა ის, რასაც საერთოდ არავინ ელოდა. ანანდმა დამაჯერებლად დაამარცხა ყველა სხვა პრეტენდენტი და შემოდგომის მინურულისათვის კარლსენთან ხელახალი შეხვედრის უფლება მიიღო. რომ ეს მთლად შემთხვევით არ მომხდარა, ანანდმა ზაფხულის განმავლობაში სხვა წარმატებებითაც დაამტკიცა. კერძოდ მან ბრწყინვალე სტილით პირველი ადგილი დაიკავა. ბილბაოს მეტად პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირში, სადაც ლევონ არონიანი, ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ფიდე ადრინდელი სისტემით რუსლან პონომაროვი და ესპანეთის ჩემპიონი პაკო ვალიეხო მონაწილეობდნენ. აქ ანანდმა 12 შესაძლებლიდან 11 ქულა მოაგროვა, რაც ნამდვილად ბრწყინვალე შედეგი იყო და ინდოელის საბრძოლო „ფორმის“ აშკარა გაუმჯობესებაზე მეტყველებდა.

კარლსენ-ანანდის მატჩ-რევეანსის დაწყებამდე სხვა მეტად მოულოდნელი ამბებიც მოხდა. იტალიური წარმოშობის ამერიკელმა ფაბიანო კარუანამ, რომელსაც პრეტენდენტთა უკანასკნელ ტურნირში მონაწილეობის უფლებაც კი არ ჰქონდა, შემდეგ დამაჯერებლად გაიმარჯვა ყველგან, სადაც კი ითამაშა. ჯერ იყო და პირველი ადგილი დაიკავა დორტმუნდის ტრადიციულ ტურნირში, სადაც, როგორც წესი, ფრიად სოლიდური შემადგენლობა იყრის ხოლმე თავს (ამჯერად აქ თამაშობდა დათო ბარამიძეც, რომელიც ახლა გერმანიის სიძლიერით მეორე მოჭადრაკედ ითვლება). კიდევ უფრო ისახელა თავი კარუანამ სენ-ლუისის (აშშ) ტურნირში, რომელსაც აქამდე არნახულად მაღალი, 23-ე კატეგორია მიენიჭა. აქ მსოფლიო ჩემპიონი კარლსენიც თამაშობდა. აქ იტალიელმა (ამჯერად მან უკვე იტალიის მოქალაქეობა მიიღო) პირველი შვიდი პარტიიდან შვიდივე მოიგო (!) და საბოლოოდ 11 შესაძლებლიდან 9,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. მან მეორე ადგილზე გამოსულ კარლსენს მთელი სამი ქულით გაუსწრო! განა საოცარი არ იყო მსოფლიო ჩემპიონის განცხადება, როცა კარუანა ყველას მარჯვნივ და მარცხნივ ამარცხებდა, მაგნუსმა სხვა მონაწილეები ასეთნაირად დაამშვიდა: „ნუ გეშინიათ, ფაბიანოსთან თამა-

ში შეიძლება“. თვითონ ჩემპიონი იტალიელთან პირველ წრეში დაამარცხა, მეორეში კი გაჭირვებით მიაღწია ყაიმს. ერთი სიტყვით, კარუანამ მსოფლიოს რეიტინგ-ლისტში უკვე მეორე ადგილზე გადაინაცვლა და შორს გაასწრო მანამდე მუდმივად მეორე არონიანს და ანანდსაც.

ასეთ ვითარებაში ყველა მოუთმენლად ელოდა კარლსენ-ანანდის მატჩს, რომელიც სოჭში გაიმართა. ის გაცილებით უფრო საინტერესო უნდა გამოდგარიყო, ვიდრე მათი პირველი შეხვედრა (რომელიც „ცალ კარში თამაშს“ უფრო ჰგავდა). მოვუსმინათ ზოგიერთი ექსპერტის აზრს:

დიდოსტატი ადრიან მიხალჩინი ფიქრობდა, რომ თუ კარლსენ-ანანდის პირველი მატჩი ყველაზე სუსტი იყო იმათაგან, რომლებიც ოდესმე მსოფლიო პირველობაზე გამართულა, არამარტო სიმწვავის მიხედვით, არამედ შინაარსის გათვალისწინებითაც, ამჯერად ინდოელი გაცილებით უკეთესად ითამაშებდა. აქ ანანდს უნდა გამოეყენებინა შესანიშნავი სადებიუტო მომზადება, უდიდესი სამატჩო გამოცდილება, თავისი ნიჭი — აღმოეჩინა სუსტი ადგილები მეტოქის განლაგებაში. რა თქმა უნდა, ნორვეგიელი დიდი ჩემპიონია, მაგრამ მისთვისაც მეტად ძნელია ერთი და იგივე მეტოქის ზედიზედ ორჯერ ძლევა.

მოსკოვის გაზეთ „კომერსანტის“ მიმომხილველ ალექსი დოსპენკოვის აზრით, ანანდი ამჟამად გაცილებით უფრო თავისუფლად ითამაშებდა, რადგან ადრე ინდოეთში საკუთარი გულშემატკივრებისაგან, როგორც ახლა ამბობენ, უდიდეს ზენოლას განიცდიდა. კარლსენს კი საკუთარი წოდების დასაცავად ბევრი სიძნელის გადალახვა მოუხდებოდა.

გერმანულ ჟურნალ „შახის“ მიმომხილველ დირკ პოლდრუფის აზრით, ფავორიტად საყოველთაო შეხედულებით, ნორვეგიელი კი ითვლება, მაგრამ ანანდი ხომ დიდებულად არის მომზადებული. ანანდმა უნდა გაითვალისწინოს წარსულის მწარე გაკვეთილები, როცა მას მეტოქემ შედარებით იოლად მოუგო, ხელი აიღოს იმ სტილზე, რომელზეც კარგი არაფერი მოუტანა. უნდა შექმნას სტრატეგიულად რთული პოზიციები, რადგან თანაბარ და გარეგნულად მარტივ ენდშპილებშიც იგი მეტოქეს, როგორც ბევრჯერ ვნახეთ, აშკარად ჩამოუვარდებო (კარლსენს ხომ ბევრი ახალ კაპაბლანკას უწოდებენ ენდშპილში შეუდარებელი ხელოვნების გამო). რაც უფრო რთული და საინტერესო თამაში იქნება, ანანდის შესაძლებლობანი უფრო გაიზრდება და თუ იგი მაინც წააგებს, მხოლოდ მცირე განსხვავებით.

ერთი სიტყვით, კარლსენის უპირატესობას თითქმის ყველა აღიარებდა, თუმცა ამ მატჩამდე პრესაში მაინც გაჩნდა ცნობები, რომ ნორვეგიელმა ზოგჯერ უგულოდ დაიწყო თამაში, რომ იგი ისე კარგად ვეღარ მოქმედებს, როგორც ვთქვით, ერთი წლის წინათ და თუ არ გაუფრთხილდება...

ახლა კი ვნახოთ, რა მოხდა სოჭში, რა აზრი გამართლდა და რა არა...

მატჩი პირობითად შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს. პირველში თანდათან გამოიკვეთა ჩემპიონის უპირატესობა,



მაგნუს კარლსენი

ვიშანათან ანანდი

რაც წინასწარმა მომზადებამ განაპირობა. კარლსენმა გადაახალისა თავისი სადებიუტო რეპერტუარი, შეეცადა ისეთნაირად ეთამაშა, რომ ანანდისათვის რაიმე „ყუმბარის“ გამოყენების საშუალება არ მიეცა. საამისოდ (სხვა საკითხია, თუ რამდენად სწორი გამოდგებოდა მისი ვარაუდი, ან რამდენად გაუმართლებდნენ მწვრთნელები) მას სათანადო პასუხები ჰქონდა როგორც თეთრებით, ისე შავებით.

კარლსენმა შავებით ყურადღება მიაქცია ე.წ. გრიუნფელდის დაცვას, ადრე რომ მაინცდამაინც იშვიათად იყენებდა. იგი წინა საუკუნის 20-იან-30-იან წლებში შექმნა აესტრიელმა ერნსტ გრიუნფელდმა და გამიზნული იყო ლაზიერის პაიკის დასაწყისის წინააღმდეგ. შავები მეტოქეს საშუალებას აძლევენ შექმნას პაიკების ძლიერი ცენტრი და შემდეგ ფიგურული თამაშით შეძლებისამებრ უტყვევენ მას. გრიუნფელდის იდეა ძალიან მოეწონათ მაშინდელ კორიფეებს. გავიდა მთელი ნახევარი საუკუნე და მის წინააღმდეგ ბრძოლა მეტად რთული აღმოჩნდა. ეს დაცვა ხშირად გვხვდებოდა კარპოვ-კასპაროვის გაუთავებელმატჩებში და აი კარლსენმა შავებით თამაშის პრობლემის გადასაჭრელად სწორედ „პოპულარულ გრიუნფელდს“ მიმართა. უნდა ითქვას, რომ ანანდმა თეთრებით მაინცდამაინც ვერაფერს მიაღწია და ჩემპიონსაც ყაიმით დამთავრება არ გასჭირვებია. თეთრებით კარლსენს უარი არ უთქვამს თავის ადრინდელ რეპერტუარზე, კერძოდ... ესპანურ პარტიაზე, რომელიც წინათ და ახლაც ყველა წამყვანი დიდოსტატის საყვარელი იარაღია. კარლსენი ამ დებიუტში სულ სხვადასხვა გეგმას იყენებს, უმეტეს შემთხვევაში უტყვევს მეფის ფრთაზე და კარგად ებრძვის ე.წ. „ბერლინურ დაცვას“, რომელსაც ადრე კრამნიკი სისტემატურად მიმართავდა და ძირითადად მისი შემწეობით სძლია კიდევ კასპაროვს. პოზიციის გამარტივება, ლაზიერების გაცვლით, რაც „ბერლინის ვარიანტში“ გვხვდება, საბოლოო ვარიანტით, როგორც ადრეც ითქვა, სწორედ ენდშპილის დიდებული მცოდნის კარლსენისათვის არის ხელსაყრელი.

მატჩის პირველი ნახევარი ასე წარიმართა.

პირველი პარტია დიდხანს თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, ანანდი თეთრებით ვერაფერს გახდა და ბოლოს სწორედ მეტოქის უყურადღებობის გამო გადაარჩინა ნახევარი ქულა. მეორე პარტია (ესპანური!) კარლსენმა პირდაპირ ჩინებულად მოიგო. ლაზიერისა და ეტლის მანევრებით მან მთლიანად შემოჭრა შავების განლაგება და ბოლოს ისეთ მდგომარეობას მიაღწია, რომ ინდოელს ხელის განძრევის საშუალებაც კი აღარ ჰქონდა: 1,5:0,5. ამ წაგებამ ანანდი სულაც არ გასტეხა. პირიქით, მან აშკარად აგრესიული სტილით ითამაშა. მისმა გამსვლელმა პაიკმა უკვე მე-14 სვლაზე

მეშვიდე ჰორიზონტალს მიაღწია. თავის მხრივ, კარლსენიც შეეცადა შეექმნა ასეთივე გამსვლელი პაიკი. ამ ცდიდან არაფერი გამოვიდა და უკვე 34-ე სვლაზე ანანდმა მოიგო და გაათანაბრა ანგარიში: 1,5:1,5. უნდა ითქვას, რომ ამ მატჩში ანანდს ასე კარგად საერთოდ არ უთამაშია. მისი ფიგურების კოორდინაცია მართლაც ჩინებულ შთაბეჭდილებას ტოვებს. მეოთხე პარტია ძირითადად მანევრულ ხასიათს ატარებდა და ყაიმით დამთავრდა: 2:2, რაც ბუნებრივ შედეგად ჩაითვალა. შემდეგმა ყაიმმა ანგარიში ასე შეცვალა — 2,5:2,5.

უნდა ითქვას, რომ მატჩს მრავალი ცნობილი სპეციალისტი ესწრებოდა, ჟურნალისტების რიცხვს კი ნულარ იტყვივით. ზოგის შეფასებით, კარლსენი „ყველა დროის უდიდესი ჩემპიონიც“ კი იყო. მის რაიმე თუნდაც უმნიშვნელო შეცდომაზე ლაპარაკიც კი არ ყოფილა. ასეთი საყოველთაო განწყობილება შეიცვალა მესამე

პარტიაში ანანდის უაღრესად ეფექტური გამარჯვების შემდეგ. დაიწყო წერა იმის შესახებ, რომ მას ძალაც შესწევს ქაილი. რის „ყველა დროის უდიდესი ჩემპიონი!“ თითქოს კარლსენი მეტოქეებს არაფრად ადგებს და ამისათვის კიდევაც დაისაჯა. ერთ საიტზე გამოქვეყნდა კიდევ ფოტოსურათი, როდესაც კარლსენი ჩვეულებრივ კი არ ზის სკამზე, არამედ თითქმის წამოწოლილია და იქვე დაასკვნეს, რომ ეს ისტორიაში თითქმის არავის გაუკეთებია. ფოტოხელოვანს შეუძლია სურათს ისეთი ხედი მისცეს, როგორც სურს, მაგრამ ასე კარლსენი არავის გაუმტყუნებია, რომ მისთვის უკვე „მსოფლიოში ყველაზე უტაქტო ჩემპიონი“ ეწოდებინა.

დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მორიგ მეექვსე პარტიას, რომელშიც ჩემპიონი თეთრებით თამაშობდა. ანანდმა მიმართა სიცილიურ დაცვას, რომელიც მას მეოთხე შეხვედრაში გაუმართლა. კარლსენმა თავისებური გეგმა გამოიყენა, რაც მის სტილს სავსებით შეეფერება. მან მეცხრე სვლაზევე გაცვალა ლაზიერები (ეს მისი საყვარელი ილეთი გახდა) და შემდგომ რთულ ენდშპილში თანდათან აჯობა მეტოქეს. როცა თეთრებს უკვე სამი (!) ზედმეტი პაიკი დარჩათ, წინააღმდეგობის გაგრძელებას უკვე აზრი აღარ ჰქონდა: 3,5:2,5. შეიძლება ისიც ითქვას, რომ ამ შეხვედრამ გადანყვიტა კიდევ მატჩის ბედი.

მომდევნო 4 პარტიაში (მეშვიდე-მეათე შეხვედრებში) განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ანანდი ცდილობდა ბრძოლის გამწვავებას, ჩემპიონი კი დაცვასა და წონასწორობის შენარჩუნებას. ასე გაგრძელდა მეთერთმეტე პარტია მდე, სადაც მდგომარეობა დიდხანს თანაბარი იყო. ვის უნდა გაეხებდა მოგებაზე თამაში? რა თქმა უნდა ანანდს, ყაიმის ხელს აშკარად არ აძლევდა. გახებდა და წააგო კიდევ: 4,5:6,5. ამრიგად მეთორმეტე პარტიის თამაში საჭირო აღარ გახდა და ნორვეგიელმა შეინარჩუნა ჩემპიონის ნოდება.

რა თქმა უნდა, საერთოდ მისი უპირატესობა მსოფლიოს ექს-ჩემპიონთან უდავოა. შარშან მოუგო ანგარიშით 6,5:3,5, ახლა კი თითქმის ასევე დამაჯერებლად: 6,5:4,5.

ახლა ანანდს, ალბათ, აღარ ექნება მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლის რაიმე პრეტენზია, გზა ახალგაზრდებს უნდა დაუთმოს, რომელს? ამჟამად ამაზე რაიმე კონკრეტულის თქმა შეუძლებელია. კარლსენს კი შეუძლია ხანგრძლივად დაისვენოს. დეე მისმა ყველა შესაძლებელმა მეტოქემ ურთიერთობა ერთმანეთში გაარკვიოს. იქნება ეს კარლსენზე სულ ორი წლით უმცროსი კარუანა თუ რომელიმე უფრო ხნიერი დიდოსტატი (ვთქვათ, არონიანი ანდა რომელიმე სხვა), ეს მომავალ წელს თანდათანობით გაირკვევა.

ისააკ ბაშევის-ზინგერი (1904-1991) ებრაული წარმომავლობის ამერიკელი მწერალი, 1904 წელს ვარშავასთან არსებულ სოფელ ლეონინში დაიბადა. 1923 წელს ვარშავაში გადავიდა და ებრაულ ლიტერატურულ ჟურნალში კორექტორად დაიწყო მუშაობა. 1935 წელს საცხოვრებლად ნიუ-იორკში გადავიდა და ამერიკის მოქალაქეობა მიიღო. ყოველდღიურ ებრაულ გაზეთში „ფორვერსტ“ დაიწყო მუშაობა, სადაც 20 წელი დაჰყო. წერდა ახალ ამბებს, ფელეტონებს, მოთხრობებსა და შენიშვნებს ვარშაველის, დ. სეგალიასა და ბაშევის ფსევდონიმებით. იგი ებრაული ლიტერატურული მოძრაობის წამყვანი ფიგურა იყო და მხოლოდ ივრითზე წერდა. ეთანხმებოდა გამოთქმას, რომ „ცხოვრება თვითონაა მოთხრობა“, რაც მრავალ მოკლე ნაწარმოებში ნათლად დაგვანახა. 1978 წელს მიენიჭა ნობელის პრემია: „ემოციური თხრობის ხელოვნებისთვის, რომელიც, საკუთარ ფესვებს მოუშორებლად, პოლონურ-ებრაული კულტურათა ტრადიციების გათვალისწინებით, მარადიულ კითხვებს წამოწევს“.

აქვს სხვა არაერთი პრემია, მათ შორის, საბავშვო ლიტერატურაში. ხოლო მისი რომანისა და მოთხრობების მიხედვით არაერთი ფილმია შექმნილი.

ისააკ ბაშევის ზინგერი

მრეცხაპი ქალი

ჩვენს ოჯახს არცთუ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა უცხო რჯულის ადამიანებთან (არაებრაელებთან). კორპუსში მხოლოდ ერთი არაებრაელი მეგობრე გახლდათ. პარასკეობით ნავის წასაღებად ამოდიოდა, ეს მისი „პარასკევის ფული“ იყო. კართან დადგებოდა, ქუდს მოიხდიდა და დედა ექვს გროსს უხდიდა.

მეგობრის გარდა იმავე რჯულის კიდევ ერთი ქალი მოდიოდა, რომელსაც გასარეცხად მიჰქონდა ჩვენი თეთრეული. ჩემი მოთხრობაც მას ეხება.

ის იყო ჩია ტანის, მოხუცი და ნაოჭებიანი ქალბატონი. როდესაც ჩვენსას რეცხვას შეუდგა, უკვე 70 წელს იყო გადაცილებული. მისი ხნის ებრაელ ქალბატონთა უმეტესი ნაწილი ავადმყოფობდა, სუსტები და დაბეჩავებულები იყვნენ. ჩვენი ქუჩის ყველა მოხუცი ზურგში მოხრილიყო და სიარულისას ჯოხს ეყრდნობოდა, მაგრამ ეს მრეცხავი მოხუცი ქალი, პატარა და გამხდარი, გლეხი წინაპრებისაგან მემკვიდრეობით მიღებულ დიდ ძალას ფლობდა. ისიც კროჩმანის ქუჩაზე ცხოვრობდა, მაგრამ ქუჩის სხვა ბოლოში - ვოლას ნაწილში. ფეხით მანძილის გავლას დაახლოებით საათ-ნახევარი სჭირდებოდა. თეთრეულს ორი კვირის შემდეგ აბრუნებდა. დედა არცერთი მრეცხავი ქალისაგან არ ყოფილა ასე კმაყოფილი, ამიტომაც მისთვის ფული მუდამ მზად ჰქონდა. მოხუცისთვის ძალიან ძნელი იქნებოდა ხელმეორედ მოსვლა.

იმ დროს თეთრეულის რეცხვა ადვილი არ იყო. მოხუცს, სადაც ცხოვრობდა, ონკანი არ ჰქონდა და წყალს ტუმბოთი ქაჩავდნენ. მრეცხავებს რეცხვა სარეცხ სათლში უწევდათ, სარეცხს სოდაში ავლებდნენ, ალბობდნენ, უზარმაზარ ქვაბში ხარშავდნენ, ახამებდნენ და აუთოებდნენ. თითოეულ ნაჭერს, სულ ცოტა, ათჯერ მაინც უნდა შეხებოდნენ და მერე კიდევ გაშრობა! გარეთ ეს შეუძლებელი იყო, თეთრეულს ქურდები იპარავდნენ. განურული თეთრეული სხვენზე უნდა აეტანათ და გაეფინათ ტანსაცმლის გასაფენ თოკზე. ზამთარში შესასავით მტკრევადი ხდებოდა და, როდესაც ეხებოდით, ისეთი შეგრძნება გეუფლებოდათ, თითქოს უნდა გამტყდარიყო. სხვენით სარგებლობა სხვა დიასახლისებსა და მრეცხავებსაც უნდოდათ და, მხოლოდ ღმერთმა იცის, ყოველი რეცხვისას მოხუცს რისი ატანა უხდებოდა!

შეიძლო ტაძრის შესასვლელ კართან ემათხოვრა, ან დაბინავებულყო უსახლკაროთა და მოხუცთა თავშესაფარში, მაგრამ სიამაყე და შრომისადმი სიყვარული, რომელიც ღმერთმა იმ ერსა და ტომს არგუნა, რომელსაც იგი ეკუთვნოდა, ამის საშუალებას არ აძლევდა. არ სურდა ვინმეს ტვირთად დასწოლოდა და თავის ჭაპანს თვითონვე ეზიდებოდა.

დედაჩემმა ცოტა პოლონური იცოდა და მოხუცი ბევრ რამეზე საუბრობდა მასთან. მე განსაკუთრებით ვუყვარდი და იტყოდა ხოლმე, იესოს ჰგავსო. მოხუცი ამას ყოველ მოსვლაზე იმეორებდა. დედა წარბებს შეიკრავდა, ტურჩები ოდნე ამოძრავდებოდნენ და თავისთვის ჩაიჩურჩულებდა: „შესაძლოა მისი სიტყვები მიყრუებულ ადგილას გაფანტულიყო“.

ქალს ერთი ვაჟი ჰყავდა, მდიდარი. არ მახსოვს, რა საქმეს მისდევდა. მრეცხავი დედის გამო რცხვენოდა და მის სანახავად არასოდეს მოდიოდა. არასოდეს გროშიც არ მიუცია. მოხუცი ამას ყოველგვარი სიძულვილის გარეშე ამბობდა. ერთ მშვენიერ დღეს ვაჟი დაქორწინდა. ჩანდა, რომ კარგი არჩევანი გააკეთა. ტაძარში იქორწინეს. ვაჟმა დედა არ დაპატიჟა, მაგრამ ის მაინც წავიდა და ტაძრის კიბესთან დაელოდა, რათა ენახა, როგორ მიაცილებდა მისი ვაჟი „ახალგაზრდა ქალბატონს“ საკურთხეველამდე.

დაუნდობელი შვილის ამბავმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა დედაჩემზე და რამდენიმე თვე სალაპარაკოდ ჰქონდა. დედას არგუმენტად ეს მოჰყავდა: არა ღირს შვილების გამო მსხვერპლის გაღება, დედა ბოლო ძალას იკრებს და მან კი არც იცის „ერთგულების“ მნიშვნელობა.

ამას მინიშნებით იტყოდა, ისე თითქოს თვითონაც არ გახლდათ დარწმუნებული საკუთარ შვილებში: ვინ იცის, ერთ მშვენიერ დღეს ისინი რაღას მოიმოქმედებენ? ეს ხელს მაინც არ უშლიდა, რომ მთელი სიცოცხლე ჩვენთვის მოეძღვნა. თუ შინ ნაკლებად სახარბიელო მდგომარეობა იყო, ყველაფერს გადადებდა შვილების გამო, ყველაფერს მოუძებნიდა მიზეზსა და გამართლებას. იცოდა შელოცვის მაგიური ძალა, რომელიც ძველ დროში გვაბრუნებდა. იყენებდა გამოთქმებს, რომლებიც მემკვიდრეობით ერგო წინა თაობებისგან, ერთგული ბებებისა და დედებისაგან. „მე ვიყო შენი გამოსასყიდი. დაე შენი ჭირი მე შემეყაროს!“ ოხ, ფრჩხილები! როცა ვიკვნეტდით, შეგვილოცავდა - ჯანმრთელობა და დღეგრძელობა მთელი სულით და გულითო, თან იტყოდა. ახალმთვარეობის წინა დღეს გვაძლევდა რაღაც კანფეტს, რომელზეც ამბობდნენ, თითქოს დავგიცავდა პარაზიტული ჭიებისაგან. თუ რომელიმე ჩვენგანს თვალში რამე ჩაუვარდებოდა, დედა ენით ამოგვილოცავდა თვალს და გავვისუფთავებდა. ჩვენ ხველების სანინალმდევო შაქარყინულს გვაძლევდა და დროდადრო მიყვავდით კურთხევაზე ავი თვალისაგან დასაცავად, თუმცა ეს სულაც არ უშლიდა ხელს სერიოზულ ფილოსოფიურ ნაწარმოებთა კითხვაში.





მხატვარი ირაკლი ჩიქოვანი

მრეცხავ ქალბატონს დაეუბრუნდეთ. ის ზამთარი ძალიან მკაცრი იყო. ქუჩებში ცივი და სასტიკი სუსხი იგრძნობოდა. რაც უნდა გაგვევარვარებინა ლუმელი, სარკმელები მაინც იფარებოდა ყინულის ნაყშებით, ლოლუებით ირთებოდა. გაზეთები გვამცნობდნენ სიცივისგან დალუპულთა შესახებ. ნახშირი გაძვირდა. მშობლებმა შეწყვიტეს რელიგიურ სკოლებში ბავშვების გაშვება. პოლონური სკოლებიც კი დაიხურა.

ერთ ასეთ დღეს დაახლოებით 80 წლის მოხუცი ქალი ჩვენთან შინ მოვიდა. გასული კვირების განმავლობაში სარეცხი ბლომად დაგროვდა. დედამ წვეულს გასათბობად ჩაი და პური მიართვა. მოხუცი ცახცახით სამზარეულოს სკამზე დაჯდა და ხელებს ჩაის ქილით ითბობდა. ხელები მუშაობისგან გაუხეშებოდა, შესაძლოა, ართრიტისგანაც. ფრჩხილები უცნაურად თეთრი ჰქონდა, მისი ხელები მეტყველებდა კაცობრიობის შეუპოვრობასა და სურვილზე, ეშრომა შესაძლებლობის ზღვარს მიღმა. დედამ ნივთები დათვალა და სია ჩამოწერა: ქალის მასურები, გრძელტოტებიანი საცვლები, ქალის სპორტული შარავნები, ბალიშისპირები, ზენრები, მამაკაცის სამოსი. ეს ქალბატონი ამ ტანსაცმელსაც რეცხავდა. შეკვრა იყო დიდი, ჩვეულებრივზე დიდი. როდესაც მხრებზე შემოიდო, ლამის დაიფარა. თავდაპირველად სიმძიმისაგან შეყანყალდა, და ისეთი შეგრძნება დაგეუფლებოდათ, თითქოს ტვირთქვეშ უნდა მოექცესო, მაგრამ შინაგანი შეუპოვრობა განამტკიცებდა: არა, შენ არ უნდა დაეცევირს შეუძლია თავს უფლება მისცეს ტვირთქვეშ მოექცეს, მაგრამ არა ადამიანს. ის ღვთის ქმნილების გვირგვინია!

რთული იყო მოხუცის ყურება, როცა უზარმაზარი ფუთით ბარბაცით მიდიოდა ყინვაში, მარილივით მშრალი თოვლში და ჰაერი ივსებოდა მტვრიანი თეთრი გრიგალით, როგორც გობლინი სიცივეში. მიაღწია მოხუცმა ვოლამდე?

იგი გაუჩინარდა, დედამ ხმამაღლა ამოიოხრა და მისთვის ლოცვა დაიწყო.

ჩვეულებრივ, გარეცხილი ნივთებით ქალი უკან ბრუნდებოდა ორი ან დიდი-დიდი, სამი კვირის შემდეგ, მაგრამ გავიდა სამი კვირა, შემდეგ ოთხი, ხუთიც, მისგან კი არაფერი ისმოდა. ჩვენ უთეთრეულოდ დავჩრით. სიცივე სულ უფრო და უფრო გაუსაძლისი გახდა, სატელეფონო ხაზები თოკებივით დასქელდა. იმდენი მოთოვა, ქუჩები აიბორცვა. მრავალ ქუჩაზე გორაკის ფერდობივით ისრიალებდით მარხილებით. კეთილი

ხალხი ქუჩებში ცეცხლს ანთებდა მანანალეების გასათბობად; რათა ამათ შეენვათ კარტოფილი თუ სხვა რამ.

ჩვენთვის მრეცხავი ქალბატონის გაუჩინარება კატასტროფად იქცა. თეთრეული გვეჭირდებოდა. ქალის მისამართიც კი არ ვიცოდით. აშკარა იყო, რომ ნაიქცა, გარდაიცვალა. დედამ განაცხადა, ისეთი წინათგრძნობა დამეუფლა, თითქოს მოხუცმა ჩვენი სახლი ბლოჯერ დატოვა და ჩვენს ნივთებს მეტად ვერ ვნახავდითო. მოხუცს და თეთრეულს ერთად დავეტიროდით. მძიმე შრომისგან ქანცგამოცლილი ქალი ჩვენთვის ძალიან ახლობელი გახდა - მთელი ამ წლების განმავლობაში ხომ ასე ერთგულად გვემსახურებოდა!

ორ თვეზე მეტი გავიდა. ყინვები შეწყდა, თუმცა მალე ყინვიანი ამინდები ისევ დაიჭირა სიცივის ტალღამ. ერთ საღამოს, როცა დედა ლამფის შუქზე იჯდა და პერანგს აკერებდა, კარი გაიღო და ორთქლს უზარმაზარი ბოხჩა მოჰყვა, ბოხჩას - მოყანყალე მოხუცი ქალი, მიტკალივით თეთრი რამდენიმე ჭალარა თმა გამოუჩნდა შალის თავსაფრიდან. დედამ ამოიკვნესა, თითქოს ოთახში მიცვალებული გამოცხადებულიყო. მივვარდი მოხუცს და დავეხმარე ტვირთის ჩამოსხნაში. უფრო გამხდარიყო, მოხრილიყო. თავი უყანყალეობა, თითქოს რალაცაზე უარს ამბობდა. ვარკვევით სიტყვაც კი ვერ ამოილულულა, თავისთვის რალაცას ბუტბუტებდა ჩავარდნილი პირითა და უფერული ტუჩებით.

მოგვიანებით, როცა ოდნავ უკეთ გახდა, გვიამბო, რომ ძალიან ავად იყო, მაგრამ რით, აღარ მახსოვს. ისე ავად გამხდარიყო, ვილაცას ექიმი გამოეძახა, ექიმს კი მასთან მღვდელი გაეგზავნა. ვაჟსაც შეატყობინეს, მან კუბოსა და დაკრძალვის ფული გამოაგზავნა, მაგრამ ყოვლისშემძლე ღმერთმა არ ინება მოხუცის ტკივილით საგვს სულის მიღება. თანდათან უკეთ იგრძნო თავი, შემდეგ მომჯობინდა და, როგორც კი შეძლო ფეხზე დადგომა, განაახლა რეცხვა არამარტო ჩვენთვის, სხვა ოჯახებისთვისაც.

„ვერ ვისვენებდი ლოგინში, სარეცხი მქონდა“, — გვიხსნიდა მოხუცი ქალი, — „სარეცხი არ მაძლევდა სიკვდილის უფლებას“.

„უფლის წყალობით, კიდევ იცოცხლებთ ას წელს და მეტსაც“, — დალოცა დედამ.

„ღმერთმა დამიფაროს, ასეთი ხანგრძლივი სიცოცხლე რა სიკეთეს მომიტანს?! სამუშაო სულ უფრო და უფრო მძიმდება... ძალა მერთმევა. არ მინდა ვინმეს ტვირთად დავანვე!“ — მოხუცი ქალი თავისთვის რალაცას ბუტბუტებდა, პირველად დაინერა და თვალები ზეცას მიაპყრო.

საბედნიეროდ, შინ ცოტა ფული გვექონდა და დედამ ანგარიში გაუსწორა. უცნაურმა გრძნობამ შემიძვრო: მონეტები მოხუცის ქანცგამოლეულ ხელებში ისეთივე გაცრეცილი, წმინდა და ღვთისმოსიში ჩანდა, როგორც თვითონ ქალბატონი იყო. მან მონეტები ცხვირსახოცში გამოკრა და წასვლისას შეგვიბრდა, რამდენიმე კვირაში ახალი ფუთით მოვალე, მაგრამ აღარ დაბრუნებულა. სარეცხი, რომელიც მოიტანა, დედამინაზე მისი ბოლო ძალისხმევის შედეგი იყო. ჩქარობდა დაბრუნებინა საკუთრება კანონიერი მფლობელისათვის, შეესრულებინა ნაკისრი მოვალეობა.

და ახლა, ბოლოს, სხეული, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში დაუძლურებული იყო და რომელსაც მაინც ძალას ატანდა თავის კეთილსინდისიერებას და მოვალეობის გამო, გატყდა. სული ზეცაში შეუერთდა უბინოცხოვრებაგამოვლილ სულებს. ამ მრეცხავი ქალის გარეშე სამოთხე ვერ წარმომიდგენია. არ შემიძლია იმის გაფიქრებაც კი, რომ არ არსებობს ჯილდო ამ ძალისხმევის სათანადოდ დასაფასებლად.

ინგლისურიდან თარგმნა
ინგა მორკოშია

დევიდ ჰერბერტ ლორენსი

სარწველა ცხენზე ბამარჯვებული

ლამაზი ქალი გახლდათ, ყველა სიკეთით შემკული მოველი-
ნა ქვეყნიერებას, თუმცა უიღბლო. სიყვარულისთვის გათხოვ-
და და სიყვარულში ხელი მოეცარა. მშვენიერი შვილებიც გა-
ზარდა, თუმცა გრძნობდა, ბავშვები როგორ ამძიმებდნენ და მათი
სიყვარული არ შეეძლო. პატარები ცივად უმზერდნენ, თითქოს
რალაცაში ამუნათებდნენ კიდევ. ქალი გრძნობდა, რომ სა-
კუთარი დანაშაული სასწრაფოდ უნდა დაემალა. ვერც ხვდებო-
და, დასამალი რა იყო. მიუხედავად ამისა, ბავშვებთან ყოფნისას
გრძნობდა, გული როგორ გაუქვავებოდა ხოლმე. ეს ძალზედ
ტანჯავდა და ცდილობდა ნაზი და მოსიყვარულე დედის როლი
ეთამაშა, თითქოს მათზე გიჟდებოდა. მხოლოდ თვითონ, ერთა-
დერთმა იცოდა, რომ გულის პატარა კუნჭულში სიყვარულის
ადგილი არავისთვის გააჩნდა. ყველა ერთხმად გაიძახოდა: „რა
კარგი დედაა. ბავშვებზე ჭკუას კარგავსო“. პატარებმაც და
ქალმაც კარგად უწყოდნენ, რომ ასე სრულებითაც არ იყო. ამას
ერთმანეთის თვალებში იოლად კითხულობდნენ.

ვაჟი და ორი პატარა ქალიშვილი ჰყავდა. ბალიან, ლამაზ
სახლში ცხოვრობდნენ და დახვეწილი მსახურებიც ემსახურე-
ბოდნენ და საკუთარ თავს სამეზობლოში ყველაზე აღმატე-
ბულადაც მიიჩნევდნენ.


თუმცა არაფერი აკლდათ, მაგრამ სახლში მუდმივი მღელ-
ვარება იგრძნობოდა. აქ საკმარისი ფული არასოდეს მოიძებ-
ნებოდა. დედას მცირე შემოსავალი ჰქონდა, და მამასაც ცო-
ტას უზღიდნენ, რაც მათი სოციალური მდგომარეობისთვის
უმინიმუმ იყო. მამა ქალაქის რომელიღაც კანტორაში მსა-
ხურობდა. წარმატებათა მოლოდინის ნაცვლად იმედი გაუც-
რუნდა. ფულის სიმცირის გამო ოჯახში მუდამ მოწყენილობა
სუფევდა, თუმცა მაინც არაფერს იკლებდნენ.

ერთხელაც დედამ განაცხადა: „მოდი, ერთი ვნახავ, რა შე-
მიძლია“, მაგრამ არ იცოდა, საიდან რა დაეწყო. ქალი ტვინს
იჭყლტვდა, და უამრავ რამესაც შეეჭიდა, მაგრამ არაფერში
გაუმართლა. წარუმატებლობამ მის გარეგნობას ღრმა კვალი
დააჩნია. ბავშვები იზრდებოდნენ, მალე სკოლამაც მოუწიათ.
მეტი ფული უნდა ეშოვათ, მეტი ფული. მამა, რომელიც ყო-
ველთვის წარმოსადეგი გარეგნობისა და მაღალი გემოვნების
კაცი გახლდათ, აღმოჩნდა, რომ ვერაფერს სარწვანს ვერასო-
დეს გააკეთებდა. და დედასაც, რომელსაც საკუთარი თავისა
უზომოდ სჯეროდა, მამაზე უკეთ არ უმართლებდა. და კარგი
ცხოვრების მადაც ქმარზე ნაკლები არ ჰქონდა.

და ამგვარად, სახლი უთქმელი ფრაზით მოჯადოებულ ად-
გილად იქცა: „მეტი ფულია საჭირო! მეტი ფულია საჭირო!“ ბავ-
შვებს ეს ყოველნამს ესმოდათ, თუმცა ამას ხმამაღლა არავინ ამ-
ბობდა. როცა შობაზე საბავშვო ოთახი ძვირადღირებული და შე-
სანიშნავი სათამაშოებით გაავსეს, ნაცნობი ხმა აქაც გაისმა.

თანამედროვე, მბზინვარე სარწველა ცხენის ზურგადან
და სათამაშო ლამაზი დედოფალს სახლის უკნიდანაც ისმოდა
ჩურჩული: „მეტი ფულია საჭირო! მეტი ფული!“ და ბავშვებიც
თამაშს თავს ანებებდნენ, რათა ყური მიეგდოთ. ერთმანეთს
მიაჩერდებოდნენ ხოლმე იმის დასტურად, ხომ ყველამ გავიგო-
ნეთო. და თითოეული დანარჩენი ორის თვალბის გამოიმეტყვე-
ლებით ხვდებოდა, რომ ხმა მათაც ნამდვილად მოესმათ. „მეტი
ფულია საჭირო! მეტი ფულია საჭირო!“ ჩურჩული სარწველა
ცხენის ზამბარებიდანაც მოისმა და თავდახრილმა, პირში ლა-
გამამოდებულმა ხის ცხენმაც კი გაიგონა. ახალ საბავშვო ეტ-
ლში მჯდარმა, თავმომწონედ მომღიმარმა, დიდმა ვარდისფერ-

მა თოჯინამაც აშკარად გაი-
გონა ხმა და შეცბუნებულმა
კიდევ უფრო გაიღრჩა. სუ-
ლელი ფინიაც, — სათამაშო
დათვის ადგილი რომ ეკავა,
— ასე უჩვეულოდ უგუნური
სწორედ იმიტომაც ჩანდა,
რომ მთელ სახლში მოარუ-
ლი იდუმალი ჩურჩული მა-
ნაც მოისმინა: „მეტი ფულია
საჭირო!“



ეს ფრაზა ხმამაღლა არა-
სოდეს არავის დასცდენია,
თუმცა ჩურჩული ყველგან
მოისმოდა, მაგრამ არავინ
წარმოთქვამდა. ისევე რო-
გორც არავინ ამბობს: „ვსუნ-
თქავთ!“ მიუხედავად იმისა, რომ სუნთქვა ჩვეულებრივი ამბავია.

„დედა, „ჰკითხა ერთ დღესაც პოლმა, „საკუთარი მანქანა
რატომ არა გყავს? ყოველთვის ბიძაჩემის მანქანით ან ტაქ-
სით რატომ დავიარებთ?“

„იმიტომ, რომ ჩვენს ნათესავეებთან შედარებით ხელმოკ-
ლედ ვცხოვრობთ“, მიუგო დედამ.

„მაგრამ რატომ ვართ ღარიბები, დედა?“

„აი, იმიტომაც, რომ მამაშენი უიღბლოა, სულ არაფერში
უმართლებს.“

ბიჭი ერთხანს დუმდა.

„იღბალი ფულია, დედა?“ საკმაოდ მოკრძალებულად
იკითხა ბიჭუნამ.

„არა, პოლ. მთლად ასეც არ არის. ეს ისაა, რაც ფულის
შოვნაში გეხმარება.“

„აჰა!“ გაუგებრად ამოილულულა პოლმა, „მე კიდევ მეგო-
ნა, როცა ძია ოსკარი ჭუჭყიან იღბალს ახსენებდა, ფულს გუ-
ლისხმობდა.“

„ხელის ჭუჭყი მართლაც ფულს ნიშნავს“, თქვა დედამ,
„მაგრამ ის ფულს გულისხმობს და არა იღბალს.“

„ეეჰჰ!“ თქვა ბიჭმა, „მამ იღბალი რაღაა, დედა?“

„ის, რაც ფულის შოვნისთვისაა საჭირო. თუ იღბლიანი
ხარ, ფულიც გაქვს. ამიტომაც სჯობს იღბლიანი დაიბადო,
ვიდრე შეძლებული. მდიდარმა შესაძლოა ყველაფერი დაკარ-
გო, მაგრამ თუ იღბალი გაქვს, ყოველთვის გამდიდრდები.“

„აჰა! მართლა? და მამას არა აქვს იღბალი?“

„მინდა გითხრა, რომ ძალიანაც უიღბლოა“, მწარედ თქვა
ქალმა.

ბიჭი იჭვით შეჰყურებდა.

„რატომ?“ ჰკითხა მან.

„არ ვიცი. არც არავინ უწყის, რატომღა მავანი და მავანი
იღბლიანი და სხვა კი უიღბლო“.

„მართლა? სულ არავინ არ იცის? არავინ?“

„აღბათ, უფალმა. მაგრამ არასოდეს ამბობს“.

„უნდა თქვას. და შენც არა გაქვს იღბალი, დედა?“

„საიდან მექნება, როცა უიღბლო კაცს გავყევი ცოლად“.

„მაგრამ თვითონ შენ? მაინც არა?“

„გათხოვებამდე მეგონა, რომ მქონდა. ახლა კი ვფიქრობ,
რომ ძალიანაც უიღბლო ვარ“.

„რატომ?“

„კარგი, სადარდებლად არც ღირს! შეიძლება, ვცდები“,
თქვა ქალმა. ბიჭმა შეხედა, დედის აზრის ამოცნობა სურდა,
მაგრამ როცა მის კუმტად მოკუმულ ტურჩებს ნაანყდა, მიხვდა,
რომ მისგან რალაცის დამალვას ცდილობდა.

„კარგი, ასეა თუ ისე“, რიხიანად თქვა ბიჭმა, „მე იღბლი-
ანი ადამიანი ვარ“.

„რატომ?“ ჰკითხა მოულოდნელობისგან გაღიმებულმა
დედამ.

ბიჭი ქალს მიაშტერდა. არც იცოდა, ეს რამ ათქმევინა. „უფალმა მოთხრა“, უტიფარი სიმტკიცით წარმოთქვა ბიჭმა. „ძალიანაც კარგი, თუ ასეა, ძვირფასო“, ისევ სიცილით თქვა ქალმა, მაგრამ ახლა უკვე საკმაოდ მწარედ.

„თვითონ მოთხრა, დედა!“
„შესანიშნავია“, მიუგო დედამ. ქმრის ერთ-ერთი საყვარელი სიტყვა „შესანიშნავია“ გამოიყენა. ბიჭმა იგრძნო, რომ ქალს მისი არ სჯეროდა, ან შესაძლოა ვაჟის ამისთანა დაჟინებას ყურადღება არც მიაქცია. ამაზე რალაცნაირად გული მოუვიდა და სურვილი აღეძრა, დედის ყურადღება მიეპყრო.

ბავშვი უსიტყვოდ გაეცალა. ისევ გაურკვეველობაში მყოფი, ბავშვური გულუბრყვილობით შეეცადა „იღბლის“ მნიშვნელობა ამოეცნო. ამ აზრით მთლიანად შეპყრობილმა, სხვებისგან მალულად, უხმაუროდ, თავისთვის, გულში სამუდამოდ ჩაბეჭდილი განზრახვით, იღბლის ძიება დაიწყო. მას იღბალი ნსყურდა, სურდა, სურდა. როცა მისი დები საბავშვო ოთახში თოჯინების თამაშით იყვნენ გართულნი, ბიჭი დიდ სარწეველა ცხენს გადააჯდებოდა და ისეთი გაცოფებულ-გაშმაგებული მიაქანავებდა, პატარა გოგონები შენუხებულნი მიაშტერდებოდნენ ხოლმე. ცხენი გამალებით მიჭენობდა, ბიჭუნას შავი ხვეული თმა უფრიალებდა და თვალები ისე უცნაურად უელავდა, რომ დები დალაპარაკებასაც ვერ უბედავდნენ.

როცა გაშმაგებული ჭენებით გულს იჯერებდა, დაბლა ჩამოსრიალდებოდა და სარწეველა ცხენის წინ მდგარი მის ჩაქინდრულ თავს თვალგაშტერებული უმზერდა. სათამაშოს ნითელი ტურები ოდნავ დაელო, შუშის ფართოდ გახელილი თვალები სარკესავით უბრწყინავდა.

„ახლავე!“ ფრუტუნა რაშს ჩუმად უბრძანებდა ხოლმე ბიჭი. „ახლავე წამიყვანე იქ, სადაც იღბალია! ახლავე წამიყვანე!“

და ცხენს კისერზე ძია ოსკარის ნაჩუქარ მათრახს გადაუტყლაშენებდა. იცოდა, რომ მხოლოდ იძულების შემთხვევაში შეძლებდა ცხენი მის ნაყვანას იქ, სადაც იღბალი ეგულებოდა.

ცხენზე კვლავაც ამხედრდებოდა და გამალებით დააჭენებდა, იმ იმედით აღვსილი, რომ იქამდე საბოლოოდ დაიჭენებდა, იმ იმედით აღვსილი, რომ იქამდე საბოლოოდ დაიჭენებდა, იმ იმედით აღვსილი, რომ იქამდე საბოლოოდ დაიჭენებდა.

„ცხენს დაამტვრევ, პოლ!“ უთხრა ძიამ.

„სულ ასე დააჭენებს! ნეტავი თავს დაანებებდეს!“ თქვა მისმა უფროსმა დამ ჯონამ. მაგრამ ბიჭი მხოლოდ უსიტყვოდ გადმოხედავდა ხოლმე ცხენიდან. ძიამაც თავი მიანება. მასთან ვერაფერს გახდა. ბიჭი უკვე აღარ ემორჩილებოდა.

ერთ დღესაც, როცა ცხენს ასე გადარეული მიაჭენებდა, ოთახში დედა და ძია ოსკარი შემოვიდნენ. ბიჭს მათთვის ხმაც არ გაუცია.

„გამარჯობა, პატარა უოკე! რა ქენი, მოიგე?“ უთხრა ბიძამ.

„სარწეველა ცხენი აღარ შეგეფერება. უკვე პატარა რომ აღარა ხარ, შენც ხომ იცი?“ უთხრა დედამ.

მაგრამ პოლმა მხოლოდ თავისი ახლოახლოს ჩამჯდარი, დიდი, ცისფერი თვალებით გადმოხედა. ლაპარაკი სულ არავისთან შეეძლო, როცა ასე თავგამეტებით დაჭენობდა. დედა შვილს შემფოთებული შეჰყურებდა.

როგორც იქნა ბიჭმა ნავარდით გული იჯერა და ძირს ჩამოცურდა.

„აი, იქაც მივედი!“ მტკიცედ გამოაცხადა ბიჭმა. ლონიერი, გრძელი ფეხები გაეჩაჩხა და ცისფერი თვალები ისევ უედვარებდა.

„სად მიხვედი?“ ჰკითხა დედამ.

„სადაც მინდოდა“, მიუგო თვალბანთებულმა ბიჭმა.

„ყოჩად, შვილო!“ უთხრა ძია ოსკარმა, „ვიდრე მიაღწევდი, არ შეჩერდე. ცხენს რა ჰქვია?“

„არაფერიც არ ჰქვია“, თქვა ბიჭმა, „უსახელოა“.

„მერე ამას ეგუება?“ ჰკითხა ბიძამ.

„ჰო, სხვადასხვა სახელს ვუძახი. წინა კვირას სანსოვინო ერქვა“.

„სანსოვინო, ოჰო? აი, ის „ასკოტში“ რომ გაიმარჯვა? შენ საიდან იცი?“

„ბასეტს ყოველთვის ცხენების დოღზე ესაუბრება“, თქვა ჯონამ.

ბიძა დოღით პატარა დისწულის ასეთმა დაინტერესებამ აღაფრთოვანა. ბასეტი, ომის დროს მარცხენა ფეხში დაჭრილი ახალგაზრდა მეზღვე, რომელსაც ამჟამინდელი სამუშაოც ოსკარ ქრესველის წყალობით ჰქონდა, მისი ყოფილი ორდინარეცი გახლდათ — დოღისა და ცხენების დიდი მოყვარული. ამ საქმიანობით ფრიად გატაცებული, პატარა ბიჭსაც აცნობიერებდა და ინტერესს აღუძრავდა.

ოსკარ ქრესველმა ამ ყველაფრის შესახებ თვით ბასეტისგან შეიტყო.

„მასტერ პოლი მოდის და მეკითხება, ასე რომ, მეც მეტი არაფერი დამრჩენია, გარდა იმისა, ყველაფერი ვუამბო, სერ“. საშინლად სერიოზული გამომეტყველებით უთხრა ბასეტმა, იმგვარად, თითქოს რელიგიურ თემებზე ესაუბრებოდა.

„და როდისმე, ცხენზე, რომელზეც გიჟდება, ფსონს ხომ არ ჩამოსულა?“

„კარგით, ყმანვილის გაცემა არ მსურს, ის ახალგაზრდა, მშვენიერი ყმანვილია, სერ. თვითონვე რომ ჰკითხოთ? ეს მისთვის ერთგვარი სიამოვნებაა და შესაძლოა იფიქროს, რომ უულალატე და გავყვიდე, სერ, თუ რა თქმა უნდა, წინააღმდეგი არა ხართ“.

ბასეტი მღვდელივით სერიოზულად საუბრობდა.

ბიძა დისშვილისკენ გაემართა და მანქანით გაასვირნა.

„მითხარი, პოლ, ძმაც, როდისმე ცხენზე ფსონს თუ ჩასულხარ?“ ჰკითხა ბიძამ.

ბიჭი სიმპათიურ მამაკაცს მისჩერებოდა.

„რატომაც არა? მიგაჩნიათ, რომ ჩემთვის ეს არ შეიძლება?“ შეუბრუნა კითხვა ბიჭმა.

„სულაც არა, არც იფიქრო, პირიქით! რჩევა მინდოდა შენგან, თუ რომელ ცხენზე დამედო ფსონი „ლინკოლნზე““.

მანქანა სოფლის გზაზე მიჰქროდა და ჰემპშირში ძია ოსკარის სახლისკენ ჰქონდა გეზი აღებული.

„პატიოსან სიტყვას თუ მომცემთ?“ ჰკითხა დისშვილმა.

„პატიოსან სიტყვას გაძლევ, შვილო!“ მიუგო ბიძამ.

„კარგით, მაშინ დეფოდილზე“.

„დეფოდილი? მეეჭვება, შვილო. მირზაზე რას იტყვი?“

„მე მხოლოდ ის ვიცი, ვინ იქნება გამარჯვებული, მიუგო ბიჭმა.

„ეს დეფოდილია“.

„მამ დეფოდილი?“

ერთხანს შეეკონდნენ. დეფოდილი შეუმჩნეველი იყო სხვა ცხენებთან შედარებით.

„ძია!“

„რა არის, შვილო?“

„სხვას აღარავის ეტყვი, ხომ? ბასეტს ასე შეგპირდი“.

„ბასეტი ვინაა, ძმაცაც! ამასთან რა ესაქმება?“

„პარტნიორები ვართ. თავიდანვე ვიყავით პარტნიორები. ძია, პირველად მან მასესხა ის ხუთი შილინგი, რომ წავაგე. დაპირდი, პატიოსანი სიტყვა მივეცი, რომ ეს მხოლოდ ჩვენს შორის დარჩებოდა. მოგება მხოლოდ მას შემდეგ დავიწყე, რაც თქვენ ათი შილინგი მაჩუქეთ, ამიტომაც მიმჩინია, რომ იღბლიანი ხართ. სულ არავის ეტყვი, ხომ ასეა?“

ბიჭი ბიძას ახლოახლოს ჩამჯდარი, დიდი, ნათელი, ცისფერი თვალებით მიაჩერდა. ბიძა რალაცნაირად შეივრხა და უხერხულად გაეცინა.

„მართალი ხარ, შვილო! შენს რჩევას საიდუმლოდ შევინახავ. მამ დეფოდილი, ხო? რამდენს ჩამოდიხარ?“

„სულ, ოცი ფუნტის გარდა“, თქვა ბიჭმა, „ოცს მარაგში დავიტოვებ“.

ბიძას ეგონა, ხუმრობსო.

„ასე, რომ ოც ფუნტს იტოვებ, არა, პატარა მეოცნებე? მამ რამდენსლა ჩამოხვალ?“

„სამასს“, დინჯად მიუგო ბიჭმა, „მაგრამ, ჩვენს შორის, რაა, ძია ოსკარ! ხომ მაძლევთ პატიოსან სიტყვას?“

ბიძას ხარხარი აუტყდა.

„კარგი, რა თქმა უნდა, ჩვენს შორის დარჩება, პატარა ნეთ გოულ-დო“ უთხრა კაცმა სიცილი „მაგრამ სად არის შენი სამასი?“

„ბასეტს აბარია. ჩვენ ხომ პარტნიორები ვართ“.

„გასაგებია. და ბასეტი რამდენს დებს დეფოდოლზე?“

„ვფიქრობ, ჩემსავით ბევრს არა. შეიძლება ასორმოცდაათს ჩამოვიდეს“.

„რაა, პენსები?“ გაეცინა ბიძას.

„ფუნტები“, თქვა ბავშვმა, ბიძას გაოცებულმა შეხედა, „ბასეტს ჩემგან განსხვავებით უფრო დიდი დანაზოგი გააჩნია“.

გაოცებისა და მხიარულებისგან ძია ოსკარი ერთხანს ჩუმად იდგა. გადაწყვიტა, არავისთვის არაფერი ეთქვა და დისწულთან ერთად ლინკოლნის დოლზე წასულიყო.

„ახლა, შვილო, „ თქვა, მან. „ოცს ვდებ მირზასთვის და ხუთსაც შენს საყვარელ ცხენზე. რომელს აირჩევ?“

„დეფოდოლს, ძია“.

„არა, ოღონდ დეფოდოლი არა!“

„ეგ ხუთი ფუნტი ჩემი საკუთარი რომ იყოს, მასზე დავდებდი“, თქვა ბავშვმა.

„კარგი! კარგი! შენ როგორც გინდა, ისე იყოს! ხუთი ჩემთვის და ხუთიც შენთვის დეფოდოლზე.“

ბავშვი დოლზე მანამდე არასოდეს ყოფილა და თვალები ცისფრად უგიზგიზებდა. კრიჭა შეკვროდა და დოლს თვალს ისე ადევნებდა. მათ წინ მჯდარი ვილაც ფრანგი ფსონს ლანსელოტზე ჩავიდა. აღელვებული ხელებს მაღლა-დაბლა იქნევდა და ფრანგული აქცენტით გაჰყვიროდა: „ლანსელოტ! ლანსელოტ!“

დეფოდოლი პირველი გამოჩნდა, ლანსელოტი — მეორე, მირზა მესამე იყო. ბავშვი სულმთლად აჭარბლებულიყო და თვალები უბრწყინავდა, თუმცა გარეგნულად საოცრად მშვიდად ეჭირა თავი.

ბიძამ ოთხი ხუთფუნტიანი მოუტანა, სათითაოდ ყველასთვის.

„რა ვუყო ახლა ამას?“ დაიყვირა კაცმა და თან ბიჭს ფულს თვალწინ უფრიალებდა.

„ვფიქრობ, ბასეტს უნდა მოველაპარაკოთ“, მიუგო ბიჭმა, „აღბათ, ათასხუთასი მაქვს უკვე; და ოციც მარაგში; და კიდევ ეს ერთი ოციც“.

ბიძა ერთხანს მდუმარედ შეჰყურებდა.

„მომისმინე, შვილო!“ უთხრა მან, „რა თქმა უნდა, ხუმრობ ბასეტზეც და იმ ათას ხუთას ფუნტზეც, ხომ ასეა?“

„დიახ, ასეა. მაგრამ ჩვენს შორის, რაა, ძია. პატიოსანი სიტყვას ხომ მაძლევთ?“

„პატიოსანი სიტყვა რა თქმა უნდა, შვილო! მაგრამ ბასეტს მაინც უნდა დაველაპარაკო“...

„თუ გსურთ, რომ ბასეტისა და ჩემი პარტნიორი გახდეთ, მაშინ ვიყოთ სამივე ერთმანეთის პარტნიორები. მხოლოდ ერთ რამეს უნდა დამპირდეთ, პატიოსანი სიტყვა უნდა მომცეთ, ძია, რომ მხოლოდ ჩვენ სამს გვეცოდინება და სხვას არავის ეტყვიან. ბასეტს და მე გაგვიმართლა იღბალმა და თქვენც ბედი უნდა გქონდეთ, რადგან ის ათი შილინგი გახდა ჩემი წარმატების საწინდარი“.

შუადღის პირზე ძია ოსკარმა ბასეტი და პოლი რიჩმონდის პარკში წაიყვანა და აქ ისაუბრეს.

„მოკლედ, ასეა, სერ“, თქვა ბასეტმა, „მასტერ პოლს დოლზე ყველაფერი აინტერესებდა, ნებისმიერი წვრილმანის მოყოლას მთხოვდა, როგორც იცით, სერ. და ასევე ძალიან უნდოდა, ჩემი მოგება-წაგების შესახებაც სცოდნოდა. დაახლოებით წელიწადი იქნება, რაც ხუთ შილინგს ალისფერ განთიადზე⁴ ჩავედი მისთვის და წავაგეთ. მერე იღბალმა პირი ისევ ჩვენსკენ იბრუნა, იმ ათი შილინგის წყალობით, თქვენ რომ მიეცით, და საინელისზე⁵ დავდეთ ფსონი. ამის შემდეგ მშვენივრადაც ავეწყეთ, ისე გვიმართლებდა. რას იტყვიან, ხომ ასეა, მასტერ პოლ?“

„ყველაფერი კარგად მიდის მაშინ, როცა გვჯერა“, თქვა პოლმა, „მაშინ ვმარცხდებით, როცა ბოლომდე არ ვართ დარწმუნებული“.

„ოოჰ, მაშინ უკვე სიფრთხილე გვმართებს“, მიუგო ბასეტმა.

„მაგრამ როცა დარწმუნებული ხარ?“ გაუღიმა ძია ოსკარმა.

„ეს ხომ მასტერ პოლია, სერ“, იდუმალი, რელიგიური ხმით წარმოსთქვა ბასეტმა, „მას თითქოს ზეციდან ჩამოსძახიან. დეფოდოლისა არ იყოს დღეს, ლინკოლნზე რომ აღარაფერი ვთქვათ. სავსებით დარწმუნებული იყო, რომ ასე მოხდებოდა“.



მხატვარი ბადრი გავნიძე

„ჩახვედი რამეს დეფოდოლზე?“ შეეკითხა ოსკარ ქრესველი.

„დიახ, სერ, ძალიან მცირედი“.

„და ჩემმა დისწულმა?“

ბასეტი ჯიუტად დუმდა, პოლს შეჰყურებდა.

„მე ათას ორასი, ასეა, არა, ბასეტ? ძიას ვუთხარი, სამასს ვდებ-მეთქი“.

„მართალია“, თავის დაქნევით დაუდასტურა ბასეტმა.

„მაგრამ ფული რომ არ ჩანს? სად არის?“ ჰკითხა ბიძამ.

„ჩემთან ვინახავ, ჩაკეტილში, სერ. მასტერ პოლს შეუძლია ნებისმიერ დროს მთხოვოს“.

„რამდენი? ათას ხუთასი ფუნტი?“

„და ოცი! და ორმოციც, დღეს მოგებულ ოცთან ერთად“.

„გასაოცარია!“ თქვა ბიძამ.

„თუ მასტერ პოლი პარტნიორობას შემოგთავაზებთ, თქვენი რომ ვიყო, დავთანხმდებოდი. რჩევისთვის მომიტევეთ.“

ოსკარ ქრესველი ჩაფიქრდა.

„ფულის ნახვა მსურს“, თქვა მან.

კვლავ სახლში დაბრუნდნენ და ბასეტმა შინიდან ათას ხუთასი ფუნტის ბანკნოტები გამოიტანა.

ოცი ფუნტი ჯო გლისთან, დოლის კომისიის ანგარიშზე ჩაერიცხა.

„ხედავთ, ძია? რასაც რწმენით ვაკეთებ, ყველაფერი შესანიშნავად გამომდის! მერე კიდევ უფრო გავძლიერდებით კიდევ, რადგან ვიმსახურებთ. ასეა, არა, ბასეტ?“

„რა თქმა უნდა, მასტერ პოლ“.

„და როდის ხარ რწმენით აღვსილი?“ სიცილით ჰკითხა ბიძამ.

„ოჰ, ზოგჯერ სრულებით დარწმუნებული ვარ, როგორც ეს დეფოდოლის შემთხვევაში მოხდა“, თქვა ბიჭმა, „და ზოგჯერ იდეა მეზადება და ზოგჯერ აზრიც არ მომდის თავში, ასეა, ხომ ბასეტ? ასეთ დროს ვფრთხილობთ ხოლმე, რადგან ძირითადად წაგებაში ვართ.“

„ასეა, ასე! და რა გაიძულებს ხოლმე ღრმად იყო დარწმუნებული, აი, ისე, როგორც ეს დეფოდოლზე დაგემართა, შვილიკო?“

„ოჰ, კარგი, რა ვიცი?“ უხერხულად თქვა ბიჭმა, „დარწმუნებული ვარ და მორჩა, ძია; სულ ეს არის“.

„თითქოს ზეციდან ჩაესმის, სერ“, ისევ გაიმეორა ბასეტმა. „მეც ასე ვფიქრობ! ასე უნდა იყოს!“ თქვა ბიჭმა.

მაგრამ კაცი პარტნიორობაზე მაინც დათანხმდა და როცა მომდევნო დღის, — ლიჯერის გამართვის დრო მოახლოვდა, პოლი „დარწმუნებული“ იყო, რომ მხიარული ნაპერწკალი გაიმარჯვებდა, არავისგან არაფრით გამორჩეული ბედაური. ბიჭმა ათასის დადება დაიფინა, ბასეტი ხუთასს ჩავიდა და ოსკარ ქრესველი — ორასს. მხიარული ნაპერწკალი მართლაც პირველი მოვიდა და მოგებაში ათასი გადაუხადეს. პოლმა ათი ათასი გააკეთა.

„ხომ ხედავთ?“, თქვა მან, „სავსებით ვიყავი მასში დარწმუნებული და გამიმართლა.“

ოსკარ ქრესველსაც ორი ათასიანი მოგება ხვდა წილად.

„მომისმინე, შვილო“, უთხრა კაცმა, „ასეთი რამეები ნერვებს მიშლის“.

„რას ამბობთ, ძია? შესაძლოა ამის მერე ასე დარწმუნებული აღარც ვიყო“.

„მაგრამ მაგ ფულით რას იზამ?“ ჰკითხა ბიჭმა.

„რა თქმა უნდა“, თქვა ბიჭმა, „ეს ყველაფერი დედისთვის დავინყე. მითხრა, უიღბლო ვარო, რადგან მამაა უიღბლო. ასე რომ, ვიფიქრე, თუ იღბალი მაქვს, ჩურჩულიც შეწყდება-მეთქი“.

„რა შეწყდება?“

„ჩვენი სახლი. მეზობლებს ჩვენი სახლი ამ ჩურჩულის გამო“.

„რას ჩურჩულებს?“

„რატომ, რატომ?“ მოუსვენრად თქვა ბიჭმა, „რატომ? არ ვიცი, მაგრამ ფული არასოდეს გვეყოფნის, თქვენც ხომ იცით, ძია“.

„ვიცი, შვილო, ვიცი“.

„ისიც ხომ იცით, დედას რომ ანგარიშს ანგარიშზე უგზავნიან და უგზავნიან. ხომ იცით, ძია?“

„დიახ, სამწუხაროდ, ასეა“, თქვა ბიჭმა.

„და მერე სახლში ვილაც ჩურჩულს იწყებს, თითქოს ზურგს უკან დაგვინიან ადამიანები. ეს ყველაფერი საშინელებაა! ფიქრობდი, თუ იღბალი მაქვს“.

„მოჩი, რა ამაზე ლაპარაკს“, შეანყვეტინა ბიჭმა.

ბიჭს დიდი ცისფერი თვალები ძველებურად აღარ უბრწყინავდა, პირიქით, სიცივე ჩასდგომოდა და ბიჭს ისე მისჩერებოდა, და ამის მერე სიტყვაც აღარ დასცდენია.

„კარგი, მერე?“ თქვა ბიჭმა, „რას ვაპირებთ?“.

„არ მინდა, დედამ იცოდეს, რომ გამიმართლა“, თქვა ბიჭმა.

„რატომ, შვილო?“

„ამიკრძალავს“.

„არ მგონია“.

„ოჰჰ“, — და ბიჭი უცნაურად დაიკრუნჩხა, „არ მინდა, იცოდეს, რაა, ძია“.

„კარგი, შვილო! ისე მოვახერხებთ, რომ ვერ მიხვდეს“.

ყველაფერი ძალიან იოლად მოგვარდა. პოლმა, მათი რჩევით, ხუთი ათასი ბიჭს გადასცა, რომელმაც ოჯახის ადვოკატთან ერთად ფული ანგარიშზე შეიტანა. ვეტილმა კი პოლის დედას აცნობა, რომ მათმა ნათესავმა ქალს ხუთი ათასი ფუნტი უფექტაშა და დედა ხუთ წელიწადს საკუთარ დაბადების დღეზე ყოველ წელს ათას ფუნტს მიიღებდა ხოლმე.

„ასე რომ, ხუთ წელიწადს საჩუქრად გადაეცემა ათასი ფუნტი“, თქვა ძია ოსკარმა, „იმედია აღარ გაფლანგავს და ვალეხტაც აღარ დაიდებს“.

პოლის დედა ნოემბერში იყო დაბადებული. სახლში ჩურჩული ისე საშინლად ისმოდა, როგორც არასდროს. მიუხედავად წარმატებებისა, პოლს ამის ატანა არანაირად არ შეეძლო. ბიჭი დედის რეაქციას მოუთმენლად ელოდა, როცა დაბადების დღეზე ათასი ფუნტის შესახებ ამცნობდნენ.

თუ ოჯახში სტუმრიანობა არ იყო, პოლი ძიძის დაუკითხავად, მშობლებთან ერთად მიუჯდებოდა ხოლმე მაგიდას. დედა ქალაქში ლამის ყოველ დღე დაიარებოდა. ქსოვილებისა და

ბენვის ქურქების ესკიზთა შექმნის ნიჭი აღმოაჩნდა და მალე-მალე თავის მეგობრის, — წარმატებულ მოდელიორთა უფროსი მხატვრის, — სტუდიაში მუშაობდა. დედა ბენველითა და აბრემუმის ბრჭყვიალა კაბებით შემოსილ ქალბატონთა ფიგურებს ხატავდა და საგაზეთო რეკლამებში ათავსებდა. მისი მეგობარი ახალგაზრდა მხატვარი წელიწადში ათასობით ფუნტებს შოულობდა, მაგრამ პოლის დედას მხოლოდ რამდენიმე ასი ფუნტი ხვდებოდა წილად და მაინც უკმაყოფილო იყო. რალაცაში პირველობა ძალიან სურდა, მაგრამ არანაირად არ უმართლებდა, თვით სარეკლამო ჩანახატებშიც კი.

ქალი თავის დაბადების დღის დილას სასაუზმოდ ქვემოთ ჩავიდა და მაგიდასთან დაჯდა. პოლი გაფაციცებით მიაჩერდა, როცა დედა დილის ფოსტის გადათვალიერებას შეუდგა. ბიჭი ადვოკატის ბარათებს იოლად სცნობდა. ნაკითხვისთანავე ქალს სახე დაეძაბა და უფრო უემოციო გაუხდა. მერე ცივი, ჯიუტი გამომეტყველება მიიღო. ქალმა წერილი სხვა დასტასთან შეჩურთა, დამალა და სიტყვაც არ დასცდენია.

„ფოსტაში შენთვის სასიამოვნო ვერაფერი იპოვე, დედა, დაბადების დღეზე?“ თქვა პოლმა.

„მნიშვნელოვანი არაფერი“, ცივი და არაფრისმთქმელი ხმით გაეპასუხა ქალი.

ქალაქისკენაც ისე გასნია, კრინტიც არ დაუძრავს. მაგრამ შუადღისას ძია ოსკარი გამოჩნდა, რომელმაც თქვა, რომ პოლის დედა ადვოკატს დიდხანს ესაუბრა და სთხოვა, ის ხუთი ათასი მთლიანად მისთვის გადაეცა, რადგან ვალებში იხრჩობოდა.

„რა ვქნათ, ძია?“ უთხრა ბიჭმა.

„შენთვის მომინდია, შვილო. როგორც გინდა“.

„ოჰ, მოდი, მივცეთ მაშინ! მერე უფრო მეტს ვიშოვით“, თქვა ბიჭმა.

„დღევანდელი კვერცხი გერჩივნოს ხვალინდელ ქათამსაო, ბიჭიკო!“ — მიუგო ძია ოსკარმა.

„მაგრამ უკვე ვიცი, გრანდ ნეიშენალსა ან ლინკოლნშიარში ვინც გაიმარჯვებს, ან კიდევ დერბში. ერთ-ერთში მაინც ღრმად ვარ დარწმუნებული“, თქვა პოლმა.

ასე რომ, ძია ოსკარმა ხელშეკრულებას ხელი მოაწერა და პოლის დედამ ხუთი ათასი მიიღო. მერე ძალიან უცნაური რამ მოხდა. სახლში მოარული ხმები მოულოდნელად სულ მთლად გადაირივნენ, გაზაფხულის საღამოს ერთხმად შეწყობილი ბაყყების ყიყინით ისმოდა ხმები. სახლი ახალი ავეჯით გაანყვეს და პოლსაც კერძო პედაგოგი აუყვანეს. ბიჭი მომავალ შემოდგომას იტონის იმ სკოლაში აპირებდა შესვლას, სადაც მამამისსაც ჰქონდა განათლება მიღებული. ზამთრობით შინ ყვავილები მუდამ იყო და ისეთი ფუფუნება ჰყვავოდა, რაც პოლის დედისთვის უცხო სულაც არ ყოფილა. და მაინც, მიმოზიხსა და გაფოთილი ნუშის ტოტებს მიღმა და ტახტის ნაირფერი ბალიშების ქვეშაც ისმოდა შინ მოარული მთრთოლვარე და მკვიანი ექსტაზით აღვსილი ხმები: „მეტი ფულია საჭირო! ოჰ-ოჰ-ოჰ, მეტი ფულია საჭირო. ოჰ, ახლა, ახლა, ახლა! ახლა — მეტი ფულია საჭირო — უფრო მეტი, ვიდრე არასდროს! უფრო მეტი, ვიდრე ოდესმე!“

პოლს ეს აძრწუნებდა. კერძო მასწავლებლებთან ლათინურისა და ბერძნულის სწავლას თავი მიანება. მაგრამ მთელ დროს ბასეტთან ატარებდა. გრანდ ნეიშენალმა ისე ჩაიარა, „დარწმუნებული“ არ ყოფილა და ასე ფუნტიც წააგო. ზაფხულიც კარზე მომდგარიყო და ლინკოლნზე აბოდებდა. მაგრამ ლინკოლნისთვისაც არ გახლდათ „დარწმუნებული“ და ორმოცდაათი ფუნტი აქაც წააგო. უცნაური და ველური გამოხედვა გაუხდა, თითქოს შინაგანად რალაც უნდა აფეთქებულიყო.

„სულაც დაანებე, შვილო, თავი! ამდენ წუხილად არც ღირს!“ დაჟინებით სთხოვდა ძია ოსკარი. მაგრამ ბიჭი ყურსაც არ იბერტყავდა.

„დერბისთვის მაინც უნდა გამოვიცნო! დერბისთვის უნდა გამოვიცნო!“ იმეორებდა ბიჭი, დიდი ცისფერი თვალები შემლიოვით უგზავნიდა.

დედას შვილის ამგვარი მდგომარეობა არ გამოჰპარვია. „ზღვაზე წასვლა გირჩევნია ლოდინის მაგივრად, არ გინდა, ზღვაზე ახლავე გაგიშვა? მგონია, უკეთესია“, თქვა ქალმა. შვილს შენუხებული მეჭყურებდა, გული უცნაურად დამძიმებოდა.

„დერბიმდე ვერანაირად წავალ, დედა!“ თქვა მან, „არ შემიძლია!“

„რატომ არა?“ ქალს ხმა გაუშკაცრდებოდა ხოლმე, როცა ეწინააღმდეგებოდნენ.

„რატომ არა? შეგიძლია ზღვიდან დერბისთვის ჩამოხვიდე ძია ოსკართან ერთად, თუ ასე ძალიან გინდა. აქ ფუჭად უნდა ელოდო. ამას გარდა, მიმაჩნია, რომ დოღებს ზედმეტად განიცდი და ნერვიულობ. ცუდის ნიშანია. ჩემი ოჯახის რამდენიმე ნევრი აზარტული თამაშებით ირთობდა თავს, ვიდრე გაიზრდები, ვერ მიხვდები თუ რამდენი ზარალი და უსიამოვნება მოგიტანეს. დიახ, ზიანი მოგვაყენეს. ბასეტსაც დავითხოვ და ძია ოსკარსაც ვთხოვ, რომ შენთან ცხენების შეჯიბრზე სიტყვაც აღარ დაძრას, ვიდრე არ დამპირდები, რომ ასე აღარ მოიტყვევი. ნადი ზღვაზე და დაივინყე. ნერვებს ნუ მიშლი!“

„ისე მოვიტყევი, როგორც გინდა, დედა, თუ ზღვაზე დერბიმდე არ გამაგდებ“, თქვა ბიჭმა.

„გამაგდებ? ჩვენი სახლიდან?“
„დიახ“, თქვა ბიჭმა, ქალს მიმტერებულმა.

„რა უცნაური ბავშვი ხარ, ასე უცებ ამ სახლზე რამ გადაგრია? არც ვიცოდი, თუ ასე გიყვარდა.“

ბიჭი ქალს უსიტყვოდ მიაჩერდა. მას საიდუმლოს საიდუმლო ჰქონდა, რაღაც ისეთი, რასაც ვერც ბასეტს და არც ძია ოსკარს ვერ გაანდობდა.

მაგრამ დედამ ცოტა ყოყმანისა და გაბრაზების მერე თქვა:

„ძალიანაც კარგი, მაშინ ! დერბიმდე ნუ წახვალ, თუ ასე გინდა. მაგრამ უნდა დამპირდე, რომ ნერვებს არ აიშლი. დამპირდი, რომ ცხენების დოღსა და მოვლენებზე, როგორც შენ ეძახი, ამდენს აღარ იფიქრებ!“

„ოჰ, არა“, სასხვათაშორისოდ თქვა ბიჭმა. „ამდენს აღარ ვიფიქრებ, დედა. არ იღარდო. შენი რომ ვიყო, სულაც არ ვიდარდები“.

„ჩემი რომ იყო და შენი რომ ვიყო“, თქვა დედამ, „საინტერესოა, რა უნდა ვქნათ?“

„მაგრამ ის ხომ მაინც იცი, რომ დარდი არაფერში გჭირდება, დედა, ხომ ასეა?“ გაიმეორა ბიჭმა.

„საშინლად გამიხარდებოდა, ეს რომ ვიცოდე“, დალღობილად თქვა დედამ.

„ოჰ, კარგი, შეგიძლია, იცი. ვიგულისხმე, რომ უნდა იცოდე, ნერვიულობა რომ არაფერში გარგებს“, დაიჟინა ბავშვმა. „მართლაც! მაშინ ვეცდები“, თქვა ქალმა.

პოლის საიდუმლოს საიდუმლო მისი ხის ცხენი იყო, რომელსაც სახელი არ გააჩნდა. მას შემდეგ, რაც საბავშვო ოთახში აღარ აძინებდნენ და ძიძის მეთვალყურეობიდანაც გათავისუფლდა, ბიჭმა სათამაშო საკუთარ საძინებელში, სახლის სულ ბოლო სართულზე აიტანა.

„სარწვევლა ცხენისთვის უკვე აშკარად დიდი ხარ!“ აპროტესტებდა დედა.

„კარგი, იცი რაა, დედა? ვიდრე ნამდვილი ცხენი მეყოლება, მინდა, რომ რაღაც მაინც მყავდეს“, იყო მისი უჩვეულო პასუხი. „კომპანიონობას თუ მაინც გინევს“, გაეცინა ქალს.

„ოჰ, დიახ! და თანაც ძალიან კარგადაც, ყოველთვის ჩემს გვერდითაა, როცა მსურს“, თქვა პოლმა. ასე რომ, უკვე საკმაოდ გაცვეთილი ცხენი თავმომწონედ იდგა ბიჭის საძინებელში.

დერბი კარზე იყო მომდგარი და ბიჭიც სულ უფრო და უფრო იძაბებოდა. არაფერი ესმოდა, როცა ელაპარაკებოდნენ, ძალიან ღელავდა და თვალბრუნებში საზარელი გამოხედვა ედგა. დედა უცნაური სიმძიმის შეტევებს გრძნობდა შვილის მიმართ. ხანდახან, ასე ნახევარი საათით, ქალს მოუსვენრობა ეუფლებოდა, რომელიც თითქმის საშინელ ტკივილად გადა-

ექცეოდა ხოლმე. ასეთ დროს შვილთან გავარდნის სურვილი ჰკლავდა, რათა საკუთარი თვალთ ენახა, ხომ არაფერი სჭირდა.

დერბიმდე ორი ღამით ადრე, ქალი ქალაქში დიდ წვეულებზე დაპატიჟეს. მოუსვენრობის შემოტევები აქაც დაეწყო სიყრმის შვილის მიმართ, გულში ტკივილს გრძნობდა, თითქოს რაღაც უჭერდა და ლაპარაკი არ შეეძლო. ცდილობდა, დაუძლეველ შეგრძნებას გამკლავებოდა, რადგან ჯანსაღი აზრის გამარჯვებისა ღრმად სწამდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მის ძალებს აღემატებოდა. ცეკვა მიატოვა და სოფელში დასარეკად ქვევით ჩავიდა. ბავშვების აღმზრდელი შუალამის ზარმა უკიდურესად გააოცა და შეაშინა კიდევც.

„ბავშვებთან ხომ მშვიდობაა, მის ველმოთ?“
„ოჰ, დიახ, ყველაფერი მშვენიერადაა“.

„მასტერ პოლი? კარგად არის?“
„როცა დასაძინებლად წვებოდა, გადასარეკად იყო. თუ გნებავთ, ავირბენ და დავხედავ?“

„არა,“ უხალისოდ თქვა პოლის დედამ, „არა! ნუ შენუხდები. საკმარისია. ნურც დამელოდებით, დაიძინეთ. შინ ძალიან მალე დავბრუნდებით“.

ქალს შვილისთვის სიმყუდროვის დარღვევა არ სურდა. „ძალიან კარგი“, თქვა აღმზრდელმა.

ასე პირველი საათი იქნებოდა, როცა პოლის მშობლები სახლში მივიდნენ. შინ სიმშვიდე სუფევდა. პოლის დედა თავის ოთახში შევიდა და თეთრი მოსასხამი გაიძრო. ქალმა მოსამსახურე წინასწარ გააფრთხილა, რომ არ დალოდებოდა. გაიგონა, ქვემოთ ქმარმა ვისიკი და სოდა როგორ გააზავა.

და შემდეგ, გულში უცნაური მოუსვენრობით შეპყრობილი, ზემოთ, ვაჟის ოთახში აიპარა. დერეფანს უხმაუროდ გაუყვა. რაღაც სუსტი ხმა მოესმა. რა უნდა ყოფილიყო?

ოთახის კართან შეეკონდა, მიაყურადა. რაღაც უცნაური, მძიმე და ჩუმი ხმა ისმოდა. გული გაუჩერდა. უხმო ხმაური იყო, ძლიერი მოძრაობისგან გამომწვეული. რაღაც უზარმაზარი, გააფრთხებული, იდუმალი რხევა. რა იყო? ღმერთო, რა უნდა ყოფილიყო? უნდა შეეტყო. იგრძნო, რომ ნაცნობი ხმაური იყო. მიხვდა, რაც იყო.

თუმცა ბოლომდე მაინც ვერ გაერკვა. ვერ გაეგო, რა ხდებოდა. და ხმაური ცოფიანივით კვლავ გრძელდებოდა და გრძელდებოდა.

მოუთმენლობისა და შიშისგან გახევებულმა ქალმა კარის სახელური ნაზად დაბლა დასწია.

ოთახში ბნელოდა. ფანჯარასთან ახლოს წინ და უკან რაღაც ქანაობდა. ქალი შიშით და გაოცებით უმზერდა.

მერე უცებ სინათლე ანთო, და მწვანე საღამურში ჩაცმული შვილი დაინახა, ცხენზე გადამჯდარიყო და გაეფიქრებული მიაქანავდა. თვალისმოჭერელმა სინათლემ ცხენზე გამაღლებით მოჭენავე ბიჭიც გამოაჩინა და კარებში მდგარი ქერათმინანი, ღია მწვანე გამჭვირვალე კაბაში გამოწყობილი დედაც.

„პოლ!“ დაუყვირა ქალმა, „რას სჩადიხარ?“
„ეს მალაბარია!“ ძლიერი უცნაური ხმით იკივლა ბიჭმა, „ეს მალაბარია!“

ბიჭი მხოლოდ წამით შეეკონდა, დედას ველური, უაზრო მზერა ესროლა. და მაშინვე იატაკზე ხმაურით დაენარცხა, და ტანჯვისგან გამოფხიზლებულმა ქალმაც წამსვე გააცნობიერა, რომ ძირს მისი საკუთარი შვილი ედგო, მისკენ გაექანა და ხელში აიყვანა.

მაგრამ ბიჭს გონება დაკარგვოდა და დიდხანს ასე იწვა საწოლში ტვინის ანთებისგან გონწართმეული. ბავშვი გაუთავებლად ლაპარაკობდა და შფოთავდა, წამოდგომას ცდილობდა და დედაც საწოლთან ეჯდა, ქვასავით მტკიცე და უძრავი.

„მალაბარი! ეს მალაბარია! ბასეტ, ბასეტ, ვიცი! მალაბარია“.

ასე გაჰყვიროდა ბიჭი და წამოდგომას ცდილობდა და კვლავ იმ ცხენის ტყენების სურვილი ჰკლავდა, რომლითაც შთაგონებულიყო.

„მალაბარი რას უნდა ნიშნავდეს?“ იკითხა გულგაციანულმა დედამ.

„არ ვიცი“, მიუგო გაქვავებულმა მამამ.

„მალაბარი რა არის?“ ჰკითხა თავის ძმა ოსკარს ქალმა.

„დერბში მონანილე ერთ-ერთი ცხენია“, იყო პასუხი.

და საკუთარი სურვილის მიუხედავად, ოსკარ ქრესველმა ბასეტს ყველაფერი უამბო და მალაბარზე ათასს ფუნტს მანც ჩაივინა: თითოთვის თოხნემტს ფსონზე.

ავადმყოფობის მესამე დღე ყველაზე კრიტიკული იყო. ცვლილებებს ელოდნენ. გრძელკუთხედიანი ბიჭუნა ბალიშზე ისევ მოუსვენრად შფოთავდა. არც ეძინა და გონებაზეც ვერ მოდიოდა. თვალები ცისფერ ქვეშს მიუგავდა. დედა გვერდით ეჯდა და გრძნობდა, რომ გულის მაგივრად ქვა ედო მკერდში.

სალამოს ოსკარ ქრესველი აღარ მოსულა, სამაგიეროდ, ბასეტმა წერილი გამოგზავნა, რომელშიც სულ ერთი წუთით ითხოვდა ბავშვის ნახვის უფლებას, მხოლოდ ერთი წუთით. სხვის საქმეში ასე დაუკითხავად ჩარევამ პოლის დედა გააცეცხლა, მაგრამ ცოტა ხნის მერე დათანხმდა. ბიჭი კვლავ უგონოდ იწვა. შესაძლოა ბასეტს გონებაზე მოეყვანა.

ჩია ტანის ახალგაზრდა მეზაღე მოკლე ნაბლისფერი უღვაშითა და მკვირცხლი თაფლისფერი თვალებით, ოთახში ფეხის წვერებზე შემოიპარა. თავისკენ ხელი ისე წაივლო, იფიქრებდით, არარსებული კეპის მოხდას აპირებსო, და პოლის დედას თავი დაუკრა. სანოლთან ფეხაკრეფით მიიპარა და ციმციმა, მომცრო თვალებით მოუსვენრად მშფოთვარე, მომაკვდავ ბავშვს დახედა.

„მასტერ პოლ!“ დაიჩურჩულა კაცმა, „მასტერ პოლ! მალაბარი პირველი მოვიდა, გავიმარჯვეთ, სუფთა მოგებაა. ისე მოვიქეცი, როგორც დამარიგეთ. თქვენ სამოცდაათი ათასზე მეტი მოგება გხვდათ ნილად, ახლა მთლიანად უკვე ოთხმოც ათასზე მეტიც გაგაჩნიათ. მალაბარმა გაიმარჯვა, მასტერ პოლ“.

„მალაბარი! მალაბარი! აკი გეუბნებოდი, დედა? ხომ ვამბობდი, მალაბარი-მეთქი? როგორ გგონია, ილბლიანი ვარ, ხომ, დედა? ვიცოდი, რომ მალაბარი, ხომ ასეა? ოთხმოც ათას ფუნტზე მეტი! ილბალიც ამას ჰქვია, არა დედა? ოთხმოც ათას ფუნტზე უფრო მეტი! ვიცოდი, ხომ ასეა? ვიცოდი! მალაბარი პირველი მოვიდა. ჩემი ცხენით თუ კიდევ იმდენი ვიჭენავე, ვიდრე არ დავრწმუნდები, მერე შენ გეტყვი, ბასეტ, და რამდენსაც გინდა, იმდენს ჩახვალ ფსონზე. სულ დადე რაც გაგაჩნდა, ბასეტ?“

„ათასი, მასტერ პოლ“.

„შენთვის არასოდეს მითქვამს, დედა, თუ ცხენის ჭენებით იქამდე მივალნევი, აბსოლუტურად დარწმუნებული ვიქნებოდი, ოჰ, აბსოლუტურად! დედა, გითხარი უკვე, რომ ილბლიანი ვარ?“

„არა, არასოდეს გითქვამს“, მიუგო დედამ.

მაგრამ ბიჭი იმ ღამით გარდაიცვალა.

ბავშვი უკვე მკვდარი იყო, როცა დედას საკუთარი ძმის ხმა ჩაესმა: „ღმერთო ჩემო, ჰესტერ, ბედნიერი ხარ, რადგან ოთხმოცი ათასი ფუნტის პატრონი ხარ, და უბედურიც ჩვენი სანყალი პატარა ბიჭის გამო. მაგრამ საცოდავი ჩვენი ბიჭი, ჩვენი ბიჭუნა, შეიძლება ასეც ჯობდა მისთვის: იმ ცხოვრებას გასცლოდა, გამარჯვებულის გამოსაცნობად სათამაშო ცხენით ჭენებას რომ აიძულებს“.

**ინგლისურიდან თარგმნა
მანია ზოლავიძე**

1. დოლის სახელწოდება;
2. დოლის სახელწოდება;
3. ნათანელ გოული (1857-1919)- ინგლისელი ჟურნალისტი და მწერალი, ავტორია დოლის თემებზე შექმნილი მრავალი რომანისა;
4. ცხენის სახელი;
5. ცხენის სახელი.

გაბრიელე დ'ანუნციო

ფიზიკური საღამო

საგრილობლად გეყოს ჩემი სიტყვები საღამოჟამს, ვით ბჟოლის ფოთლების შარიშური უგრძილებს ხელებს კაცს, მდუმარედ, აუჩქარებლად რომ კრეფს თუთას და გვიანობამდე შემორჩება საკუთარ საქმეს ხეზე მიყრდნობილ მაღალ კიბეზე მდგომი, რომელსაც მწუხრის ფერები ედება თანდათან; ბჟოლას კი ტანი და ნაყოფდაკრეფილი ტოტები

ვერცხლისფრად ეფერება,

როს ლაჟვარდ ზღურბლთან ახლოა მთვარე და ცის კამარაზე ამოსვლის წინ ერისიონზე გადაშლის რიდეს; – მთვარის რიდეში ჩვენს ოცნებას დაუვანია! – მაშინ მიდამო გრძნობს, იძირება მნათის კრთომით განათებულ ღამეულ სუსხში, გრძნობს, უხილავად ნანატრ მყუდროებას ასმევს მას მთვარე.

დიდება შენდა, საღამოო! იდიდოს სადაფისფერი შენი სახე და შენი სველი, დიდრონი თვალები, რომლებშიც ცის წყალი არს დადუმებული!

დაე, ნექტარად გესალბუნოს საღამოჟამს ჩემი სიტყვები, ვით თბილი, ჩქარი და მოშხაპუნე ისხარი – რომლითაც ცრემლიანი დაგვემშვიდობა ჩვენ გაზაფხული – ახლახან ტკბილად ესალბუნა ბჟოლის თუ თელის

ხეებსა და ვაზებს,

ფიჭვებს – რომელთა კვირტებიც, ნორჩნი, ვარდისფერნი, დროდადრო ხანმოკლე სიოსთან თამაშობენ, – თავებებს – უკვე მწვანე ფერი რომ აღარ დაჰკრავთ, მაგრამ სიმწიფით ჯერაც რომ არ ჩაოქროსფრებულან, – თივას – ტკივილით რომ იგრძნო ცელისგან მოცელვა და ახლა ხუნდება –

და ზეთის-ხეებს, ძმებ ზეთის-ხეებს, ფერნამკრთალსა და მომღიმარს რომ ხდიან სერებს სისპეტაკით.

დიდება შენდა, საღამოო! იდიდოს შენი საამური შესამოსელნი და ცისკიდური, გარს სარტყელივით რომ მოგვლებია, ვით სურნელოვან თივისა ძნას – ტირიფის წნელი!

მე გეტყვი, ტრფობის რომელ სამეფოთაქენ გვიხმობს ეს მდინარე, რომლის მარადი სათავეებიც დუდუნით დიან საუკუნოვან ვარჯთა ჩრდილქვეშ მთათა წმინდა მდუმარებაში;

გეტყვი, მონმენდილ ცის დასალიერზე უარით დახურულ ბაგეთა დარად დაგრაგნილნი რა საიდუმლოს შენახვის მიზნით ჩანან სერები, ან ამ საიდუმლოს გამხელის სურვილი თუ რად ანიჭებს მათ იმგვარ მშვენებას, რომელსაც მოკვდავის გულისთქმა ვერ სწვდება, და მათ შემყურეთ მარად ახალ ნუგემს რად გვცემენ მდუმარე სერები,

იმდენად, რომ გვწამს, ყოველ შებინდებისას სულს ძალუძს სულ უფრო და უფრო ძლიერი სიყვარულით ეტრფოდეს ამ მთებს.

დიდება შენდა, საღამოო! იდიდოს შენი უბინო გარდასახვა ღამედ და ის წუთი, რომელიც შენში ათრთოლებს პირველ ვარსკვლავებს!

**იტალიურიდან თარგმნა
ნიკოლოზ შამუგია**

ოჯისი

საქართველოში გავიწყდება, რომ საბჭოთა კავშირში იმყოფებით — ეს ფრთიანი ფრაზა იმ თავმოქმედებულ ქართველებს როდი წარმოუთქვამთ, თუკი მიუშვით, შამილსა და შალიაპინს ვილა ჩივის, ლამის ადამი და ევა გამოაცხადონ ჩვენებურებად. არა, ბატონო, ჩვენ არაფერ შუაში ვართ, გასული საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც დასავლეთის მართალი ხმების ტოტალური ჩახშობა ჰყვავდა ჩვენში და მხოლოდ ზოგჯერ, იშვიათად, კანტიკუნტად გამოაღწევდა ხოლმე აკრძალული ხილი, ყველა სხვა ხილზე ტკბილი რომაა, რადიოსადგურმა „დოიჩე ველემ“ (გერმანული ტალღა) საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისადმი მიძღვნილ გადაცემაში (რუსულ ენაზე) მოგვართვა ზემოთქმული ქათინაური, რომელიც დასავლეთ გერმანიიდან მივიღებთ ჩამობრძანებული ჟურნალისტების გაზვიადებული შთაბეჭდილება გახლდათ, მაგრამ ისიც უნდა ითქვას ხაზგასმით, რომ იმდროინდელი სინამდვილის გარკვეულ ანარეკლად შეიძლება მივიჩნიოთ, სადაც ობოლი მარგალიტივით ციმციმებდა ჭეშმარიტების პანანკინტელა მარცვალი — რაც ქვემოთ მონათხრობმა ეგებ დაადასტუროს.

საქართველოში გავიწყდება, რომ საბჭოთა კავშირში იმყოფებით (ციტატის სიზუსტეზე თავს ვერ დავდებთ, მაგრამ აზრი ეს იყო, მკაფიოდ და ხატოვნად თქმული).

ამბავი პირველი. 1950 წლის 19 მარტს ქალაქ სტოკჰოლმის რომელიღაც რესტორნის სარდაფში მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო საბჭოს მორიგ სესიაზე მიღებულ იქნა ე.წ. სტოკჰოლმის მონოდეკლარაცია ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ.

ცნობილი საბჭოთა ჟურნალისტი და მწერალი ილია ერენბურგი თავის მემუარებში გვაუწყებს, რომ მონოდეკლარაციის დამსწრეთათვის ნაუკითხავს გამოჩენილ ფრანგ ფიზიკოსსა და კომუნისტს, ნობელის პრემიის ლაურეატს ფრედერიკ ჟოლიო-კიურის. ეს იყო ყველაზე მოკლე ტექსტი, რომელიც კი ოდესმე მიგვიღიაო, მღვანერებამ შეგვიპყრო და პირველებმა ჩვენ (ე.ი. მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო საბჭოს წევრებმა) მოვანერეთ ხელიო. „ჩვენი მონოდეკლარაცია ნარმატებასა თუ წარუმატებლობაზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული“, — აღნიშნავს ილია ერენბურგი.

კაცობრიობას ჯერ კიდევ არ მოეშუშებინა მეორე მსოფლიო ომის ჭრილობები და უკვე მესამე მსოფლიო ომის სუნი ტრიალებდა ჰაერში. 1949 წლის აგვისტოში საბჭოთა კავშირმა წარმატებით ჩაატარა ატომური ბომბის გამოცდა. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია...

ზემოსხენებული ერენბურგი გვარწმუნებს, ბირთვული ომი ხვალისდელი დღის ჩვეულებრივ მოვლენად ეჩვენებოდათო.

თურმე ერთმა ფრანგულმა გაზეთმა თავის ფურცლებზე გამოაქვეყნა ანკეტა, სადაც ერთადერთი შეკითხვა იყო დასმული: რას გააკეთებთ, რას მოიმოქმედებთ, თუკი რუსები პარიზს აიღებენო?

ვეროპელ ობივატელებს საბჭოთა ტანკები ელანდებოდათ ელისეს მინდვრებსა თუ პიკადილიზე. მაგრამ ობივატელს რა უნდა მოვთხოვოთ, როცა თვით აშშ თავდაცვის მინისტრი ჯეიმზ ფორესტლიმ კი შეაწუხა ამგვარმა ზმანებამ, ერთი კი შესძახა: რუსები მოდიანო, და რომელიღაც ცათამბჯენის რომელიღაც სარათულიდან ძირს გადმოეშვა. ვაგლახ, ვერ გადაარჩინია.

მანჭეტენზე საბჭოთა ტანკები ელანდებოდათ და ნიუ იორკის ცაში — საბჭოთა ბომბდამშენები. თავდაცვის მინისტრმა თვითმკვლელობით კი უშველა თავს და პატარა ამერიკელ გოგონას რა უნდა ეღონა, თავის უფროს ძმას ცრემლმორეული რომ ეკითხებოდა: ნუთუ ვერ გავიქცევით იქ, სადაც ცა არ არისო?

სტოკჰოლმის მგზნებარე მონოდეკლარაციის მთელი „პროგრესული კაცობრიობა“ ანერდა ხელს.

რა თქმა უნდა, ხელს არ მოანერდა აშშ პრეზიდენტი ჰარი ტრუმენი, რომელმაც ორმოცდახუთში ორი ატომური ბომბი (თითქოს ერთი არ კმაროდა) თხლიშა ისედაც დამარცხების პირას მისულ იაპონიას და, ვითომც არაფერიო, ერთბაშად ასი ათასი სული გაისტუმრა იმქვეყნად.

ხელს არ მოანერდა არც ინგლისის ყოფილი პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი, რომელმაც ორმოცდახუთის ზაფხულში, როგორც კი შეიტყო ტრუმენისგან ატომური იარაღის დაბადება, სასწრაფოდ შეადგინა სია, სადაც შეიტანა საბჭოთა კავშირის ოცი თვალსაჩინო ქალაქი, ატომური ბომბებით რომ უნდა დაებომბათ (ჩვენდა სავალალოდ, თბილისიც კი გაიშტა), ოღონდ ის აღარ უკითხავს, ასე სახელდახელოდ საიდან დაუხატავდნენ ამერიკელები ოც ატომურ ბომბს? რაც ხელთ ჰქონდათ, ჰიროსიმას და ნაგასაკის მოახმარეს.

მთელი „პროგრესული კაცობრიობა“ ერთსულოვნად ანერდა ხელს სტოკჰოლმის მონოდეკლარაციის გამჩალებელთა წინააღმდეგ. სულ მოკლე ხანში შეგროვდა 500 მილიონი ხელმწიერი.

...იმხანად თბილისში გამოირჩეოდა მე-19 ვაჟთა საშუალო სკოლა. მისი დირექტორი გახლდათ ლავროსი კოტრიკაძე, იმ წყეული ეპოქის სანიმუშო მენეჯერი (დავესხსოთ ახალქაჯურს ანუ ნიუსპიკს, ყველას ამ მოდური ტიტულით რომ ნათლავს — ქვეყნის დიქტატორსაც და ბაზრის დირექტორსაც). ლავროსი კოტრიკაძეს თავისი სკოლის პირველკლასელთა გვარებიც კი ახსოვდა ზეპირად. ერთი გენახათ, შენობის შემოვლას რომ ატარებდა დიდ შესვენებაზე, მთელი სკოლა, დიდვან-პატარაიანა, კედელს იყო აკრული და გასუსული.

ახლა მასწავლებლები თქვით! სკოლა რა მოსატანია, დღეს უნივერსიტეტებსაც დაამშვენებდნენ: იაშა ბურჭულაძე (ქართული), სამსონ როდონაია (საქართველოს ისტორია), გოგი ნერსესოვი (ფიზიკა), თამარ ჯაფარიძე (რუსული), ლევან ჩიქვანაია (გეოგრაფია)... რომელი ერთი, რომელი ერთი!

მასწავლებლებს, რასაკვირველია, არც მოსწავლენი ჩამორჩებოდნენ. აბა თავად განსაჯეთ, რომელი სკოლა არ იამაყებდა ასეთი ნამონაფრებით: თენგიზ აბულაძე, გურამ რჩეულიშვილი, არჩილ სულაკაური, კახი კავსაძე, რეზო ესაძე... ასე შემდეგ და ამის მსგავსი.

და აი, ამ სახელგანთქმულ და მისაბაძ სკოლაში მოხდა უპრეცედენტო და ფრიალ უსიამო ამბავი, დაკავშირებული სტოკჰოლმის მონოდეკლარაციასთან.

დიახ, გენებავთ დაიჯერეთ და გენებავთ, ნუ დაიჯერებთ, რომ მთელ თბილისში მონინავედ შერაცხული სკოლის ერთ-ერთი თითქმის მონიფული კლასის მოსწავლენებმა აიღეს და გააბიარეს ეს უსერიოზულესი ღონისძიება. ყოველი მათგანი სტოკჰოლმის მონოდეკლარაციის ქათქათა ფურცელზე თავისი გვარის ნაცვლად ჩვენი წარსულის დიდებულ და სახელგანთქმულ მოღვაწეთა გვარს ანერდა. ასე რომ, ხელმოწერეთა შორის მოულოდნელად აღმოჩნდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და სხვანი და სხვანი. თბილისის სკოლებში იმხანად რუსულსაც ასწავლიდნენ და, შესაბამისად, ხელი მოანერეს პუშკინმა, ლერმონტოვმა, მაიაკოვსკიმ...

პუშკინს რომ ახსენებ, შეუძლებელია იმნამსვე პუშკაშიც არ გაგახსენდეს! დიახ, ასეც მოხდა და ერთმა ფეხბურთის უზომოდ მოყვარულმა მოსწავლემ ცოცხალი კაციც შეურიო ამ უზადლო პანთეონს — პოპულარული უნგრელი ფეხბურთელი ფერენც პუშკაში. უნგრეთის ნაკრები გუნდის პატივისცემით ცოტაოდენი უნგრულიც იცოდა და ხელი მოანერა უნგრულად: **Puskas**.

როგორც იტყვიან, შუბი ხალთაში რას დაიმალებოდა და ადვილი წარმოსადგენია, რა აურზაური და ალიაქოთი ატყდა ცეკა-ტეკა-ჩეკაში. იმხანად საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრი გახლდათ აკად. ვიქტორ კუპრაძე (დახეთ, იმ წყეულ ეპოქაში განათლების მინისტრად მაინცდამაინც აკადემიკოსი შეურჩევიათ. ამ პოსტზე სანტენიკს ვინ გა-

აჭაჭანებდა! ხედავთ, როგორ ჩაგრავენ უბრალო მოკვდავთ, დღენიადაგ ჩასჩინებდნენ: თქვენ ჭანჭიკები ხართ, ჭანჭიკები!).

საბოლოოდ ყველას საკადრისი საყვედური არგუნეს წილად — რიგით ინსტრუქტორსაც და აკადემიკოს მინისტრსაც, მაგრამ დასჯით არავინ დაუსჯიათ, არც მასწავლებლები და არც მოსწავლენი. როგორც ამბობენ, ცეკას პირველმა მდივანმა მომხდარი ინციდენტი შეარაცხა „ბავშვურ ცელქობად“. კრემლამდე ხმა არ მიუწვდენიათ, მორჩა და გათავდა!

წურავინ იფიქრებს, რომ ზემოთ მოთხრობილი ეპიზოდი ამჟამად უკანა რიცხვით მოდამი შემოსულ დისიდენტურ წარსულს ასახავდა. არაფერი ამის მსგავსი! მე-19 ვაჟთა საშუალო სკოლის ის კლასი, სადაც სტოკჰოლმის მოწოდება ასე უდიერად გააპამპულავეს, ყოველმხრივ და საცხებით მართლმორწმუნე კლასი იყო — ჩვეულებრივი საბჭოთა სკოლის ჩვეულებრივი კლასი.

დიახ, დღევანდელი რაკურსით თავმოსანონი დისიდენტობა აქ არაფერ შუაშია. ცამდე მართალი ბრძანდებოდა ცეკას პირველი მდივანი — ბავშვური ცელქობა არისო.

ცელქობა იყო თუ წვრილმანი ხულიგნობა, ეს როდია მთავარი. ამგვარი ინციდენტი უზარმაზარი იმპერიის ნებისმიერ კუთხეში შეიძლება მომხდარიყო. მაგრამ მთავარი და საგულისხმო ისაა, თუ რა მოჰყვებოდა ამ გაუგონარ თავის აგდებას. ჰოდა, საქართველოში, ღვთის წყალობით, არაფერიც არ მოჰყოლია!

ალბათ დაგვეთანხმებით, ამგვარი ცელქობა, ვთქვათ, მოსკოვში არავის შერჩებოდა. მასწავლებლებსაც და მოსწავლეებსაც ციმბირი სანატრელი გაუხდებოდათ!

ამბავი მეორე. 1956 წლის გაზაფხულზე ბორის პასტერნაკმა დაასრულა ავტობიოგრაფიული ნარკვევი „ადამიანები და გარემოებანი“, რომელიც იმავე წლის დამლევს პირველად ქართულ ენაზე გამოქვეყნდა ჟურნალში „მნათობი“ (რედაქტორი — სიმონ ჩიქოვანი). ალბათ ეს იშვიათი მოვლენაა ლიტერატურის ისტორიაში, რომ ჯერ ქვეყნდება მავანი ნაწარმოების თარგმანი და შემდეგ (კარგა ხნის შემდეგ) — მისი დედანი.

ლაზარ ფლეიშმანი თავის წიგნში „ბორის პასტერნაკი. პოეტი და პოლიტიკა“ (ლონდონი, 1990) წერს: „საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში ლიბერალიზაცია უფრო სწრაფი ნაბიჯებით იკიდებდა ფეხს, ვიდრე საბჭოეთის დედაქალაქში. ქართული გამბედაობა და სიმარჯვე იქცა სტიმულად მოსკოველი ლიბერალებისათვის. მსგავსად ამისა, პოლონელი მწერლები სარგებლობდნენ მეტი თავისუფლებით, ვიდრე მათი კოლეგები საბჭოთა კავშირში, სადაც აშკარად პირველობდნენ კონსერვატიული ჯგუფები. ამ სპეციფიკურ ისტორიულ გარემოებათა გარეშე შეუძლებელია გავიგოთ პასტერნაკის ლექსი „ბალახი და ქვები“. ეს გახლავთ პანეგირიკი ორი ქვეყნის — პოლონეთისა და საქართველოს — მისამართით. მათი მოთავსება ერთსა და იმავე გარემოში მომდინარეობს იმ როლიდან, რომელსაც იმხანად ასრულებდნენ; საქართველო საბჭოთა კავშირში და პოლონეთი სოციალისტურ ბანაკში გამოიყურებოდნენ, როგორც ნიმუში თავისუფალი აზროვნებისა და დამოუკიდებლობისა“.

ანუ — საქართველოში ყოფნისას გავიწყდება, რომ საბჭოთა კავშირში იმყოფებო, როგორც გვარწმუნებდნენ მოუსყიდველი გერმანელი ჟურნალისტები.

1959 წლის 11 თებერვალს გაზეთში „ნიუ სტიტისმენ“ გამოქვეყნდა ინგლისური თარგმანი ბორის პასტერნაკის ლექსისა „ნობელის პრემია“, რომელსაც შეიძლება ვუნოდოთ პოეტის გოდება ესოდენ საპატიო ჯილდოზე იძულებითი უარის გამო. პასტერნაკი მყისვე გამოიძახეს სადაც ჯერ არს და გენერალურმა პროკურორმა რომან რუდენკომ (ნიურნბერგის პროცესზე მთავარ ბრალმდებლად რომ იღვწოდა) წაუყენა ბრალდება 64-ე სტატიით (სამშობლოს ღალატით). დაემუქრა,

თუკი უცხოელებს კიდევ შეხვდებით, დაუყოვნებლივ დაგაპატიმრებთო. მერე ინგლისის პრემიერ-მინისტრის ჰაროლდ მაკმილანის მოსკოვში მოსალოდნელი ვიზიტის გამო პასტერნაკს მოსთხოვეს დაეტოვებინა პერედელკინო და სადაც უნდა, იქ ნაბრძანებულიყო. პასტერნაკმა დროებით თავშესაფრად აირჩია საქართველო, რომელსაც კარგა ხანია თავის „მეორე სამშობლოს“ უწოდებდა, და 20 თებერვალს, მეულლესთან ერთად, თბილისში ჩამოფრინდა. დაბინავდა ნინო ტაბიძესთან, რომელიც შეეცადა შეექმნა მისთვის ჩვეული სამუშაო გარემო და მყუდროება დაევიანებინა ბინაში. პასტერნაკს გასართობად წამოღებული ჰქონია პრუსტი და ფოლკენერი. ქალაქში ბევრს დადიოდაო. მეგზურობას უწევდა ტიცინი ტაბიძის ასული ნიტა.

როგორც ბორის პასტერნაკის ვაჟი ევგენი წერს, პოეტი დაინტერესა მცხეთამ და ამ ქალაქის როლმა საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისას, წმ. ნინოსა და მისი თანამოსაგრის სიდონიას ღვაწლმა.

გაგრძელდა და კიდევ უფრო განმტკიცდა პასტერნაკის მეგობრობა ლადო გუდიაშვილის ოჯახთან, სადაც სანთლების შუქზე რომანტიკული საღამო გაუმართეს სტუმარს. მასპინძლის ალბომში პასტერნაკმა ჩაწერა თავისი ლექსი „ჭექაქუხილის შემდეგ“.

პასტერნაკის კვალდაკვალ მოისწრაფოდნენ საქართველოში ახალგაზრდა რუსი პოეტები: ევტუშენკო, ახმადულინა, ვოზნესენსკი. აქ, ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ბეჭდავდნენ თავიანთ ლალ ლექსებს.

ამბავი მესამე. 1967 წლის თებერვლის თვეში იალტის მწერალთა დასასვენებელ სახლში ისვენებდა თანამედროვე რუსული პროზის ახალი თაობის თვალსაჩინო ოსტატი — ან განსვენებული ვასილი აქსიონოვი. ერთ მშვენიერ დღეს ყირგიზმა კოლეგებმა რესტორანში დაპატიჟეს. იქ უსიამოვნება შეემთხვათ. მეზობელ მაგიდასთან დროს ატარებდა რომელიღაც ბოზოლა მინისტრი. მას რატომღაც არ ეჭაშნიკა ვილაც ცხვირმოუხოცელი ლანირაკის (ე.ი. თანამედროვე რუსული პროზის ახალი თაობის თვალსაჩინო ოსტატის) ხმამალალი ლაპარაკი და მხიარული სიცილი. რატომღაც დაასკვნა, ეს მობელადლი (სუკინ სინ) მე დამცინისო. შენიშვნა მისცა, ცოტა ხმადაბლა ილაპარაკეო. აქსიონოვი კი მარტო საბჭოეთში როდი უყვარდათ, უკვე დასავლური სამყაროს მკითხველთა ყურადღებითაც იყო განებივრებული და არ შეეპუა ყოვლისშემძლე ბოზოლა მინისტრს. მოურიდებლად შეეპასუხა და კარგი ჩიტიც დაიჭირა. ბოზოლა მინისტრმა ადგილობრივ მილიციას უხმო და მოსკოველი ხულიგანი აქსიონოვი ჩაყუდებულ იქნა კუტუზკაში. მეორე დღეს ელოდა სასამართლო, რომელიც, უეჭვლია, მიუსჯიდა პატიმრობას 15 სუტკით! დასასვენებელი სახლის დირექტორის გამოქომაგებამ სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო. მაშინ ხვეწნა-მუდართით მიმართეს რუსული პროზის ხანდაზმულ პატრიარქს კონსტანტინ პაუსტოვსკის, ცალი ფეხი უკვე სამარეში რომ ედგა (მომდევნო წელს გარდაიცვალა კიდევ). გასჭრა, გასჭრა პაუსტოვსკის პროტექციამ! გულისხმიერი პატრიარქი თავისი ფეხით მიადგა მილიციას. დიახ, აქსიონოვი გადაარჩინა თმის გადაპარსვას და 15 დღელამის განმავლობაში იალტის ქუჩების დაგვა-დასუფთავებას, შეჩვეული კალმის ნაცვლად მეეზოვის ცოცხი რომ უნდა დაეჭირა ხელში.

აბა ახლა წარმოიდგინეთ, ჩვენ რომ გვეყოლოდა აქსიონოვის დარად მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული ახალგაზრდა მწერალი და მილიციას რომ დაეკავებინა და სასამართლოს რომ 15 სუტკით პატიმრობა მიესაჯა და კონსტანტინ გამსახურდიას რომ შევედრებოდნენ...

მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არც მომხდარა და, ცხადია, არც მოხდებოდა, ვინაიდან მოუსყიდველი გერმანელი ჟურნალისტები ნახევარი საუკუნის წინათ ამტიციებდნენ, საქართველოში გავიწყდება, რომ საბჭოთა კავშირში იმყოფებო...